



სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი
 ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР
 FILIALE GEORGIENNE DE L'ACADÉMIE DES SCIENCES DE L'URSS

480
 1940 1/4

480/4

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა
 და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

მ რ ა მ ბ ე

24

ИЗВЕСТИЯ

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ И МАТЕРИАЛЬНОЙ
 КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

BULLETIN

DE L'INSTITUT MARR DE LANGUES, D'HISTOIRE
 ET DE CULTURE MATÉRIELLE

VII

თბილისი
 1 9 4 0

FILIALE GÉORGIENNE DE L'ACADÉMIE DES SCIENCES DE L'URSS

BULLETIN
DE L'INSTITUT MARR DE LANGUES, D'HISTOIRE
ET DE CULTURE MATÉRIELLE

VII

ÉDITION DE LA FILIALE GÉORGIENNE DE L'ACADÉMIE DES SCIENCES DE L'URSS

Tbilissi

1940

Тбилиси



სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი
ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

მ რ ა მ ბ ე

ИЗВЕСТИЯ

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ И МАТЕРИАЛЬНОЙ
КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

VII

3731

30709



დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
საქართველოს ფილიალის განვარტლებით
თავმჯდომარე აკად. ნ. მუსხელიშვილთ

რედაქტორი პრფ. ს. ჯანაშია

№ 125672-10
ს. 111, 112



შ ი ნ ა ა რ ს ი

	83-
1. კორნ. კეკელიძე, ტიმოთე ანტიოქელი	9
2. ლ. მუსხელიშვილი, ს. კაკაბაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის. საისტორიო კრებული, წიგნი I, გვ. 1—94 და წიგნი III, გვ. 10—75. ტფილისი, 1928 წ. (რეცენზია)	151

СО Д Е Р Ж А Н И Е

1. Корн. Кекелидзе, Тимофей Антиохийский	9
2. Л. Мусхелишвили, С. Какabadze, Материалы по социальной и экономической истории Зап. Грузии (рецензия)	151

TABLE DES MATIÈRES

1. Corn. Kekelidze, Vita Timothei Antiocheni	9
2. L. Mouskhelichvili, S. Kakabadzè, Matériaux pour l'histoire sociale et économique de la Géorgie Occidentale (critique)	151

ტიმოთე ანტიოქელი

უცნობი სიკიბლი მოღვაწე

VIII საუკუნისა

პროფ. კორნ. კეკელიძის

რედაქციითა და გამომკვლევით

ТИМОФЕЙ АНТИОХИЙСКИЙ

НЕИЗВЕСТНЫЙ СИРИЙСКИЙ ДЯТЕЛЬ

VIII ВЕКА

Под редакцией и с исследованием

проф. Корн. Кекелидзе

V I T A

TIMOTHEI ANTIOCHENI

saec. VIII

Edidit

prof. Corn. KEKELIDZE

შ ე ს ა ვ ა ლ ი

I. ქველის მეცნიერული მნიშვნელობა

ძველი, რომელიც პირველად იბეჭდება, მოგვითხრობს ერთერთი სირიელის, ტიმოთე ანტიოქელის, თავგადასავალს. ეს ნაწარმოები ღირსია იმ პირთა საგანგებო ყურადღებისა, რომელთაც აინტერესებს აღმოსავლეთის ისტორიული წარსული ისეთს ბნელ ხანაში არაბების ბატონობისა, როგორცაა შერვე საუკუნე.

ამ ძველის გამოცემით ჩვენს თვალწინ იშლება მოღვაწეობა აქამდის ისტორიაში უცნობი ადამიანისა, რომელიც, როგორც ირკვევა, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სირიის როგორც საეკლესიო-სარწმუნოებრივს, ისე პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თხზულებაში წარმოდგენილია მკვეთრი სურათი სირიელების სარწმუნოებრივ-კულტურული ყოფისა, განსაკუთრებით მათი საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებისა; ეს მხარე სირიელთა ისტორიისა მეცნიერებაში ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას იმ პერიოდის შესახებ, რომელიც იწყება მეშვიდე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან, ესე იგი—არაბთა ბატონობის დაწყებიდან. ფართოდაა მოხაზული თხზულებაში პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება სირიელებისა, რომელნიც ამ დროს განიცდიან მუსულმან-არაბთა ხელისუფლების მძვინვარე ექსპლოატაციას. მოკლედ, თხზულება თითქოს სპეციალური მიმოხილვაა ხალიფა ჰარონ-ალ-რაშიდის დროის სირიელთა ისტორიისა და, როგორც ასეთი, საჭირო ისტორიული დოკუმენტების სიმცირის პირობებში, მეცნიერების მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს.

მას მნიშვნელობა აქვს არა მარტო აღმოსავლეთის, სირიელების, ისტორიისათვის, არამედ ჩვენთვისაც, ქართველებისთვისაც. საქმე ისაა, რომ, მეექვსე საუკუნიდან დაწყებული მეთამდე, ჩვენი კულტურის ისტორიაში სირიელები უდიდეს როლს თამაშობდნენ. სირიის გზით შემოვიდა ქართლში ის ნაკადი ქრისტიანზმისა, რომელმაც გარკვეული გეზი მისცა ფეოდალური საქართველოს ისტორიას საუკუნეთა განმავლობაში. სირიიდან შემოვიდა ჩვენში ის ტიპი სამონასტრო ცხოვრებისა, რომელიც ასეთს კვალს აჩენდა ჩვენს ცხოვრებას. სირიულიდან ითარგმნებოდა, უშუალოდ თუ სომხურის მეშვეობით, ის ძეგლები, რომელთაც დაუდევს საფუძველი ჩვენს ძველს მწერლობას. აქედან დასკვნა თავისთავად ცხადია: ჩვენი ისტორიის ამ ეპოქის შესასწავლად ძალიან ცოტა

მასალები მოგვებოვება, ეს ძეგლი კი, როგორც ვთქვით, გვიშუქებს იმ ქვეყნის წარსულს, რომელიც გარკვეულ ელფერს აძლევდა ჩვენს ცხოვრებას, ასე რომ, ის წარმოადგენს წყაროს არა მარტო სირიის, არამედ ქართლის ისტორიული წარსულის შესასწავლად, განსაკუთრებით ეს უნდა ვთქვათ პოლიტიკური წარსულის შესახებ. ცნობილია, რომ არაბებმა სირია და ქართლი თითქმის ერთსადაიმავე დროს დაიპყრეს მეშვიდე საუკუნეში; ისიც ცნობილია, რომ ჩვენ, სამწუხაროდ, არც არაბთა ბატონობის გასაშუქებლად გვაქვს საჭირო მასალები. აქ კი, ამ ძეგლში, მოცემულია საკმაოდ გაშლილი სურათი არაბების, როგორც დამპყრობელ-გაბატონებული ძალის, მოქმედებისა სირიაში, მათი დამოკიდებულებისა დაპყრობილ ერისადმი, მისი სარწმუნოებრივი და ყოფაცხოვრებითი მოვლენებისადმი. აქაც, ამ მხრივაც, მაშასადამე, ეს თხზულება დიდ მეცნიერულ დახმარებას გაუწევს ქართველ ისტორიკოსს, ვინაიდან არაბთა პოლიტიკა აღმოსავლეთის დაპყრობილ ქვეყნებში არსებითად ერთიდაიგივე იყო.

ამ გამოცემით მეცნიერებამ მოიპოვა ახალი, ჯერ უცნობი ლიტერატურული ძეგლი, რომელიც საინტერესოა თავისი წარმოშობითაც. ეს თხზულება, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, თავდაპირველად დაწერილი ყოფილა არაბულ ენაზე, არაბულიდან უთარგმნიათ ბერძნულად, ბერძნულიდან კი ქართულად. არც არაბული, არც ბერძნული ტექსტი მისი ცნობილი არაა, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, მაშასადამე, დაგვრჩენია ქართული თარგმანი, რომლითაც შესაძლებელი ხდება ამ საინტერესო ძეგლის აღდგენა და ყოველმხრივ გათვალისწინება. ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ ქართული თარგმანის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ არაბულ-ქრისტიანული მწერლობის ძეგლი; არაბულ-ქრისტიანული ლიტერატურა კი ჯერ შეუსწავლეია, ის ამ უკანასკნელ ხანებში იპყრობს ორიენტალისტების სერიოზულ ყურადღებას. ამრიგად, ძეგლი ქართული ლიტერატურა, რომელსაც ამ ძეგლის სახით საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში, ერთხელ კიდევ მისცემს საბაბს ევროპის მეცნიერებს გაიმეორონ სიტყვები უდიდესი გერმანელი ისტორიკოსის ა. ჰარნაკისა: ირკვევა, «რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც; გამოჩნდებიან განა ჩვენში ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შესძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძეგლი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და გაგვაცნონ ახლო მისი საუნჯე?»¹.

მართალია, თხზულებაში ადგილი აქვს, და საკმაოდ მნიშვნელოვანი, „სასწაულებსაც“, მაგრამ ეს გარემოება ოდნავადაც ვერ დაამცირებს მის მეცნიერულ ღირებულებას; „სასწაულები“ ხელს არ უშლიდა ცნობილ მეცნიერს, პროფ. K. Krumbacher-ის აღვარებინა ამგვარი თხზულებების კულტურულ-ისტორიული ინტერესი², ისინი ვერ ანელებდნენ ვერც ფრიდ. ენგელსის ინტერესს, რომელიც, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, პირდაპირ მუშტ-

¹ Sitzungsberichte der preussischen Akademie der Wissenschaften, XXXIX, 1903

² Geschichte der byzantinischen Litteratur, Aufl. 2, S. 145.

რის თვალთ კითხულობდა და სწავლობდა თურმე ამგვარ თხზულებებს სხვა-დასხვა ენებზე. ამ „სასწაულებრივს“ გარსში გახვეულია ძვირფასი მარგალიტები ისტორიული, ყოფა-ცხოვრებითი სიმართლისა და რეალური განცდებისა, რომელთა ამოკრება დახელოვნებული ისტორიკოსისათვის არც ისე ძნელი საქმეა.

დასასრულ, თხზულება ერთერთი საუკეთესო ძეგლია ქართული ენის შესასწავლად; მისი კითხვის დროს თვალში გეცემათ მსუბუქი, თავისუფალი, პერიოდულად დამრგვალებული და დამთავრებული მხატვრული ენა, რომელიც ადგილ-ადგილ უმაღლეს ხელოვნებამდე აღის. მთარგმნელი ისე მოხერხებულად, ადვილად და თავისუფლად გადმოგვცემს დედნის აზრებს, რომ გეგონებათ—წინ გვიძეგს არა ნათარგმნი, არამედ ორიგინალური ნაწარმოები ჩვენი მწერლობის კლასიკური ხანისა. მიმზიდველი ფაბულა, სიუჟეტის დრამატული დამუშავება, მხატვრული სახეები, მეტაფორები, პარალელიზმები, მშვენიერი სურათები ბუნებისა და სხვა ამისთანები მიზეზია იმისა, რომ თხზულება თავიდან ბოლომდე, „სასწაულებრივ“ ნაწილშიაც კი, შეუწინაღებელი ინტერესით იკითხება.

უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე გამოცემა დამზადებული იყო განსვენებულის აკადემიკოსის ნ. მარის შეკვეთით ერთერთი, მის მიერ მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილი, სერიისათვის, რომელსაც Bibliotheca Armeno-Georgica ეწოდებოდა; აკადემიამ დაიწყო კიდევაც მისი ბეჭდვა 1916 წელს, მაგრამ ამიერ-კავკასიისა და საქართველოს შემდეგდროინდელმა გამოთიშვამ რუსეთისაგან, რამაც რამდენიმე წლით ჩამოგვაშორა ყოფილი რუსეთის სამეცნიერო ცენტრებს, საშუალება არ მოგვცა მისი დამთავრებისა. მით უფრო სასიამოვნოა, რომ დღეს მის გამოცემას კისრულობს განახლებული საკავშირო აკადემიის საქართველოს ფილიალი.

II. თხზულების მოკლე შინაარსი

ტიმოთეს სამშობლო იყო ანტიოქიის მახლობლად მდებარე სოფელი კახუსტანი; მის მშობლებს, რომელნიც „ქუეყნის-მოქმედნი“ ანუ გლეხები იყვნენ, ჰყავდათ კიდევ ორი ვაჟი და ერთი ქალი. ტიმოთე ყველაზე უმცროსი იყო ოჯახში. ის ძალიან ადრე დაობდა, ამიტომ იზრდებოდა ძიძასთან დის უშუალო მეთვალყურეობით. როდესაც შეიღი წლის შეიქნა, ძმებმა ის ცხვარში გაგზავნეს მწყემსად; რადგანაც მცირეწლოვანობის გამო ჯეროვნად ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას, უფროსმა ძმამ ერთხელ სასტიკად სცემა მას. ამის შედეგი იყო, რომ ტიმოთე ანაზღეულად გაქრა და დაიკარგა სოფლიდან. ძმები და და მისი შეშინდნენ, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ უშედეგოდ. ისინი უნუგეშო მწუხარებამ შეიპყრო, განსაკუთრებით თავს იკლავდა და: ის ეძებდა მას „მთათა და ბორცუთა და კეენებსა შინა“, დახმარებისათვის უსულო ბუნებასაც კი მიმართავდა, ყოველ დღე ის გამოდიოდა გზაჯვარედინზე და ეკითხებოდა გამველ-გამომვლელთ ძმის ამბავს. მისი რჩევით ძმებმა დააწესეს დღესასწაუ-

ლები, რომელზედაც იწვევდნენ ნაცნობსა და უცნობს და ყველას ეკითხებოდნენ: ხომ არაფერი გსმენიათ ჩვენი დაკარგული ძმის შესახებო?¹ მათი ცდა უშედეგო იყო: ვერაფერი ვერავისგან ვერ გაიგეს. ტიმოთე თავისი სოფლიდან წასულა ერთს შორეულ დაბაში, სადაც ერთს ოჯახში ის მიიღეს როგორც საკუთარი შვილი. ის მიიბარეს ამ დაბის სკოლაში ერთს დახელოვნებულ მასწავლებელს აღსაზრდელად. ტიმოთე სკოლაში ყველას სჯობნიდა ბეჯითობით და ღვთისნიერობით. მეტადინეობას რომ მორჩებოდნენ, ისა და მისი ორი სკოლის ამხანაგი მიდიოდნენ ერთს განმარტოვებულ გამოქვამულში, სადაც ლოცვა-ვედრებაში ატარებდნენ დროს. როდესაც ტიმოთე წამოიზარდა, მისმა გამზრდელმა, რომელიც საკმაოდ შეძლებული კაცი იყო, ცოლად შეაძლია მას თავისი ერთადერთი ქალი. ტიმოთე შორს იყო აზრისაგან ოჯახურ ცხოვრებას მოჰკიდებოდა, მაგრამ თავისი აღმზრდელისა და კეთილისმყოფლის წყენაც ეძნელებოდა, ამიტომ ასე მოიქცა: მას სთხოვა ნებართვა წინასწარ იერუსალიმში წასვლისა, თითქოსდა სალოცავად, ნამდვილად კი გადაწყვიტა—არ დაბრუნებულიყო იქიდან. გამზრდელს უძნელდებოდა მისი გაშვება, მაგრამ ბოლოსდაბოლოს დასთანხმდა და წასვლისას გაატანა თანამგზავრები, რომლებთანაც ერთად უნდა მობრუნებულიყო უკან. ტიმოთე თანამგზავრებით იერუსალიმს დიდ მარხვაში მივიდა, აქ მათ მოილოცეს წმ. საფლავი, თხემის ადგილი, სიონი და მახლობელი წმიდა ადგილები, მერე გავიდნენ უდაბნოში, მოიხილეს ბეთლემი, მდინარე იორდანე და სხვა ადგილები და შემდეგ, ბზობას, დაბრუნდნენ იერუსალიმში, სადაც დაყვეს მთელი ვნების კვირა და აღდგომის ღამეს გახდნენ მოწამენი წმ. ცეცხლის მიღებისა². აღდგომის დღესასწაულის შემდეგ პილიგრიმები ჩვეულებრივ შინ, თავიანთ ქვეყანაში, ბრუნდებოდნენ ხოლმე, გაყენენ სხვებს ტიმოთეცა და მისი თანამგზავრები. როდესაც იერუსალიმს გასცილდნენ, ტიმოთემ ისარგებლა პილიგრიმების სიმრავლით, შეერია მათ და ჩამოშორდა თავისიანებს. უკანასკნელებმა ეს მაშინვე ვერ შენიშნეს. როდესაც გაიგეს, გვიან იყო: ტიმოთე გავიდა უდაბნოში, სადაც მეუდაბნოეთა ცხოვრებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. ის მივიდა ერთს მოხუცებულ ბერთან და სთხოვა მას—სქემა შემოსეო; ბერმა თხოვნა შეუსრულა არა იმწამსვე, არამედ ხანგრძლივი გამოცდის შემდეგ. ტიმოთემ დაყო ამ უდაბნოში 27 წელი და მერე გადასწყვიტა დაბრუნებულიყო თავის სამშობლოში. გზაზე ის წააწყდა ერთ მონას-

¹ როდესაც ამ დღესასწაულების აღწერილობას კითხულობთ, თვალწინ უნებლიეთ წარმოგიდგებათ საქართველო, სადაც არც ისე შორეულ წარსულში (ალაგალაგ დღესაც) თვითელი სოფელი ანდა გვარი სოფელში იხდის ამათუიმ დღეობას, რომელსაც ესწრებიან, მოპატოვებით თუ ისე, ამავე სოფლის სხვა მცხოვრებნი, აგრეთვე მახლობელნი, ნათესავნი და ნაცნობნი სხვა სოფლებიდან. ამ დღეობებზე იკვლება, როგორც ამ თხზულებით, ისე ჩვენშიაც, უამრავი საქონელი სტუმრების გასამასპინძლებლად. ასეთი ჩვეულება ეხლაც ცხოველია ურმიის სირიელთა შორის და, რაც საყურადღებოა, ის ძალიან მოგვაგონებს ჩვენი ქვეყნის ამგვარ ჩვეულებას („Странник“ 1913 г. Октябрь. стр. 457—8).

² აქ უზვადაა მოცემული დეტალები იერუსალიმის არქეოლოგია-ტოპოგრაფიისა; კერძოდ წმ. ცეცხლის მიღების შესახებ იხ. проф. А. Дмитриевский, Богослужение страстной и пасхальной седмиц в Иерусалиме IX—X в., Казань, 1894 г. стр. 406.

ტერს, რომელშიაც ცხოვრობდნენ მარონიტები; ის დროებით შეჩერდა ამ მონასტერში ვითომდა იმიტომ, რომ შეესწავლა ხურობა, რომელიც შეადგენდა ამ მონასტრის მკვიდრთა მთავარ საქმიანობას, ნამდვილად კი მწვალებლობისგან მათი მოქცევის მიზნით. ის ასეც მოიქცა: მოკლე ხანში მან ხურობაც შეისწავლა და მარონიტებიც მოაქცია.

ამის შემდეგ ის განაგრძობს გზას და მიიღწევს იმ დაბას, სადაც ის აღიზარდა და სადაც მას ცოლის შერთვას უპირობდნენ; აქ ის შედის ერთს მონასტერში და იწყებს მოღვაწეობას. რამდენიმე ხნის შემდეგ, თავისი სურვილის წინააღმდეგ, ის გაჰყვა ანტიოქიაში ერთს ბერს, თანახმად უკანასკნელის თხოვნისა, და თავი ამოყო სამშობლო სოფელში. სწორედ ამ დროს მისი ძმები იხდიდნენ წმ. გიორგის დღეობას; როდესაც მათ დაინახეს უცხო მგზავრები, სთხოვეს მათ დარჩენილიყვნენ მათთან და მიეღოთ მონაწილეობა დღეობაში. ტიმოთემ ძალიან უხერხულად იგრძნო თავი, მას არ უნდოდა გამოემყდენებულყო მისი ვინაობა, იმიტომ მოინდომა წასვლა, მაგრამ ვერასგზით ვერ დააღწია თავი და იძულებული შეიქნა დარჩენილიყო. მისმა დაქვანებულმა დაინახა რა უცხო მგზავრები, ჩვეულებისამებრ ტირილითა და ვაებით გაუმყლავნა მათ თავისი მწუხარება და სთხოვა—ეცნობებინათ მისთვის, თუ რამე იცოდნენ მისი ძმის შესახებ. ეს ადგილი მოთხოვრებისა თავისი დრამატიზმით დიდს შთაბეჭდილებას ახდენს. ტიმოთემ მიმართა ქრისტიანთა შორის მიღებულ ჩვეულებას, საღვთო წერილით მკითხაობას¹, გაშალა სახარება და უთხრა მტირალ დას: დამშვიდდი, შენი ძმა ცოცხალია, ხვალ ყველაფერს გაიგებ მის შესახებ! მას გადაწყვეტილი ჰქონდა ღამით გაპარულიყო. ტიმოთე დიდხანს ებრძოდა თავის თავს, მაგრამ ვეღარ სძლია, და აქ განმეორდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა, ბიბლიით, ეგვიპტეში როდესაც იოსებმა თავის ძმებს გამოუცხადა თავი: მეორე დღეს ტიმოთე გამოუტყდა თავისიანებს. ძნელია ვადმოცემა იმისი, რასაც ადგილი ჰქონდა ამ მომენტში! თანახმად ძმების, დის და სოფლელების თხოვნისა ტიმოთე დარჩა სოფელში, ის დაბინავდა სენაკში, რომელიც ძმებმა აუშენეს მას. რამდენიმე ხნის შემდეგ სოფელში თავი იჩინა შფოთმა და უსიამოვნებამ; საქმე იქამდის მივიდა, რომ ტიმოთემ გადასწყვიტა მიეტოვებინა იქაურობა და სხვა მხარეს წასულიყო. სოფლელებმა რომ ეს გაიგეს, სთხოვეს მას დარჩენილიყო და აღუთქვეს გამოსწორება. ტიმოთე დასთანხმდა, მაგრამ მოსთხოვა მათ აეშენებინათ მისთვის სოფლიდან მოშორებით სავანე. მართლაც ერთს ხევში, სადაც წმ. გიორგის ტაძარი იყო, მას აუშენეს მაღალი სვეტი (გოდოლი) და დიდი ზეიმით აიყვანეს ზედ. ამიერიდან იწყება მისი ცხოვრება სვეტზე ან მესვეტეობა, რო-

¹ საღვთო წიგნებით მკითხაობის შესახებ იხ. проф. М. Сперанский, Из истории отреченных книг, гадания по Псалтыри, 1889 г. стр. 14—27. В. М. Истрин, К вопросу о гадательных псалтырях. ესეთი ჩვეულება ცნობილია ჩვენშიც, საქართველოშიაც; იმერეთში, მაგალითად, როდესაც უნდოდათ ქურდის გამომყლავნება, აიღებდნენ ხოლმე დავეთს და მესამე ფსალმუნზე ჩადებდნენ შიგ გასაღებს, შეკრავდნენ თოკით და ჩამოიკიდებდნენ თითზე; ამ დროს ჩაიფიქრებდნენ ამათუიმ პირს, ვიხედავ ეჭვი ჰქონდათ, და წაიკითხავდნენ მესამე ფსალმუნს. თუ ამ დროს თითზე დაკიდებული წიგნი დატრიალდებოდა, ქურდი აღმოჩენილად ითვლებოდა.



მელიც გრძელდება თვით მის სიკვდილამდე. მალე მისი სვეტის გარშემო გაჩაღდა ნამდვილი სამონასტრო ცხოვრება; აქ მოვიდა, სხვათა შორის, ორი მისი სკოლის ამხანაგი, რომელნიც მან დააყენა მონასტრის უფროსად და რომლებთანაც მას სიცოცხლეში არ შეუწყვეტია სულიერი კავშირი¹. მალე მისი ამბავი მთელს ქვეყანას მოედო, მასთან მოდიოდნენ დარიგებისა და რჩევისათვის არა მარტო ანტიოქიიდან და კახუხტანიდან (15 სასწ.), არამედ სხვა ადგილებიდანაც, როგორც მაგალითად: შავი (23 სასწ.) და კარკულის (13 სასწ.) მთები, დაბა დაფნა (12 სასწ.), ბაზატუნ სოფელი (5 სასწ.), ქალაქები: ქალკილონი (22 სასწ.), ემესა (19 სასწ.) და ილიოპოლი (24 სასწ.), სპარსეთიდანაც კი (21 სასწ.). მას მიმართავდნენ როგორც საერონი, ისე სამღვდელონი, ბერ-მონაზვნები, ეპისკოპოსები (2 სასწ.), ანტიოქიის პატრიარქი (5, 11, 14 სასწ.) და მაჰმადიანი სარკინოზნი (1, 9, 11, 21, 22 სასწ.). ტიმოთე აკმაყოფილებდა მათ სულიერ მოთხოვნილებას, არავის არ სტოვებდა უნუგეშოდ და არავის არ უშლიდა მასთან მისვლას. გარდაიცვალა ტიმოთე ღრმად მოხუცებული, სვეტზე დიდი ხნის ცხოვრების შემდეგ, და დასაფლავებულ იქნა ყველასაგან გულწრფელად დატირებული.

III. ტიმოთე ანტიოქელის ეპოქა

თუმცა თხზულებაში ქრონოლოგიური თარიღები არა გვაქვს, მაგრამ შესაძლებელია გავარკვიოთ ყოველ შემთხვევაში ის პერიოდი ტიმოთეს ცხოვრებისა, როდესაც ის სვეტზე ან გოდოლზე იმყოფებოდა. ტიმოთეს „სასწაულთა“ შესახებ მოთხრობის მე-11 თავში ვკითხულობთ: როდესაც ტიმოთეს სახელი გაითქვა ყოველგან, მისი ნახვა მოინდომა, სხვათა შორის, ანტიოქიის პატრიარქმა თეოდორიტემ. ის მოვიდა მასთან „ეტლებითა და ჰუნებითა და სამოსელთა ბრწყინვალეებითა და ფრიადითა აკაზმულობითა და წარჩინებულობითა“. ტიმოთეს ეს არ ესიამოვნა, ვინაიდან ყოველივე ეს „უცხო იყო სამოციქულოდსა წესისაგან“. მან ის მოურიდებლივ ამხილა, გამოთხოვებისას მოსთხოვა— შეეცვალა თავისი ცხოვრება; პატრიარქი დაპირდა, მაგრამ, წავიდა თუ არა, უმაღვე დაივიწყა თავისი სიტყვა და წინანდებურად შეუფერებელ ცხოვრებას ატარებდა. ტიმოთემ მას ამცნო, რომ ძალიან მალე, სახელდობრ—დიდ ხუთშაბათს, ის, ტყუილისა და უხამსო ცხოვრებისათვის, ჩამოვდებული იქნება საპატრიარქო ტახტიდან და უამრავი უბედურების მსხვერპლი გახდება. პატრიარქმა არავითარი ყურადღება მის სიტყვებს არ მიაქცია, დიდხუთშაბათს, პირიქით, დასცინოდა კიდევაც მას. მაგრამ როდესაც ის, წირვის დაწყებამდე, ეკლესიაში აპირებდა შესვლას და მირონის კურთხევას, თავს დაესხნენ მას ბა-

¹ დაახლოებული იყო მასთან აგრეთვე ორი მოღვაწე, ერთი პაპისკინის და მეორე ალექსანდრიის მონასტრისა. ჩვენ არ ვიცით, სად იყო პაპისკინის მონასტერი, რაც შეეხება ალექსანდრიისას, აქ იგულისხმება ალექსანდრია, რომელიც ანტიოქიის ჩრდილოეთით მდებარეობდა, ხმელთაშუა ზღვის ჩრდილოეთ ყურესთან.

ბილონიდან მოგზავნილი ჯარისკაცები ხალიფა ჰარონ-ალ-რაშიდისა, რომლის წინაშე პატრიარქი შესმენილი იყო „ვითარცა თავხედი და ორგული“. ის „შეკრეს ჯაჭვითა მძიმითა და ბორკილითა“ და წაიყვანეს ბაბილონს. პატრიარქს ეხლა მოაგონდა ტიმოთე; გზაზე მან მოისყიდა ჯარისკაცები და ტიმოთესთან შეუხვია. ტიმოთემ უთხრა, რომ მას მიუსჯიან სიკვდილს, მაგრამ ღმერთი, რომელიც მის მიერ მრავალ სასწაულს მოახდენს, იხსნის მას სიკვდილისაგან, რომ ის დიდ წარმატებას მიაღწევს, და სთხოვა—მთელი თავისი გავლენა მოეხმარა ქრისტიანთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მას თან გაატანა წმ. ზეთი და უთხრა, რომ ამ ზეთით ის მრავალ ავადმყოფს განკურნებს. როდესაც ჯარისკაცებმა თეოდორიტე ხალიფასთან მიიყვანეს, უკანასკნელმა მას თავის მოკვეთა მიუთხოვა. სამმა მეხრმლემ შესცვალა ერთი მეორე, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა მახვილის ცემა; ვიღაც ნათლით მოსილი მოხუცი, რომელიც თეოდორიტეს გვერდით იდგა და რომელსაც მხოლოდ მეხრმლენი ხედავდნენ, არ უშვებდა მათ პატრიარქამდე, ერთს მათგანს ხელიც კი შეახმა. ხალიფამ გადასწყვიტა, რომ ეს საქმე „თუნიერ გრძნებისა არა არს“, ამიტომ უბრძანა—თეოდორიტე საპყრობილეში ჩაესვათ. ეს გაიგო ხალიფას ცოლმა; მან განსჭვრიტა, რომ ყველაფერი ეს ღვთის განგებით მოხდა, ამიტომ სთხოვა ქმარს—დაეთმო მისთვის პატრიარქი. ხალიფამ შეიწყნარა მეუღლის თხოვნა და არამც თუ გაათავისუფლა თეოდორიტე, მას „მეკარეთა“ საპატიო თანამდებობაც კი მიანიჭა. რამდენიმე ხნის შემდეგ ავად გახდა „მხოლოდშობილი“ ძე ხალიფასი; მამამ „შემოკრიბნა ქალდეველთა და სპარსთა შორის წარჩინებულნი და გამოცდილნი მკურნალნი და მკურნალთ-მთავარნი“, მაგრამ ისინი ვერას გახდნენ. მაშინ დედოფალმა მოაგონა ქმარს თეოდორიტე, რომელიც სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს, და სთხოვა მას მიემართნა მისთვის. პატრიარქი მოვიდა და განუცხადა ხალიფას, რომ ის განკურნებს მის ძეს ღვთის ძალით და ტიმოთეს ლოცვა-ვედრებით. მან სცხო ავადმყოფს ტიმოთეს მიერ გამოტანებული ზეთი და ის იმწამსვე განიკურნა. ამასთან ერთად იმავე ზეთით მან განკურნა გამხმარი ხელი იმ ჯარისკაცისა, რომელსაც მისთვის თავი უნდა მოეკვეთა. ყველაფერმა ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც ხალიფაზე, ისე სხვებზე, და მრავალი გარდახარა ქრისტიანობის მხარეზე. გახარებულმა ხალიფამ დიდად პატივისცა თეოდორიტეს, ის მზად იყო დაეთმო მისთვის თავისი სამეფოს ნახევარიც კი. პატრიარქმა, თანახმად ტიმოთეს დარჩებისა, უარყო ყოველგვარი საჩუქარი და პატივი, სამაგიეროდ მან გამოსთხოვა ხალიფას ქრისტიანებისათვის სამი მეტად მნიშვნელოვანი შეღავათი. შემდეგ ამისა ის გამოეთხოვა ხალიფას, რომელმაც დაავალა მას—ყოველწლივ ეცნობებინა მისთვის როგორც თავისი საკუთარი, ისე მისი სამწყსოს საჭიროებანი, და გაემგზავრა თავისი საპატრიარქოში. გზაზე მან შეუხვია და ინახულა ტიმოთე, მერე შევიდა საპატრიარქო ქალაქში, სადაც დიდი ზეიმითა და პატივით იქნა მიღებული.

ცხადია, თანახმად ჰაგიოგრაფიაში მიღებული შაბლონისა, ავტორმა „სასწაულების“ სამოსელში გახვია რაღაც ნამდვილი შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონია ხალიფა ჰარონ-ალ-რაშიდისა და ანტიოქიის პატრიარქის თეო-

დორიტეს დროს; ამ ორ პირთა სახელის დახმარებით შესაძლებელია გარკვეულ იქნეს ტიმოთეს ეპოქა.

პარონ-ალ-რაშიდი ხალიფად იყო 170 პიჯრიდან 193-მდე (786 წლის 3 ივლისი—809 წლის 24 მარტი)¹, რაც შეეხება თეოდორიტეს, მის შესახებ ალექსანდრიის პატრიარქის ევტიქის (გარდაიცვ. 940 წ.) ანალებში (p. 410—411) ნათქვამია: „ხალიფა ალ-რაშიდის მერვე წელს ანტიოქიის პატრიარქად დანიშნულ იქნა თეოდორიტე; მან დაყო პატრიარქად 17 წელი და გარდაიცვალა“². ამრიგად, თანახმად ევტიქისა, თეოდორიტე პატრიარქად ყოფილა 795—812 წლებში; მაშასადამე, ის, რაც ამ ძეგლში მოთხრობილია, უნდა მომხდარიყო 795—809 წლებში³. მაგრამ იმ ცნობების მიხედვით, რომელნიც შემოუკრებია Le-Quien-ს⁴, თეოდორიტე პატრიარქად გამხდარა 795 წელზე გაცილებით ადრე. ყოველ შემთხვევაში ცნობილია, რომ 787 წელს, როდესაც მოწვეულ იქნა მეშვიდე მსოფლიო კრება, მას უკვე ეკავა ანტიოქიის კათედრა. კონსტანტინოპოლის პატრიარქის ტარასის „ცხოვრების“ ავტორი ეგნატე ამბობს: მეშვიდე კრებაზე მოვიდნენ „უწმიდესი ტარასი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქი, და მასთან ერთად პატრიარქთა მოადგილენი, სახელდობრ: რომის პაპის აღრიანესი—მღვდელი პეტრე და მონაზონი პეტრე; ალექსანდრიის პატრიარქის პოლიციანესი—მღვდელ-მონაზონი თომა; თეოდორიტე ანტიოქელისა და ილია იერუსალიმელის—მღვდელთ-მონაზონი იოანე“⁵. ამასვე ვკითხულობთ ბერძნულ მენალოგიონში 11 ოქტომბერს, როდესაც დადებულია ხსენება მეშვიდე მსოფლიო კრების მამებისა. თეოდორე სტოდიელს 194 წერილში (II წიგნი), რომელიც მიმართულია იოანე გრამატიკოსისადმი, ჯერ მოჰყავს აქტები „თეოდორიტე პატრიარქის დროის ანტიოქიის კრებისა“ ხატოთაყვანისცემის შესახებ, შემდეგ კი მეორე ნიკიის კრების ფორმულა“⁶. როგორც ჩანს, ანტიოქიის კრებას ადგილი ჰქონდა მეშვიდე მსოფლიო კრებამდე, აქედან—თეოდორიტე პატრიარქად ყოფილა 787 წლამდე. ამრიგად, ევტიქის ცნობა, რომ თეოდორიტემ ანტიოქიის საპატრიარქო ხალიფა პარონ-ალ-რაშიდის მერვე წელს დაიკავაო, სწორი არაა. უნდა აღინიშნოს, რომ ევტიქი სხვა შემთხვევაშიც სცოდავს ისტორიული სინამდვილის წინაშე; ამას ხაზს უსვამს მისი გამგრძელბელი იაქია ანტიოქელიც, რომელიც ამბობს: „მე განზრახვა მქონდა შემესწორებინა ევტიქის შრომა და შემეტანა შიგ ისეთი

¹ Müller, Der Islam I, 497. St. Lane-Poolo, The mohammadan dynasties, 12.

² Le-Quien, Oriens christianus II, col. 746.

³ თ. უორდანი, საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობაში (Описание II, стр. 159) ამბობს: „ტიმოთე ცხოვრობდა ანტიოქეს (sic) მახლობლად პატრიარქი თეოდორიტესა და არაბების ბატონობის დროს“. ამ ცნობის მიხედვით P. Peeters-ი, რომელიც თვით ტიმოთეს „ცხოვრებას“ არ იცნობს, ფიქრობს, რომ ტიმოთე მეცხრე საუკუნის დამდეგს ცხოვრობდაო (S. Hilarion d'Iberie, Analecta Bollandiana t. XXXII, p. 240, not. 1); უეჭველია, მას მხედველობაში აქვს ევტიქის ქრონოლოგია.

⁴ Oriens christianus II, 746—747.

⁵ Димитрий Ростовский, Четьи-Минеи, февраль, стр. 444—445, 1905 г. Москва.

⁶ Migne, Patr. Gr. t. 99, col. 1592 ABC.



ცნობები, რომელთა შესახებ ის სდუმს ანდა ბუნდოვანად ლაპარაკობს, მინდოდა შემეცვალა იმაში ის, რაც მან არივ-დარია, სწორად ვერ გაიგო და გადმოგვცა არათანახმად ქეშმარიტებისა“¹. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ანტიოქის საპატრიარქოს შესახებ: მისი ცნობები ალექსანდრიისა და იერუსალიმის საპატრიარქოთა შესახებ უფრო სრული და სწორია, ვიდრე ანტიოქის პატრიარქატის შესახებ; ჩანს, საგანგებო რამ წყაროები მას უკანასკნელის შესახებ არ ჰქონია². ასე რომ ძალაში რჩება მეცნიერებაში მიღებული ქრონოლოგია, რომლითაც თეოდორიტეს პატრიარქობა 777—794 წლებში მოდიოდა³; აქედან, ტიმოთეს „ცხოვრებაში“ მოთხრობილ ამბავს ადგილი უნდა ჰქონოდა 786—794 წლებში.

30705
3781

ხომ არ ეწინააღმდეგება რამეში ტიმოთეს „ცხოვრება“ ჰარონ-ალ-რაშიდის დროის ისტორიკოსებს? თითქოს შესაძლებელია ორი საწინააღმდეგო მოვლენის აღნიშვნა. პირველ ყოვლისა, ხალიფას ძის შესახებ, რომელიც, თანახმად თხზულებისა, თეოდორიტემ განკურნა, აქ ნათქვამია, რომ ის „მხოლოდშობილი იყო მისი (რაშიდის) და მისსა მიმართ ხოლო აქუნდა სასოება და ყნოსა და სიხარული“. ნამდვილად კი ცნობილია, რომ ალ-რაშიდს ჰყავდა არა ერთი მხოლოდ შვილი, არამედ რამდენიმე, ასე, მაგალითად, აბდალაჰ (ელ-მამუნი), მოჰამედ (ელ-ემინი), ყასიმი, ალ-მუტასიმი და სხვ. ამ შემთხვევაში საქმე ისაა, თუ როგორ უნდა გავიგოთ სიტყვა „მხოლოდშობილი“; თუმცა რაშიდს რამდენიმე ვაჟი ჰყავდა, მაგრამ ყველა ისინი ნაშობნი იყვნენ მხეველებისა და ხარკებისაგან, მხოლოდ ერთი, მოჰამედი (ელ-ემინი), დაიბადა კანონიერი ცოლის, პრინცესა ზუბეიდასაგან. ეკვი არაა, ეს მოჰამედი, რომელიც იშვა არა მხოლოდ კანონიერის, არამედ ამასთან ერთად უალრესად საყვარელი ცოლისაგან, რაშიდს ყველა ვაჟზე მეტად უყვარდა. მართლაც, როგორც ცნობილია, ზუბეიდას გულისათვის, რომელსაც მასზე დიდი გავლენა ჰქონდა, რაშიდმა თავის ნემკვიდრედ დანიშნა არა აბდალაჰი, რომელიც სპარსელი მხეველისაგან იშვა, არამედ მოჰამედი, თუმცა უკანასკნელი ორი თვით უმცროსი იყო პირველზე⁴. ვინაიდან კანონიერისა და ყველაზე უფრო საყვარელი ცოლისაგან რაშიდს სხვა ვაჟი არ ჰყოლია, მას შეეძლო მოჰამედისათვის „მხოლოდშობილი“ ეწოდებინა. ასე რომ ამ თხზულებაში „დედოფლად“ უნდა ზუბეიდა ვიგულისხმოთ, „მხოლოდშობილი“ ძედ კი, რომელიც თეოდორიტემ განკურნა, მოჰამედი; უკანასკნელი ხალიფობდა თავისი მამის შემდეგ ელ-ემინის სახელით (809—813 წლ.).

მეორე თითქოსდა წინააღმდეგობა თავს იჩენს ჰარონ-ალ-რაშიდის საეკლესიო პოლიტიკაში. არაბთა ისტორიკოსების ცნობით, 191 ჰიჯრამდე (806 წლ. 17 ნოემბერი—807 წლის 5 ნოემბერი) ქრისტიანთა მდგომარეობა ხალიფატში დამაკმაყოფილებელი იყო, არავითარ დევნა-შევიწროებას ისინი რაშიდისაგან

¹ Акад. В. Розен, Василий Болгаробойца, стр. 616, Петербург 1883 г.
² Н. Медников, Палестина от завоевания ее арабами до крестовых походов по арабским источникам, Палестинский Сборник т. XVII, вып. 2, кн. 2, стр. 140.
³ Сергей Ар. Полный месяцеслов Востока II, стр. 687, Владимир 1901 г.
⁴ დაიბადა 170 ჰიჯრის, 786—787 წ., გასულს; Müller, Der Islam I, 498—499.
 2. ენიშკის მოამბე, ტ. VII.



არ განიცდიდნენ¹. ტიმოთეს „ცხოვრებაში“ კი საქმე ცოტა სხვანაირადაა წარმოდგენილი. ტიმოთე პატრიარქ თეოდორიტესთან საუბარში, ჯერ კიდევ სანამ უკანასკნელს ტყვედ წაიყვანენ, ასე ახასიათებს ქრისტიანთა და აგარიანთა ურთიერთობას: „ეკრძალე ძვრის-ზრახვასა და მზაკუვეარებასა არა ხოლო უხილავთა მტერთასა, არამედ ხილულთასაცა, ესე იგი არს, რომელნი ესე დამკვდრებულ არიან ეზოთა შინა ჩუენთა აგარენანი, რომელთა მიშვეებისა და აღზუვაგებისა მიზეზ იქმნეს ცოდვანი ჩუენნი; უკუეთუ არა, ვერსადამცა უფლებულ იყვნეს ჩუენ ზედა და მეფენი იგი მათნი, რომელთა უპყრიეს ქალაქი ჩუენი და უცხო არიან სარწმუნოებისა ჩუენისაგან და მარადის მრისხანებით და გულისწყრომით აღიძვრიან ჩუენ ზედა“. ამ მხრივ დამახასიათებელია თხოვნა თეოდორიტესი ალ-რაშიდისადმი მისი შვილის განკურნების შემდეგ: „ბრძანენ ჴელმწიფებამან თქუენმან, რათა ყოველთა სამთავროთა საბრძანებელისა თქუენისათა წიგნები ნუგეშინის-საცემლად და სალხინებლად მათ შინა მყოფთა ქრისტიანეთა წარეცეს, საცნაურ მყოფელი სიტკობებით მიხედვისა თქუენისად. ხოლო მლუდელთა და მონაზონთა ყოვლითურთ ხარკისაგან განთავისუფლებად, და ესევითარისა სიმძიმისა სრულიად შენდობად. ხოლო მესამედ ყოვლისავე ქირისა და ზღვევისაგან განთავისუფლებად ეკლესიათად“. ამ თხოვნას ადგილი ჰქონდა გაცილებით ადრე 806 წლისა. ჰარონ-ალ-რაშიდი რომ ინდიფერენტულად არ ეპყრობოდა ქრისტიანებს, რომ ის მათ სდევნიდა ქრისტიანობისათვის, ამის შესახებ საკმაოდ არის ნათქვამი ერთერთს ჩემს ნარკვევში² და ეხლა ამის გამეორებას არ შეუდგები. მართალია, ტიმოთეს „ცხოვრებაში“ არის ერთი ადგილი, რომლის მიხედვით აგარიანები თითქოს ძალიან კარგად იყვნენ განწყობილნი ქრისტიანების მიმართ. ერთხელ აგარიანთა მხედრობა გაემგზავრა საბერძნეთისაკენ; ოცი დღის შემდეგ მიადგნენ საბერძნეთის საზღვრებს და დაიბანაკეს მინდორში (ალბათ ეს იყო ერთერთი ჩვეულებრივი თავდასხმა არაბებისა მოსაზღვრე ბიზანტიის ქვეყნებზე). აქ აღმოჩნდა ერთი გოდოლი, რომელზედაც ცხოვრობდა ვილაც ბერი. ღამით მხედრობას მოესმა გოდლიდან ორი აღამიანის გალობა; როდესაც გამოირკვა, რომ ერთი მათგანი იყო ტიმოთე, რაც, სიშორის გამო, შეუძლებლად ეჩვენებოდა ყველას, ამირამ უთხრა ბერს: „უკუეთუ ვცნა ჴემმარტი, ვითარმედ იგი (ტიმოთე) იყოს არა ურწმუნო ვიქმნე სიტყუათა შენთა, არამედ იყო ჩემ თანა ვითარცა კაცი წმიდად, პატიოსანი და შერაცხილი, და ყოველთა მონაზონთა პატიეს ვსცემდე და კეთილსა უყოფდე, რომელთა იგი პირველ ამისსაცა, და ვიდრე აქამომდე პატიეს ვსცემდი და კეთილსა უყოფდი და ხარკთა და ქირთა მათთა წყალობით თანაწარვჰქდიდე და აღუსუბუქებდე“. მაგრამ ეს მაშინ იყო, ოდეს „გამოჩნდა ბრწყინვალე ესე მთიები“ ტიმოთე, ესე იგი—როდესაც მან სვეტზე დაიწყო მოღვაწეობა, ეს კი მან დაიწყო ალ-რაშიდის გამეფებამდე; რაშიდამდე კი, ხალიფა ალ-მაჰდისა

¹ К. Кекелидзе, Жизнь и подвиги Иоанна, католикаса Урхайского, Христ. Восток II, вып. 3, стр. 305.

² Ibid, стр. 305—306.



(775—785) და ალ-მანსურის (754—775) დროს, იბნ-ან-ნაკაშის ცნობით, ქრისტიანთა მდგომარეობა მართლაც ხელსაყრელი იყო მათთვის¹.

ამრიგად, ჩვენი ძველის ცნობები არ ეწინააღმდეგება საქმეთა ნამდვილ ვითარებას ალ-რაშიდის დროს. მართალია, ისტორიას არ შემოუნახავს ზუსტად ამ ძველში აღწერილი ფაქტი, მაგრამ იმაში, ისტორიაში, შეიძლება მოიძებნოს ზოგი რამ ისეთი, რაც ამ ფაქტს ამართლებს და ადასტურებს.

გრიგოლ ბარ-ებრეი აბუ-ფარაჯი (XIII ს.) თავის „სირიის ქრონიკაში“ გადმოგვცემს, რომ «Georgium, jacobitarum patriarcham, Theodoretum Graecorum, ac Iacobum Nestorianorum in carcerem esse conjectos jussu califae Bagdadensis, variorum criminum accusatos, quos Cyprianus, Nisibis Nestorianorum episcopus, dimitti imperavit, quum Isae medici litteras quibus vitam califae in manu sua esse jactabat, ut munera a christianis pro suorum antistitum liberatione extorquerat, eidem califae bona fisco addidisse, ac patriarchas libertate donasse, nono postquam in eo inclusi fuerant anno»². პუნებრივია ვიკითხოთ: ხომ არ იმყოფება ეს მოწმობა რაიმე კავშირში, თუგინდ წყაროთა ერთობის ხაზით, ჩვენი ძველის ცნობასთან იმის შესახებ, რომ თეოდორიტე პატრიარქს ბრალი დასდევს, რის შედეგად ის ციხეში ჩასვეს და მერე გაათავისუფლეს?

ამ ძველის მოთხრობაში თეოდორიტეს მიერ ხალიფას შვილის განკურნების შესახებ გვესმის გამოძახილი ისტორიულად დამოწმებული ფაქტისა, რომ შარონ-ალ-რაშიდის დროის სამაჰმადიანო სახელმწიფოში, და მის კარზედაც, ქრისტიანებს, როგორც ექიმებს, გავლენიანი ადგილი ეკავათ. მედიცინაში კიდევ არ დაეკარგა გავლენა და მნიშვნელობა სკოლას, რომელიც დაარსებულ იქნა სასანიდების დროს ჯუნდეიშაპურში; ამ სკოლის წარმომადგენელი გაბრიელი, ბონტ-იშუს შვილი, რამდენჯერმე მოხსენებული ტაბარის მიერ როგორც ექიმი და დაახლოვებული შარონ-ალ-რაშიდთან³, რომელიც თითქოს მის მიერ იქნა მოწამლული ელ-ემინის რჩევით⁴. მართალია, გაბრიელი ეკუთვნოდა ნესტორიანთა ბანაკს, რომელიც მუდამ სცდილობდა დაეჩრდილა სასახლეში მელკიტები, მაგრამ ალ-რაშიდის დროს იყო პერიოდი, როდესაც ხალიფას კეთილგანწყობილება უკანასკნელთა მხარეზე გადავიდა. ამ შემთხვევაში საგულისხმოა ამავე, რომელსაც გადმოგვცემს პატრიარქი ევტიქი თავის ანალებში (p. 409—410) და რომელიც მოტივით ძალიან მოგვაგონებს ჩვენი ძველის მოთხრობას. ალ-რაშიდს მისმა ძმამ აბდულამ, ეგვიპტის მმართველმა, „აჩუქა ეგვიპტელი ქალი; ის მეტად მშვენიერი და ლამაზი იყო, ამიტომ რაშიდს ძალზე შეუყვარდა. ეს ქალი ერთხელ მძიმე ავად გახდა, ექიმებმა დაუწყეს წამლობა, მაგრამ უშედეგოდ“. რაშიდმა, სხვების რჩევით, აბდულას შეუთვალა—გამოეგზავნა მისთვის ეგვიპტედან ექიმები. „მაშინ აბდულამ დაუძახა ალექსანდრიის მელკიტთა პატრიარქ ბალატიანეს, ძალზე დახელოვებულ ექიმს, გააცნო მას

¹ Н. Медников, Палестина от завоевания ее арабами... II, кн. I, стр. 743—747.
² Le-Quien, Oriens christianus II, 747.
³ Акад. В. Бартольд, Карл Великий и Харун-ар-Рашид, Христ. Вост. I, 92.
⁴ Müller, Der Islam, t. I, S. 480, 497, Anmerk. 1.

ქალის ვინაობა და ავადმყოფობა და გაისტუმრა ალ-რაშიდთან. ბალატიანემ წაიღო თან ეგვიპტური ხმელი პური და მარილიანი თევზი“. როდესაც ავადმყოფმა შექამა პური და თევზი, განიკურნა. „ალ-რაშიდმა აჩუქა პატრიარქ ბალატიანეს ძალიან ბევრი ფული და გამოაქვეყნა ბრძანება, რათა მას დაბრუნებოდა ყველა ეკლესია, რომელნიც მას წაართვეს და ჩამოართვეს იაკობიტებმა. ბალატიანე დაბრუნდა ეგვიპტეში და დაიბრუნა იაკობიტთაგან მრავალი ეკლესია“¹.

ამრიგად, ცნობები ტიმოთეს ცხოვრების იმ პერიოდისა, როდესაც ის სვეტზე იმყოფებოდა, სავსებით გამართლებულია არსებითს ნაწილში ალ-რაშიდის ეპოქით. თუ ტიმოთეს შესვეტობის დასაწყისს ჩვენ დაახლოვებით 780—786 წლებში დავდებთ, შესაძლებელი გახდება დაახლოებითვე ვაჩვენოთ მისი დაბადების დრო, საქმე ისაა, რომ, როდესაც მან სვეტზე დაიწყო ცხოვრება, ის ორმოცდაათამდე წლის მაინც იქნებოდა შემდეგი ანგარიშით: ოცი წლის დაახლოვებით (როდესაც ქორწინების პასაკში შევიდა) იერუსალიმში გაიბარა, 27 წელს აქაურ მონასტერში ცხოვრობდა, სამს წელიწადს მაინც მოანდომებდა იერუსალიმიდან სამშობლოში დაბრუნებას, თუ მხედველობაში გვექნება, რომ ამ დაბრუნებისას ის საკმაოდ ხანგრძლივად შეჩერდა ორს მონასტერში; მარონიტებისა და იმ სოფლისაში, სადაც აღიზარდა (20+27+3); მაშასადამე, დაბადებულა ტიმოთე დაახლოვებით მერვე საუკუნის ოცდაათიან წლებში, გარდაცვლილა ამ საუკუნის გასულს თუ მეცხრე საუკუნის დამდეგს².

IV. თხზულების ორიგინალი და გეოგრაფიული მისი თარგმანი. სხვა წყაროთა ცნობები ტიმოთეს შესახებ

თხზულების პირველი ნაწილის ბოლოში, იქ, სადაც იწყება მოთხრობა ტიმოთეს „სასწაულთა“ შესახებ, ვკითხულობთ: „რამეთუ მარტივად და ლიტონად ვოვით აღწერილად ცხოვრებად მისი სარკინოზულითა წერილითა დამოსწრაფე ვიქმნენით ბერძნულსა ენასა თარგმანებად მისსა“. აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ეს თხზულება თავდაპირველად დაწერილი ყოფილა არაბულ ენაზე („სარკინოზულითა წერილითა“), ხოლო არაბულიდან უთარგმნიათ ბერძნულად; ეს ცნობა, საცილობელი არაა, ბერძენ მთარგმნელის მიერაა შეტანილი თხზულებაში. თუ მხედველობაში გვექნება, რომ ჰაგიოგრაფი ტიმოთეს „ახალს საკვირველთმოქმედს“ უწოდებს, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ „ცხოვრება“ დაწერილია ტიმოთეს გარდაცვალების უმალ; არა უგვიანეს, უნდა ვიფიქროთ, მეცხრე საუკუნის პირველი მეოთხედისა. ავტორი მისი, ჩანს, კარგი მცოდნეა საეკლესიო ლიტერატურისა ზოგადად, კერძოდ კი ჰაგიოგრაფიისა: ის იჩენს, სხვათა შორის, წინადროის ორი სირიელი მესვეტის,—სვიმონ ჰალაბელის და

¹ Н. Медников, Палестина от завоевания ее арабами... стр. 278—279.

² ყოველ შემთხვევაში, მერვე საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულში, როდესაც ალ-რაშიდი თეოდორიტეს თავსა ჰკვეთდა, ტიმოთე „მოხუცადა“ („მხცოვანი თმითა“) წარმოდგენილი.



სვიმონ შავმთელის, — ნაცნობობას; თავისი შრომა მას აუწყვია ისე, როგორც ამას ვხედავთ დასახელებულ მესვეტეთა „ცხოვრებაში“: პირველად გადმოგვცემს ზოგად ბიოგრაფიულ ცნობებს ტიმოთეს შესახებ, მერე კი — დაწვრილებით, ცალკე თავებად, მის „სასწაულებს“. საფუძვლიანად იცნობს ის ბიბლიასაც, საიდანაც მას შემოაქვს სახეები, სურათები, მეტაფორები, პარალელები და მოხერხებული ციტატები თავისი აზრისა და შეხედულების დასადასტურებლად. ეს კიდევ ცოტაა, ტიმოთეს ცხოვრების ძირითადი მომენტები მას აუშენებია ბიბლიურ ეპიზოდთა საფუძველზე; ასე, მაგალითად, ტიმოთეს შრომლებს „ქელოვნებად აქუნდა საქმე ქუეყანისაჲ მსგავსად ადამ პირველქმნულისა შემდგომად ურჩებისა“. ტიმოთეს გაპარვას უცხოეთში, აღზრდას და საშობლოში დაბრუნებას თავისი ერის ნუგეშისსაცემლად და დასახმარებლად ავტორი ადარებს მოსეს ცხოვრების ამბებს. ტიმოთეს დის მოთქმა-გოდებაში მისი დაკარგვის გამო გვესმის იაკობის ტირილი მისი შვილის იოსების დაკარგვის გამო. როდესაც ტიმოთე გამოუცხადებს თავის თავს ძმებსა და დას, გვაგონდება სცენა იოსებსა და მის ძმებს შორის ეგვიპტეში. თავისი ცხოვრების ზოგიერთი ხაზებით ტიმოთე უსწორდება, სჯობნის კიდევაც, იოსებს, დავითს, სამსონს, იობს და დანიელს. ანაზდეული გადასვლა მისი ანტიოქიიდან სინას მთაზე და უკანვე მობრუნება (10 სასწ.) შედარებულია ამბაკო წინასწარმეტყველის სასწაულებრივ გადასვლასთან პალესტინიდან ბაბილონში დანიელთან, რომელიც ბაბილონში იმყოფებოდა ლომებთან ერთად და სხვ. ჰაგიოგრაფი იცნობს აგრეთვე ფილოსოფიას, მალნიტის თვისებას, წარმოდგენა აქვს ზღვის სირინოზთა შესახებ, — ერთი სიტყვით, უცხო არაა მისთვის, თანახმად ჰაგიოგრაფიაში მიღებული ტერმინისა, „გარეშე“, ესე იგი — ამქვეყნიური სიბრძნე და ცოდნა.

ყველაფერი ეს არ ურიგდება ამ თხზულების ბერძნულ ენაზე მთარგმნელის ზემომოყვანილ სიტყვებს, ვითომც თხზულება თავდაპირველად „მარტივად და ლიტონად“ იყო დაწერილი. იბადება საკითხი: ხომ არ გადაამეტაფრასა ბერძენმა მთარგმნელმა „მარტივად და ლიტონად“ დაწერილი არაბული დედანი? მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით ბერძენი მთარგმნელი ასე ახასიათებს თავის შრომას: „მოსწრაფე ვიქმნენით ბერძულსა ენასა თარგმანებად მისსა არა მძლავრებითა და შემკობითა სიტყუათაჲთა, რომელთა მიერ არცა ერთი იპოების ქეშმარიტებაჲ, არამედ ლიტონად, ვითარცა უფალმან მომცა სიტყუაჲ, რომელი იგი არს ყოველთა კეთილთა მიზეზი. რამეთუ ჩუენ არცა თუ გუაქუნდა ძალი სიტყუსაჲ შემსგავსებული, დაღაცათუ ფრიად გუენება, რომელნი ესე უსწავლელ ვართ და უმეცარ. ხოლო განგრძობილთა და განფენილთა თხრობათა შემოკლებულად აღწერაჲ ვირჩიეთ, რათა არა საწყინო იქნეს მსმენელთა“. როგორც ვხედავთ, ამგვარი დახასიათება უფრო ნაკლებად ურიგდება მეტაფრასტული ლიტერატურის ტრადიციებს და მეტაფრასტების მუშაობას. ამიტომ უფრო ახლო ვიქნებით სიმართლესთან, თუ სიტყვებს: „მარტივად და ლიტონად“, — შევხედავთ, როგორც ჩვეულებრივს, ad maiorem Vitae gloriam წამოსროლილ რეპლიკას, და მთელს თხზულებას, ყველა მისი ღირსება-ნაკლოვანებით, ვიცნობთ არაბ ჰაგიოგრაფის ნაწარმოებად.

ბერძენი მთარგმნელის ზემომოყვანილ დახასიათებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თარგმანის terminus ad quem დასადგენად. იკონოკლასტურ მოძრაობათა დროს გაყინული ლიტერატურული შემოქმედება ბიზანტიისა მეცხრე საუკუნის ნახევრიდან განსაკუთრებული ძალღონით იჩენს თავს; ხატთაყვანისმცემლობის აღდგენის შემდეგ იწყება ლიტერატურის აყვავებაც. ეპოქის სულმა გამოიწვია ასპარეზზე რიტორთა მთელი რიგი, რომელნიც ფორმასა და გარეგნობას პირველს ადგილზე აყენებდნენ თავიანთ ნაწარმოებებში. ეხლა იწერება ისეთი „ცხოვრებანი“, რომლებშიაც სამი-ოთხი ფაქტიური მასალა, — დევიზით: multa, sed nihil, — რიტორიკული ენაწყლიანობის განუქვრეტელ ბურუსშია გახვეული¹. ბერძენ-მთარგმნელის სიტყვებში, რომ მან თავისი თარგმანი შეასრულა „არა მძლავრებითა და შემკობითა სიტყუათაჲთა, რომელთა მიერ არცა ერთი იპოების კემშარიტებაჲ, არამედ ლიტონად“, რომ მან აღიძრია „განგრძობილთა და განფენილთა თხრობათა შემოკლებულად აღწერაჲ, რათა არა საწყინო იქმნეს მსმენელთა“, — ჩვენ გვესმის პროტესტი იმდროინდელ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში გაბატონებული მიმართულების წინააღმდეგ, აქ ჩვენ ვხედავთ თავისებურ სატირას ამ მიმართულებაზე. ამ პროტესტის გათვალისწინებით ბერძნული თარგმანი ტიმოთეს „ცხოვრებისა“ უნდა გაჩენილიყო არაუადრეს მეცხრე საუკუნის ნახევრისა, უფრო სწორად — მის გასულს, როდესაც ზემოაღნიშნული რიტორიკული მიმართულება თავის კულმინაციურ პუნქტს აღწევს. მაგრამ ეს იყო პროტესტი წინააღმდეგ ლიტერატურული ტონისა, რომელიც გაბატონებული იყო სასახლეშიც, საზოგადოებრივ ავდიტორიებშიც და ეკლესიებშიც; ეს იყო დაცინვა-გაქირღვა თანამედროვეობისა, მით უფრო შეურაცხყოფელი, რომ დამცინველ-გამქირღველი იყო კაცი, თანახმად მისი საკუთარი განცხადებისა, „უსწავლელი და უმეცარი“, რომელსაც „არცა თუ აქუნდა ძალი სიტყუისა შემსგავსებული, დაღაცათუ ფრიად ენება“. იქნება ეს იყოს მიზეზი იმისა, რომ ბერძნულ ენაზე არ შენახულა არამც თუ თხზულება, — მთლიანად თუ ექსცერპტულად, — არამედ უბრალო ხსენებაც კი ტიმოთესი. ასეთი პროტესტით და გაქირღვა-დაცინვით შეურაცხყოფილმა თანამედროვეობამ ხომ არ შეახო მას ხელი და არ მოსპო ის უმაღლვე, როგორც კი გაჩნდა ის ბერძნულ ენაზე? მეცხრე-მეათე საუკუნეში ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენა იყო: საკმარისი იყო ესა თუ ის თხზულება არ მოსწონებოდა რომელიმე პარტიას თუ დიდ პერსონას, არას ვამბობთ მთელი ეპოქის შესახებ, რომ ის ულმობელი აუტოდაფეს მსხვერპლი გამხდარიყო. მოვიგონოთ, მაგალითისათვის, რა ბედს უმზადებდა იმპერატორი ბასილი II სვიმეონ მეტაფრასტის ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს², გინა თუ რა ბედი ეწია პატრიარქი მეთოდის „ცხოვრებას“, რომელიც დაწე-

¹ X. M. Лопарев, Византийские жития святых VIII—IX веков; Житие Евдокима, Известия Русского Археол. Института в Константинополе, т. XIII, стр. 161—162, 184.

² К. Кекелидзе, Симеон Метафраст по грузинским источникам (Труды Киевской дух. Академии, февраль 1910 г.).

რილი იყო სიცილიელ მთავარებისკოპოზის გრიგოლ ასვესტის მიერ¹. როგორც არ უნდა იყოს, ბერძნულ ენაზე ტიმოთეს შესახებ ჯერჯერობით არავითარი ცნობა არ ჩანს; ერთადერთი მოწმობა მის შესახებ, რომელიც მეცნიერების განკარგულებაშია, არაბული წყაროებიდან მომდინარეობს.

1874 წელს ცნობილმა რუსმა მეცნიერმა პ. უსპენსკიმ გამოაქვეყნა ანტიოქიის პატრიარქთა სია (Список повременных патриархов Антиохийских), შედგენილი 1767 წლის მახლობლად მღვდლის მიხეილ ბრეკის მიერ². უკანასკნელი ასე იწყებს პატრიარქების სიას: „უწყებულ იყავით, რომ მე, მღაბალმა მღვდელმა მიხეილ ბრეკმა, რომელსაც მსურდა მქონოდა ექვმიუტანელი ისტორია პატრიარქების, მღვდელმთავრების და მეფეების და რომელიც ვიწერდი ხოლმე საეკლესიო მოთხრობებს, ვიპოვე ერთი წიგნი ანტიოქიის პატრიარქის მაკარისა, რომელშიც ვიხილე სახელები და საქმენი დიდის ლეთის ქალაქის, ანტიოქიის, უნეტარესი პატრიარქებისა და გადმოვწერე ისინი აქ, რათა ყოველმან მკითხველმან მომიხსენოს მე ლეთის წინაშე საზღაურის იმედით“. პატრიარქის მაკარის სია, გადმოღებული მიხეილის მიერ, მოყვანილია ანტიოქიის მე-110 პატრიარქ იოანემდე, ან მე-11 საუკუნის ბოლომდე³. მაშასადამე, მაკარი პატრიარქს (1648—1672) ეკუთვნის აქ, ამ სიაში, მოთავსებული ცნობები თეოდორიტეს შესახებ, რომელსაც ამ სიით მე-85 ადგილი უკავია ანტიოქიის პატრიარქთა შორის, სახელდობრ: „რაშიდის ბაღდადში ხალიფობის მერვე წელს ანტიოქიის პატრიარქად გახდა თეოდორიტე, დღეთა შინა ღირსისა ტიმოთესა, რომელიც კესარიის თემის კამახოსტიდან (არაბულად Kiahista) იყო. ტიმოთე მოციქულების პირით უკრძალავდა ამ პატრიარქს მისვლა-მოსვლას ბრწყინვალე ეტლით, რომელშიც ექვსი ცხენი იყო ხოლმე შებმული; თუ არ დაიშლი ასეთ მედიდურებას, ემუქრებოდა ის მას, ხალიფა რაშიდი განგირისხდებოდა, დიდ პარასკევს დაგიჭერს და დაგსჯისო. პატრიარქმა არ ყურადღილო ღირსი კაცის დარიგება, რისთვისაც დიდ პარასკევს რაშიდმა მართლაც დაიჭირა ის. ბაღდადისაკენ წაყვანილმა პატრიარქმა გზაზე შეუხვია ღირს ტიმოთესთან და ლოცვა-კურთხევა სთხოვა მას. როდესაც ის მიიყვანეს ქალაქში და წარუდგინეს რაშიდს, ხალიფამ ბრძანა მისი მოკვლა, მაგრამ სწორედ ამ დროს გამოცხადდა იქ ღირსი ტიმოთე, რომელმაც სასწაულებრივ გაათავისუფლა პატრიარქი და, მონანიებული ქედმაღლობაში, დააბრუნა თავის კათედრაზე. თეოდორე პატრიარქად იყო 17 წელიწადს და გარდაიცვალა. მისი ამბავი მოთავსებულია ღირსის ტიმოთეს „ცხოვრებაში“. როგორც ვხედავთ, პატრიარქ მაკარის კიდევ ჰქონია ხელთ ტიმოთეს „ცხოვრება“⁴, თუ არ ვიფიქრებთ, რომ ეს ცნობა მან მოაბოვა არა ამ „ცხოვრები-

¹ X. Лопарев, Византийские жития святых VIII—IX в. Византийский Временник, т. XVIII, отд. 1, стр. 6—7.

² Труды Киевской духовной Академии 1874 г. Июнь.

³ მაკარის სია ეთანხმება ევტიხისას და, მგონია, იმაზე უნდა იყოს დამყარებული; განსხვავება მათ შორის ასეთია: ევტიქი თეოფანესათვის (იგივე თომა) უჩვენებს 20 წლის პატრიარქობას, მაკარი კი (მისი ცხრილით—მე-76 პატრ.) 18-ს; ევტიქი არ იცნობს მაკარის 77, 78, 79 პატრიარქებს, სახელდობრ: სტეფანე IV, გიორგის და თეოფილაქტე II.

⁴ ერთერთს ქრისტიანული შინაარსის არაბულს ხელნაწერ კრებულში, რომელიც 1910 წელს მოუპოვებია რუსეთის არქეოლოგიურ ინსტიტუტს კონსტანტინოპოლში, მოთავსებული უფილა, სხვათა შორის, „სასწაულნი ტიმოთესნი“ (Византийский Временник, т. XVIII,

დან“ უშუალოდ, არამედ იმ პირთაგან, რომელთაც ის თავის წყაროდ სთვლის, მაგალითად, იაქია ანტიოქელის შვილის საადისაგან, ანდა ნიკონ შავმთელისაგან. ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს ცნობა, პატრიარქ მაკარის თუ სხვა ვინმეს, ერთი ცხადია, ის ამოღებულია ტიმოთეს „ცხოვრებიდან“ შემდეგი უმნიშვნელო ვარიაციებით: ტიმოთეს სამშობლოდ აქ დასახელებულია არა ანტიოქიის ოლქი, არამედ კესარიის; პატრიარქ თეოდორიტეს ტიმოთე აფრთხილებს არა უშუალოდ, არამედ მოციქულების პირით; მას რაშიდის ჯარისკაცები შეიპყრობენ არა დიდ ხუთშაბათს, არამედ პარასკევს; დასასრულ, მაკარი არას ამბობს პირდაპირ, რომ თეოდორიტემ განკურნა ხალიფას შვილი, თუმცა ტიმოთეს იქ „სასწაულთმოქმედება“ შეიძლება ამ მომენტსაც გულისხმობდეს.

სხვა ცნობები ტიმოთეს შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება; ლიტურგიკულ წიგნებშიც კი არაფერია მის შესახებ, არც მთლიანი „განგება“, არც უბრალო „ხსენება“ მისი, მიუხედავად იმისა, რომ „ცხოვრება“ განკუთვნილი იყო „სვინაქსარულ საკითხავად“ ღვთისმსახურებისას. მართალია, „ცხოვრების“ ქართულ ნუსხებში შემონახულია ორი თარიღი მისი „ხსენებისა“: 28 იანვარი და 21 თებერვალი¹, მაგრამ ეს გაორება თავისთავად უჩვენებს, რომ თავდაპირველად აღნიშნული „ხსენება“ არ ემთხვეოდა არც ერთს ამ რიცხვს. დადება ამ ხსენებისა ნაჩვენებ რიცხვებში მომხდარა შემდეგ, როდესაც ეს „ხსენება“ დავიწყებას მიეცა; ამ შემთხვევაში ზოგმა ის 21 თებერვალს მიაკუთვნა, რადგანაც ამ დღეს დადებულია „ხსენება“ მეორე ტიმოთესი, სიმეოლელისა, მცირე აზიის ოლიმპზე (გარდაიცვალა IX საუკუნის დამდეგს), სხვებმა—28 იანვარს, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ერთი „სასწაული“ ჩვენი ტიმოთესი შესრულებულია იანვარში (8 სასწ.), მეორედ იმიტომ, რომ 28 იანვარს დადებულია „ხსენება“ სირიის სხვა მოღვაწეებისაც, როგორც, მაგალითად, ეფრემ ასურის და პალადი მეუღაბნოელისა სირიის ანტიოქიის მახლობლად (IV საუკ.).

V. ცნობები თხზულების ქართული თარგმანისა და ნუსხების შესახებ

სიტყვები—„რამეთუ მარტივად და ლიტონად ვპოვეთ აღწერილად ცხოვრებად მისი სარკინოზულითა წერილითა და მოსწრაფე ვიქმნენით ბერძულსა ენასა თარგმანებად მისსა“,—ეჭვს არ სტოვებენ იმაში, რომ ამ თხზულების ქართველ მთარგმნელს ხელთა ჰქონდა არა არაბული დედანი, რომელშიაც, იგულისხმება, ასეთს სიტყვებს ადგილი არ ექნებოდა, არამედ ბერძნული მისი თარგმანი. როდის და ვის მიერაა ეს თხზულება ქართულად თარგმნილი?

ОТЛ. 3, стр. 118). საინტერესოა ვიცოდეთ, ხომ არ გვაქვს ამ შემთხვევაში ჩვენ არაბული დედანი ტიმოთეს თუ მთელი „ცხოვრების“ არა, მისი მეორე ნაწილისა მაინც, რომელსაც ქართულ თარგმანშიც აქვს საგანგებო, სინგურით წარწერილი, სათაური: „სასწაულნი წმიდისა ტიმოთესნი“? თუმცა, რასაკვირველია, შეიძლება აქ სხვა რომელიმე ტიმოთე იგულისხმებოდეს.

¹ სამწუხაროდ, ადრინდელი ნუსხები „ცხოვრებისა“ არ აღნიშნავენ მისი ხსენების დღეს; ერთს, ყველაზე ძველს ნუსხაში, თვე და რიცხვი ამოფხეკილია, მეორეში „ცხოვრების“ დასაწყისთან ერთად რიცხვის ჩვენებაც დაკარგულია.

ეკუმენიკური და უცილობელი პასუხი ამ საკითხზე ჩვენ არ მოგვეპოვება. დღესდღეობით ცნობილი ხელნაწერები მისი XII საუკუნეზე უძველესი არცერთი არაა და არც რაიმე ცნობას შეიცავს მთარგმნელის შესახებ. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ თარგმანის ლექსიკურსა და სტილისტიკურ მხარეს, ვერავითარ შემთხვევაში იმას მეთავე საუკუნეს ვერ გადმოვაცილებთ. მისთვის უცხოა ის ნორმები, რომელიც ახასიათებს მეთერთმეტე საუკუნეში დაწყებულს საგანმანათლებლო მოძრაობას ქართულ მწერლობაში, ის უფრო მეთავე საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლებს ენათესავება.

ამ თხზულებას საქართველოში საკმაოდ დიდი პოპულარობა ჰქონია მოპოვებული, რასაც დღესდღეობით ცნობილი და არსებული ხელნაწერებიც ადასტურებს. ესენია:

I. ხელნაწერი იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკისა № 3, ეტრატზე, XII საუკუნისა; ის აღწერილია პროფ. ვ. ბენეშევიჩის მიერ¹, რომელიც მას, თანახმად აკად. ნ. მარისა, მეთავე საუკუნეს აკუთვნებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ, მისივე კვლევა-ძიებით, ეს ხელნაწერი და ხელნაწერი იმავე ბიბლიოთეკისა № 2, რომლიდან ნ. მარმა გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრება“ გამოსცა, ერთისადა-იმავე „თვენი“ ნაწილი და ერთიდაიმავე ხელით გადაწერილი ყოფილან; ხელნაწერი № 2-ის შესახებ კი ნ. მარი ამბობს, რომ ის „едва ли древнее XII века“². შეუძლებელია, ერთი ნაწილი ხელნაწერისა ერთსადაიმავე პირს გადაეწერა X საუკუნეში, მეორე კი მეთორმეტეში. ჩვენს შეკითხვაზე ამის შესახებ აკად. ნ. მარმა თავაზიანად შეგვატყობინა (7.X.1912) შემდეგი: „если, действительно, правда, что №№ 2 и 3 части одной и той же рукописи, то я предпочел бы думать, что я ошибся, называя [для № 3] «десятиый» век, а не «едва ли древнее XII века». ტიმოთეს „ცხოვრება“, რომელსაც ამ ხელნაწერში 21a—93b ფურცლები უკავია, იწყება ისე, როგორც ჩვენს გამოცემაში, ხოლო ბოლოვდება ის სიტყვით „გარდაიხდების“, თუ ეს მართლად ბოლოა მისი.

II. ხელნაწერი ყოფილი „საეკლესიო მუზეუმისა“ № 682, in folio, გადაწერილი ნუსხა ხუცურით XIII საუკუნეში ბომბიციანზე, ორ სვეტად, თვითეულში 38 სტრიქონი³; ის დეფექტურია: აკლია თავი და ბოლო, აგრეთვე შუაში საკმაოდ ბევრი ფურცელი. მნიშვნელოვანი რაოდენობა ამ ხელნაწერის ფურცლებისა მოხვედრილა სხვადასხვა ხელნაწერებიდან გადარჩენილ ფურცელთა დასტაში, რომელსაც მუზეუმის კატალოგში უზის № 749⁴. ტიმოთეს „ცხოვრებიდან“ აქ მოხვედრილა ორი ფურცელი (163 და 172), რომელიც ჩვენს გამოვითანეთ თავის ადგილას № 682-ში. ხელნაწერში, რომელიც ჩვენ თავის დროს ხელახლა გადავნიშნეთ, დღეს 252 ფურცელია, მისი შინაარსი ასეთია:

¹ Христианский Восток, т. I, вып. 1, стр. 65—68.

² Георгий Мерчულ, Житие Григория Хандзтийского, стр. VII.

³ Ф. Жордания, Описание рукописей Тифл. Церк. Музея, II, 154—155.

⁴ ამის აღწერილობაში თ. ჟორდანიამ ამბობს: Учение св. Гимнофея Чудотворца (Описание II, 209); ალბათ სწონი (=სასწაულნი) თ. ჟორდანიამ წაიკითხა როგორც „სწავლანი“.

1. ლავსაიკონი (*Λαυσαϊκόν*) პალადი ელენებოლელისა (ფ. 1—61) მეთურსის მოკლე რედაქციისა¹.

2. წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა კასიანე ჰრომისაჲ, თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგვბტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთა (ფ. 61—70. *De institutis coenobiorum*, Migne, PL. XLIX, 53 sqq).

3. მისივე წმიდისა მამისა ჩუენისა კასიანე ჰრომისაჲ მიწერილი ლეონტის მიმართ მოქალაქობისათჳს წმიდათა მამათა სკიტათასა (ფ. 70—79. *Collationes*, Migne—PL. XLIX, 477 sqq).

4. ნეტარისა თეოდორიტე ეპისკოპოსისა კვრის ქალაქისაჲ. ღმრთის-მოყუარებითი თხრობაჲ გინა თუ მოლუაწეთა მოქალაქობაჲ (ფ. 79—155)².

5. მისივე ნეტარისა თეოდორიტეს სიტყუაჲ საღმრთოჲსა სიყუარულისათჳს (ფ. 155—162).

6. ცხორებაჲ ღირსისა ტიმოთე საკვრველთ-მოქმედისაჲ (ფ. 163—209).

7. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა თეოდორესი, რომელი პირველად მოლუაწებითა განბრწყინდა დიდსა შინა ლავრასა წმიდისა საბადესსა და მერმე მთავარეპისკოპოზ იქმნა ქალაქსა ედესელთასა: აღწერილჲ ბასილის მიერ დის-წულისა მისისა და ემესელ ეპისკოპოზისა (ფ. 209—245)³.

8. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და ლუაწლი წმიდისა მამისა ჩუენისა ათინოგენი მღვდელთმოწამისაჲ (ფ. 245—252)⁴.

III. ხელნაწერი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუზეუმისა № 382, მეცამეტე საუკუნისა, in folio, ეტრატზე; გადაწერილია ორ სვეტად და შეიცავს წლის სხვადასხვა დღის წმიდათა „ცხოვრებას“. ბოლოში არის ტიმოთეს „ცხოვრებაც“, მხოლოდ მე-18 სასწაულიდან, სხვა ყველაფერი დაკარგულია.

 სიჩოოსავე თჳსსა დააკლდა სძისა-გან დედისა თჳსისა: წილთა შინა
 დისა თჳსისათა მაწოვნებელთა მიერ იზარდებოდა. და ესრეთ აღორ-
 ძნდა და აღიზარდა მადლისა მიერ უფროდს ვიდრეღა სძისა: ხოლო.



იქმნა რაჲ შუდის წლის თვისისა მიერ ძმისა ბაკსა ცხოვართასა წარი-
ვლინა: რათა განსდევნიდეს მფრინველთა ჟამსა შობისასა:.] B 207*

ხოლო იგი სიჩოღსა-თჳს ჰასაკისა თვისისა. ვერ შემძლებელ იყო A 163*
ჯეროვნად აღსრულებად მსახურებისა თვისისა. ამის-თჳს იგუემა იგი
5 ძმისა მიერ თვისისა უხუცესისა:

4. ხოლო მან სივლტოლად იგუემა. და წარვიდა იგი სხუასა და-
ბასა ფდ განშორებულსა თვისისა-გან|დაბისა. მარჯუენისა საღმრთო- C 98*
და ზეგარდამო წინამძღურობითა და მიემთხვა იგი კაცთა ვიეთმე
მორწმუნეთა და ქრისტეს მოყუარეთა: და შეწყნარებულ იქმნა მათ
10 მიერ წადიერად ვითარცა საყუარელი და სულიერი შვილი: ::

ვინაჲცა მოძღუარსა მიეცა მათ მიერ და გულს-მოდგინედ განი-
სწავლა წურთითა სამღრთოთა წერილთაჲთა. რამეთუ დაბასა მას
შინა იყო სამოძღუროჲ სწავლათაჲ. და მოძღუარი გელოვანი. და
თავსა მეცნიერებისასა მიწევნული. და მჭირსენდ მასწავლელი.
15 ტრფიალებითა სწავლისაჲთა მისდა მიმავალთაჲ. ამას უკუე მისცეს
ქრისტეს-მოყუარეთა მათ მზარდულთა წურთად და სწავლად და გუ-
ლის-ხმის-ყოფად საღმრთოთა წერილთა: :

ხოლო იგი ვინაჲთგან საღმრთოჲსა მადლისა მიერ კურად რჩეუ-
ლად განჩინებულ იყო. თჳსი ბრწყინვალებაჲ უხუებით მიჰვინა მის
20 ზედა და მორჩად კეთილად გამოაჩინა იგი პირველითგან. რომლისა-
თჳს არა განცხრომად და სიმღერად. არამედ საღმრთოთა სწავლათა
შექცეულ არს ყოვლადგე. და განშადებულთა მათ კეთილთა სასოე-
ბითა ეტყინებინ და მათდა მიმართ მიისწრაფინ. რომელთა-თჳს მო- B 207*
ცემულ არს ჩუენდა ყოველი მეცნიერებაჲ და გულის-ხმის-ყოფაჲ.

25 რამეთუ იყო იგი სულითა განათლებულ. და გონებითა განბრწყინვე-
ბულ. და მახულ გულის-ხმის-ყოფითა და საქმისა მიმართ მოსწრაფე და
კეთილად აღმასრულებელ. რამეთუ მოხუცებულთა მიესწორებოდა.
ხოლო მოჰასაკეთა წარემატებოდა წესიერებითა. და რათა მოკლედ
ვთქუა. ვითარმედ ძეგლი რაჲმე სულიერი. იყო იგი ხატ და საუნჯე
30 მალალთა მათ სათნოებათა: . :

ხოლო ჟამთა ვითარცა სიბრძნის-მეტყუელებს სოლომონ. ჯე-
როვნად განჰყოფდა და კეთილად განაწესებდა. და თითოეულისა ჟამისა
მოქცევისა შემსგავსებულსა მოღუაწებასა წინა უყოფდა. რამეთუ C 98*
ოდესმე სწავლასა და წურთასა შეკუართულ არნ: ხოლო ოდესმე ლო-
ცვასა და ვედრებასა [შემსკუალულ არნ]: და რომელი სხუათა გარე-
წარად შეერაცხის. უმეტესი მოღუაწებაჲ აჩუენის მას ზედა. და ყოვ-
ლადგე და ყოველსა შინა. განგებულებისა მიერ საღმრთოჲსა გან-
მტკიცნებოდა. და ჰასაკითა და საღმრთოჲთა სიბრძნითა აღორძნდე-

4 თჳს| თჳსცა B.—7 თჳსისა დაბისა-გნ B.—მარჯუენისა] მადლისა-გან B.—
8 ვიეთმე] მართლ B.—12 სლთათა B.—13 კელოანი B.—14 მეცნიერებისა
B.—მჭირსენდ B.—15 ტრფიალთა AB.—21 თჳსცა B.—29 ვითარცა B.—იყო
იგი<A.—



A 163^b ბოდა და წარემატებოდა. განძლიერებული სულითა. ვითარცა გუაუ|
წყებენ საღმრთონი ბრძანებანი. რომლისა მიერ მსგავსებად თუსად
ხუნიცა მოიზინა. სათნოებად [და] საღმრთოდ სურვილად. და
საკრველი არა რაა არს. რამეთუ რკინა ბუნებით მალნიტისა მიერ:
ხოლო კეთილნი სათნოებისა მიერ მოიზიდვიან და პატიოსანი პა- 5
ტიოსანსა შეესაკუთრების:.

B 208^a 5. რამეთუ ორნი ვინმე მოყუასთა მისთაგანნი მოშურნე ექმნეს
სათნოებათა მისთა და მარადის მის თანა იქცეოდეს. და ჟამსა ლო-
ცვისასა მის თანა ილოცვიდეს. ხოლო იგი არა მრავალთა თანა: არა-
მედ თუსაგან. შესწირავნ ღმრთისა ლოცვასა და გალობასა: რამეთუ 10
იყო მახლობლად დაბისა მის ქუაბი: სადა იგი მივიდის ორთა მათ
ყრმათა თანა: და განწესებულსა ლოცვასა ჟამთასა სამარადისოდ შე-
სწირავნ ღმრთისა. და მიერ რაჲ მოიქცის კუალად სწავლად და წურ-
თად მოსწრაფე არნ: და ვითარ მრავალგზის ჰყოფდა ამას, შეუძლე-
ბელ იყო დაფარვაჲ მის თანამყოფთა მათ მოსწავლეთა-გან. რომელნი 15
იგი მარადის ხედვიდეს ქუაბად წარსლვასა მათსა. დაღათუ სახე იგი
ლოცვისად უცნაურ იყო მათ-გან. ვინაჲცა განიზრახეს. რათა აუწ-
ყონ მათ-თს მოძღუარსა თუსსა. და მათ-გან უცნაურსა მას ვითარცა
უჯგროსა უთხრობდეს. ვითარმედ განცხრომად და სიმღერად წარვ-
ლენ იგინი ქუაბსა მას: ~ ~ ~ 20

ხოლო მან ისწავა ჟამი იგი წარსლვისა მათისად და შეუდგა
C 99^a მათ ფარულად, ვიდრე ქუაბადმდე. და გარეშე მდგომარე ნაპრალისა
რაჲსაგანმე. იჭრობდა და ისმენდა მათსა. და იხილნა ყრმანი იგი
რამეთუ ილოცვიდეს. ხოლო ტიმოთე მათ თანა მდგომარე იყო. და
გელნი ზეცად განეპყრნეს. და ცრემლით და სულთქუმით ევედრებოდა 25
ღმერთსა და იტყოდა: „ოჲფალო დამბადებელო ყოველთაო. ლოც-
ვაჲ ჩუენი შეისმინე. ქრისტეს-მოყუარისა ერისა შენისა-თუს და მოიგ-
სენე წმიდაჲ კათოლიკე ეკლესიაჲ შენი რომელი მოიგე პატიოსნითა

B 208^b ვაჲ ჩუენი შეისმინე. ქრისტეს-მოყუარისა ერისა შენისა-თუს და მოიგ-
სენე წმიდაჲ კათოლიკე ეკლესიაჲ შენი რომელი მოიგე პატიოსნითა
სისხლითა შენითა: დაჰკსნენ ყოველნი წვალებანი მწვალებელთანი.
მოეც ერთობაჲ მართლმადიდებელთა. შეზღუდენ იგინი ზეგარდამოდთა 30
შეწევნითა. და ანგელოზთა წესითა გალობად და დიდებად ყოვლად-
წმიდისა და უბრწუნელისა სახელისა შენისა. დაიკვენ მორწმუნენი
მეფენი ჩუენნი. და მტერთა მიმართ ძლევაჲ მიანიჭე მათ. გულის-
ხმის-ყოფაჲ და მშუდობაჲ შენი მოჰმადლე სოფელსა. მოანიჭე ნაყოფთა
უხუებაჲ და იეფობაჲ. რათა განძლენ გლახაკნი და მარადის მადლო- 35
ბისა დიდებასა შესწირვიდენ შენდა. კაცთ-მოყუარისა ღმრთისა. მამისა
ძისა და სულისა წმიდისა ამინ:.“

იხილა რაჲ ესე მოძღუარმან მან ესრეთ ლმობიერად მლოცველი
ხოლო ყრმათა მათ ზეცად მიმართ გელაპყრობით მდგომარეთაჲ
A 164^a ესმა|რაჲ რამეთუ თქუეს. ვითარმედ „ამინ იყავნ“. განჰკრთა გონე- 40
ბითა. და დაუკვრდა ფრიად. და მიიქცა სახიდ თუსად. და აბრალებდა
თავსა თუსსა და იტყოდა. „ვადმე უბადრუკსა ამას და ცოდვილსა. რა-

27 ისმინე B. — 36 დიდებასა] გალობათა B. — 41 თუსსა B.—



მეთუ სიბერედ მიწევნული უდებებით და მცონარებით მდებარე ვარ. და არა რაჲ კეთილი მიქმნიეს: ხოლო ამათ ესევეთარსა ამას უჟამოსა ჰასაკსა შინა. ესევეთარი ქცევაჲ მოუგის. გარნა ვჰგონებ. ვითარმედ უკუეთუმიცა არა ზეგარდამოჲსა შეწვენისა მადლი მოელო | B 209^a

5 ყრმასა ამას არამცა შემძლებელ იყო. ესევეთარსა დასაბამსა სათნოებისასა ჩუენებად. და კეშმარიტად მრწამს. ვითარმედ იქმნას იგი დიდ. და საუნჯე მადლთა და სათნოებათა: “ ~ ~

და ამას რაჲ განიზრახვიდა სამოდღუროდ თჳსად აღვიდა: მოვი- C 99^b
 დეს უკუე ყრმანიცა იგი. და არა რაჲ ებრალა მათ. არამედ უმეტე-
 10 სითა მოწლებითა შეიტკბობდა ტიმოთეს. და სიყუარულით განიცდიდა. რამეთუ დასაბამისა-გან ყოფადთა მათ აღსასრულსა გულისხმა-ჰყოფდა:.

6. ხოლო ტიმოთე აღორძნდა ჰასაკითა და წარმატა მეცნიერებითა თანამოჰასაკეთა თჳსთა. და უფროჲსად წარმატა სათნოე-
 15 ბათა მიერ. და მათ მიერ მოიკრძალა თავი თჳსი. და შეიზღუდა ყოვლით კრძო. და უძლეველად გამოჩნდა ბრძოლათა მიმართ. და ზედამოსლვათა და კუეთებათა მტერისათა. რომელი იგი ყოვლითავე ღონითა უკეთურთა მათ სივერაგეთა თჳსთაჲთა არა დასცხრებოდა წყობად მისსა. რომლითა იგი აქუს ჩვეულებაჲ უჯეროთა და ბილწთა
 20 საქმეთა მიერ მარადის ბრძოლად ჰაბუკთა: ~ ~ ~

ესრეთ რაჲ ყოველნივე ბანაკნი თჳსნი აღძრნა მისსა მიმართ. ყოვლით-ურთ ძლეულ და უძლურ გამოჩნდა მის მიერ და რაჲთურთით ვერ უძლო მომედგრებად სიფრთხილისა მისისა. და ესრეთ რაჲ განგდებულად და ოტებულად ხედვიდა მის-გან კუეთებათა თჳსთა. და
 25 შესავალთა არაწმიდებისა მისისათა დაჰშულ. ვერ თავს-იდებდა მძნვარე იგი მტერი კაცთა ნათესავისაჲ. რამეთუ უჯეროდ შეერაცხა მას. უკუეთუ ესევეთარისა ყრმისა მიერ ძლეულ და სირცხვლეულ იპოოს. და კუალად დასაბამისა-გან. ლუაწლთა მისთაჲსა. არა მცირედსა სახესა მიიღებდა უკანაჲსკნელ წარმატებისა მისისასა დიდად:.

30 ვინაჲცა განიებოდა გული მისი. და მძნვარედ ელმოდა და განიგურიმებოდა. ამის-თჳსცა რაჲ ყო უკეთურმან მან და მრავალღონემან სიბოროტითა. რამეთუ ესრეთ ველ-ყო შეპყრობაჲ შეუპყრობელისა მის. და ენება განუჰსნელთა საკრველთა მიერ საწუთროჲსა ამის ცხორებისაჲთა. | შეკრვაჲ მისი. რომელნი იგი რეცა მომზავებელ
 35 იყვნეს | სივერაგისა მისისა: ~ ~ ~

7. ესე განიზრახა და მოძღუარი იგი მისი შემწედ იწუმი. რომელი იგი განაზრახებდა მას და მომდოვრებასა მისსა ჰგონებდა. ამის-თჳსცა დღესა ერთსა მოუწოდა. და სიტკბოებით და მყუდროებით. ჰმოგუნდა მას და ეტყოდა: „შვილო ჩემო ტიმოთე. არა უმეცარ ხარ

5 ვერმცა B. — 18 მისთაჲთა B. — 23 სიფრთხილისა | სიფიცხლისა A. — და | ხოლო B. — 25 დაჰშულთა B. — 29 ~ დიდად წარმატებისა მისისასა B. — 33 საწუთოჲსა B. — 37 მომდოვრებასა B. —

შენ. რამეთუ უცხოა ხარ. და უცხოა მსა ქუეყანისაჲ. და არცა მშობელნი გისხენ და არცა ნათესავნი. და ეგრეთვე არცა ვინ მე მივის. გარნა ასული ესე ჩემი მხოლოდ-შობილი. რომელი იგი მრავალგზის გიხილავს. და სიმდიდრე და მონაგებთა სიმრავლე ფრიადი მაქუს ვითარცა ხედავ. და ეგრეთვე წიგნი. რომელი კნინდა და უზემთაეს 5
 B 210^b არიან რიცხვსა. რომელი იგი მოსწრაფებთა | ჩემითა მოვიგენ: ამაჲს უკუე ასულსა ჩემსა შენ მიგცემ მეუღლედ. და თანაშემწედ. რომელსა იგი თუ ვითარი შუენიერებაჲ და სიკეთე და გონიერებაჲ აქუს არა უმეცარ ხარ შენ. ვინაჲთგან ჩუენ თანა აღზრდილ ხარ და თანამეპურის-მტე ჩუენი ყოფილ ხარ. და ამას რაჲ შეგაუღლო. ყოველთა 10
 მონაგებთა ჩემთა მკვდრად და ჯელმწიფედ დაგადგინო შენ. და განსასვენებელ შენდა იყოს ყოველივე სიმდიდრე ჩემი. რომელი იგი შემძლებელ არიან ყოველსავე საჯმარსა ჩუენსა უხუებით აღსრულებად. აწ უკვე ესრეთ მითუალე განზრახვაჲ ჩემი კეთილი. ვითარცა ღმრთისა მიერ წინაჲსწარ განგებული საცხოვრებელად 15
 შენდა: “ ~ ~

ესე რაჲ სიტყუანი მოისმინნა ტიმოთე. და სივერაგე იგი მტერისაჲ გულის-ხმა-ყო. აგრძნა ჭეშმარიტებით. ვითარმედ „მის მიერთა ღონის-ძიებითა აღძრული იტყუს ჩემდა მომართ. ესე ვითართა ამათ ზრახვათა მასწავლელი ესე ჩემი. ვითარცა იგი პირველ გუე- 20
 ლისა მიერ ეზრახა ევას. და სიკუდილი მოატყუა პირველქმნულსა მამასა ჩუენსა:“ ამაჲს და ესე ვითარსა რაჲ | იგონებდა გულსა შინა თვსსა. მიუგო გულის-სიტყუასა თვსსა და ჰრქუა. „მეზრახე მე უკუეთუ გნებავს“. და თქუა. „რამე სარგებელი იყოს ჩემდა ქორწილისა მიერ და ხრწნილებისა. რომელი იგი შემდგომად გარდასლვისა მოეცა 25
 კაცთა. რომელი ესე უხრწნილისა მის სასძლოჲსა-თვს სურვიელ ვარ.

B 210^b რამეთუ ჭეშმარიტად საწყალობელ ვარ. და უბადრუკ | უკუეთუ განხრწნადთა მონაგებთა. და წარმავალთა გემოთა მიერ ვიძლიო. და გონიერებაჲ სულისაჲ. და უკუდავებაჲ მისი განესცე. და წინააღმდეგომ 30
 მთ 6, 24. სიტყუათა სახარებისათა გამოვჩნდე. ვინაჲთგან ესრეთ იტყუს

A 165^a ოჯდალი: ვითარმედ „ვერვის ძალ-უც ორთა | ოჯდალთა მონებაჲ: და ერთისა მის შეყუარებაჲ. მეორისა შეურაცხებაჲ იქმნების“. რამეთუ ქორწინებაჲ წარსწყმედს თავის-უფლებასა და აზნაურებასა და სამარადისოსა ტყუეობასა და მონებასა მოატყუებს მომგებელსა 35
 მისსა:

ხოლო სიმდიდრისა დაქირვებაჲ და ზღვევაჲ საჩინო არს, რამეთუ რომელთა არა კეთილად იგუმიონ იგი. წარმწყმედელ მათდა იქმნების და დამაქცეველ. ხოლო მრავალთა წიგნთა. ერთი სიტყუაჲ

10 მეპურისტე A. — 24 სარგებელ B. — 30 გამოვჩნდე B. — ესრეთ < B. — 31 მონებად B. — 36 საჩინო] ცხად B. —

საუფლოჲ მრავალწილად უაღრეს არს. ვითარ იგი არს ესე ვითარ-
მედ „რომელსა უყუარდეს მამად თჳსი გინა დედად თჳსი“. და რათა მთ 10, 37
მოკლედ ვთქუა. ყოველივე მონაგები და სოფელი და თჳსნი. „არა არს
იგი ჩემდა ღირს“. და კჳალად ვითარმედ „რომელმან არა აღიღოს მთ 10, 38
5 ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე არა არს იგი ჩემდა ღირს:“ ~

ხოლო ამათ ყოველთა რომელთა კაცი ესე აღგვთქუამს. არა
რად არს საწადელ არცა სასურველ: რამეთუ წარმავალ არიან. # სულთ
ჩემო. და არა ხოლო თუ სასურველ. არამედ არცალა თუ სასმენიელ
ღმრთის-მოყუარეთა სასმენელთა მიერ. ვინაჲცა | ესე ყოველი მო- B 211^a
10 სურნეთა | მათთა დაუტევე. რამეთუ აღთქუამად მიზეზი მწუხარებათად C 101^a
საწადელ ყოვლადვე არა არს. აწ უკუე ესე ყოველი მოძღუორისა
შენისა თანა სიხარულით დაუტევე. და მიერ ივლტოდე და წარვედ-
სადაცა იგი ოჯფალი წარგიძღუეს: ~

8. ესე ყოველი განიზრახა გონებასა შინა თჳსსა და სასწავლოდთ
15 განვიდა. და პირი მისი ქუეყნად ხედვიდა. და მერმე ზემოკსენებულსა
მას ქუაბსა მივიდა. და ჯელნი და გონებად თჳსი სიმაღლედ აღამაღლნა.
ილოცვიდა და იტყოდა: „ოჯფალო იესოჲ ქრისტე რომელი ევე ხარ
მამად ობოლთად და ზედამდგომელი ქურივთად. ნუ მიმცემ მე ჯელთა
წარმწყმედელთა ჩემთასა. და ნუ მიტევებ მე საბრჯეთა მტერისათა
20 შთავრდომად. არამედ ამიერ რად წარვივლტოდი. იერუსალიმად
წარმიძღუე და წმიდათა მათ აღგიღთა მოხილვად ღირს მყავ. სადა
იგი ჩუენ ცოდვილთა-თჳს ცხოველს-მყოფელნი იგი ვნებანი თავს-
ისხენ“.

9. და ესრეთ განგრძობილად რად ლოცვად თჳსი აღასრულა.
25 ღმრთის-მსახურთა მათ მზარდულთა მიმართ თჳსთა მოიქცა და
ჰრქუა მათ: ვითარმედ „გჳმადლობ ღმერთსა თქუენ-თჳს და ვევე-
დრები. რათა კეთილის-ყოფისა ჩემისა წილ ბრწყინვალენი მოსაგე-
ბელნი მოგანიჰნეს თქუენ. ქველის-მოქმედთა ჩემთა: აწ უკუე ესეცა
ქველის-მოქმედაბად აჩუენეთ ჩემ ზედა უფროდს | ყოველთა ქველის- B 211^b
30 მოქმედებათა. და მიტევეთ მე წარსლვად იერუსალიმად გევედრები.
რამეთუ მწურვალე სურვილი აღძრულ არს ჩემ შორის. თავჯანის-
ცემისა-თჳს წმიდათა მათ აღგიღთაჲსა. რომელთა|შინა ოჯფალმან A 165^b
ჩუენმან იესოჲ ქრისტემან ცხოველს-მყოფელნი ვნებანი თავს-ისხნა“:.

10. ესე რად თქუა მწუხარებითა [უზომოდთა] აღივსნეს ღირსნი
35 იგი მზარდულნი მისნი. და ვერ მოითმენდეს განშორებასა მისსა და
ეტყოდეს ვითარმედ „შეუძლებელ არს განშორებაჲ შენი | ჩუენ-გან. C 101^b
რომელი ესოდენთა წელთა ჩუენ შორის აღიზარდე. და შეიღ ჩუენდა
საყუარელ იწოდე“:~ ხოლო ტიმოთე ჰრქუა მათ. ვითარმედ ჭეშმა-

1 უაღრეს A. — 6 ყ'ლთავნ B. — 7 არიან] არს B. — 20 იღლ'იმდ
AB. — 25 მოიქცა B. — 26 ვითარმედ<B. — 30 და<B. — იღლ'იმდ AB. —
34 აღივსნეს] შეპყრობილ იქმნნეს. — 35 მისსა და] მისსა არამედ B. — 38 ვითარ-
მედ<B.—

რიტად ჯერ-არს მორჩილებად თქუენი. ვითარცა სულიერთა მშობელთა ჩემთაჲ. რომელთა ეგე უადრესი სიყუარული აჩუენეთ ჩემ ზედა. უფროჲს ვორციელთა მშობელთაჲსა. გარნა რაჲმე ვყო. რამეთუ მამისა მის ზეცათაჲსა უფროჲს შეყუარებად ვისსამე არა ჳელმეწიფების. და გინა თუ მორჩილებად ანუ სმენად. და თქუენცა უკუე მორჩილებად მისი აღირჩიეთ. და მის მიერ სასყიდელსა მოელოდეთ. რომელი იგი მისცემს საზრდელსა მზარდულთა და ცხორებასა წარუვალსა მიჳმადლებს უხუებით:“ ~ ~ ~

11. ხოლო ვინაჲთგან კეთილად ცილობისა მისისა-გან იძლინეს. და სმენად არა ენება. სხუად ღონე მოიბოგეს. რათამცა სასურველსა მას მათსა არა სრულიად დააკლდეს. არამედ სასოებითა ხილვისა მისი-
B 212^a საჲთა. ჟამ რაოდენმე აღჯრ ასხნესმცა სურვილსა მათსა. და ესრეთ მოიმტკიცებდეს მას. რათა კუალად მსწრაფლ ყოს მათდავე მოქცევაჲ [მისი]. და ეტყოდეს. ვითარმედ „შენ თანა გუნებაეს წარმოსლვაჲ მსახურთა გინა მეგობართა ჩუენთაჲ. რათა ერთბამად წარხვდეთ წმი-
დათა მათ აღვილთა და სურვილით თაყუანი სცეთ მათ. და მუნ მყოფთა მათ წმიდათა მამათა ამბორს უყოთ და ლოცვითა მათითა შეზღუდვილნი კუალად ჩუენდავე მოიქცეთ მოსწრაფედ. და კეთილ არს რათა თანამავალ გექმნენ ჩუენ მიერ წარმოვლინებულნი იგი და თანამოღუაწე ვიდრეცა ხვდოდი“:.

ესე რაჲ ესმა ტიმოთეს. სიხარულით ერჩდა ბრძანებასა მათსა. რამეთუ განიზრახა. ვითარმედ „წარვიდე მათ თანა. რაჲჲმს ეგულბოდის სახედ თვსად მოქცევაჲ. დავშთე მე მათ-გან. და ვიდრეცა მენებოს წარვიდე“. და ესე ყოველი მადლისა მიერ საღმრთოჲსა კეთილად განიზრახა და გულის-ხმა-ყო:.

12. ვინაჲთგან უკუე იერუსალიმად მიიწინეს. და ყოველნი იგი წმიდანი აღვილნი მოვლნეს და თაყუანი სცეს წმიდასა საფლავსა და თხემისა აღვილსა და დედასა ეკლესიათასა სიონსა. და ყოველთა მათ გარემოჲს-მყოფთა წმიდათა. მერმე გულმან უთქუა უშორესთაცა წმიდათა მოხილვაჲ. და უდაბნოჲსა მოქალაქეთა და წმიდათა კაცთაჲ.
და ვინაჲთგან ყოველნი იგი აღვილნი კეთილად მოვლნეს. და მოილოც-
B 212^b ნეს წმიდაჲ ბეთლემი. და იორდანე. და სხუანი იგი მონასტერნი. და
A 166^a |განშორებულთა საყოფელნი. და სიტყუათა და ლოცვათა. მათთა ეზიარნეს. და ყოველი სურვილი აღასრულეს: და დღესასწაულსა ბზობისასა ქალაქადვე აღვიდეს წმიდად და დღესასწაული ესე წმიდაჲ იდღესასწაულეს: და მერმე ოვფლისა ვნებანი. რომელთა მიერ ვნებათაგან განვთავისუფლდით და უვნებლობად მოვიდეთ. და მერმე ღამე იგი ბრწყინვალე. რომელსა შინა შეუხებელი იგი ნათელი სახილველად კაცთა განგებულებით იხილვების. და ხვალისგან საღმრ-

4 ვისამე B.— 6 მიერსა B.— 8 უხუებით < B.— 13. ~ რა მსწრაფლ ყოს კუალად მათდავე B.— 16 თაყუანის სცეთ A.— 21 ბრძანებასა] ზრახებასა B.— 22-23 ~ და ეგულბოდის რაჲ B.— 23 სახიდ B.— 27. თაყუანის სცეს A.—

თოჲ იგი და ნათელგარდაფენილი ღღე აღდგომისაჲ ბრწყინვალედ აღიდეს: ~ ~

და მერმე კაცად-კაცადი მოყუასსა თჳსსა აწუეგდა წარსლვად სახედ თჳსად. და იწყეს რაჲ ყოველთა სლვად და თუთოეული წარვი- 5 დოდა თჳსად საყოფლად. შეუდგა უკუე ტიმოთეცა მოყუასთა თჳსთა. და ვითარ იგი მივიდოდეს. განეშორა მათ-გან ფარულად. და იჯნა ყოველისა მსოფლიოჲსა საქმისა-გან. და მოყუასთა. და მეცნიერთა. და უდაბნოდ განვიდა: ხოლო თანამავალთა მათ მისთა ყოველსა აღვილსა ძიება ყვეს მის-თჳს. და ვითარ ვერ პოვეს. ჰგონებდეს ვითარმედ წინა- 10 მავალთა მათ თანა სახედ თჳსად წარვიდა: და ვითარ ყოველსა მას გზასა ეძიებდეს ტიმოთეს და იკითხვიდეს. ხოლო ვინაჲთგან | არა- C 102* ვინ იყო რომელმანმცა უთხრა მათ მის-თჳს თუ რაჲ იქმნა: [ვინაჲ] მკმუნვარებისა და წუხილისა მოციქულ იქმნეს იგინი | ტიმოთეს B 213* წარწყმედისა-თჳს: ~

15 13. ხოლო საკრველი ტიმოთე უდაბნოდ განვიდა და მუნ მყოფნი მოღუაწენი იხილნა. რომელნი იგი ჳორცითა უწორციოთა მოქალაქო-ბასა ჰბაძვიდეს: და ცხორებისა მათისა ტრფიად იქნა. და ჳნატრიდა ბრწყინვალესა მას და ანგელოზებრსა მოღუაწებასა მათსა: და მათ თანა აღრაცხვად თჳსსა ევედრებოდა ღმერთსა. და მსგავსად ძალისა 20 თჳსისა მიბაძვად მათდა ილუწიდა: მაშინ გამოცდილსა ვისმე ბერსა და საღმრთოთა მადლთა ღირსკმნულსა და წინაჲსწარცნობითა გან-შუენებულსა მიემთხუა. და ფერჯთა მისთა თანა დავარდა და მჯურგა-ლედ ამბორს უყოფდა და ეტყოდა: „შემიწყნარე მე წმიდაო მამაო. ღელვათა-გან ამის სოფლისათა შენდა მოღტოლვილი ვითარცა ნავი 25 ღელვაგუემული:“

ხოლო კაცი იგი ღმრთისაჲ ხედვიდა მადლსა მას საღმრთოსა რომელი აგრილობდა მას და ჰრქუა. „კეთილად მოხუედ ჩუენდა 30 შვილო ტიმოთე“. და მიყო კელი თჳსი და აღადგინა იგი ქუეყანით და მერმე მიექცა მოწაფესა თჳსსა და ეტყოდა. ვითარმედ „ქეშმარიტად ქური რჩეული არს ყრმაჲ ესე. რამეთუ ვიხილე მადლი საღმრთოჲ. რომელმან თჳსი|სა ბრწყინვალეებისა წიაღნი განჰმარტნა. და შეიტკბო A 166* ყრმაჲ ესე:“ ხოლო მოწაფესა მას ესმა რაჲ ესე. შეწუხნა და თჳსაგან განიზრახვიდა და იტყოდა ვითარმედ „ვინ არს ესე. რომელი ესევე-თარსა წამებასა ღირს-იქმნა. გარნა თუ სიწრფოებით და სიმარტი- 35 ვით რაჲმე თქუა ბერმან მის-თჳს | სიტყუაჲ ესე:“ ხოლო პატიოსანი B 213* იგი ბერთა შორის. საღმრთოჲსა მადლისა-გან უწყებული. არა უმეცარ იყო გულის-ზრახვათა მათ მოწაფისათა. და ინება უწყებად მისსა თქუ-მულთა მათ ქეშმარიტებასა. და საღმრთოჲსა მადლისა უცვალებლო-ბასა. და რათა განსწავლოს იგი. არა გარეშისა სა|ხისა. არამედ შინა- C 103*

5 საყოფლად თჳსა B.— 19-20 ~ და ძალისაებრ თჳსისა ბაძვად მათდა ილუწიდა B.— 29 ვითარმედ<B.— 33 ვითარმედ<B.—

- განსა სულისა სიკეთესა მიხედვად. და აზნაურებასა მისსა განცდად. რომელთა მიერ ქეშმარიტებით საკვრველ იქმნების და შეიმკვების კაცი: ამის-თუსცა კუალად ჰრქუა ტიმოთეს: „კეთილად მოხუედ ჩუენ- და შვილო. განისუენე და ასწავენ მოწაფესა ჩემსა სიტყუანი სარგებ-ლისანი:“ ხოლო მან ჰრქუა, „შემინდვე პატიოსანო მამაო უღირსსა 5 ამას და უსწავლელსა. რომელი საღმრთოთა სიტყუათა შენთა სურვილითა კადნიერ ვიქმენ შემოსლვად შენ წინაშე. და შემთხუევად უბიწოთა კუალთა შენთა. მე უკუე მოქენე ვარ სმენად სიტყუათა შენთა ცხორებისათა და გევედრები ნუმცა კუებულ ვიქმნები მათ გან წყურიელი ესე:“ და კუალად შეუერდა ფერვთა მოხუცებულისათა: ხოლო 10 მან მერმეცა აკურთხა და აღადგინა იგი. და მორჩილებისა აღსრულებად ზბრძანა: ხოლო ყრმაჲ იგი ბრძანებასა ბერისასა დაემორჩილა უნებლიადთ. და მრაველითა შიშითა და მოწიწებითა. სიმდაბლით და გულის-ხმის-ყოფით იწყო სიტყუად მოწაფისა მისისა და იტყოდა „ჩემდა უკუე არა ჯერ-იყო პატიოსანო და ღირსო მამაო 15 სიტყუად [წინაშე] სიწმიდისა შენისა სარგებელისა-თუს სულისა. და არცა თუ პასუხისაცა ერთისა | თქუმად. ვინაჲთგან მეცნიერ ვარ უსწავლელობისა და უგუნურებისა ჩემისა. არამედ ვინაჲთგან საშინელ არს ესევეთარისა მამისა ბრძანებათა წინააღდგომად: თუთ მისთავე სიტყუათა სასოებითა ვიწყო სიტყუად: 20
- სწავლაჲ ტიმოთესი 14. „ჯერ-არს ჩუენდა და თანამდებ. რათა გუაქუნდეს სიყუარული უზაკუველი განთვსებულადცა და ზოგებითა რომელი იგი უპატიოსნეს არს და მშობელ ყოველთა სათნოებათა. და თუნიერ მისსა შეუძღებელ არს საკუთარყოფად ღმრთისაჲ: ხოლო რაჟამს ვიტყოდით თანა- 25
- C 103^b გ|უაც რათა ქეშმარიტებით ვიტყოდით. და არა ვტყუოდით. რამეთუ ქრისტე არს ქეშმარიტებაჲ. ხოლო ტყუვილი ეშმაკი მტერი ქეშმარიტებისაჲ. და რათა ჭირთა შინა მოვიგოთ მოთმინებაჲ და ძკრის- 30
- A 167^a ხილვათა შინა მადლობაჲ | და ამით განწმედად საცნობელნი: თუალნი რათა სიწმიდით ხედვიდენ. ხოლო ენაჲ რათა არა იტყოდის ამოებ-ბასა. არამედ რათა მარადის საღმრთოთა გალობათა გალობდეს: 30 ხოლო სასმენელნი რათა შჯულსა ოვფლისასა ისმენდენ და არა ზრახვათა უჯეროთა: ხოლო გონება და გულის-ზრახვა ჩუენდა სამარადისო იყავნ ვსენებაჲ სიკუდილისაჲ და საშჯელისა მის საშინელისაჲ. რათა ვიქმნენთ ფრთხილ. ძმათ-მოყუარე. მოწყალე. ტკბილ სახითა. სიწმიდის მოყუარე. განკითხვისა და გულის-ხმის-ყოფისა ტრფიალ. 35 ვნებათა სიმვნით მაოტებელ. და რათა მოკლედ ვთქუა: ვიქმნენთ
- B 214^b ჩუენ კეთილად მცველ ყოველთავე საცნობელთა სულისა | და ჯორცთა ჩუენთასა: რათა შეუძლოთ განრომაჲ ცეცხლისა მის-გან გეჰენისა. და

14 თვისსა A. — 17 პასუხისა B. — 21 სწავლაჲ ტიმოთესი < A. — ჩემ- და A. — 28 ამით] ამათ თანა B. — საცნობელნი] + და A. — 34 რათა] და ვითარ- ცა B. —

მკვდრ ვიქმნნეთ სასუფეველსა: და რათა უწყოდით. ვითარმედ ჩუენ ვართ უფალ კეთილის-ყოფად თავთა თვსთა და კეთილის ნებაჲ და განზრახვაჲ უმჯობესისაჲ მოუცემიეს ჩუენ-თვს ოჯფალსა. რათა უწყოდით რაჲ იგი გვლირს ქმნად და რომლისა-გან სიელტოლად.

5 და ჯერ-არს რათა კეთილი ესე ნებაჲ სარგებელად სულისა ჩუენისა ვიწმაროთ. და არა შემწედ ვნებათა. და შეგინებად გულის-თქუმათა მიერ. და გემოთა განმხრწნელთა სულისათა. ვითარცა შეემთხვა გემოთ-მოყუარესა მას მნესა. რომელი წერილ არს წმიდასა შინა სახარებასა. რომელი იგი იქმნა სახე და ხატ ცხორებისა ჩუენისა: რამეთუ

10 კაცად-კაცადი ჩუენი განმგე არს და მნე სულისა თვისსაჲ. რათა მისცემდეს მას საგმარსა ჟამსა თვისსა: ხოლო საგმარი სულისაჲ ესე არს. რათა მოუწყლველად დაიცვას იგი ზედამოსლვასა ვნებათასა. და მოგებითა სათნოებათაჲთა უკუდავებისა მიმართ წარუძღლეს მას: ხოლო უკუეთუ სამნეოჲ იგი ჩუენი შეურაცხ ვყოთ. და ჟამი იგი მეუფისა ჩუენისა მოსლვისაჲ უღებ ვყოთ. მეყსეულად ორად განკუეთისა ჩუენისა განჩინებაჲ გამოვალს: ხოლო უკუეთუ ვვაჭრობდეთ კეთილად ტალანტსა [მას] ჩუენდა მოცემულსა ღმრთისა მიერ და არა უქმად დაუტეოთ იგი. ღირს ვიქმნნეთ უმაღლესისაცა მნეობისა. და სმენად ვმისა მის საწადელისა. „კეთილ მონაო სახიერო და სარწმუნო

15 ნოო|მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ. მრავალსა ზედა დაგადგინო შენ. შევედ სიხარულსა ოჯფლისა შენისასა“:

C 104^a

მთ 25, 21

B 215^a

15. ესე ყოველი რაჲ წარმოთქუა ტიმოთე და ესმა ბერსა მას წმიდასა. განკვრდა და თქუა. „ფრიად მხიარულ ვარ შვილო ტიმოთე. სიტყუათა ამათ ზედა მადლისათა. რომელნი სულმან წმიდამან აღმო-

25 თქუნა|პირით შენით. რამეთუ არა შესაძლებელ იყო ამათი წარმოთქუმაჲ. არა თუმცა ზეგარდამოსა სიბრძნესა მოეცა შენდა ძალი და გულის-ხმის-ყოფაჲ თქუმულთაჲ ამათ. და წყაროჲ სიტყუსაჲ. და ქეშმარიტად აღვიარებ ვითარმედ დიდად სარგებელ მეყო და ვჰმადლობ ღმერთსა მიზეზსა ყოვლისა კეთილისასა:“ და ვითარცა და-

30 ასრულნა ბერმან სიტყუანი ესე. კუალად შეუვრდა ტიმოთე მოხუცებულსა მას და ჰრქუა:

A 167^b

„შემიწყნარე მამაო. რომელი ესე სურვილით და სარწმუნოებით მოსრულ ვარ. და სრულ მყავ მე წესითა მონაზონებისაჲთა. რამეთუ მოწაფე ხარ მისი და მორჩილი ბრძანებათა მისთაჲ. რომელმან იგი

35 თქუა. ვითარმედ „რომელი მოვიდეს ჩემდა არა განვაძო გარე“. და ინ 6, 37 კუალად. და ვითარმედ „რომელმან გამოიყვანოს პატიოსანი უპატიოჲსა-გან. ვითარცა პირი ჩემი იყოს“:

იერ. 15, 19

ესე და მსგავსი ამისი რაჲ|მრავალი თქუა ტიმოთე ცრემლთა ცხელთა დათხევითა და შევრდომითა: შეიწყნარა კაცმან მან ღმრთი-

C 104^b

1 და<B.— 2 კეთილი B. — 3 ჩუენ-თვს| ჩნდა B. — 4 ქმნად| თქუმაჲ A. — სიელტოლად B. — 17 ჩნსა B. — 23 თქუა|+ ვითარმედ B. — 35 ვითარმედ<B.— 35 და<B.—

სამან ვედრებად მისი. და აღკუეცა იგი. რამეთუ არა ჯერ-იჩინა უგუ-
 ლებელს-ყოფად მისი. რომელი იგი ერთგულებით მოუტდებოდა
 ქრისტესა: და უღელსა მისსა აღებად ისწრაფდა: არამედ მეყსეუ-
 B 215^b ლად წმიდად სქემად შეჰმოსა მას წმიდამან მან მოხუცებულმან: და
 მერმე ასწავა მას წესი მონაზონებისად და ცხორებად წმიდათა მამა- 5
 თად. და მარხვისა და ლოცვისა და მღვდარებისა წესი განუწესა წე-
 სიერი და ზომიერი. და მერმე ყოველნი სათნოებანი მოავლნა მას
 და წყობად უხილავთა მტერთად ასწავა. და ლუაწლთა მიმართ სა-
 ღმრთოთა აღლესა და ძალითი-ძალად ამალღებად გონებად მისი აღ-
 ქურა:.

16. ხოლო ტიმოთეს ვინაფთვან ზეგარდამოდ მადლი აქუნდა
 თანაშემწედ. არა მომედგრდა. არცა დაიგნა. არცა რად სიცონილი
 შეემთხვა ყოვლადვე მოთმინებასა შინა და შრომასა და წყობასა მტერთა
 უხილავთასა. არამედ ვითარცა ანდამატმან ბრძოლასა მას შინა უხი- 15
 ლავთა მტერთასა. სული თჳსი მოუწყლველად დაჰმარხა. რამეთუ სა-
 ღმრთოდასა ტრფიალებისა ცეცხლმან მტკიცე და შეურყეველ ყო სანა-
 ტრელი იგი: და მალალთა მათ მოლუაწებათა შინა ოცდა შუდისა
 წლისა ჟამნი აღასრულნა. და ძუელთაცა წარჰჳდა სათნოებითა და
 უმრავლესთა მიერ საკვრველ იქმნა:.

მაშინ მოუტდა მას სურვილი თჳსადვე სოფლად მოქცევისად. და 20
 თჳსად მამულად წარსლვისად. და მუნ მყოფთა მათ მონასტერთა და-
 მკვდრებისად: და ესე არა სხუთ სადაფთვე. არამედ მადლისა მიერ სა-
 ღმრთოდასა მოუტდა გონებასა მისსა. რომელი იგი ყოველსავე კეთი-
 ლად განაგებს. ვითარცა წინაფსწარმეცნიერი ყოფადთა: რამეთუ
 A 168^a ეგულებოდა მათ კერძოთა განათლებისა მოქენეთა თჳსისა ბრწყინ- 25
 B 216^a ვალეებისა შარავანდედთა მოფენად ყოფადისა მის ტიმოთეს საკვრ-
 C 105^a ველთ-მოქმედებისა მიერ. და ვითარცა ოდესმე მოსე უცხოთა ქუეყა-
 ნასა განსწავლა. და მერმე მოუწოდა და წინამძღურად და საკვრველთ-
 მოქმედად გამოაჩინა. ეგრეთვე ჰმნა აქაცა ქველის-მოქმედმან და ცხო-
 რების-მომცემელმან ღმერთმან. რამეთუ იხილა ქრისტეანეთა ერი 30
 აგარეანთა მიერ შეიწრებული: და სათნო იყო ნუგეშინის-ცემა მათი
 სასწაულთა მათ და ნიშთა მიერ. რომელთა ეგულებოდა მის მიერ
 აღსრულებად. და ამას თანა დისაცა მისისა ტირილისა და ცრემლთა
 დაცხრომად:.

17. არამედ ნუ უკუე და თქუას ვინმე გულის-ხმის-მყოფელთა- 35
 განმან ვითარმედ და ვითარ ესოდენტა ჟამთა შეექცე ტიმოთეს თბრო-
 ბათა საშუებელსა და ძმათა მისთა სათნოებად უქსენებელ ჰყავ და
 დაივიწყე. და მემცა უცონილად ვქმენ ესე. უკუეთუმცა წესი სიტყუსად

6 ლცვსად A.— 15 მტერთასა] ძალთასა B.— 25 მოქენეთა AB— 26 მო-
 ფენად B.— 31 აგარიანთა B.— 33 ამას] ამის B.— 37 ჰყავ] ყავ B.— 38 უცონე-
 ლად A.—

- შემინდობდა. არამედ არცა თუ არს ჟამი აქა გოდებათა მათ და ცრემლთა დისათა და ძმათა მისთა. და თჳსთა მწუხარებისა და ჭუგილისა წარმოთქუმაღ. არამედ ესევეითართა თხრობათა-თჳს ჯეროვანი ჟამი მელოდენ: ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიქ-
- 5 ცეთ. ვინაჲ იგი განვედით:
18. რამეთუ ვიტყოდეთ. ვითარმედ მოუჯდა ტიმოთეს გონებასა თჳსსა წარსლვაჲ თჳსად ქუეყანად: ხოლო ვინაჲთჳს არა კეთილ არს არცა უცთომელ ადრე-ადრე გულის-სიტყუათა შედგომაჲ და არცა უბრალო წმიდათა მათ|ადგილთა დატეეებაჲ თჳნიერ საღმრთოჲსა B 216^b
- 10 გამოცხადებისა: მარხვასა და ლოცვასა მისცა თაჲი თჳსი. რამეთუ ვინაჲთჳს ჭეშმარიტებაჲ და არაჲჭეშმარიტებაჲ საქმეთაჲ ძნელ არს თჳნიერ ღმრთისა გულის-სიტყუათა მიერ ხოლო პოვნად; არა ჳუებულ იქმნა ამის-განცა. არამედ ზეცით-გარდამო გულსავესებაჲ მოილო და იჯმნა ყოველთა-გან. და იწყო სლვად გზასა თჳსსა:·
- 15 19. და ვითარ იგი მოვიდოდა მიემთ|ხვა იგი მწვალებელთა C 105^b ვიეთმე მონასტერსა და ჰკითხა მუნ მყოფთა მათ თუ რაჲ არს სარწმუნოებაჲ მათი. და ცნა რამეთუ მარონიტელთა წვალებითა ბორგდეს. რომელნი იგი ორთა ბუნებათა და ერთსა ნებასა იტყუან ქრისტესსა. და ფრიად შეწუხნა ღირსი იგი წარწყმედისა მათისა-თჳს. და
- 20 იურვოდა და ზრუნვიდა და ელმოდა მათ-თჳს გული მისი. და ეძებდა ღონესა სარგებლისა მათისასა. რამეთუ ჰბაძვიდა იგი მეუფესა თჳსსა „რომელსა ჰნებაჲს ყოველთა ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარი- 1 ტიმ. 2,^a ტებისასა მოსლვაჲ:·“
- პირველად უკუე ენება მართალსა სარწმუნოებასა მოყვანებაჲ
- 25 მათი|და მერმელა წარსლვაჲ თჳსად სოფლად: და განიზრახვიდა თუ A 168^b ვითარ არწმუნოს მათ რამეთუ ფიცხელ იყვნეს და მოუქციველ:· მაშინ საღმრთოჲსა მიერ მადლისა ესევეითარი ღონე მოიპოვა. რამეთუ გულის-ხმა-ყო და განიცადა ვითარმედ ხუროებისა ჳელოვნებაჲ აქუნდა მათ: და ესევეითარი სიბრძნე მოიპოვა რამეთუ ევედრა მათ რათა
- 30 ასწაონ მას ჳელოვნებაჲ იგი და ამის მიერ ორთა საქმეთა ფრიად ჯეროვანთა მოღუაწე იქმნა. ერთად რათა|ჳელოვნებაჲ იგი ის- B 217^a წაოს. რომელი იგი არა უწმარ არს არამედ ფრიადცა სავმარ მონაზონთა-თჳს. და მერმე რათა სულნი მათნი მეცნიერებითა ჭეშმარიტისა მის ხუროთ-მოძღურისა სიტყუსა დამბადებელისაჲთა გამოქან-
- 35 დაკნეს და განანათლნეს:· რამეთუ ძნიაღ შესაწყნარებელ არს სიტყუაჲ ჭეშმარიტებისაჲ სულთა მიერ ურჩთა და მაცილობელთა. რომელნი იგი სიგრძითა ჟამთაჲთა დაკორდებულ იყვნინ უმეცრებითა და

1 არცაღა B.— 3 ჭუგილისა B.— 13 ზეგარდამოჲ B.— 19 შეწუხნა A.—

24 პირველად უკუე ენება] რამეთუ პირველად ენება B.— 29 რამეთუ] და B.—

30 ორთა საქმეთა] ორთაჲვე მათ B.— 31 ჯეროვანთა B.— ერთად] პირველად B.—

34 სიტყვთა B.—

განპოხებულ სიბოროტითა. რამეთუ ესევეთართა მათ-თჳს ჟამისაცა სიგრძე საჳმარ არს და სიტყუათაცა სიმრავლე. და მოლუაწებაჲ ჯეროვანი და ფრიადი:

C 106^a ამის-თჳსცა ევედრა მათ ჳელოვნებისა მის-თჳს. ხოლო ივინი 5
ერჩდეს მას სიხარულით. საქმედ უკუე აქუნდა ღირსსა მას სწავლაჲ მათ სარწმუნოებისა-თჳს. ხოლო გარეწარად სწავლაჲ ჳელოვნებისაჲ 5
მის: ვინაჲცა საღმრთოჲსა მიდღისა მოლუაწებითა შემდგომად მცირედისა ჟამისა ორთავე მათ სრულებაჲ მოილო. რამეთუ მათ მართლმადიდებლობაჲ ასწავა. ხოლო თჳთ ხუროვნობაჲ ისწავა. და თჳნიერ რაოდენთამე ბერთაჲსა რომელნი იგი ვანცუნეს სარგებლისა- 10
გან სწავლათა მისთაჲსა უკეთურებითა გონებისაჲთა. და სიფიცხითა სიბოროტისა მათისაჲთა. სხუანი ყოველნი მოაქცინა. ხოლო ივინი დაშთეს თჳსსაჲვე ამას უკეთურებასა ჳედა. რამეთუ ვითარცა 15
თქუმულ არს ბოროტისა ჩუეულებისა სიყუარული ძნიად|საკურნებელ არს. რამეთუ მეორედ ბუნებად ეწოდების მას:

ამათ უკუე ბოროტთა ბერთა მიერ მრავალნი ვინებანი და შეჴრაცხებანი მოითმინნა ნეტარმან ტიმოთე. არამედ ყოველივე სიმჳნით თაჲს-იდვა. ხოლო რომელნი იგი ცხოვნდეს მის მიერ. აღიდებდეს ღმერთსა და ჳმადლობდეს. და ვითარცა მაცხოვარსა მათსა ესრეთ ხედვიდეს ღირსსა მას: ~ 20

20. ესრეთ რაჲ სიმჳნით და კეთილად ილუაწა ჳეშმარტებისა-თჳს ნეტარმან ტიმოთე და უკეთური იგი წვალებაჲ განაქიჳა. ხოლო მართლმადიდებლობაჲ დაამტკიცა: თჳსად მამულად წარვიდა. და ადგილისა მის მახლობელად სადა იგი აღზრდილ იყო. რომელი ჳემო მოვიგსენეთ: მონასტერსა ერთსა შევიდა. და ასპარეზსა შინა მისსა 25
თავი თჳსი დააწესა. და ვითარმცა ახლად ეწყო მოლუაწებად ესრეთ ცხონდებოდა. და უმჳურვალესად რბიოდა: რამეთუ რაჲ და ნუ უკუე და ადგილმან შეცვალა ქცევაჲ მისი. ნუ იყოფინ: არამედ უძლიერესნი ღუაწლნი მოიპოვნა და უმადლესსა მოქალაქობასა ჳელ-ყო. და მორჩილებისა მჳურვალედ|მუშაკად გამოჩნდა. ვითარცა გაუწყოს სი- 30
ტყუამან ამან. რომლისაჲ გუეგულების თქუმად:

21. რამეთუ ინება ვინმე მონასტრისა მის ბერთაგანმან. საჳმრისა რაჲსა-თჳსმე სათანადოჲსა წარსლვაჲ ღმრთისა ქალაქსა: და ევედრა ტიმოთეს რათა იტჳრთოს სიბერე მისი და წარჳყვეს მას: ხოლო მას დაღაცათუ ფრიად ეწყინებოდა ხილვაჲ შფოთთა ქალაქისათაჲ და 35
შაღრეს ყოველთასა უყუარდა|დაყუდებდა: არამედ გარდარეულითა მით მორჩილებითა მისითა. არცა ერთი წინააღდგომაჲ თაჲს-იდვა. არამედ მეყსეულად ერჩდა და მის თანა ანტიოქიად წარემართა: და ვითარცა მყოვარჳამ ვილოდეს. ვითარ იგი არა უნდა უნებლიაჲთ თჳსსა

3 ჯეროვანი B. — 6. გარეწარ საქმედ B. — 8 მათ|+თჳს B. — 9 და<B-10 რავდენთამე B. — 11 — 12 სიფიცხლითა B. — 15 რამეთუ| რაჳამს A. 39 მყუარ B. —



დაბასა მიიწია: და ენება ტიმოთეს უკუეთუმცა ვითარ შესაძლებელ იყო თანაწარსლვად. არამედ შეუძლებელ იყო განგებულებისა ღმრთისა წინააღდგომად. რამეთუ ენება ღმერთსა სასანთლესა ზედა დადგმაჲ სანთლისაჲ. და ბრწყინვალეებითა მისითა განათლებად მრავალთად. და 5 მოყვანებაჲ ჭეშმარიტებად: რომლისა-თჳს მცირედ ჟამ დავიდუმო აწ. ხოლო უკუანადსკნელ ბრწყინვალედ მიგითხრა: რამეთუ აწ ჯერ-არს რათა ძმათა-თჳს ტიმოთესა მოვიტყენო. ვითარცა იგი ზემო აღგი-თქვთ. ვითარ წესი სიტყუსა ეძიებს:.

22. რაჟამს იგი არვისა-გან ცხოვართასა ივლტოდა ტიმოთე.

10 და წარვიდა დაბასა მას სადაცა აღიზარდა. ყოველთა ადგილთა მი-მოვიდოდეს და ეძიებდეს მას ძმანი მისნი და ვერ ჰპოებდეს: რამეთუ ღმერთმან დაფარა მსახური და მონაჲ თჳსი. და არა შეუნდობდა მათ პოვნად: რათა თავის-უფლებით აღიზარდოს სათნოებათა შინა. და მერმე პურად ცხოვრებისად მიენიჭოს თჳსთა და უცხოთა ვითარცა 15 პირველ იოსებ ძმათა თჳსთა. ხილულისა პურისა სიყმილსა განმა-ქარვებულად: და ვითარ იგი ვერ ჰპოებდეს თითოეული მათი თი|თო G 107^a სახედ ჰგოდებდა: რამეთუ უხუცესი ძმად იტყოდა. „ვადმე უბადრუკსა B 218^b ამას რომელი ესე მამისა წილ შერაცხილ ვიყავ ძმისა ჩემისა. ვითარ ვიქმენ ესრეთ მძნვარე და მდევარ მისსა. და წინააღმდგომ მცნებისა 20 მშობელთა ჩემთაჲსა:“ ხოლო მეორე ძმად მისი იტყოდა. „ვადმე სასურველო და საწადელო ჩემო. ვადმე ძმაო ჩემო. და თანამოჰასა-კეო ჩემო:“

ხოლო დისა მისისა გოდებათა და დლითი-დღედთა ტყებათა ვის ძალ-უც წარმოთქუმაჲ: რამეთუ ვითარცა განცოფებული და განცუფ- 25 რებული მიმოვიდოდა. და მათა და ბორცუთა და ჳვენებსა შინა ეძი-ებდა საყუარელსა მას ძმასა თჳსსა და იტყოდა: „ვადმე საწყალობელსა ამას და დაკლებულსა ამას საყუარლისა მის ძმისა ჩემისა-გან: თქუენცა უკუე უსულონო დაბადებულნო ღმრთისანო ჩემ თანა გოდებდით. რო-მელი ესე უცხო ვიქმენ სასურველისა ძმისაგან. და საწყალობელ და 30 უბადრუკ. ამის-თჳსცა ბოროტად ვგოდებ და განვკფდები ჳირისა ამის-თჳს ჩემ ზედა მოწვევულისა. და თუ რაჲ ვყო არა უწყი: რამეთუ რომელსა იგი შრომით და რუდუნებით ვზრდიდი. და მამისა წილ და დედისა ნუგეშინის-მცემელად ჩემდა ვესევდი: რომელნი იგი უჟანო მან სიკუდილმან წარიტაცნა. და მე უბადრუკსა ამას უნუგეშინისცემოჲ 35 გლოვაჲ დამიტევა. აჰა ესერა უძრესი მათი მოიწია ჩემ ზედა გლო-ვაჲ და მწუხარებაჲ მისისა მის-თჳს წარწყმედისა და განშორებისა: ვადმე ვადმე რომელმან-მე | უწყალომან მწეცმან წარიტაცა იგი B 219^a და განბძარა: ანუ რომელთა უცხოთა ჳელთა მიერ შეპყრობილ იქმნა. და შეკრული წარიყვანა უცნაურსა ქუეყანასა. ანუ ვითარ 40 ქუეყანამან განალო პირი თჳსი და წიალთა თჳსთა შეიწყნარა. იგი არა უწყი:“



და ესრეთ უმეტესთა ჟამთა ზინ იგი თანაწარსავალსა გზათასა.

C 107^b და გოდებით ჰკითხავენ მოგზაურთა: „# მორწმუნენო, მოწყალე იქმნენით ჩემ ზედა საწყალობელსა ამას, რომელსა წარმიწყმდა საყუარელი ძმაჲ. და მაუწყეთ მე, უკუეთუ სადა გიხილავს იგი, რათა ვცნა თქუენ მიერ ცხორებაჲ მისი გინა თუ სიკუდილი. კუენიერმან ამან და მტი- 5 რალმან. გევედრები:“

და რომელნიმე ტკივნიელ იქმნიან მის თანა და ჰრქვან: „ცხორებისა და სიკუდილისა მფლობელსა ღმერთსა ესევედი. და მადლობისა 10ობ. 1, 21 სიტყუათა შესწირვედი მსგავსად იობისა, ვითარმედ „ოჲფალმან მომცა და ოჲფალმანვე მიმიღო. იყავნ სახელი ოჲფლისაჲ კუროთხეულ:“ 10 და ესევეთართა ნუგეშინის-ცემისა სიტყუათა ზედა დაუტევიან იგი და წარვიდინან: ხოლო სხუათა კუალად ესრეთ ჰრქვან: „ნუგეშინის-ეცთავსა შენსა და გულის-ხმა-ყავ განგებულებათი ღმრთისათა სიმაღლე, და ვითარ იგი წერილ არს იოსების-თჳს მოიგსენე. რომელი იგი მო- 15 კლვისა-განცა განერა და საკრველთა-გან განიგსნა. და ზეშთა სასოე-ბისა. საყდართა სამეფუთოთა დაჯდა. და დიდი იგი მწუხარებაჲ მამათ-მთავრისაჲ სიხარულად შეცვალა. ამისსა ვედრებად ნუ დასცხრები.

B 219^b რომელმან იგი ყოველივე არარაჲსა-გან არსებად მოიყვანა, რომელმან იგი უმჯობესი უწყის. და ძმისაცა შენისა შენდა მონიჭებად შემძლებელ არს. და ჯერ-არს რათა კეთილითა სასოებითა დაჰქსნა 20 სიმძიმე მწუხარებათაჲ. და გარდარეულსა მგავს გლოვასა განეშორო:“

ესე რაჲ და სხუაჲ ესევეთარი ესმის მას. მკირედ რაჲმე ნუგეშინის-ეცის და ჰმადლობნ ღმერთსა. და მისსა მიმართ ხოლო ესავენ, რომელი იგი ნუგეშინის-სცემს მოსავთა მისთა, და არა ჯუებულ ჰყოფს 25 ღირსთა მისთა:·

ამისსა შემდგომად განზრახვასა კეთილსა იზიარნა ძმანი თჳსნი. რათა უცხოთ-მოყუარებაჲ შეიტკობნ: პირველად რათა უცხოთა მსახურებისა-თჳს. და მის-მიერისა მის სიხარულისა და მოსალოდებელისა მის-თჳს სასყიდლისა ურვისა მის სიმძიმე აღისუბუქონ: და მეორედ 30

C 108^a რათა ნუ უკუე|და ჰამბავი რაჲმე სასურველი წარსრულისა მის-თჳს ეუწყოს: ამის-თჳსცა წმიდათაცა ღღესასწაულნი განაწესნეს და ბრწყინვალედ ღღესასწაულობდეს ჳსენებასა მათსა: რომელთა შინა შემო- 35 კრბიან კრებული ფრიადი მღდელთა და მონაზონთა და ერისა მრავლისაჲ:·

23. დაემთხვა უკუე ღღესასწაული წმიდისა გიორგისი მას ჟამსა შინა. ოდეს იგი ტიმოთე მოხუცებულსა მას თანა დაბასა თჳსსა მი- 40 იწია ვითარ ზემო ვთქუთ: ხოლო ძმანი მისნი გარეშე დაბისა მის დასწყუედდეს ზროხასა და ცხოვარსა განსასტუმრებელად ერისა: რამეთუ

B 220^a ღიღისა მის მთავარმოწამისა|ჳსენებასა ბრწყინვალედ ღღესასწაუ- 40 ლობდეს. ვინაჲცა არა დაეფარა მოსლვაჲ მათი: ხოლო ტიმოთე ვითარცა აგრძნა ვითარმედ მისი არს დაბაჲ იგი. უშორესადრე ენება

- თანაწარსლვად მისი: და მოხუცებულსა მას ჰლოცვიდა. და სიმრავლესა მიზეზ-ჰყოფდა ერისასა: და ვითარცა განეშორნეს მიერ იხილნეს იგი ძმათა მისთა. და მყის ერთი მათგანი მირბიოდა და ვევედრებოდა მათ რათა მივიდნენ და მათ თანა იდღესასწაულონ: ხოლო მათ ჰრქუეს ვი-
5 თარმედ „ვერ ძალ-გვც მსახურებისა ჩუენისა დატევებად და თქუენ თანა დღესასწაულობად. და ვევედრებით ღმრთის-მოყუარებასა თქუენსა რათა შეგვინდოთ:“ და ვითარ იგი არა ერჩიდეს უმეტეს იძულებად მათი ვერ უძლო. ამის-თვსცა მარტოდ მიიქცა ძმათა თვსთა თანა: ხოლო უხუცესსა ძმასა ვითარცა ესმა რამეთუ არა ერჩიდეს მისლვად.
- 10 მირბიოდა იგიცა და აიძულებდა მათ და ეტყოდა: „ვევედრები ღმრთის-მსახურებასა თქუენსა რათა მოაქციოთ ჩუენდა და მცირედ განისუენოთ და იდღესასწაულოთ და კჳალად თვსსავე გზასა წარხვდეთ“. და აყენებდა მათ წარსლვად:·
- ესე რაჲ იხილეს ღირსთა მათ და ირწმუნეს ვედრებანი მისნი.
- 15 იძლინეს იძულებისა მისისა-გან: და უნდა თუ არა დაემორჩილნეს და ვიდოდეს ძლით: და ვითარცა სამწუხროთა ლოცვათა შესწირვიდეს. B 108^b
მათ თანა გალობდეს იგინიცა და მერმე დასხდეს განსუენებად. მრავლითა პატივითა სახლსა შინა ძმათა თვსთასა:·
24. ხოლო დამან მისმან ვითარცა იხილნა|იგინი და რამეთუ B 220^b
- 20 წუთლა აქუნდა გულსა შინ თვსსა ცეცხლი ძმისა თვსისა სიყუარულისაჲ: და ვსენებითა მისითა შეიწუებოდა და წყურიელ იყო სმენად რაისმე მის-თვს: ვერღარა შეუძლო დათმენად. არამედ კრძალულებითა წესიერიითა სირცხული განიშორა. და მოვიდა და შეუერდა ფერკთა მათთა და ცრემლით ეტყოდა: „ვევედრები ღირსებასა თქუენსა. მამანო წმი-
25 დანო. ისმინეთ განსაცდელი ჩემი. და ღირს მყავთ ნუგეშინის-ცემასა უბადრუკი ესე:“ და იგინი ჰკითხვიდეს. ვითარმედ „და რაჲ არს მიზეზი გლოვისა შენისაჲ“. ხოლო მან ჰრქუა: „ძმაჲ წარგსწყმიდე საყუარელი. ფრიად ჩჩული ჰასაკითა. და თუ რაჲ შეემთხვა არა უწყი: და განყოფისა და განშორებისა მისისა-თვს განგვფდები და განვილვევი.
- 30 და მსურს რათა მესმას რაჲმე თქუენ-გან სიტყუაჲ ნუგეშინის-ცემისაჲ: შეიწყალენით უკუე ცრემლნი ჩემნი და სულთქუმანი ჩემნი. და ნუ დაიცონებთ თხრობად ჩემდა უკუეთუ უწყით ცხორებაჲ მისი გინა თუ სიკუდილი“. და მათ ჰრქუეს ვითარმედ „არა რაჲ უწყით ძმისა შენისა-თვს. და არცა მეცნიერ ვართ. რამეთუ უცხონი ვართ
- 35 და იერუსალიმით მოსრულნი: და უკუეთუ სიჩოებასა შინა წარწყმდა. ვითარ უკუე იქმნა მუნ წარსლვად მისი უცხოებად. ვინაცა არცა რაჲ სხუაჲ პასუხი უწყით რომელი ეგე ეძიებ მის-თვს. ამის-თვსცა შეგვანდვენ ჩუენ. და ნუ მიგუტდი პასუხსა უცნაურთა საქმეთა-თვს“. ხოლო მას არა უნდა დარწმუნებაჲ: არამედ ფიცითაცა საში-
40 ნელითა იკადრა შეკრვად მათი. რათა არა|დაუფარონ მას უკუეთუ B 221^a
რაჲ უწყიან ძმისა მისისა-თვს. და ცრემლით და გოდებით თხრობად აიძულებდა:·

C 109^a 25. ხოლო ტიმოთეს დაღაცათუ ელმოდეს ნაწლები მისნი. და ვითარცა არა ელმოდეს. ვინათგან კაცი იყო იგიცა. და შჯულითა ბუნებისათა შეკრული: არამედ ითმენდა ახოვნად. რამეთუ საღმრთოდ სურვილი ჯორციელსა მას სურვილსა სძლევდა და დაჰფარვიდა: და ვითარცა იგი თქუმულ არს იოსების-თჳს. რამეთუ ითმენდა 5 დგეს რაჲ წინაშე მისსა ძმანი მისნი. ეგრეთვე აქა იხილვებოდა და ფრიად უაღრეს: გარნა ფიცისა მის-თჳს საზარელისა ეკლიმებოდა და უღონობასა მოეცვა. და არა უწყოდა რაჲმცა ყო: ხოლო ესევეთარი სიმარჯჳე მოიგონა. დაღაცათუ ვერცა ესრეთ ძალ-ედვა სიელტოლად: რამეთუ სხუად იყო განგებულ ზეგარდამოდსა სიბრძნისა მიერ ფრიად უაღრესი. ამის-თჳსცა ჰრქუა მას: „უწყოდე 10 ჰ დედაკაცო. რამეთუ წმიდათა წიგნთა განღებად კეთილად უწყი. და რაჲ იგი შემთხუელ იყოს ძმისა შენისად. იგავით შეტყუებად:“ ესე რაჲ თქუა წმიდაჲ სახარებად ჯელად მიილო და განყო. და ვითარ აღმოიკითხა ჰრქუა მას. „გულსავსებით უწყოდე რამეთუ ძმად 15 შენი არა მომკუდარ არს. არამედ ცოცხალ არს. და ვითარ ვჰგონებ იხილოცა] იგი პირის-პირ“. ხოლო მან ჰრქუა ვითარმედ „და სადა A 169^a B 221^b არს ანუ ოდეს ვიხილო. ჰ წმიდაო მამაო. შესძინე|ესეცა და მითხარ ყოველი ჰეშმარტებით:“ ხოლო საკვრველი ტიმოთე ეტყოდა ვითარმედ „ხვალე გაუწყო ესეცა“. რამეთუ ეგულვებოდა მას ფარულად სი- 20 ვლტოლად:

26. ხოლო დამან მისმან ღამე იგი უძილოდ გარდავლო და იურვოდა იგი და ზრუნვიდა ძმისა თჳსისა-თჳს. რამეთუ გულის-ხმისყოფად რაჲმე წულილადი შევიდა გულსა მისსა. გინა თუ უხილავი და საღმრთოდ სიწმიდისა-თჳს მისისა რომელი იგი ღმრთისა მიერ მოვალს ღირსთა ზედა და უბიწოთა. გინა თუ ბუნებითი. რომელი იგი 25 იქმნების გულითადისა მის სისხლისა აღდუ|ღებითა და თჳსისა ძმისა. და სისხლისა. სიყუარულად აღადგენს: რამეთუ ზედაჲს-ზედა ეტყუნ იგი ძმათა თჳსთა და ნათესავთა. ვითარმედ „ვითარ ჰგონებთ თქუენ ჰაბუკისა მის-თჳს მონაზონისა. რამეთუ საწადელ არს სიტყუად 30 მისი და უბნობად და სწავლაჲ. და უცნაური რაჲმე სინათლე შემომადგების ტიმოთეს-გან ძმისა ჩემისა. და შეეხების გულსა ჩემსა: ხოლო იგინი ეტყოდეს. ვითარმედ „დასცხერ და ნუ განმიხლებ ჩუენ ძუელსა მას გლოვასა: და ესრეთ მწუხრი იგი ყოველი ვითარცა ერთი საჯუმილავი გარდავლო უძილოდ:“ 35

ხოლო ვინათგან მგალობელნი აღდგეს ცისკრისა გალობად. და დიდების-მეტყუელებად ღმრთისა: ყოველთა წინამეტყუელად და თავად მგალობელთა აქუნდა ტიმოთე: რამეთუ ტკბილ იყო გალობად მისი და შუენიერ ჯმად და ჯელოვან მეტყუელებად მისი. და რო-

10 ზეგარდამოსა B. — 22 უძილად A. — 30 სიტყუად] ლოცვაჲ A. 39 კელთან. —

მელთაცა ესმოდა სიხარულითა აღავსებდა. გარნა|დასა ხოლო მისსა B 222^a
დაუპრობელსა გლოვასა მოჰფენდა: ვინაჲცა ენება ძმათა. რათამცა
დააცხრვეს იგი და ეტყოდეს. „დასცხერ # დედაკაცო გოდებათა მა-
გათ-გან უზომოთა და შეიკდიმე სიმრავლისა ამის-გან. რამეთუ არს.
5 რომელი ეგე შეგემთხვა. უცხოჲ და უწესოჲ. და დაუცადებელი ტი-
რილი. რამეთუ სხუჲჲ ჟამი საჭმარ არს შენდა საგლოველად და არა
ესე:“

ხოლო მას რადთურთით დაცადებჲჲ ვერ ძალ-ედვა. და აღთქუ-
მულისა მის აღსრულებასა ეძიებდა. ვინაჲცა შემდგომად გლობისა
10 წარავლინნა ძმანი თუსნი ვედრებად ტიმოთესსა: რომელნი იგი მოვი-
დეს და ცრემლითა მჭურვალითა და ფიცითა საშინელითა აფუცებ-
დეს მას. და აღთქუმულისა მის უწყებასა ითხოვდეს:.

27. ხოლო მან განიზრახა თავსა შორის თუსსა და გულის-ხმა-ყო.
ვითარმედ ჭეშმარიტად განგებულებჲჲ სამე|არს ღმრთისაჲ საქმე ესე: C 110^a

15 ვინაჲცა ვერ|უძღვე განრომაჲ ჯელთა მათთა-გან. ესრეთ იძლია ფი- A 169^b
ციისა მის-განცა რომლითა აფუცებდეს. და იძულებულ იქმნა ბუნები-
საგანცა და ჰრქუა მათ: „დასცხერით გოდებისა-გან და გამოწულილ-
ვისა. რამეთუ მე ვარ ტიმოთე. [ძმად თქუენი] და მოვედით და მივს-
ცეთ დიდებჲჲ ღმერთსა კაცთ-მოყუარესა. რომელი ყოველსავე კეთი-
20 ლად განაგებს:“ ხოლო იგინი განჰკრთეს სიტყუასა მას ზედა მისსა
მოუგონებელისა მის-თუს სიხარულისა და ვითარცა მოვენეს გონე-
ბასა. მეყსეულად კაცად|კაცადი მათი მოეხზუნეს ქედსა მისსა. და პირსა. B 222^b

და ჯელთა. და ფერჯთა. და ამბორს უყოფდეს. და შეიტკბობდეს. და
რასა არა იქმოდეს ანუ რასა არა იტყოდეს. ვითარმედ „# საყუარელო.
25 ვითარ ესოდენთა ამით ჟამთა განგულიენ ჩუენ გლოვითა და მწუხარ-
ებითა და ცხორებჲჲ უმწარესი სიკუდილისაჲ დასა შენსა დაუტევე.
და არცა აწ გენება საცნაურ ყოფჲჲ თავისა შენისაჲ: არა თუმცა
განგებულებასა ღმრთისასა ჯერ-ეჩინა დაქსნაჲ მწუხარებისა და გლო-
ვისა ჩუენისაჲ. და მაცხოვრად სულთა ჩუენთა გამოჩინებჲჲ შენი:“

30 და მერმე ჰკითხვიდეს თუ სადა ანუ ვიეთ მიერ აღიზარდა და თუ
რად შეემთხვა სიგრძესა მას შინა ესეოდენისა მის ჟამისასა. გინა თუ
ვითარ იქმნა მოქცევაჲ მისი უწყებად ევედრებოდეს: ხოლო იგი
უთხრობდა თუ ვითარ აღიზარდა ანუ ვითარ განისწავლა. გინა თუ
ვითარ იერუსალიმს წარვიდა. ანუ თუ კუალად ვითარ მოიქცა. და

35 ეტყოდა ვითარმედ „განგებულებითა ღმრთისაჲთა იქმნა შეკრებაჲ
ჩუენი და ჯერ-არს რათა ვჰმადლობდეთ ღმერთსა:“

4 სიმრავლესა A. — რამეთუ] რად A. — 8—9 ხოლო... ეძიებდა] ხოლო
მას ენება ნუგეშინის ცემაჲ. არამედ ვერ ძალ-ედვა მცირედსაცა ჟამსა დღესას-
წაულისა მის აღსრულებჲჲ რათამცა არა იგლოვდა B. — 12 აღთქუმულისა] საქ-
მისა B. — ითხოვდეს < B. — 18 და მოვედით < B. — 20 მისსა] + და B. —
25 გლოვითა B. — 34 იწ'ლიმს AB. —

5. ენიკიის მთაბზე, ტ. VII.

28. ესე ყოველი რაჲ ესმა მის-გან. გალობათა მადლობისათა შესწირვიდეს ქველის-მოქმედისა ღმრთისა და ბრწყინვალე დღესასწაული
 C 110^b აღასრულეს და ხვალისაგან კუალად შემდგომი დღესასწაულისა და
 ესრეთ საქმით სრულ-ყვეს წესი იგი მადლობისაჲ მრავალთა ზრო-
 ხათა და ცხოვართა დაწყუედითა. და ყოველნი იგი შემოკრებულნი 5
 B 223^a კეთილად ისტუმრნეს. და მათ თანა იხარებ|დეს და ეტყოდეს. ვი-
 თარმედ „მხიარულ იყვენით ჩუენ თანა და გიხაროდენ. ჰ საღმრთონო
 კრებულნო. და ერნო ძორწმუნენო: [რამეთუ] ძმად ესე ჩუენი მკუდრად
 შერაცხილ იყო ჩუენ მიერ და განცოცხლდა. და წარწყმედულად სა-
 გონებელ იყო ჩუენ მიერ და ბრწყინვალედ იბოვა:“ 10

ამათ ესევეთართა ვმათა მიერ ჰმადლობდეს ღმერთსა და აღი-
 დებდეს. და ვინაჲთგან სიხარულითა და მხიარულებითა აღივსნეს.
 ყოელისა მის სიმრავლისა თანა მათ თანა დადგომად ევედრებოდეს
 ძმასა თუსსა. და ეტყოდეს ვითარმედ „კმა არს შენდა გარდასრულისა
 A 170^a მისცა ჟამისა განშორებაჲ და განწირვაჲ ჩუენი ესოდენთა წელთა 15
 სიგრძესა. და გლოვითა და მწუხარებითა განღვევა ჩუენი: ამიერი-
 თგან დაადგერ ჩუენ თანა და აღვიზენოთ შენ დასაყუდელი ვითარცა
 ჯერ-გიჩნდეს და მას შინა შეეყენე. და ყოველივე მსახურებაჲ [შენი]
 ჩუენ მიერ აღესრულებოდენ:“

29. ხოლო ტიმოთე იხილა რაჲ ესოდენისა სიმრავლისა ვედრე- 20
 ბაჲ. და მღდელთა და მოწესეთა შევრდომიჲ. არა ინება შეწუხებაჲ
 ძმათა თუსთაჲ. არამედ უბრძანა მათ შენებაჲ და ვითარცა მსწრაფლ
 აღესრულა საქმე იგი. შეაყენა თავი თუსი. და პირველთა ღუაწლთა
 და მოღუაწებათა კელ-ყო: და მარხვითა და ლოცვითა და მღუძარე- 25
 ბითა და სხუათა მათ სათნოებათა მიერ უხორცილთა ცხორებასა
 B 223^b ჰბაძვიდა. და მათდა მიმართ ხედვითა ბრწყინვალედ წარემატებო|და
 და ფრთოვან იქნებოდა:.

ესევეთართა რაჲ მოღუაწებათა შინა იყოფებოდა და საღმრთოთა
 მადლთა მიერ განაბრწყინებდა სულსა თუსსა: და არა ღმრთისა ხოლო
 სიყუარულითა ოდენ ეტყინებოდა. არამედ მოყუისისაჲთაცა. რამეთუ 30
 ამათ ორთა წმიდათა მცნებათა ძუელი და ახალი შჯული დამოკიდე-
 ბულ არიან: რამეთუ არა ჯერ|-იჩინა შარავანდედთა მადლისათა და-
 ფარვაჲ და განათლებისა მოქენეთა ბნელსა შინა დატევებად: არამედ
 უფროდსლა სათნო იყო სანთლისა სასანთლესა ზედა დადგმაჲ. და
 ტალანტისა განმრავლებაჲ უმეტეს: რამეთუ სათნო და საყუარელ 35
 ღმრთისა იგი არს რომლითა გლახაკთა კელის-აპყრობაჲ იქმნებოდის.
 ვითარცა იგი სახიერი ყოველთავე სწყალობს და ფუფუნებს. რო-
 მელი ესე კეთილად უწყოდა ტიმოთე. ამის-თუსცა მკუდრთა მათ მის
 დაბისათა და გარემო ყოელით-კერძო მომავალთა მოძღუარ კეთი-

9—10 საგონებელ| საგალობელ A. — 16 გლითა B. — 17 დასაყუდებელი
 B. — 30 ოდენ<B. — 33 დატევება B. — 34 ზედა<B. —

- ლისა ექმნებოდა: და საღმრთოთა მათ მოძღურებათა მისთა მიერ. და განმანათლებელთა სწავლათა. გონიერ იქმნეს ყოველნი და განისწავლნეს და იყო ხილვად დაბისაჲ მის არა ვითარცა დაბისაჲ: და არცა მკვდრთა მისთა ვითარცა ერის-კაცთაჲ არამედ ვითარცა მონაზონთაჲ.
- 5 რამეთუ გონიერებაჲ და მოღუაწებაჲ კეთილად შეეტკებო. და მათითა მით შრომითა და აღსრულებითა განშუენდებოდეს: სინანულისა მიმართ სურვიელ იყვნეს: მარხვისა და ლოცვისა შეკუართულ და სათნო ღმრთისა საქმეთა მიერ კეთილთა და რათამცა ქველის-მოქმედებითა და კეთილის-ყოფითა გლახაკათაჲთა მოწყალე და სახიერ B 224^ა
- 10 ყვეს ოჯახალი:.
30. ესენი უკუე ესრეთ რაჲ წარემართებოდეს და განბრწყინდებოდეს სათნოებათა შინა. დუმნა-მე-ა მოპოვნეხელი იგი ბოროტისაჲ და მამაჲ შური საჲ, ნუ იყოფინ. არამედ ყოველსავე ღონესა A 170^ბ ეძიებდა და შორის შემოვიდა მთესვარი იგი ღუარძლისაჲ და მარტივთა ვიეთმე შური და ჯდომაჲ შთაუთესა და მცირედლა და ძმათაცა მისთა შეატოკნინ რაჲმე: რამეთუ რომელნიმე ზუაობად და რომელნიმე შურად აღჭურნა ყოვლად-ბოროტმან ეშმაქმან: და ესრეთ თქსთა სათნოებათა [მიერ] ურთი-ერთას მჯდომად აღადგინნა. რამეთუ ენება მცირისა ნაბერწყალისა მიერ დიდისა საკუმილისა აღტყინებაჲ
- 15 არაწმიდასა მას და თქსთა მიერ აზმნობდა დაწყებასა ბრძოლისასა. C 111^ბ
- 20 რათა შეაშფოთოს წმიდაჲ იგი:.
- ხოლო წმიდამან მან კაცმან მეშფოთეთა მათ მშჯდობისა მოგებაჲ უბრძანა. და მოსწრაფეთა მათ სიმდაბლისა და მყუდროებისაჲ: არამედ ვინაჲთგან ცილობისა მიმართ მიდრეკილად იხილნა იგინი. და
- 25 ამბოხებისა მოყუარედ და ურჩად სწავლათა მისთა. ადგილისა მის-გან წარსლვად განიზრახა. რამეთუ ერჩდა იგი ოჯახლსა. რომელი იტყვს: ვითარმედ „უკუეთუ თუალი შენი დაგაბრკოლებდეს შენ. აღმოიღე მთ 5, 29 იგი და განაგდე შენ-გან“. და შემდგომი:.
- ხოლო თუ ვითარ შეენდო მას ამის საქმისა წელყოფაჲ, რათამცა
- 30 თანაწარსადინელსა სწავლათა მისთა ცხოველს-მყოფელთასა დანერგულნი დაუტყენა. და სხუად კერძო წარვიდა: არა გარეშე საღმრ- B 224^ბ თოჲსა განგებისა იქმნა საქმე ესე. არცა ცუდად და ამოოდ: რამეთუ ენება ღმერთსა რათა წინამძღუარ ანგელოზებრივისა მოქალაქობისა მრავალთაჲსა გამოაჩინოს ტიმოთე. და [რათა] არა ერის-კაცთა ხოლო
- 35 აქუნდეს იგი მაცხოვრად. არამედ რათა მონაზონთაცა და მარტოდ მყოფთა წინამძღუარ და მასწავლელ იქმნეს. და სულთა მათთა მოღუაწებაჲ ერწმუნოს:.

8 სათნო ღმრთისა B. — 16 შეატოკნინა A. — რამეთუ <B. — ზუაობად] წყობად B. — 19 დიდსა საკუმილსა A. — აღტყინებაჲ] აღტყნა B. — 22 მეშფოთეთა A. — 32 არცა] არა A. — 33 ანგელოზებრისა B. —



31. ამას რად უკუე საქმესა გელ-ყო. აგრძნეს ძმათა მისთა და მდაბიურთა და ყოველივე ცილობად და ჯდომად დაუტევეს. და ყოველივე მეყსა შინა შემუსრვილითა გულითა ტირილით შენდობასა ითხოვდეს მათ მიერ ქმნულთა მათ-თჳს გარდასრულთა ცთომათა და ყოვლისა მის მიზეზსა მტერსა მიაჩნებდეს და იტყოდეს. ვითარმედ 5
 „უკრძალველობითა ჩუენითა შთავცვნიით ზაკუევით შეთხზულთა მათ საბრკვეთა მტერისათა“. და მერმე გოდვებისა [და ტირილისა] ჳმად აღუტევეს და თქუეს: ვითარმედ „ჴ დაჭირვებად ესე და ჴღვევად და 10
 C 112^a უნუგეშინისცემოდ განსაცდელი. უკუეთუ გუგვულების განმანათლებელთა მოძღურებათა შენთა-გან დაკლებად და სასოწარკვეთილებითა დანთქმად:“

ესე ვითარნი რად საწყალობელნი ჳმანი აღმოთქუნეს ცრემლით ევედრებოდეს წმიდასა მას. რათა კაცთ-მოყუარებისა ღმრთისა მსგავსებითა არა დაუტევენეს იგინი ოქრად. არამედ რათა მის მიერ და- 15
 A 171^a ნერგულნი იგი ახალნერგნი სწავლათა თჳსთა წყლითა განაპოხნეს: 15
 B 225^a

32. ხოლო საკვრველსა მას და ჳეშმარიტად მონასა ღმრთისასა ტიმოთეს მსწრაფლი იგი მოქცევაჲ მათი დაუკვრდა. და მრავალთა მათ ვედრებათა მათთა მიერ იძულებულ იქმნა. და მოდრკა წყალობად. და მიერჩდა ნებასა მათსა. რათა არა წარვიდეს. გარნა ესე ხოლო ითხოვა მათ-გან. რათა განშორებულადრე დაბისა მის-გან შეუმზადონ საყოფელი შფოთთა-თჳს და ამბოხებათა ერისათა: ~ 20

ხოლო მათ ჰრქუეს ვითარმედ „ვინაჲთგან მახლობელად ჩუენსა გეწყინების ყოფად სიყუარულითა დაყუდებისაჲთა. გუაქუს ჩუენ ადგილი მარჯუე მყუდროდ და უვალი განშორებულად დაბისა-გან: ჳეყსა მას შინა სადა იგი დიდისა მოწამისა გიორგის ტაძარი შენ არს: მუნ 25
 უკუე ჯერ-არს აღშენებად სენაკისა შენისაჲ: და ყოველივე მსახურებაჲ შენი ჩუენ ჴედა იყავნ. ხოლო შენ საწადელისა მის შენისა დაყუდებისა ნაყოფითა იშუებდი ვითარცა გთნდეს:“

ესრეთ ღირსმან მან კეთილი იგი ნებაჲ მათი მიითულა. და ღირსი მრავალთა საუნჯეთა და სიმდიდრეთაჲ და უაღრესი მორჩილებაჲ თჳსი 30
 ნაცვალად მისაგებელად მიაგო მათ. და უბრძანა რათა ადგილსა მას სუეტი მაღალი აღუშენონ. და შემდგომად მცირედისა ბრძანებაჲ მისი საქმით აღასრულეს. და ვითარცა სრულ იქმნა შენებაჲ სუეტისაჲ მის. ყოველი კრებული გარემოთა მათ სოფელთა და დაბათაჲ შემოკრბა. მდდელთა თანა და მოწესეთა. და ესრეთ გალობითა და ლოცვითა აღი- 35

C 112^b ყვანეს მას ჴედა ტიმოთე: რომელსა ჴედა ილუაწა ვიდრე სიბერედმდე. |
 B 225^b და მიუწოდომელნი შრომანი და მოთმინებანი აჩუენნა: ~

ხოლო სიმრავლემან მან მორწმუნეთამან ლოცვაჲ მისი უბიწოდ ვითარცა საღმრთოდ საჭურველი მიიღეს. და სავსენი სიხარულითა სახედ თჳსად წარვიდეს და ჳმადლობდეს ღმერთსა: 40

2 მდაბითა B. — 6 თხზულთა B. — 20 ითხთა B. — 26 ჯერ არს] იჩინე B. — 40 თჳსა A. —

33. ხოლო ნეტარმან მან მალალი იგი და ანგელოზებრივი ცხო-
რებაჲ და ზეცისა მოქალაქობაჲ აღიღო და ძალითი-ძალად აღსლვითა.
და მჭურვალედ მოღუაწებითა თავსა სათნოებათასა მიიწია და განსა-
კრთომელთა სასწაულთა აღსრულებასა ღირს იქმნა რამეთუ რომელი
5 იგი მსახურთა თჳსთა შრომისა სასყიდელსა მიმნიკებელი არს ღმერთი:
ვინათგან დედის მუცლით-გან გამოიძრჩია ესე ჭურად რჩეულად. არა
ინება თჳსისა მის მოღუაწისა მადლთა და საკრველებათა მისთა-გან
დაკლებად. არამედ უფროდსლა მის მიერ საკრველყოფად. და ამალ-
ლებად სახელისა მისისა წმინდისაჲ ჯერ-იჩინა:.
- 10 ამისთჳსცა წყაროდ დაუწყუეღელი მადლთა საღმრთოთაჲ აღ- A 171^b
მოეცენა ტიმოთეს მიერ. არამედ საკრველებათა მისთა სიტყუად
ჟამისად გუელოდენ. რათა თჳსსა ჟამსა ბრწყინვალედ წარმოვთქუათ
და ცხად ვყოთ სიმაღლე და დიდებულებაჲ მათი: . ხოლო აწ შემდ-
გომი იგი სიტყუად პირველთქუმულთაჲ მათ ჯერ-არს აღწერად:.
- 15 რამეთუ ვითარცა აღვიდა სუეტსა ზედა დიდი იგი მოღუაწე
ღმრთის-მსახურებისაჲ მეორედ სუეტად ნათლისად გამოაჩინა თავი
თჳსი. უმტკიცეს უსულოდსა მის მდგომარედ. და სულიერი იგი ბუ-
ნებით უსულოსა მას ერეოდა დგომითა და მოთმინებითა და სიმტკი-
ციითა და შეურყველობითა წყობასა შინა და კუეთებასა სულთა უკე- B 226^a
20 თურთასა. რომელნი იგი დასცნა და იოტნა სიგერავით-ურთ მათით: .
და მსგავსად მთიებისა ბრწყინვალისა შარავანდენი თჳსნი|ყოვლით- C 113^a
კერძო მიჰფინნა და ყოველნი განანათლნა. და ხილვად თჳსად ყო-
ველთა მოუწოდა რომელი იგი საზარელ და საშინელ იყო ეშმაკთა: .
ხოლო მისდა შევედრებულთა და მისდა მომავალთა მორწმუნეთა სა-
ფარველი მტკიცე და შესავედრებელი და ნავთ-საყუდელი მყუდროჲ: .
25 ტკბილ სიტყუთა და საკრველ საკრველთ-მოქმედებითა. და ყოველ-
თავე სათნოებათა მიმართ მხედველ: . ამის-თჳსცა მრავალთა მის მიერ
დაუტევეს შეუებაჲ სოფლისაჲ. და მონაზონებისა ცხორებაჲ შეიტკბეს
და მახლობელად წმინდისა მის უდაბნოსა ზედა იწროებით ცხორებაჲ
30 აღიძრეს და უფროდს ბრწყინვალეთა ტაძართასა ტალავართა შინა
უნდოთა დამკვდრებაჲ უსანატრელეს შეჰრაცხეს: . და განუჳსნელთა
მათ სიყუარულისა საკრველთა მიერ შეკრულთა. და ვითარცა სი-
რინოსისა ჳმისა მიერ. სიტკობებითა სწავლათა მისთაჲთა მოწყულთა.
არღარა თავს-იდვეს განშორებაჲ მისი, არამედ საღმრთოთა მათ სი-
35 ტყუათა მისთა-გან იზარდებოდეს. და ახოვნად ღუაწლთა მიმართ
აღიჭურვოდეს: . რამეთუ ვითარცა წყაროდ დაუწყუედელი საღმრთოთა
მათ წყაროთა მოძღურებისა თჳსისათა. უშურველად აღმოუცენებდა
ყოველთა სანატრელი იგი. და ღმერთ-შემოსილი კაცი. გინა თუ

1 ანგელოზებრივი B. — 6 გამოაჩინა A. — 10—11 აღმოაცენა B. — 22 თჳსა A. — 27 სათნოებისა B. — 32—33 სირინოზსა B. — 36 დაუწყუედელი B. — 37 წყაროთა] წყალთა B — 38 ყოველთა] ყოვლად A. —

ვითარცა საუნჯე სავეს ნიჭთა მიერ პატიოსანთა და კეთილთა და
 B 226^b სა|წადელთა. და არა სიტყუათა ხოლო მიერ ტკბილთა. და სწავლათა
 შუენიერთა მოინადირებდა. სათნოების მოყუარეთა სულთა: არამედ
 მადლითაცა კურნებათაჲთა და სასწაულთა სიმაღლითა ყოველთა
 ნათესავთა განაკვრევბდა. და ხილვად თუსად მოიყვანებდა მორწმუ- 5
 ნეთაცა და ურწმუნოთა. რამეთუ რომელთამე ჯორცთა ვნებასა [გან-
 ჰკურნებდა. და სხუათა სულთა საღმობასა განაშორებდა. და რათა
 C 113^b მოკლედ ვთქუა: არაჲინ იყო რომელიმცა ღირს იქმნა ხილვასა მისსა.
 და არა მეყსეულადმცა სავეს ყოველითა ნუგეშინის-ცემითა მიიქცა
 სახილ თუსად: რამეთუ ბრმათა აღუხილვიდა. და განრღუეულთა 10
 განჰკურნებდა. და ურწმუნოთა მოაქცევდა. ხოლო მორწმუნეთა გა-
 ნამტკიცებდა: და დაჰსნილთა მოსწრაფე ჰყოფდა. ხოლო მოსწრაფეთა
 განამჰვნობდა. და ყოველთავე სათნოებად მოიზიდვიდა და სავენებელთა-
 გან განაშორებდა:.

34. ხოლო ვინაჲთგან ქადაგებამ სათნოებისაჲ ტრფილთა 15
 მისთა მოიზიდავს: არცა ყრმათა მათ პირველმოკსენებულთაჲ ჯერ-
 იყო თანაწარსლვაჲ: რომელნი იგი ვიდრე სამოძღუროსლა იყო ტი-
 მოთე და შეესაკუთრნეს. და მოშურნე ექმნნეს უმანკოსა მას ცხორე-
 ბასა მისსა და სათნოებასა: და ზიარ სწავლისა და წურთილებისა მი- 20
 სისა იქმნნეს: რამეთუ მსგავსად კეთილისა ქუეყანისა მარჯუე იყვნეს
 შეწყნარებად თესლსა სიტყუსასა და აღორძინებად ნაყოფსა სათნოე-
 B 227^a ბათასა: რამეთუ ვინაჲთგან ჰამბავი საკვრველებათა მისთაჲ ყოველით-
 კერძო განისმა. და სათნოებანი და მოქალაქობამ მისი ყოველთა
 მოიზიდვიდა: საკვრველთა მათცა მოყუასთა. ყოველთავე სოფლისა
 საქმეთა-გან იჯმნეს: და ღმრთივ-წოდბულნი თავით თუსით ტიმო- 25
 თესსა მოვიდეს. და შეუდგეს მოძღურებასა და სასწაულსა მისსა: და
 არა ჟამ რავედნენე მოირწყნეს. წყალთა მათ-გან სულეერთა აღმომ-
 დინარეთა პირით მისით: არამედ ყოველსავე ცხორებასა მათსა მორ-
 ჩილებასა შინა მისსა მოთმინე იქმნეს: და წინამძღურობასა ძმათა და
 მონასტრისასა მის მიერ ღირს იქმნეს: ესენი უკუე ესრეთ საჭიროსა 30
 მას ჯორცთა ზრუნვასა და საურავსა ზრუნვიდეს. ხოლო იგი სულთასა
 და ძალითი-ძალად ამადლებასა განკრძალულ იყო: და მალალთა მათ
 C 114^a ხედვათა მიერ იშუებდა: და წყაროდსა მის-გან უკუდავებისა აღმოივ-
 სებდა სასწაულთა და საკვრველებათა უფსკრულსა: და უმაღლეს და
 უმაღლეს აღემატებოდა. და საღმრთოთა ჩუენებათა და გამოცხადე- 35
 ბათა მიერ განათლდებოდა. რამეთუ ლოცვისა და ხედვისა დაცადებამ
 სწავლისა-გან ხოლო და სარგებელისა ძმათაჲსა იქმნებოდა: ხოლო
 სარგებელისა მის მათ მიერ ქმნილისა სიტკბობამ დაცადებასა ყოვ-
 ლადვე არა თავს-იდებდა:.

35. და ესე მცირედი თქმულ არს მოსაქენებელად ცხორებისა 40
 მისისა შემსგავსებულად უძღურებისა ჩუენისა: რამეთუ ბრწყინვალისა
 მის ცხორებისა მისისა შემსგავსებული სიტყუანი უაღრეს არიან

- ძალისა ჩუენისა და მიუწდომელ ჩუენ მიერ: და თუ რავედენნი ბრძოლანი B 227^b
და ძლევენი აჩუენა მტერთა მიმართ უხილავთა: და თუ ვითარ კად-
ნიერებად მოიგო ღმრთისა მიმართ. რომელსა იგი საკრველებათა
ხოლო მისთა-გან აქუს გამოცხადებად გონიერთა-თჳს. ხოლო სიტყვთ
5 უწყებად მისი შეუძლებელ არს: გარნა წუთლა მელოდენ სიტყუად.
მათის მის უწყებისაჲ. და თჳსსა ჟამსა ყოველივე მიგითხრათ: ხოლო
აწ მცირედლა შევსძინოთ თხრობასა ამას. და მერმე დავაცადოთ
სიტყუად ჩუენი:·
- რამეთუ ესრეთ განაბრწყინვა სათნოებათა მიერ მოქალაქობაჲ
10 თჳსი ვიდრელა პირველთა მათცა წმიდათა განთქუმულთა წარჰჳდა
და დაფარნა. რამეთუ სიწმიდესა მას მისსა თანა მალალსა და გულის-
სიტყუათა-განცა მიუახლებელსა. კნინ არს და უნდოდ სიწმიდის-
მოყუარისა მის იოსების-თჳს თქუმული უწყებაჲ: რომლისა მიერ იქმნა
სამკვდრებელ ღმრთისაჲ. რომელმან გამოირჩია ესე სიჩჩოდთ-გან
15 ჭურად უბიწოდ და სამკვდრებელად მადლთა მათ თჳსთა მიუწდო-
მელთა:·
- ხოლო კუალად განკითხვად და გულის-ხმის-ყოფად უხილავთა
და ხილულთა საქმეთაჲ. და ცხადთა და დაფარულთაჲ ვინ მოიგო
ესრეთ:· და მარცხენით და მარჯვენით მრავალფერთა მათ კუეთებათაჲ C 114^b
20 ვინ ცნა ესრეთ ზედამიწვევით და უცთომელად:· რომელი არა უხი-
ლავთა შეატყუებდა. და მომავალთა სცნობდა. ვითარცა დანიელ: არა-
მედ ვითარცა მხილველი და მოქმედი. ესრეთ განუმარტებდა ყოფადთა
მათ საქმეთა აღსრულებასა:· და კუალად სიმჯნესა მისსა თანა. რაჲ
იყო სიმჯნე იგი სამფსონისი: რომელი არა ხილულთა უცხოთესლთა
25 წყობასა ერეოდა: არამედ უჩინოთა მათ|და უხილავთა უცხოთესლთა B 228^a
ბანაკებსა მარადის მოსრვიდა და იოტებდა:· ეგრეთვე ბუნებისა
უგულებელს-ყოფითა. და შრომათა მოთმინებითა. იობს წარემატა.
რამერუ არა მცირედსა ჟამსა არამედ მრავალსა. და ყოველსავე ცხო-
რებასა თჳსსა. ჯუარცმულ იყო მოღუაწებითა:· რამეთუ აურაცხელ
30 იყო მოღუაწებათა მიმართ სურვილი მისი: და ფრიად უაღრეს მათსა.
რომელთა იგი ყოველივე ღონის-ძიებაჲ აჩუენან აღსრულებისა-თჳს
გულის-თქუმათასა. და შემშუალვისა-თჳს საწადელთა გემოთაჲსა:·
რომელთაჲ უკუეთუ თითოეულად ვინებოთ წარმოთქუმაჲ. დამაკლდეს
ჩუენ ჟამი მითხრობად სათნოებათა მისთა: რომელნი იგი საიდუმლოდ
35 აღსრულებოდეს მის მიერ. და მხოლოდსა ხოლო ღმრთისა საცნაუ-
რად: ამის-თჳსცა ადგილვსეცთ საქმესა ამას. და ვითარცა შეუძლებელსა
თანა წარვჰვდეთ: და სიტკობებისა მიმართ საკრველებათა მისთაჲ|სა A 172^a
წიად-ვგდეთ:· რამეთუ ბრწყინვალე იგი ცხორებაჲ მისი და მაღალი
მოქალაქობაჲ. რომელი ვიდრე დიდად სიბერედმდე აღასრულა.
40 ჩუენ-განცა მიუწდომელ არს და გამოუთქუმელ და სხუათა მიერცა:



36. რამეთუ მარტივად და ლიტონად ვპოვეთ აღწერილად ცხორებად მისი სარკინოზულითა წერილითა. და მოსწრაფე ვიქმენით ბერძულსა ენასა თარგმანებად მისსა არა მძლავრებითა და შემკობითა სიტყუათაჲთა. რომელთა მიერ არცა ერთი იპოვების კეშმარიტებაჲ. არამედ ლიტონად. ვითარცა ოვფალმან მომცა სიტყუად. რომელი იგი 5
 B 228^b არს ყოველთა [კეთილთა] მიზეზი|. რამეთუ ჩუენ არცა თუ გუაქუნდა
 C 115^a ძალი სიტყუისაჲ შემსგავსებული. | დადაცათუ ფრიად გუენება. რომელი ესე უსწავლელ ვართ და უმეცარ: ხოლო განგრძობილთა და განფენილთა თხრობათა შემოკლებულად აღწერაჲ ვირჩიეთ. რათა არა საწყინო იქმნეს მსმენელთა. და ამის ყოვლისა-თჳს ვადიდებდეთ მა- 10
 მასა და ძესა და წმიდასა სულსა სამგუამოვებით [და ერთარსებით] დიდებულსა ყოვლად-წმიდასა სამებასა ღმერთსა ჩუენსა. რომლისაჲ არს დიდებაჲ აწ და მარადის და საუკუნეთა მათ დაუსრულებელთა უკუნითი უკუნისამდე ამინ:.

სასწაულნი ტიმოთესნი

თ ა ვ ი ა

კაცი ვინმე იყო აგარეანთაგანი. ტყუექმნულ ვნებითა სიძსაჲთა. და უძრესი ესე იყო. რამეთუ არა თჳსსა დაბასა. არამედ სხუასა რომელსამე მახლობელსა მონასტრისასა აქუნდა ჩუეულებაჲ არაწმი- 20
 დებისაჲ მის: . იხილა რაჲ ესე წმიდამან ტიმოთე. სხუათა მრავალთა თანა ხილვად მისსა მოსრული გულის-ხმა-ყო მადლისა მიერ სა- ღმერთოჲსა არაწმიდებაჲ იგი კაცისაჲ მის და მოუწოდა მას. და ამ- ცნებდა განყენებად არაწმიდებისა მის-გან. ხოლო იგი ფუტციდა და უარ-ჰყოფდა. და იტყოდა. ვითარმედ „უბრალო ვარ მე ესევითარისა საქმისა-გან:“ ხოლო წმიდამან მიუგო და ჰრქუა მას. ვითარმედ 25
 „ჩუენდა უმჯობესისა და კეშმარიტისა სწავლაჲ მცნებად შენდა და სწავლაჲ სამართალ არს: . ხოლო შენ უკუეთუ არა გუერჩდე იხილო დიდებაჲ მისი. რომელი იგი დაფარულთა საიდუმლოთა გამოუცხა- დებს მორჩილთა თჳსთა: .“ ხოლო მან არცა სწავლანი მისნი მიი- 30
 B 229^a თულანა. არცა შინებათა მისთა|-გან შეძრწუნდა. რამეთუ ურწმუნო იყო: . და კუალად რამეთუ ესე[ვითარი] ვნებაჲ კადნიერ ჰყოფს და დამთვრალ და განცოფებულ სულსა მის მიერ წარტყუენულსა. და ყოველნივე ვნებანი სულიერნი ესრეთ არიან. რაჲამს ეუფლენ და

1 ვპოვეთ B. — 3 თარგმანებასა A. — 10 ამის < B. — 20 ესე < B. — 25 საქმისა-გან] ბრალისა-გან B. — 27 უკუეთუ < B. — არა] + თუ B. — 32 წარტყუენულსა] წარწყმედულსა A. —



წარტყუნონ კაცი:• გარნა კრძალ|ვითა წმიდისაჲთა მიერთგან A 172^b
 არლარა ეგრეთ განცხადებულად წარჰვლინ გზასა მას. არცა ნათელსა
 შინა დღისასა. რამეთუ მახლობელად წმიდისა მის წარ|ივლებოდა C 115^b
 გზად იგი. არამედ საქმეთა მათ ბნელისათა. ბნელსა შინა უკუნსა ინება
 5 აღსრულებად. ნაშობმან მან წყუდიადისამან:• ვინაჲცა მწუხრსა ერთსა
 უკუნსა აღიკაზმა ცხენი თვისი. და ამგედრდა მას ზედა და ვიდოდა
 გზასა მას. და ვიდრე არლა მიწვეულ იყო დაბასა მას. სადა იგი
 იყო ბილწი იგი და არაწმიდაჲ დედაკაცი. მეყსეულად ძალი რაჲმე
 ანგელოზებრივი ეჩუნა მას. ხილვითა ელვართა. და სცა მას და
 10 ცხენსა მისსა:• ხოლო წმიდამან აგრძნა მადლისა მიერ საღმრთოჲსა.
 რაჲ იგი იქმნა. და უბრძანა მოწაფეთა თვისთა. ვითარმედ „წარვედით
 წინაჲმე ჩუნსა კევსა ამას და საწყალობელი იგი აგარეანი. რომელსა
 მრავალგზის ვამცენით განშორებად ბოროტისა-გან და არა გუერჩადა.
 ჰპოოთ იგი დაცემული. რამეთუ ანგელოზმან ოჯღლისამან სცა მას:
 15 და მოიყვანეთ იგი აქა:•“
 ხოლო ძმანი იგი წარვიდეს. და ვითარცა მიეახლნეს. უწოდეს
 მას სახელით. და არა იყო სმენაჲ არცა ჳმაჲ. და არ|ცა ცხენსა მისსა B 229^b
 თანა ძალი მოძრავობისაჲ:• ხოლო ძმანი იგი უღონო იქმნეს და არა
 უწყოდეს რაჲმცა ქმნეს. მაშინ მიიქცეს წმიდისაჲე და აუწყეს მას
 20 განსაცდელი იგი:• ხოლო მან მოილო წყალი კელითა თვისითა და აკურ-
 თხა იგი და მისცა მათ და უბრძანა. რათა აპკურონ მის-გან ცხენსა
 მისსა. და მას ზედა აღსუან და მოიყვანონ მისსა. ხოლო მათ ყვეს
 ეგრეთ ვითარცა უბრძანა მათ:• და პკურებითა მით წყლისაჲთა.
 ცხენი იგი პირველსაჲე ძალსა თვისსა მოვიდა: ხოლო კაცი იგი და-
 25 ცემული. განწმელი. და ყოვლისა გრძნობისა-გან დაკლებული. აღსუეს
 მას ზედა და მოიყვანეს მისსა ძლით. იხილა რაჲ იგი წმიდამან მან.
 უბრძანა დადებაჲ მისი ქუეყანასა ზედა. და მოილო წყალი და გა-
 მოსახა ნიში ჯუარისა ცხოველმყოფელისაჲ და ილოცა მას ზედა.
 და მერმე უბრძანა დასხმაჲ მისი მას ზედა. და ვითარცა იქ|მნა ესე C 116^a
 30 და დაცემულსა მას წყალი იგი შეეხო. მეყსეულად განცხოველდეს
 საცნობელნი მისნი და იწყო სმენად და ჳრახვად. და რომელი იგი
 უსულოდ საგონებელ იყო მტკიცედ ჳრახვიდა და იტყოდა. „შემიწ-
 ყალე [მე] მონაო ღმრთისაო. საწყალობელი ესე და უბადრუკი და
 ყოვლისა შენდობისა უღირსი. ჰე წმიდაო მამაო. შემიწყალე ძკრუ-
 35 ცსენებელად:• ვცოდე ცად მიმართ და წინაჲმე შენსა. რამეთუ უსჯუ-
 ლოებაჲ ჩემი ტყუელითა დაფეარე. ვითარცა|უგუჳურმან და უგულის- A 173^a
 ხმომან და ცოფმან. რომელი იგი დაფარულთა მხედველსა გამოეც-
 ხადა შენდა:•“ და მერმე წარმოთქუა. ვითარ იგი ღამე წარემართა
 და ვიდრე ჳე|ვამდე მივიდა და ვითარ იგი მეყსა შინა ძალი საღმრ- B 230^a

3 წარივლინებოდა B. — 4 ინება| განიზრასა B. — 8 მეყსეულად| მეყსა
 შინა B. — 19 ანგელოზებრი B. — 13 ჩემბა A. — 19 ყვეს B. — მას<B. — 23 ეგ-
 რე B. — 25 დაკლებული+და A. — 36 ტყუელითა B. — 39 კვეადმედ B. —

თომ სუეტისა მის დამართებით გამოუბრწყინდა და მოწყლა იგი სასიკუდინედ და უსულოდ. და უძრავად დასცა იგი ქუეყანასა ზედა:•

ხოლო წმიდამან ჰრქუა მას. ვითარმედ „აჰა ესერა ცოცხალ იქმენ. ნულარა სცოდავ. რათა არა უძრესი [რადმე] გეყოს შენ:“ და იგი იტყოდა. ვითარმედ „ნუ იყოფინ ჩემდა ამიერითგან გარდასლვამ მცნებისა შენისაჲ. სანატრელო და წმიდაო მამაო“. და წარვიდა და აღიდებდა ღმერთსა და წმიდასა მას მსახურსა მისსა ჰქადაგებდა:•

არამედ უცხოთესლთა და აგარენთა მიმართ. თუ ვითარი იყო სიტყვთ მასწავლელი და საკვრველებათა მიერ განმაკრთობელი: რა- თამცა განეშორნეს ბოროტსა. მრავალთა-გან ერთი ესე ხოლო გვთქუამს:• ხოლო მოწაფეთა-თჳს და მორწმუნეთა თუ ვითარ მოღუაწე და მზრუნველ იყო. და რამეთუ არა უდებ ჰყოფნ მათ. არამედ ჰმო- ძლორინ და ასწავებნ. და ამხილებნ. და შეპრისხავნ. წინამდებარემან სიტყუამან საცნაურ ყოს:•

15.

8

მოვიდა ოდესმე წმიდისა მის ხალკიდოესა ეპისკოპოსი: რათამცა იხილა იგი და კურთხევამ მისი მოილო. და ვითარცა შეეშთხვნეს ურთი-ერთას: და საღმრთოთა სიტყუათა მიერ მრავალქამ განიშუეს. და აღსასრული სიტყუსაჲ სახედ თჳსა წარსლვასა აწუეგდა ეპისკო- პოსსა:• ერთსა ძმათაგანსა ფართულად მოუწოდა ეპისკოპოსმან და ჰკითხვიდა მას ვითარმედ „ვინაჲ აქუს ძმათა საკმარი ჯორცთაჲ. ანუ თუ რაჲ არს|შემოსავალი მონასტრისაჲ“. და ვითარ იგი უთხრა ძმა- მან მან. ვითარმედ „არარაჲ ესევეითარი აქუს მეუფეო:“ მოიქცა წმი- დისა და ჰრქუა მას: „ვევედრები სიწმიდესა შენსა მამაო წარმოაგ- ლინენ ჩემ თანა ორნი მოწაფეთა შენთაგანნი. რათა სამეუფოესა მის-გან და ზოგადისა ნიჭისა საღმრთოესა. რომელი საზრდელად და საკმარად ჯორცთა ჩუენთა მოეცემის: მოართუან ძმათა ამათ და შვილთა შენთა:•

ჰრქუა მას დიდმა ტიმოთე. „კმა არს ჩუენ გლახაკთა-თჳს ხილ- ვადცა შენი. და გვედრებით რათა ლოცვა ჰყო ჩუენ-თჳს. რომლისა იგი ფრიად მოქენნ ვართ და უმეტეს და უფროჲს საკირვოესა მის ჯორცთა საკმრისა. ვინაჲთგან ესევეითართა საზრდელითა გამოი- ზარდების სული. და უალრეს საზრდელთა მათ|ჯორციელთა რომელნი ზრდიან ჯორცთა. ამის მიერ გამოგუზარდენ ჩუენ. რათა უნა- კლულოდ ვეგნეთ მარადის:• ხოლო სხუათა მათ საკმართა-თჳს არა- რაჲ საბრძანებელ არს ჩუენდა ზრუნვაჲ: რამეთუ იტყუს ოჯვალისა „ნუ ზრუნავთ ხვალისა-თჳს“. და კუალად. „ვითარმედ იცის მამან თქუენმან ზეცათამან რაჲ იგი საკმარ არს თქუენდა:“ და ეპისკოპოსი კუალადცა

მთ 6, 34
მთ 6, 32



ვეედრებოდა და ეტყოდა. ვითარმედ „ჩუენდა ჯერ-არს ძალისა-ებრ მსახურებაჲ და შეწევნაჲ შენი. დღაცათუ შენდა არაჲ საჯმარ არს: და შენდა ჯერ-არს სმენაჲ და მორჩილებაჲ ჩუენი ძმათა ამათ-თჳს. რათა არა ზრუნვიდენ“. ძლით უკუე ერჩდა ნეტარი იგი. და ვითარცა

C 117*

5 იჯმნეს და მშუდობაჲ დაუტევეს ურთი-ერთას. უბრძანა წმიდამან. რათა ორნი|ძმანი წარჰყენენ თანა:·
და|ვითარცა საეპისკოპოსოდ მიიწინეს. მისცა მათ წმიდამან

B 231*

10 ეპისკოპოსმან ოქროჲ და ვეცხლი არამცირედი და საზრდელი თუთო-სახე საჯმრად ჯორცთა მათთა. და მათ მოიღეს ყოველივე იგი და უკმოიქცეს მონასტრად. და ვითარცა მოვიდეს ერთმან მათგანმან ძლე-ულმან ფერითა ოქროჲსაჲთა. იპარა ოქროჲსა მის-გან და ეგრეთვე მეორემან ვეცხლისა მის-გან დამალა რაოდენიმიე:·

ხოლო ვინაჲთგან მონასტრად მოიწინეს. შიშმან შეიპყრნა იგინი. ნუ უკუე ცნას წმიდამან. რაჲ იგი ქმნეს მათ დაფარულად. და

15 ნაცვალად კურთხევისა წყევაჲ მოიღონ. ესე განიზრახეს. და თუთო-ეულმან მათმან დადვა თჳსსავე ადგილსა. რომელი იგი ეპარა. და მიართუეს ყოველივე წმიდასა [მას]:· ხოლო იგი დაღაცათუ ჯორ-ცითა არა იყო მათ თანა. არამედ სულითა მათ თანა ვიდოდა და ხედვიდა რასა იგი იქმოდეს:· დადვა ოქროჲ იგი და ვეცხლი წი-

20 ნაშე მათსა და ჰრქუა. „შვილნო ჩემნო. არცა ერთი ზიარებაჲ არს ნათლისაჲ ბნელისა მიმართ. არცა სათნოებისაჲ უკეთურებისა მიმართ:· რამეთუ არაჲინ არს ტრფიალი უნივთოთა მათ კეთილთაჲ. რომელსა ერთგზის ნივთიერნი ესე შეურაცხ ექმნენ და კუალად ტრფილებითა მათითა წარიტყუენოს. უკუეთუშცა ესევეითარმან მან შეუძლო უბრწ-
25 ნელთა მათ და უხილავთა კეთილთა მიმთხუევად. ვითარცა იტყჳს ოჯვალნი. ვითარმედ „ვერვის ძალ-უც ორთა ოჯვალთა მონებად“. მთ 6, 24 და შემდგომი:· აწ უკუე განიშორეთ თქუენ-გან ყოველივე მზაკუარნი გულის-თქუმაჲ. და ვეცხლის-მოყუარებისა დამონებული ტყუეობაჲ|·
30 უბრწნელებათა ღირს იქმნენთ:·“ და მერმე მოიღო ოქროჲ იგი. რომელი მოეპარა ძმასა მას. ეპა საკურველი თუთ-მებრ იგი. და ეგრეთვე ვეცხლი იგი რი|ცხსა მის-ებრ. რომელი მიეღო მეორესა მას. და მისცა [იგი] მათ და ჰრქუა:· „რომლითა იგი ვიძლეოდით და [გინა თუ] გჯმდეს. ჯერ-არს რათა ვითხოვდეთ. და ეგრეთ მოვიღებდეთ შვილნო.
35 საჩინოდ და ცხადად და უბრალოდ: და არა იღუმალ და პარვით“:· ხოლო იგინი ლმობიერ იქმნეს. და კეთილად მოქალაქობდეს: და მიერთგან არღარა იძლინეს წარმწყმედელისა მის-გან სენისა ვეცხ-ლის-მოყუარებისა: და არცა რას იქმოდეს თუნიერ ნებისა და განზ-რახვისა წმიდისა მის. რამეთუ ესრეთ ასწავებდა მათ და ჰმოდღურდა:·

B 231*

A 174*

C 117*

3 მორჩილებაჲ < B. — 13 მოვიდეს; მოიწინეს A ხემოდან ჩაწერილია. —

19 იქმოდეს+და A. — 24 ვევეითარმან B. —

სხუანი ორნი მოწაფეთა მისთაგანნი წარივლინნეს ქრისტეს-მო-
ყუარისა ვისმე ქუეყნის-მოქმედისა მიმართ იქელისა-თჳს. და ვითარცა
მიიწინეს სახედ კაცისა მის. ებრძანა მათ პატივით დასხდომად და
განსუენებად. და მერმე უბრძანა მეუღლესა თჳსსა დაგებად მათდა
ტრაპეზი. და განვიდა იგი საჯლით საჯმრისა-თჳს სათაჩადოჲსა: 5

ხოლო დედაკაცმან [მან] დაუგო მათ ტაბლაჲ. და რაოდენიმე
საზრდელი. და წარემართა მოღებად პურისა და ნეშტისა საჯმრისა.
ხოლო მონაზონნი იგი არცა პურთა მათ ელოდეს. არცა სახლის-
უფალსა მას ქუეყანის-მოქმედსა. არამედ თჳნიერ მადლობისა და
B 232^a ლოცვისა. მეყსეულად იწყეს ჭამად. რომელი იგი ეგო წინაშე მათ|სა. 10
მოვიდა უკუე დედაკაცი იგი. და მოიხუნა პურნი იგი. და იხილნა
იგინი ესრეთ უწესოდ მჭამელად და ჰრქუა მათ. „ჴ პატიოსანო მა-
მანო. რადსათჳს იქმთ შეუმსგავსებელსა მოქალაქობისა და წესისა
თქუენისასა: რამეთუ არა ჯერ-იყო თქუენი პირუტყუთა მიმსგავსებაჲ.
რომელნი იგი პირმეტყუელნი ხართ და შემკობილნი წესითა ანგე- 15
ლოზთაჲთა და თჳნიერ ლოცვისა და კურთხევისა ჭამაჲ. არამედ
პირველად მადლობისა შეწირვაჲ მისსა. რომელი იგი მოსცემს მშვიერთა
საზრდელსა. და ჩუენ რათამცა ლოცვითა და კურთხევითა [თქუენითა]
C 118^a განგუამტკიცენით და გუასწავეთ ეგრეთვე ყო|თად. სახისა მის თქუე-
ნისა:“ 20

ამას რაჲ ეტყოდა გონიერი იგი დედაკაცი გონიერად და სიმშუ-
დით. მხილებისა წყლულებითა მოწყულენი უგულისხმოებასავე ზედა
მათსა ეგნეს და არცა შენდობაჲ ითხოვეს. არამედ სიტყუაჲ იგი
შეურაცხ ყვეს და მოიქცეს მონასტრადვე:

და მეყსეულად მოძღუარმან მათმან მოუწოდა მათ. და რისხვით 25
A 174^b ამხილებდა მათ და ეტყო|და: „ესრეთ აღუთქუთა ღმერთსა. ᴨ უგუ-
ნურნო. ოდეს იგი მიიღებდით ანგელოზებრივსა სქემასა. რათა უწე-
სოდ და უჯეროდ იქცოდით წინაშე ერის-კაცთასა და აგინებდით
შესამოსელთა თქუენტა. რათა მეგლთა. ვითარცა ცხოვართა. გაჩუე-
ნებდეს: ხოლო მე უბადრუკსა ამას მრავალთა ცრემლთა მომატყუე- 30
ბელ მექმნებოდით“.

ხოლო მათ ესმა რაჲ ესე. ცრემლით და გოდებით ქუეყანასა ზედა
დაცვეს. და ცდომისა თჳსისა შენდობასა ითხოვედეს. და აღუთქუ-
მიდეს. |რათა არღარა ოდეს აჩუენონ ესევეთარი უგუნური გონებაჲ: 35
B 232^b ხოლო მამამან [მან] კეთილმან და ტკბილმან მისცა მათ შენდობაჲ. და
შეიწირა სინანული მათი. [და] სიტყუთა სწავლისაჲთა განაკრძალნა
იგინი და საშინელისა მის სამსჯავროჲსა მოკსენებითა ლმობიერ ყვნა

2 ვიდრე A.—13 და<B.—15 შემკულნი B.—19 მის+მიერ A.—27 ანგელო-
ზებრსა B.—28 კაცთასა A.—29—30 განაჩინებდეს A.—37 სამსჯავროსა B.—

- იგინი: სიტყვთ უკუე ესრეთ სწავლიდა მოწაფეთა თჳსთა. ხოლო საქ-
მით უღებ ჰყოფდაა. ნუ იყოფინ: ანუ არა უფროდს ზრუნვიდაა სულ-
თასა. ვიდრე [ლა] გორცთასა. ანუ ვერ შემძლებელ იყოა მოშურნე იგი
ღმრთისაჲ. და უწყალოჲ მსაჯელი ცოდვისაჲ ზედამოსლვასა მას
5 ბოროტთასა დაყენებად. ჰქ ჰემმარიტად. არამედ ვითარცა იგი
ბრძენნი მკურნალნი სნეულთა მიმართ იქმან. და ოდესმე სიმშჯდით.
და ოდესმე სიფიცხით საღმობასა მას სნეულთასა ჰკურნებენ. ეგრეთ-
ვე ესე სამგზის სანატრელი მამაჲ იქმოდა: რამეთუ ახალთა და C 118^b
უმეცართა სიმშჯდით და ტკბილად ასწავებენ. და წარმატებულთა და
10 მოლუაწეთა განამწობენ. ხოლო შეურაცხის-მყოფელთა და ურჩთა
სწავლინ სიფიცხით და ამხილებენ თუალუხუად. რამეთუ ყოვლისავე
უჯეროდსა საქმისა მამხილებელ იყო და მკურნალი ჯელოვანი. ვი-
თარცა წინამდებარემან ამან სიტყუამან საცნაურ ყოს: ~ ~ ~

დ

- ქაბუკი ვინმე მონაზონი სავმრისა რაჲსა-თჳსმე წარვიდა მორწ-
15 მუნისა ვისმე ქუეყანის-მოქმედისა და შეწყყნარებულ იქმნა მის მიერ
პატივით. რამეთუ ქრისტეს-მოყუარე იყო კაცი იგი. და ვითარცა
იწყეს სერობად. განმხრწნელმან კეთილისამან და მოშურნემან კაცთა
ნათესავისამან ვერ თავს-იღვა ხილვაჲ სულიერისა მის ტაბლისაჲ. B 233^a
არცა სიწმიდით შუებაჲ მკამელთაჲ მათ: არამედ ეჴა მისი იგი სი-
20 ბოროტე. რამეთუ სამკედურად ცოდვისა იტუმიჲ იგი. ვინაჲთჳან მო-
ნაზონი იგი მზაკუარებთა მისითა წარიტყუენა და მყის წარწყმედაჲ
ეგულეზოდა მისი და განხრწნაჲ. და ქუესკნელთა ჯოჯოხეთისათა
შთაჯდაჲ. დაუკუეთუმცა არა მადლსა ღმრთისასა. რომელი მკვდრ A 175^a
იყო წმიდისა ტიმოთეს თანა. მოეხილა მოწაფესა მისსა ზედა. და
25 ბოროტი იგი დაეჯნა. საუკუნეთამცა სატანჯველთა მიცემულ იყო
საწყალობელი იგი:

- რამეთუ იყო ქუეყანის-მოქმედისა მის ასული შუენიერ. რომელი
იგი იხილა რაჲ მონაზონმან მან. იწყლა სიკეთითა მისითა. და წამ-
უყვნა მას საქმედ უჯეროდსა. და ვითარცა არს ნათესავი დედათაჲ
30 მცთომი და აღრემისადრეკელი. თანა ეწამა უბადრუკი იგი თუალყო-
ფითა ბილწებისაჲთა. და ესრეთ წარჰმართნა იგინი მაცთურმან საქ-
მედ ბოროტისა. გარნა. ვითარცა ვთქუთ. შეწევნითა ღმრთისაჲთა
აღსრულებად ბოროტისა ვერ უძლეს. რამეთუ დაჰჯნა იგი მადლ-
მან წმიდისამან: რამეთუ ვითარცა შეკრბეს უბადრუკნი იგინი. C 119^a
35 მეყსეულად ისმა ვითარცა ჯმაჲ წმიდისაჲ მის სახედ ქუხილისა. რო-

7 საღმობასა მათსა B. — 11 თუალუხუად A. — 12 კელაანი B. —
19—20 სიბოროტე < A. — 24 მოწაფისა მისისა B. — 27 შუენიერი B. —
29 საქმე B. — 35 ისმინა A. —

მელმან დასტეხნა სასმენელთა მათთა და ეტყოდა: „ვამ შენდა საწყალობლო. ტყუექმნულო ეშმაკისაო.“² ესევეითარი რაჲ წამად ისმა. ზარმან შეიპყრნა ორნივე და შეძრწუნდეს: და განეშორნეს ურთი-
 B 233^b ერთას: ხოლო მონაზონი იგი აღივსო შიშითა და სირცხვლითა და კდემული მიიქცა მონასტრადვე. გარნა ჩუენებად წმიდისა [მის] 5
 ვერ უძლო:.

ხოლო საღმრთომან მოშურნემან მან ცნა რაჲ მოსლვად მოწაფისად განადო სარკუმელი თვსი, და მოუწოდა მას. და მკსინვართა სიტჯთა ეტყოდა მას რისხვით: „შ განხრწნილო გონებითა. და ღირსო გოდებათაო, ვინმცა არა მიგცა შენ ვაებად, რომელი ესევეითართა 10
 ამით წესითა ესრეთ მოკიცხულ იქმენ. და განხრწნილ და წარტაცებულ წარწყმედილისა მიერ. და საცინელ და საკდემელ ეშმაკთა. ვითარ წარიტყუენე ხედვისა მიერ უაღჯროდსა და უსირცხვლოდსა და არა მოიწყალ მხილებული სჯინდისისა-გან. ანუ ვითარ უგულვებელს-
 ჰყავ სული შენი და მოჰკალ საძაგელისა და ბილწისა გულის-თქუმისა 15
 მიერ. და არარადსა და კნინისა გემოდსა და იძლიე, და წარსწყმიდე და იქმენ მორჩილ ეშმაკთა. და ურჩ და წინააღმდეგომ მცნებათა სახარებისათა: ესე იყოა უტყუველი იგი აღთქუმად შენი, რომელი აღუთქუ ღმერთსა. შეიმოსდი რაჲ წმიდასა მას და ანგელოზებრივსა სქემასა. წარვედ ამიერ და განეშორე ასპარეზსა ამას მოლუაწეთასა. 20
 განეშორე ამიერ და შეერთე მწყობრსა მსგავსთა შენთა მედგართასა.
 A 175^b რათა არა ძლეულებითა შენითა, ექმნა სახე სიჩუკნისა და მოშიშვებისა მოლუაწეთა. რამეთუ „განხრწნიან წესთა კეთილთა ზრახვანი ბო-

1 კორ, 15,33 როტნი:“ ~ ~

C 119^b ესევეითარნი რაჲ მხილებანი ესმნეს ძმასა მას კაცისა მის-გან 25
 ღმრთისა. იწყლა გონებად მისი, და სულთ-ითქუნა სიღრმით გულისა-
 B 234^a სადთ. და გოდებითა | მწართა ჰგოდებდა თავსა თვსსა, და გორვიდა ქუეყანასა ზედა და იტყოდა: „შემინდვე შ მამაო ღმერთშემოსილო. სასოწარკვეთილსა [ამას]. შემინდვე უბადრუკსა ამას, და მოქენესა 30
 კურნებისა შენისასა. დამასხ წაშალი სინანულისაჲ, და დააყენე სენი ესე წრტიალი. პირველ შეხებამდე სატკივართა მათ ასოთა სულისათა. და პირველ შთავრდომადმდე ჩემდა სასოწარკვეთილებად. განმკურნე განრღუეული ესე სულითა. ვითარცა ბრძანებს სჯული საღმრთოჲ.“
 და ეგრეთვე სიმრავლე იგი ძმათად ევედრებოდა:.

იხილა რაჲ ესე წმიდამან მან, და სახიერმან მამამან, და წესმან 35
 და კანონმან სინანულისამან და ესმნეს გოდებანი და სულთქუმანი ბისნი და ვედრებაჲ იგი ძმათად: მოდრკა წყალობად წყალობის-მოყუარე იგი სული მისი და შემსგავსებულნი სიტყუანი ნუგეშინის-ცე-

2 ეშმაკისაო] მაცთურისაო B. — 8 ესმა A. — 3-4 ურთიერთარს A. — 5 მუნახტრადვე A. — 8 მას<B.— 17 და] ხოლო A.— 18 უტყუველი B. — 19 ანგელოზებრსა B. —

მისანი. და მის ჟამისა მომზავებელნი უბრძანა მას. რომელმან იგი კეთილად უწყოდა ყოველისავე საქმისა ჟამი და თუ ოდეს ჯერ-არს სიმშუდე და გინა სიფიცხე. და მტკიენისა და ტკბილისა წამლისა და-
 5 დეზაჲ. სიტკბოებით ეზრახა მას და მიზეზი საცთურისაჲ მის მაც-
 თურსა ზედა დადვა. და თქუა ვითარმედ „ადვილ არს აღდგომაჲ. უკუეთუ ოდენ ვინებოთ“. და ესრეთ ასწავა და ამხილა. და ნუგე-
 შინის-სცა. და წესი და კანონი განუჩინა და გონიერ ყო იგი:•

ხოლო მან ჟამ რავდენმე ისმინა მისი და ერჩდა მას. და მერმე
 კუალად თუსსავე ნათხევარსა მიექცა. რამეთუ მცირედი რაჲ ნაბერწ-
 10 ყალი პოოს ცეცხლსა მას გულის-თქუმათასა აღმაგზებელმან. მცირედ-
 მცირედ ბერვითა მისითა. დიდსა საჯუმილსა აღატყინებს და ესე
 აქუს ჩუელებად მომპოვნებელსა მას ბოროტთასა და მტერსა ჭეშმა-
 რიტებისასა მათ შორის. რომელთა არა ილუაწონ ფრიადითა გამო-
 წულიღვითა და სიფრთხილითა აღმოფხურად ძირთა მათ ვნებისათა.

15 მიმდემისა სინანულისა მიერ. და აღსარებისა:•
 ესრეთვე უკუე შეემთხვა ამასცა. რამეთუ ურჩ ექმნა მამულთა
 მცნებათა და ზრახვისა და აღრევასა ერის-კაცთასა და თანაქცევასა
 დედათასა მიექცა რამეთუ არა ჰქონდა მას საფუძველი შიშისა
 ღმრთისაჲ:•

20 [ხოლო კეთილმან მან მწყემსმან იხილა რაჲ. რამეთუ მზა იყო
 შესაჰმელად მგეცთა: ესევეთარი ღონე იძია ცხორებისა მისისაჲ. და
 ესრეთ დაჰყარა იგი მგეცსა მას სულთა მომსრველსა. რომელსა იგი
 ფრიადი მოლუაწებაჲ ეგზარებოდა. და დიდი შრომაჲ:• გარნა მძიმე
 იგი და ძნიალ წარსამართებელი საქმე ადვილად შესაძლებელ იქმნა

25 წმიდისა მის მიერ: რომელმან იგი კეთილად იძია ცხორებაჲ მისი.
 თანაშეწვევითა მადლისაჲთა და სიტყუსა მისისა აღსრულებითა:•
 პირველად უკუე მოუწოდა კაცმან მან ღმრთისამან ძმასა მას. და ას-
 წავებნ და შეჰრჩულავნ და ევედრებინ. და ამხილებნ და ჰმოძღუ-
 რინ. ხოლო ვინაჲთგან თუსსავე სიმედგრესა ზედა ეგო. და არა ერჩდა

30 ტკბილთა მათ მცნებათა მისთა: მერმე მოუწოდა და ჰრქუა მას: „აჰა
 ესერა ესოდენი ჟამი წარვვადეთ სწავლასა შინა შენსა. და ვერ შე-
 უძღლეთ სიფიცხესა გონებისა შენისსა მოდრეკად. და უწესოებასა შენსა
 წესიერ ყოფად: ამიერითგან უმჯობეს არს შენდა. რათა შემსგავსე-
 ბული ქცევისა და ცხორებისა შენისა სწავლაჲ დაითმინოქსაწუთოსა

35 ამას და არა საუკუნოდ დაისაჯო:• ხოლო ვინაჲთგან ცხორებასა
 შინა ჩემსა ვერ მოვითმენ ჰირთა შინა ულხინებელთა ხილვასა შენსა.
 არარას განვაჩინებ შენ-თუს: ხოლო შემდგომად აღსრულებისა ჩემისა.
 იყავნ. ყოველი გუამი შენი განრღუეულ და ყოველნი ასონი შენნი
 რომელთა მიერ წარიპარა გონებაჲ შენი. დაიჯნანს მათ-თუს განმზა-

C 120*
B 234*

B 235*

C 120*

2 უწყოდნა A. — 3 მტკიენისა B. — 8 რაოდენმე B. — 9 ნათხევსა A. —
 16 ესრეთ B. — ამათცა A. —

დებულება იგი სატანჯველი. და ესრეთ ცხონდეს სული შენი. უნებ-
ლით და ვითარ იგი არა გინდეს: და განერე. მეძაგთა-თს და არა-
წმიდათა განმზადებულსა მას მწარესა და უწყალოსა დაშჯასა. და
საშინელსა განჩინებასა:.”

- ესე უკვე შემდგომად სიკუდილისა თვისისა მოწვენადი ტანჯვად 5
ამისთვის ჯერ-იჩინა წმიდამან მან. და ჭეშმარიტად დიდმან ნების-
მყოფელმან ღმრთისამან: ერთად რამეთუ ვინაფთვან გარდარეული
სიყუარული აქუნდა მოყუასისაჲ. ვერ თავს-იდებდა საწყალობელსა მას
ხილვასა მისსა ვითარცა თავადმან ბრძანა განუჩინებდა რაჲ ზემო-
კერძო: და მეორედ რათა მისცეს მას ჟამი და მიზეზი და დროჲ 10
სინანულისაჲ: და კუალად რათა არა რომელთამე ვითარცა წყაროჲ
დაუწყუდელი აღმოუცენებდეს კურნებასა. ხოლო იგი განილეოდის
ძვრთა შინა და მან არა მიხედნეს და არცა შეიწყალოს: რომელი
ესე შეუძლებელ იყო წყალობის-მოყუარისა მის სულისა მისისა-გან.
და შეწყალებაჲ იგი ჯორცთაჲ. კურნებასა სულისა მისისა ფრიად ავ- 15
ნებდა: და დააკლებდა: და რომელი იგი უმჯობეს იყო წინაფთვე ეუწყა
მაღალსა მას სათნოებითა. ვითარცა იგი თვისცა სიკუდილი პირველ
B 235^b მისისა სიკუდილისა გულის-ხმა-ყო: და კუალად რათა საკვრველებად
დიდად დაუტეოს იგი შემდგომად სიკუდილისა თვისისა და უცხოდ
დასაფლველად; რამეთუ ვითარცა იგი სხუათა ჯორციელთა სენთა 20
კურნებაჲ აღმოუცენა ჟამსა მას. ეგრეთვე ამას სულიერი და ფრიად
უადრესი ჯორცთაჲ: რამეთუ ვითარცა ჯორცთა-გან განვიდა წმი-
დაჲ იგი. მეყსეულად მასვე ჟამსა წყალობაჲ იგი შეეხო კაცსა მას.
და იყო საკვრველი და შესაძრწუნებელი მხილველთაჲ და საზარელი
ფრიად: თუ ვითარ მყისსა შინა განირღუა. და დაყროლდა გუამი მისი. 25
C 121^a და დააკლდა საცნობელთა-გან და სიმრთელისა: რომელი იგი ვნე-
ბულსა მას ექმნა მიზეზ სიწმიდისა. ხოლო სხუათა შიშისა და ზა-
რისა. და ყოველთავე ერთბამად საქებელ და სადიდებელ ღმრთისა:.
თქსთა უკუე მოწაფეთა თუ ვითარი მოლუაწე იყო და მზრუნ-
ველბ და კეთილად მეძიებელი ცხორებისა მათისაჲ: ანუ თუ რომელნი 30
იგი დაადგრიან ცოდვასა შინა და ურჩებასა. მწურთელი და სახიერი
მკურნალი სულთა მათთაჲ. კეთილად საცნაურ ყო აწლა წარმოთქუ-
მულმან ამან სიტყუამან: ხოლო ჯერ-არს სხუათა-თსცა უცხოთა. და
შორიელთა უწყებდა. რამეთუ იგივე შური აქუნდა მათ-თსცა. და
ეგრეთვე ასწავებნ. და ჰკურნებნ სულთა და ჯორცთა მათთა:.” 35

3

- დაბასა შინა. რომელსა ბაზატუნ ეწოდების. კაცი ვინმე იყო
მდიდარი. და ბრწყინვალე მონაგებითა. და ესუა მას მეუღლე შჯუ-
ლიერი: ესე კაცი გარდაჰკდა შჯულსა ქორწინებისასა. და იმრუშა
B 236^a სხსა ვისმე დედაკაცისა თანა და ესუა მის-გან ძე: და კუალად შეს-

ძინა ძკრი ძკრსა ზედა. და არაწმიდაჲ იგი დაამკვდრა შჯულთიერისა მის მეუღლისა თვისისა თანა. ხოლო მან არა თავს-იდგა მეძვისა მის თანა მკვდრობაჲ. არამედ აუწყა წმიდასა მას: ხოლო ცნა რაჲ ესე კაცმან მან ღმრთისამან კანონითა ფიცხლითა განაკანონა კაცი იგი:

5 ხოლო იგი თვთცა თავით თვისით. და სხუათა მიერცა ევედრა წმიდასა მას. ვედრებითა და წიგნებითა მრავლითა. და აღუთქუა მას შენანებაჲ საქმისა მის-თჳს: ხოლო ჳეშმარიტმან მან მოშურნემან ღმრთის-მსახურებისამან. არა თავს-იდგა სმენად ტყუილითი იგი აღ-
 თქუმაჲ მისი არამედ ასწავებდა მას სიტკბოებით და ჰრქუა. ვითარ- A 176*

10 მედ: „[ჰ] კაცო. მოიჯსენე საშინელი იგი სამშჯავროჲ და ცეცხლი იგი გეჰენისაჲ და მატლი დაუძინებელი. და წარვედ სახედ შენდა. და განჯადე მიერ მეძავი იგი [და] მიეც მას რასა იგი ბრძანებს შჯული საწმუნოებისაჲ. რამეთუ უმჯობეს არს შენდა: რათა შჯულიერი ესე დაჰირვებაჲ შეგემთხვოს. უფროჲს ვიდრეღა თანაწარუვალი C 121^b

15 იგი. და შეუნდობელი და უწყალოჲ განჩინებაჲ მოიწიოს შენ ზედა. და მერმე მიეც თავი შენი სინანულსა რათა მოწყალებ გექმნეს ღმერთი. და მერმეღა ღირს იქმნე შენდობასა:.

ხოლო იგი არა ერჩდა განშორებად უკეთურისა მის-გან ნებისა თვისისა. არამედ რეცა გესლისა მის წამოთხევაჲ იჩემა სინანულისა

20 მიერ. ხოლო შინაგან მრავალღონისა მის გუელისა გულარძნილთა განზრახვათა მიერ შეპყრობილ იყო და რათა ესეცა ვთქუა. ბოროტისა მის თანაშემწისა მინდობითა. რომელ არს სიმდიდრე. |უცხა- B 236^b

რეს და უბოროტეს იქმნა უსჯულოებისა მიმართ: ვინაცა მღდელთ-
 მოძღუარსა ანტიოქიისასა მოუჯდა. და ყოველივე ღონე ვედრებისაჲ

25 აღძრა მისსა მიმართ. რამეთუ ჰყვეს მის თანა შემწედ მეგობარნი და მლიქნელნი არამცირედნი. რომელთაგანნი რომელნიმე ზაკუევით ჰფარვიდეს ბრალსა მას: და რომელნიმე. ვითარცა შეცოდებულსა. შენდობასა აწუევედეს: და კუალად სხუანი განაზრახებდეს. ვითარმედ პატროსნებისა-თჳს. და შერაცხილებისა. ღირს არს იგი შენდობასა.

30 უკუანაქსენელ ერჩდა მათ მღდელთ-მოძღუარი და მიწერა წმიდისა მის წიგნი რომელსა წერილ იყო სახე ესევეითარი. ვითარმედ „სიტკბოებით და წყალობით თანაგუაჲ მხილებაჲ დაჯსნალისა ამის ნათესავისა ჩუენისაჲ. და სწავლაჲ. პატროსანო მამაო. რათა ოდესმე შეუნდობდეთ უძღურთა გონებითა. და ოდესმე ვსწავლიდეთ წყა-
 ლობით. რამეთუ ძლიერთაჲ ძლიერად ჯერ-არს განკითხვაჲ. ხოლო უძღურთა შენდობაჲცა რაოდენი რაჲმე ეგებოდის. და შეჰგვანდის. რათა არა სიმძიმითა შერისხვისაჲთა ცთომითა-თჳს და სიმძაფრითა კანონთა და განკითხვათაჲთა. სასოწარკუეითილ იქმნენ შეცთომილნი: აწ უკუე ამათ მიზეზთა-თჳს. ლმობიერ იქმნა სიგლახაკე ჩუენი. და
 40 მრავალთა პატროსანთა და საჩინოთა კაცთა. და წინამძღურობასა

10 იგი <B.—

6. ენიმკი-ს მოამბე, ტ.VII.



ღირს ქმნულთა ვედრებად მივითუალე კაცისა ამის-თჳს და ვერჩიღი
 C 122^a თხოვასა მათსა: და წიგნისა | ამის ჩუენისა მიერ ვევედრებით სიწ-
 B 237^a მიდესა | შენსა. რათა შეუნდო და აღუსუბუქო კანონი შენი: და შემს-
 A 176^b გავსებული წამალი და | სდვა წყლულებასა მისსა. რათა ლოცვითა შე-
 ნითა განმტკიცებულსა მოწყალე ექმნას ღმერთი. და შეუნდვნეს შე- 5
 ცოდებანი მისნი:“

შეიწყნარა რაჲ წმიდამან წიგნი ესე მწყემსთ-მთავრისაჲ. და
 გულის-ხმა-ყო ძალი წერილისა მას შინა. დაუკჳრდა და თქუა: „ეჳა რა-
 ბამლა არიან ღონენი მტერისანი. და ვიდრემდის არა დასცხრა სივე-
 რაგეთა თჳსთა განფენად:“ და მოხედნა კაცსა მას. რომლისა-თჳს 10
 მიეწერა წიგნი იგი და ჰრქუა მას. ვითარმედ „ჰ კაცო. დაღაცათუ
 აქა მზაკუფარებით და სიმანქანით მეოხნი და მოხუაიშენი აღადგინენ.
 და შეწვენასა კაცთასა მიენდვე. და გნებაეს განრომაჲ ბრალისა მის-
 გან. რომლითა შეპყრობილ ხარ. ვინმე გამოგინდეს შენ მუნ. თჳსითა 15
 შუამდგომლობითა მესნელად ჳირთა მათ-გან და ურვათა. რომელთა 15
 არა აქუს ნუგეშინის-ცემაჲ. სადა იგი საქმენი ბნელისანი ცხად იქმნე-
 ებრ 4, 31 ბიან. სადა იგი „ყოველნივე შიშუელ და ქედღადრეკილ იკვნენ“ სადა
 1 კორ 3, 13 იგი „თუთოეულისა საქმენი ცეცხლითა გამოიცადებინ“ და ამას ყოვე-
 ლადვე და ყოველთა-თჳს ბრწყინვალედ ჰქადაგებენ წმიდანი წერილნი
 და მარადის ასწავებენ:• ხოლო აწ ჩუენდა რაჲ იგი ჯერ-არს ქმნად. 20
 წინააღმდგომ და მჯღომ არს გონებისა ჩუენისა. გარნა შეუძლებელ
 არს მღდელთ-მთავრისა ბრძანებათა ურჩებაჲ. დაღაცათუ ურჩებაჲ
 მძიმე არს საღმრთოთა შჯულთა შეურაცხოფილთა უგულვებელს ყო-
 ფაჲ: გარნა ყოველსავე ზედა მიგცემ შენ. და დედაკაცსა მას. დრ|ოსა
 B 237^b შუდთა დღეთასა. რათა განიზრახოთ უმჯობესი: აწ უკუე წარვედ 25
 სახედ შენდა და შეიწყალე თავი შენი და განიშორე სიბნელე თუალთა-
 გან სულისა შენისათა და განაგე'ცხორებაჲ ვითარცა ქრისტეანემან და
 მერმე მოვედ და მათუწყე ნებაჲ შენი. და დასასრული განზრახვისა
 C 122^b შენისაჲ. და ესრეთ ღირს | იქმნე საწადელისა შენისა მიმთხუევად:“

ესრეთ წარვიდა კაცი იგი სახედ თჳსად: ხოლო სახისა განგებაჲ 30
 არა იზრუნა ყოვლადვე. და ვითარცა აღესრულნეს შუდნი იგი დღენი
 დროჲსანი. კუალად მოვიდა წმიდისა მის. და კუალად მასვე ითხოვდა
 და შეუცვალვებელი იგი ნებაჲ თჳსი საანჯმრო ყო და დაამტკიცა.
 ხოლო წმიდამან და ღმერთმემოსილმან მამამან. იხილა რაჲ მოუდ-
 რეკელი იგი გონებაჲ მისი. ჰრქუა მას ვითარმედ „შვილო ბრძანე- 35
 ბისა-ებრ წყემსთ-მთავრისა ჩუენ-გან შენდობილ იყავნ: ხოლო ღმერთ-
 მან მხოლომან. ვითარცა სათნო არს წინაშე მისსა. ეგრეთ განიგუ-
 ლენ შურის-გებაჲ შჯულისა თჳსისაჲ. რომელმან იგი მრავალსახედ
 უწყის სწავლაჲ ჩუენი და წყალობაჲ და ვსნაჲ ბოროტთა-გან. და

7 ესე| იგი A. — 13 გენებაჲს A. — 18 გამოცადებინ A. — 21 შენისა B. —
 22 მღდელთ მოძღურისა B. — 29 იქმნა A. — 35 მისი+და B. —

ველთა-გან მტერისათა მოტაცებაჲ. და ესე ადრე ყოს გამოუთქმე- A 177^ა
ლითა მით განგებულებითა თვისითა:“

და ვითარ იგი ამათ სიტყუათა ეტყოდა: აჰა ესერა ერთი ვინმე
მსახურთა მისთაგანი მოვიდა. და მეძვისა მის დედაკაცისა სიკუდილი
5 აუწყა მას. ეჰა საკრველი განგებაჲ ღმრთისაჲ. ეჰა მსწრაფლი იგი
შურის-გებაჲ მისი: [უფროდსლა ეჰა კაცთ-მოყუარებაჲ მისი.] რამეთუ
კაცთ-მოყუარებაჲ არს სიკუდილი მათ-თჳს: რომელნი მოუქცეველად
დამტკიცებულ იყვნენ ცოდვასა ზედა. რამეთუ რაოდენცა აღმატე- B 238^ა
ბოდის ცოდვაჲ. ეგოდენცა უღრმესსა ქუესკნელსა. და უმწარესთა
10 სატანჯუელთა ჯოჯოხეთისათა მოატყუებს მოქმედთა მისთა:.

ესე რად დიდებული სასწაული იქმნა. განჰკრთეს ყოველნი და
დაუკრდა. ხოლო წმიდაჲ იგი ჰმადლობდა ღმერთსა. რომელმან
სათნო იყო სახიერებითა თვისითა ჯსნაჲ კაცისაჲ მის და არა შეუნდო
კაცსა ქრისტეანესა წარწყმედაჲ საქმითა მით ბილწებისაჲთა: და
15 ესრეთ რად დაშრტა კაცისა მის უჯგროჲ იგი ცილობაჲ. და წინა-
აღდგომაჲ. საკრველებად საკრველე|ბასა მიუღდა: რამეთუ იყო ძე C 123^ა
მისი შეუნიერებითა სიჭაბუკისაჲთა განშუენებული. რომელი იგი
სულმან არაწმიდამან შეიპყრა და დევნული მის მიერ მეყსეულად
წმინდისა მის წინაშე მოიწია. და საწყალობელად პერეოოდა. და ვა-
20 ლალებდა. და ქუეშე სუეტსა მას წმიდისასა ქუეყანასა ზედა გორ-
ვიდა და ჯმობდა. ვითარმედ „შემიწყალე საწყალობელი ესე. წმიდაო
ღმრთისაო.“

ესე ესრეთ რად გუემული იხილა მამამან მისმან. განკრდა იგი
და განტყდა და განკვზრდა: და დაიჭრებოდეს ნაწლევნი მისნი. და
25 შეიმრლუა ცნობაჲ მისი. და საღ ჯერ-არს თქუმაღ. თუ რასა იგი
იტყოდა. ანუ რასა იგი იქმოდა. ხედვიდა რად საყუარელსა მას და
სასურველსა ძესა თჳსსა. ვარეშე სასოებისა ესევეითართითა მწარითა
ბოროტითა მეყსა შინა შეპყრობილად. რამეთუ იტყოდა იგი გოდე-
ბითა მწარითა ვითარმედ „მე უგუნური ესე და ცოფი. უსჯულოე-
30 ბათა ჩემთა-თჳს. რომელნი ესე ვქმნენ. სამართლად ვიგუემები
მწარითა გუემითა. არამედ შემიწყალე სახიერისა ღმრთისა მონაო. B 238^ბ
და დაჯსენ მოულოდებელი ესე განსაცდელი ჩუენი. და მწარე მწუ-
ხარებაჲ. და მოგუმაღლე ჩუენ შეცოდებულთა ამათ. და დაშვილთა
გონებითა და უღირსთა ჯელი წყალობისაჲ და ჟამი სინანულისაჲ:“

35 მაშინ წმიდამან მან განჰმარტა ზეცად მიმართ ჯელნი თჳსნი და
თქუა: „როველი ეგე სწავლი და კუულად განჰკურნებ. ძკრუჳსენე-
ბელო ქრისტე ღმერთო. განკურნე მონაჲ ესე შენი გუემისა ამის-გან
არაწმიდისა სულისა. რამეთუ ჩუენ თანაგუაჲც დაღაცათუ ვცოდოთ.
რათა კუულად მოვიქცეთ შენდა. და უფროდსლა ყოვლადვე ვცო- A 177^ბ

2 მისითა A. — 4 კაცისა მის მსახურთ განი B. — 25 შეიმრლუა B. —
26 იგი < B. —



დაეთ და განგარისხებთ შენ. არამედ შენ სახიერო ჩუელებისა-ებრ სახიერებათა შენთაჲსა ნუ მოგუაგებ ბოროტთა მათ საქმეთა ჩუენთა მოსაგებელსა:“

C 123^b ესე რად თქუა დასწერა ყრმასა მას სასწაული ჯუარისაჲ. და განიოტა მის-გან ეშმაკი იგი. და ფრიად ასწავა მამასა მისსა. და მისცა მას მცნებაჲ და კანონი სინანულისაჲ. და ძისა თანა განკურნებულისა და გონიერისა სახედ თჳსა წარავლინნა იგინი. და აღიდებდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა:.

ესე უკუე გაუწყეთ თქუენ კაცისა-თჳს ცთომილისა: ხოლო აწ მნებაჲს რათა გაუწყო კაცისა-თჳს ღმრთის-მოყუარისა, და წინააღმდგომად ზემოკსენებულისა ამის ცხორებულისა საქმეთა შინა და სათნოებათა:.

3

იყო ვინმე კაცი ანტიოქელი. ღმრთის-მსახური და მოშიში ოჯღლისაჲ: და აქუნდა მას ცხორებაჲ ბრწყივალე სათნოებათა მიერ და საღმრთოთა მცნებათა განშუენებული. ამას უკუე ეგულებოდა რად განსვლად გორცთა-გან. მასმებრ დღესა|და ჟამსა. ვითარცა აქუნდა ჩუელებად წმიდასა მას. ასწავებდა მოწაფეთა თჳსთა. ცხორებისა-თჳს სულთა მათთაჲსა. და ყოველნი იგი ისმენდეს განმანათლებელთა მათ სწავლათა მისთა და მოძღურებათა. მიიტაცა იგი ხილვად ჩუენებათა. და ვითარცა ჟამი მრავალი წარცდა ჩუენებასა მას შინა. კუალად მოეგო თავსა თჳსსა განკჯრეებისა მის-გან. და იყო პირი მისი ბრწყინვალე და სავსე სიხარულითა: ხოლო ძმანი იგი დაცვეს ქუეყანასა ზედა და ევედრებოდეს მას უწყებად რად იგი ღმერთმან გამოუცხადა საიდუმლოჲ. და ვითარ მრავალჟამ დაედრიკნეს თავნი მათნი ქუეყანად [და დაესხნეს შუბლნი მათნი მიწასა ზედა]. ძლით დაარწმუნეს წმიდასა თხრობად ჩუენებისა მის-თჳს. რამეთუ სძულდა მას კაცობრივი დიდებაჲ. და არა ენება თხრობაჲ სხუათა. რომელ იგი მხოლომან იხილა. და ჰრქუა მათ. ვითარმედ „ჩემდა არა ჯერ-არს საიდუმლოთა ღმრთისათა მათდა უწყებაჲ. რომელთა სახე მსგავს იყოს ძალთა და ღორთა. ვითარცა წერილ

C 124^a არს წმიდასა სახარებასა შინა. ხოლო რომელთა გული იყოს მსგავს ქუეყანასა კეთილსა და სარწმუნეობით|და სურვილით შეიწყნარებდენ. არა სიცონილ არს დიდებისა და მადლობისა ღმრთისა [და] მიზეზთა საქმეთა მათ-გან დაფარვად:“ და მერმე თქუა. ვითარმედ „მან ვინმე მეგობარმან ჩუენმან შეისუენა: და აჰა ესერა წმიდანნი ანგელოზნი. ბრწყინვალითა გალობითა და შესხმითა წინაძღომით ლამპრებითა და პატივითა მხიარულსა აღიყვანებენ ზეცად: და აჰა ესერა სულნელებ

12 ღმრთის-მოყუარე A. — 24 საიდუმლოჲ A. — 29 ჩუენდა A. — საიდუმლოთა A. — 33 საცონელ AB. — 35 ჩემმან A. —

- ბითა აღივსო ყოველივე: ხოლო საქმეთა მისთა | კეთილთა ვითარცა A 178^a
 ძლუნ|სა ბრწყინვალესა წინაშე მისსა. მეუფისა მიმართ ზეცათაჲსა B 239^b
 უსხეულონი იგი ძალნი აღიყვანებენ შესაწირავად. და საუკუნეთა მათ
 შინა საგანეთა მართალთა თანა მის თანავე დაამკვდრებენ: -“ ხოლო
 5 მათ ესმა რაჲ საწადელი იგი თხრობაჲ [მისი] და დაფარულთა მათ
 საუნჯეთა. და ბრწყინვალეთა მოლუაწებათა ღირსი მოსაგებელი.
 აღივსნეს სიხარულითა. და ჰმადლობდეს ღმერთსა. და დღე იგი და
 ჟამი დაისწავეს. და ცნეს რამეთუ მისმებრ ჟამსა შეისუენა საკვრ-
 ველმან მან კაცმან: ვითარცა უთხრა მათ წმიდამან, და მისცეს დი-
 10 დებაჲ ღმერთსა. მაღიდებელსა წმიდათა მისთასა: -
 ხოლო მე სხუადცა წარმოგითხრა საქმე სახარულევანი სასწა-
 ულთა მისთაჲ მაუწყებელი ღმრთივ-განბრძნობილისა მის სიბრძნისა
 მისისაჲ და ღმრთისა მიმართ კადნიერებისაჲ: და რამეთუ არა ხოლო
 თუ წინაჲსწარცნობისა ოდენ და წინაჲსწარმეტყუელებისა მაღლი
 15 აქუნდა არამედ შურიცა მოტყინარე. და კადნიერებაჲ საღმრთოდ
 ფრიადი. და განკითხვაჲ დაფარულთაჲ: -

8

- რამეთუ იყო [ვინმე დედაკაცი]. ძმის ცოლი მისი. და ესუა მას
 ყრმაჲ ჩჩული. და შურითა ეშმაკისაჲთა საგონებელ იყო ყმრისა მის-
 თჳს. თუ სიძვისა-გან უვის იგი: იქმნა უკუე მათ დღეთა შინა დღესა-
 20 სწაული. და ყოველნი იგი მკვდრნი დაბისანი. მამანი და დედანი
 მონასტერსა მას წმიდისასა შემოკრბეს. და ვითარცა ილოცეს ეკ-
 ლესიასა შინა. და აღასრულეს წმიდაჲ ჟამის-წირვაჲ. განვიდეს ყო-
 ველნი წინაშე სუეტსა მას კაცისა მის ღმრთისაჲსა სმენად წმიდისა
 მის სწავლისა მი|სისა. და მოღებად ლოცვისა მისისა. მაშინ წინაშე C 124^b
 25 ყოველთასა გარდამოიხილა წმიდამან მან ზეგა|რდამო, იხილა სძალი B 240^a
 თჳსი. რომელსა ჰყვა ყრმაჲ იგი წიალთა თჳსთა. და ჰრქუა მას. ვი-
 თარმედ „აღმომეც ყრმაჲ ეგე აქა“. ხოლო მას ეგონა ვითარმედ
 კურთხევისა და ლოცვისა მონიჭებად ითხოვს. და მეყსეულად აღგ-
 უარა ყრმაჲ იგი: ხოლო მან მიიქუა ჯელთა თჳსთა. და აღიბყრა წი-
 30 ნაშე ღმრთისა. და აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად და თქუა:
 „მხოლოო. რომელმან უწყნი დაფარულნი კაცთანი და საიდუმლოდ
 კმნილთა საქმეთა არა უმეცარ ხარ: უფალო ღმერთო ჩუენო იესუ
 ქრისტე. ისმინე ჩემი უღირსისა ამის. და აუწყე ყოველთა სასწაულისა
 მიერ საკვრველისა. ყრმისა ამის-თჳს და დედისა მისისა ბრალეულ
 35 კმნილისა. და უკუეთუ არა შვილი არს [მისი] ჭეშმარიტი. არამედ
 სიძვით შობილი. ვითარცა ვიეთნიმე ჰგონებენ ნუმცა მიწვეულ არს

11 სსუაჲ A. — 14 ოდენ<B. — 18 იყო] იქმნა B. — 32 საიდუმ-
 ლოდ A. —

- სულიერი ქუეყანად გან-რაჲ-უტეონ კელთა ჩემთა: ხოლო უკუეთუ
 თავის-უფალ არს დედაჲ მისი ყოვლისა ბრალისა-გან ნუმცა რაჲ
 შეემთხუევა მას საძნაური“. და ესე თქუა. და სტყორცა ყრმაჲ იგი
 ზეგარდამო ვითარცა ქვაჲ. და იყო ხილვაჲ საშინელი. და შესაძრ- 5
 წუნებელი მხილველთა მისთაჲ: რამეთუ ჰაერთა ზედა ვითარცა საყ-
 A 178^b დართა შინა მჯდომარე. | ესრეთ შთამოვიდოდა ყრმაჲ იგი: ხოლო
 დედაჲ მისი იტყებდა და აღუტეებდა ჳმასა ცად მიმართ. რამეთუ
 ჰგონებდა შვილისა თვისისა საყუარელისა სიკუდილსა, არამედ ეჰა
 ყოვლად-ძლიერი იგი მარჯუენად შენი ქრისტე მეთუფეო. რომელი ყო-
 ველთა დაბადებულთა განაგებს და ჰმართებს: ჰ საკვრველი: რამეთუ 10
 უხილავითა ძალითა დაცვული. შთამოვიდა ყრმაჲ იგი უენებელად. და
 B 240^b ვითარცა ქუეყანისა მახლობელად მოვიდა. თვსთა ფერჯთა ზედა
 დადგა და მერმე დედისა მიმართ თვისისა მხიარულებით და ღიმილით
 წარემართა:·
- C 125^a ესე უკუე უცხოჲ სასწაული იხილეს რაჲ ერთა მათ სიხარ ულითა 15
 აღივსნეს და რომელი იგი აღიდებს მადიდებელთა თვსთა ღმერთი
 მისსა დიდებაჲ შეწირეს. ხოლო მტერსა მოშურნესა ჰრცხუნა და
 განქიქნა. რამეთუ სივერაგისა მისისა წინააღმდეგომი შეემთხვა. და
 მისთანავე სირცხლეულ იქმნეს მის მიერ აღძრულნი იგი შემასმე-
 ნელნი მისნი. და ცილის-მწამებლნი, და მოიქცეს. და თვისისა უკე- 20
 თურებისა-თვს და ცოდვისა შენდობასა ითხოვდეს წმიდისა-გან:·
- ესე უკუე სახედ კანდიერებისა მისისა ღმრთისა მიმართ და მაუწ-
 ყებლად წარმოვთქუთ. ხოლო ჩუენ სხუადცა შევსძინოთ ამას ზედა.
 არა უნაკლულეგანესი ამისი საკვრველებითა:·

C

მათ ჟამთა შინა იქმნა გუალვაჲ დიდი და განგრძელდა გუალვაჲ 25
 იგი მრავალჟამ. რამეთუ ვიდრე რვამდე იანვარისა არა გარდამოცდა
 წვმაჲ ქუეყანასა ზედა. და დიდად მწუხარე იყვნეს მკვდრნი ანტიო-
 ქისანი მიმყოფრებისა მის-თვს უწვმროებისა: რამეთუ არა ხოლო თუ
 თესვასა დააკლდეს. არამედ რამეთუ მწუხანცა წარჯნა ქუეყანისა-გან
 და წარიწირა ცხოვრებაჲ კაცთა და საცხოვართაჲ. ვინაჲცა მარადის 30
 ვედრებასა და ლიტანიასა შესწირვიდეს ღმრთისა მიმართ მკვდრნი
 ქუეყანისანი და ყოველსავე ღონესა ეძიებდეს მოწყალე-ყოფად
 ღმრთისა. ხოლო ვინაჲთგან ვერ შეუძლეს მოდრეკაჲ სახიერებისა
 მისისაჲ. რამეთუ წუთლა საჯმარ იყო კაცთა უსჯულოებისა რისხვისა
 მიერ ღმრთისა აღვრ-სხმაჲ:· და კუალად ტიმოთესდა დაუნჯებად: 35

1 გან-რაჲ-უტეონ კელთა-გან ჩემთა B. — 3 შემთხუევა B. — და ესე რაჲ
 თქუ სტყორცა B. — 7 აღუტეობდა A. — 10 ჰმართებს + და B. — 11 დაცუ-
 ლი A. — 18 მისისა| თვისისა B. — 25 ჟამთა| დღეთა B. — გუალვაჲ<B. —
 26 ვიდრე<B. — რვადმდე B. — 28 დაყოვნებისა A. — 31 მიმართ<B. —

- გან|საცდელისა მის დაჯსნად რამეთუ მის მიერ განეგო ღმერთსა სა- B 241^a
 სოებისა კეთილისა მინიკებად მათდა. ვინაჲცა უკუნადსკენელ გულის-
 ხმის-ყოფად მოვიდეს. და უღირსად საჯნეს თხოვისა მის თავნი მათნი
 და თქუეს. ვითარმედ „უკუეთუ ნების-ყოფელმან ვინმე ღმრთისამან
 5 არა ილოცოს ჩუენ-თჳს. ამოი არს შრომაჲ ჩუენი“. და მეყსეულად
 ყოველი იგი სიმრავლე გარემოთა მათ სოფელთა და დაბათაჲ. ერთად
 შემოკრბეს და წმიდისა მის კაცისა მიისწრაფეს. და|წინაშე სუეტსა C 125^b
 მისსა დაცკვეს სიმრავლე შამათა და დედათაჲ. ჩჩლთა მათ თანა. და
 ტირილითა და გოდებითა ფრიადითა|ევედრებოდეს მას. და ცრემ- A 179^a
 10 ლითა დაალტობდეს ქუეყანასა და იტყოდეს: „შეიწყალე მონაო
 ღმრთისაო ერი განწირული და ლოცვითა შენითა დააცხრვე რისხვაჲ
 ღმრთისაჲ და მოწყალე ყავ იგი ჩუენ ზედა. რამეთუ დაღაცათუ
 ჩუენ შევსცოდეთ და განუდექით მცნებათა მისთა. და არა ვართ
 ღირს შენდობისა: არამედ ჩჩლთა ამათ-თჳს და საცხოვართა ღმო-
 15 ბიერ იქმენ და მოდრიკე სახიერებად სახიერი იგი ძრუტსენებელი
 მეუფეჲ. უწყით წმიდაო ღმრთისაო რამეთუ მსწრაფლ შეისმენს იგი
 თხოვათა შენთა და ნუ დაჰხშავ წყალობასა შენსა. არამედ შეიწყალენ
 ჩჩლნი [ესე]. და ნუ თანაწარჰკედები გოდებასა ჩუენსა და ტირილსა
 მათსა“. და ვითარცა ესე თქუეს დაყარნეს ჩჩლნი მათნი წინაშე
 20 წმიდისა მის სუეტისა. და მცირედ განეშორნეს:
 ხოლო კაცმან ღმრთისამან იხილა რაჲ სიმრავლე იგი და ესმა
 გოდებაჲ მათი და ძუძუჲს-მოწოვარნი დათხეულნი წინაშე მისსა. შე-
 წუნნა ფრიად და მოუწოდა ერსა მას და ეტყოდა მათ სი|მდაბლით: B 241^b
 „შვილნო და ძმანო ჩემნო. ვინ ვარ მე უბადრუკი ესე და ცოდვილი.
 25 რომელსა მაწუევეთ ესევეითარისა საქმისა ჯელ-ყოფად. და ვინ უწყის
 ნუ უკუე და არა თავს-იღვას სახიერებამან მისმან ესევეითარი კადნიე-
 რებაჲ და რისხვად თქუენდა აღიძრას ჩემ ძლით. რომელსა არა
 მაქუს კადნიერებაჲ ესევეითარისა ვედრებისა შეწირვად:“ ~ რამეთუ
 ესრეთ ენება წმიდასა მას. რათამცა არა საცნაურ იქმნა საქმე მისი
 30 წინაშე ესოდენისა სიმრავლისა. რამეთუ უფროჲს ყოველთა სათ-
 ნოებათასა თავად აქუნდა სიმდაბლე: ხოლო ერი იგი არა თავს-იღებ-
 დეს. არამედ მრავლითა გოდებითა და ტირილითა აწყინებდეს მას.
 რამეთუ გულსავსებით უწყოდეს. ვითარმედ უეჭველად რაჲცა ით-
 ხოვოს ღმრთისაგან აღუსრულოს იგი მსახურსა მას და ერთგულ|სა C 126^a
 35 მონასა მისსა:
 მაშინ ჰრქუა მათ წმიდამან „ვინაჲთგან არა უმეცარ ვარ
 კაცთ-მოყუარებასა მისსა. დაუტეო უკმართა სიტყუითა ცილობაჲ და
 მეცა შევპრთო თქუენ თანა თავი ჩემი. ვინაჲთგან მეცა ვითარცა
 ერთსა თქუენგანსა მრავალგზის განმირისხებიეს ღმერთი. და მოვე-
 40 დით და ერთბამად ვევედრნეთ სახიერებასა მისსა:“

3 თხოისა B. — მათნი] თჳსნი B. — 8 დაცკვეს B. — 16 მეუფე A. —
 22 მწოვარნი B. — 25 ესევეითარი+ესე A. — 33-34 ითხოოს A. —

- ესე თქუა და უბრძანა. რათა ყოველთა ერთბამად ჯელნი მათნი ზეცად მიმართ აღიპყრნეს. და თავადმან მოიდრიკნა მუჯლნი და ილოცვიდა და ესრეთ იტყოდა: „# ძკრუქსენებლო ქრისტე ღმერთო ჩუენო. მოიხილე ჩუენ ზედა წყალობით. რომელნი ესე ვევედრებით სახიერებასა შენსა. ვცოდეთ. უსჯულო ვიქმნენით. და ყოველი- 5 თავე სიცრუვითა აღვივსენით წინაშე შენსა. არამედ ნუ მიმცემ ჩუენ. შეილთა და მონათა შენთა. განსახრწნელად სიკუდილსა უჟამოსა.
- B 242^a არამედ ყოვლად-ძლიერითა მკლავითა შენითა „განახუენ გარდამო-
A 179^b საქანელნი ცათანი“. და უბრძანე ღრუბელთა მსახურებად საკმრისა
შესაქ 7, 11 ჩუენისა. და განწმელნი ესე ველნი დაათრგვენ წვმიითა:“ 10
- და ესრეთ დაღონებული რად ცრემლით ევედრებოდა ღმერთსა. და იყო ლოცვად პირსა შინა მისსა. ხოლო გონებად მისი ზეცად მი-
მართ აქუნდა აღბყრობილად. განკრვებად დაეცა. [და] ეჰა საქმე საშინელი რამეთუ ხედვიდა იგი ჯელსა მომავალსა ზეცით. რომელი შეეხო ბექთა მისთა და ჯმად რომელი ეტყოდა: „აღდეგ მუშაკო კე- 15 თილისა მის ვენაჯისაო. რამეთუ შეისმნეს ლოცვანი შენნი ერისა ამის-თჳს და აჰა ესერა სამეუფოთა საყდართა-გან გარდამოვკედ დამტკიცებად შენდა ლოცვისა შენისა შესმენასა. რამეთუ რად იგი ითხოვე. აჰა ესერა აღესრულოს:“
- მაშინ აღდგა იგი ქუეყანით და მიხედნა დასავალით და იხილა 20
C 126^b ღრუბელი. ვითარცა|ნები კაცისაჲ. ზედა სუეტსა მისსა ზეცით მომა-
ვალი. და ვითარ იგი ყოველნი ხედვიდეს. მეყსეულად განეფინა. და ეჰა საღმრთოდ ჯელმწიფებაჲ. რამეთუ მასვე ჟამსა აღივსო-ცად ღრუბლითა და იქმნეს ელვანი და ქუხილნი. და გარდამოჴდა წჳმად მძაფრი. და აღაესო ყოველი ქუეყანაჲ: ხოლო წმიდამან უბრძანა 25 გალობითა და ლიტანიითა შესლვად ეკლესიად ყოველსა მას სიმრავ-
ლესა. და მღდელთა ამცნო დაწყებაჲ ჟამის-წირვისაჲ. და ვითარცა წმიდაჲ ჟამის-წირვაჲ აღასრულეს და ეზიარნეს წმიდათა საიდუმ-
ლოთა. გამოვიდეს ეკლესიით და იხილეს დიდებაჲ ღმრთისაჲ. რამეთუ არღარა იყო ქუეყანაჲ განწმელი. არამედ მწყურნებ და აღვსებულ 30
B 242^b წყლითა და ჯეენები ყოველით-კერძო გარდამოადინებდა ღუა|რთა: მადლი და დიდებაჲ შეწირეს ღმრთისა. და გულის-ხმა-ყვეს ძალი მართლისა მის ლოცვისაჲ. ხოლო წმიდამან უბრძანა. რათა დღე იგი. რომელსა შინა საკრვებლებად იგი იქმნა. დღესასწაულად დააწესონ. რომელიცა იქმნა და ყოველთა მოქცევათა წელიწადსათა 35 ბრწყინვალედ დღესასწაულობდეს. და ყოველნი იგი დაბანი და სო-
ფელნი შემოკრბიან და გალობითა და შესხმითა სულიერითა მადლი შეწირიან ღმრთისა და სიხარულისა დღესასწაული აღასრულიან გლა-
ხაკთა და უცბოთა გამოზრდითა და მოწლიედ სტუმრობითა: ამისა

1 ერთბამად < B. — 6 სიცრუითა B. — 7 შენთა < B. — 8—9 გარდამო საქ-
ნელნი A. — 16 შეისმნეს B. — 19 ითხოვე B. —

შემდგომად განჯდა ჰამბავი მისი ყოველსა სოფელსა და იხილვებოდა საქმე საკრველი. რამეთუ მორწმუნენი განბრწყინდებოდეს და ურწმუნონი მოიქცეოდეს. და ყოველნი ერთობით ჰმადლობდეს ღმერთსა და აღიდებდეს ძალთა მათ და სასწაულთა. რომელნი მის მიერ იქმნებოდეს. რომელნიცა გაუწყნეთ შემდგომითი-შემდგომად. ვითარცა ოჯფალმან ძალი მომცეს:

თ

განჯდა რაჲ ჰამბავი მისი ყოველსა მას სამთავროსა ანტიოქისასა. არა ხოლო თუ მორწმუნენი მოვიდოდეს თაყუანის-ცემად წმიდისა მის და მოკითხვად. არამედ ურწმუნონიცა და აგარეანნი: და რამეთუ იყო კაცი აგარეანთავანი უკეთური და თავგვდი. რომელი გინებითა და კდემითა და შეურაცხებითა ჰგუემნ ქრისტეანეთა. და ჰყუედრინ და მაცთურად და შეცდომილად უწყეს: ამას ესმნეს საკრველებანი იგი წმიდისა ტიმოთესნი. და თქუა. ვითარმედ „წარვიდე მე თვთ. და თუალითა ჩემითა ვიხილო და ყურითა ჩემითა ვისმინო. და გულის-ხმა-გყო საქმე ქრისტეანეთად და სარწმუნოებაჲ მათი. და ანუ თუ ქეშმარიტ არიანა საკრველებანი იგი რომელნი ესმნეს სასმენელთა ჩემთა. ანუ თუ არა ხილვითა თულთაჲთა დავამტკიცო:“ მოვიდა უკუე მონასტრად და იხილა წმიდაჲ იგი. და სახისა-გან და წესისა სიტყუათა მისთა ბრწყინვალეთა გულის-ხმა-ყო სიმრავლე მადლთა მისთაჲ. და დაუკრდა დიდებულებაჲ იგი ნიჭთა საღმრთოთაჲ და განიზრახვიდა გულსა შინა თქსსა და იტყოდა: ვითარმედ „ქეშმარიტად ფრიად ავშენდი წმიდისა ამის კაცისა ხილვითა. და გონიერებითა და მოძღურებითა. არამედ [მინდა] უკუეთუმცა რაჲ იყო ღონე. რათამცა საკრველებისა რაჲსმე მიერ თუალით-ხილულისა დავიმტკიცე სარწმუნოებაჲ ჩემი: და შეუძლებელ არს ამიერ წარსლვაჲ ჩემი ვიდრე არა მივემთხვო რომელსა ესე ვეძიებ:“ ამას რაჲ განიზრახვიდა. გულის-ხმა-ყო წმიდამან მადლისა მიერ საღმრთოჲსა გულის-ზრახვაჲ კაცისა მის და ევედრა ღმერთსა რათა უჩუენოს მას სასწაული რაჲმე ცხორებისაჲ. და გამოუცხადოს ქეშმარიტებაჲ ქრისტეანობისაჲ. ვითარ იგი უწყის და სათნო უჩნს: დაყო უკუე კაცმან მან დღე იგი წინაშე წმიდისა მის და ვითარცა შემწუხრდა. დაწვა განსვენებად. და ვითარცა მიერულა აჰა ესერა ესმა ვმაჲ ვითარცა არწივისა ძლიერად-მფრინვალისაჲ. და განალჲძა იგი სასტიკმან მან ოხრამან ფრთეთა მისთამან: და ვითარცა განილჲძა. აღიხილნა და იხილა არწივი იგი მახლობელად სარკუმელსა მას წმიდისასა. სუეტსა ზედა მდგომარე. საზარელი ხილვითა. და სახითა. და სიმდიდრითა. და შემადრწუნებელ მხილველთა მისთაჲ და განჰკრთა

საღმრთოდესა მის-თჳს ძლიერებისა და განცჳფრდა კაცი იგი და ენება
B 243^b რათამცა ჳმა |—უყო წმიდასა მას. გარნა ვერ უძლო რამეთუ შეპყ-
რობილ იყო ჳმაჲ მისი. და ესე მრავალგზის ინება. არამედ ვერ ძალ-
ედვა რადთურთით ერთისაცა სიტყჳსა აღმოთქჳმაჲ:—

ამისსა შემდგომად არწივი იგი სარკუმლით შევიდა სუეტად. 5
და მი-რადმე-ალიტაცა და გამოვიდა და წარვიდა:— და მასვე ჟამსა
A 180^b განიგნნეს საკრველნი ენისა მისისანი: და იწყო ჳმობად და იტყოდა.

„წმიდაო ტიმოთე შემიწყალე მე. და ისმინე საწყალობელისაჲ ამის
რამეთუ მძნვარედ შეძრწუნებულ ვარ. და ძრწოლასა შეუპყრიე მე“.
და ვითარ იგი არაჲ მიუგო წმიდამან. უმეტეს და უფროჲს ღალა- 10
დებდა:— მაშინ გამოვიდეს ძმანი თჳსთა სენაკთა-გან [და ჰრქჳეს მას
რათა დაღუმნეს და დასცხრეს ღალადებისაგან] და ეტყოდეს. „ნუ უკუე
წმიდაჲ მაჲმად ჩუენი ილოცავს და არა ჰნებაჲს ზრახვაჲ შენი. რამეთუ
არა ჯერ-უჩნს რათამცა დააცადა ზრახვაჲ ღმრთისაჲ. და ერჩიამცა
ზრახვისა კაცისაჲ:—“ მიუგო კაცმან მან და ჰრქჳა: „მოვითმინო უკუე 15
მეცა. ვიდრემდის მოიცალოს კაცმან მან ღმრთისამან:“ და აღდგა
ღამე ყოველ და ილოცვიდა და ტიროდა. ხოლო ვითარცა ცისკრისა
ჟამი მოიწია. აჰა ესერა კუალად არწივი იგი მოიწია. ვითარცა პირ-
ველ. და გამოჰკრთებოდეს ბრწყინვალეზანი ფრთეთა მისთა-გან. ვი-
თარცა ნაბერწყალნი ცეცხლისანი ელვარენი. ფრიალ საშინელნი. 20
ხოლო კაცმან მან ზარისა მის-გან განცჳფრებულმან. ვერ უძლო

C 128^a აღებად|პირისა თჳსისა. ვითარცა იგი პირველ. ხოლო არწივი იგი
კუალად შევიდა სუეტსა მას. და რაჲ იგი აღელო. კუალად აგო მუნვე

B 244^a და წარვიდა:— და ესე რაჲ იქმნა. კუალად მოეცა კაცსა მას თჳსივე |
მეტყველებად და ჳმაჲ. და ჳმა-უყო წმიდასა მას. და არა ჰგონებდა. 25
უკუეთუ მოსცეს პასუხი. ხოლო წმიდამან ჰრქჳა მას. ვითარმედ
„რასა ჰჳმობ ჩემდა მომართ. ჰ კაცო. ანუ რაჲ გნებაჲს:—“ მიუგო
კაცმან მან. ვითარმედ „ხილვაჲ საშინელი და ზარისა-აღსახდელი ვი-
ხილე მწუხრსა ამას:—“ და ჰრქჳა მას წმიდამან. „რაჲ იხილე ანუ 30
რაჲ არს ჩუენებაჲ იგი შენი. და ხილვაჲ“.

[ხოლო მან ჰრქჳა]: „ვიხილე მე კაცო ღმრთისაო უცხოჲ რადმე
ფრინველი. შესაძრწუნებელი აგებულებითა, ჰაეროვნებითა და სი-
მწჳსითა. რამეთუ სიღიღითა უფროჲს იყო იგი მამაკაცისა ჰასა-
კისა: ხოლო შუენიერებითა და სიკეთითა ესოდენ ჰაეროვან იყო.
ვიდრეღა ვერვინ შემძლებელ არს გამოთქჳმად. თუ რაბამი იყო. 35
რომლისა ფრთეთა-გან შანთნი ვარსკულაგეთანი გამოჰკრთებოდეს.
რომელთა იგი მარგალიტოვნებაჲ და ელვაჲ და უფროჲს ბუნებისა
ჰაეროვნებაჲ სძლევდა ძალსა საცნობელთასა: რომლისა მიერ ესო-
დენ ზარგანჯილ ვიქმენ უბადრუკი ესე. ვიდრეღა არა დაშთა ჩემ

1 განცჳბრდა A. — 21 განცჳბრებულმან A. — 27 რაჲსა A. — 32 ჰარეო-
ნებითა A. — 34 შუენიერებისა და სიკეთისა-თჳს A. —

თანა არცა ჳმად არცა სიტყუად. ხოლო თუ რად წარიდო შენ-გან არა უწყი ანუ თუ კულად რად მოილო და წარვიდა არა უწყი: ხოლო ესე უწყი. რამეთუ ყოველი [ესე] მწუხრი ტირილით გარდამივლია წოდებასა შინა შენსა და ჳმობასა და ვიდრე აქამომდე არა ისმინე ჩემი 5 არცა პასუხსა ღირს მყავ:“

ჰრქუა მას დიდმან მონამან ღმრთისამან: „გინადგან გამოუთქუმელთა მათ დაფარულთა. საიდუმლოთა თჳსთა გამოცხადებაჲ შენდა სათნო იყო ყოვლად-ძლიერმან ღმერთმან და საცნაურნი იგი თუალნი შენნი განანათლნა. ჳჳმადლობთ დიდად-შუენიერსა მას სახელსა მისსა. რამეთუ გიხილა შენ ურწმუნოდ განჯორციელებასა მხოლოდ-შობილისა ძისა მისისა. რომელი იგი თავს-იდვა ჩუენისა ცხორებისა-თჳს და რამეთუ მოყუარენი მისნი ქრისტეანენი გძულდეს. ამისთჳსცა ინება ყოვლისავე იჳსსა აღმოფხურად გულისა-გან შენისა. და ხილვისა ამის მიერ მეცნიერებასა ჳემმარიტებისასა მოსლვად 15 კაცთ-მოყუარემან ღმერთმან. ამისთჳს ღირს გყო შენ ხილვად ხილვისა ამის საწადელისა: რამეთუ სიტკბოებითა საესე არს თხრობად ესე ამის გამოცხადებისად. და უკუეთუ ვიწყით თხრობად [შენდა] ძალსა მისსა: ფრიადითა სიხარულითა აღივსოს სული შენი: რამეთუ იყო ვინმე მეუდაბნოე: კაცი მაღალი და აღმატებული მოლუაწებითა 20 და ბრწყინვალეებითა მოქალაქობისა მისისაჲთა თავსა სათნოებათასა მიწვენული და უფროჲს მრავალთაჲსა აღმაღლებული. რომელმან ყოველივე მსოფლიოჲ საქმე. ვითარცა სიზმარი და აჩრდილი. ესრეთ დაუტევა. და მთასა ერთსა მიიწია. და ჳეშთა ბუნებისა მოლუაწებათა ეტრფიალა. და დაყუდებისა ცხორებაჲ შეიტკბო, და ჳამთა 25 მრავალთა მოლუაწებითა და ბრძოლითა მტერთა უხილავთაჲთა. და ძლევეითა მათითა საჳირვოთა მათ და სათანადოთა საჳმართა ბუნებისათა ჳეშთა ექმნა. ესე იგი არს. სახლსა. სამოსელსა. და საზრდელსა. რომელნი ესე სრულიად დაივიწყნა: და ნაცვალად სამოსლისა ნებითა ღმრთისაჲთა მოეცნეს მას თმანი დამფარველად სი- 30 შიშულისა მისისა: ხოლო საზრდელისა წილ საზრდელი უნივეთოდ მოეცემოდა მას ანგელოზისა-გან. და სხუანი მრავალნი საქმენი არიან დიდისა მის კაცისანი სახარულევეანნი და ღირსნი ჳსენებისანი. რომელთა თჳთოეულად ვერ წარმოვიტყუთ აწ. რამეთუ განთჳსებულად ჯერ-არს აღწერად [მათი]:“

A 181^a

B 244^b

C 128^b

B 245^a

C 129^a

3 ყოველივე A. — 5 პასუხისა B. — 10 მის A. — 21 აღმაღლებული აღმატებული B. — 26 საჳიროთა B. — 28 ნაცვლად A. — 31 ანგელოზისა მიერ B. — 37 ითხოა B. — მივიწინეთ B. —

- ყვის ნებად მოშიშთა მისთად. არა უგულვებელს ყო თხოვად მისი. არამედ მეყსეულად ანგელოზი თუნი წარმოავლინა. რათა აღგვტაცნეს და მიგყვანნეს მისსა. მე. და ორნი იგი შეყენებულნი. რომელნი ზემო ვაჟსენენ. რამეთუ ანგელოზი იყო ღმრთისაჲ. რომელი იგი სახითა
- A 181⁶ არწივისაჲთა იხილე. და რაჟამს იგი ჰვმობ|დი ჩუენდა მომართ და 5
 არარაჲ მიგივე. მას ჟამსა წმიდისა მის კაცისა თანა ვიყვენით და
 აწლა ჟამსა ამას მოვიწიე აქა. და მესმა ჳმად შენი. მიწმობდი რაჲ. და
 მეყსეულად მოგიგე: აწ უკუე დასცხერ შვილო ყუედრებისა-გან და
 კდემისა ქრისტეანეთაჲსა და გულის-ხმა-ყავ თუ რაბამი არს ძალი
 მეუფისა ჩუენისა ქრისტესი. და თუ ვითარ პატივს-ცემს მოყუარეთა 10
 მისთა. რომელთა იგი შეურაცხებაჲ და გინებაჲ მრავალგზის თავს-
 იდვა შენ-გან წყალობისა-თუს შენისა. რამეთუ სახიერ არს. და მოქცე-
 ვისა შენისა-თუს დრო-სცემდა. ვინაჲცა ერჩდი მას. და დაუტევე პირ-
 ველი იგი უგუნურებაჲ და უმჯობესისა მიმართ შეიცვალე: ა“ ესე რაჲ
- B 245⁶ ესმა|იქმნა იგი კეთილად მორწმუნე და თქუა. „მრწამს და აღვიარებ 15
 და შევიტკობ მართლმადიდებლობასა და ქრისტეანეთა სარწმუნოე-
 ბასა და თაყუანის ვსცემ და პატივს-ვსცემ: ა“

ესრეთ უკუე სასწაულისა მის-გან განკვრეებული და სიტყუათა-
 გან წმიდისათა განმხიარულებული ჳმითა მალლითა ადიდებდა ღმერთსა
 ყოვლისავე-თუს. რაოდენი იგი ესმა და იხილა. და მერმე სახიდ თუხად 20
 წარივლინა და ევედრა იგი წმიდასა მას. რათა უთხოოს მას წყა-
 ლობაჲ ღმრთისა-გან: .

- არამედ უწყი. ვითარმედ სიტკობებითა ამის თხრობისაჲთა გან-
 C 129⁶ ვიხარეთ. ვინაჲთვან სავეცა არს|მხიარულებითა. ხოლო მე არა
 უდებ ვიქმნე მითხრობად თქუენდა შემდგომსა მასცა საკვრველებასა. 25
 უაღრესსა ამისსა. და უფროჲს განსაკრთომელსა. და სულთა ღმრთის-
 მოყუარეთა. საღმრთოჲთა მით შუებითა. და სიტკობებითა დამატკ-
 ბობელსა: .

0

რამეთუ შემდგომად ამისსა უბრძანა მოწაფეთა თუსთა. რათა
 შუდ დღე არავინ აწყინებდეს მას და არცა ვინ მივიდეს მისსა: და 30
 იტყოდა. ვითარმედ „დაყუდებით მნებავს ამათ დღეთა აღსრულებად
 და დადაცათუ ვინ ხილვად ჩემდა გინა უბნობად მოვიდეს. ნუ შეუნ-
 დობთ მოსლვად ჩემდა: ა“ ხოლო უწინარეს ამისსა. პირველ ორისა
 თუხსა მოსწრაფეთა ვინმე მონაზონთაგანი მოვიდა წმიდისა მის. მი-
 ლებად ლოცვისა მისისა და წარსლვად იერუსალიმს. რომელი იგი 35
 მივიდა დიდთა მათცა ჳემოხსენებულთა შეყენებულთა თანა. აღექ-

11 თუსთა B. — 17 პატივსცემ A. — პატივ-ვსცემ B. — 21 წარვიდა B. —
 34 თუსა AB. — 35 იცლომს AB. —

სანდრიელისასა და პაპისკელისსა, და ლოცვაჲ მათი თანაშემწედ მიიღო. და წარვიდა იერუსალიმს და მოილოცნა წმიდანი იგი და B 246^a
 თაყუანის-საცემელნი ადგილნი. რომელთა შინა ოჯახალი ჩუენი იესოჲ
 ქრისტე ვორციელად გამოჩნდა: და წმიდათა მათ ადგილთა სიწ-
 5 მიდით რაჲ თაყუანი სცა. უდაბნოდ განვიდა და რომელნი იგი მას A 182^a
 ჟამსა შინა ბრწყინვიდეს წმიდანი მამანი: და ანგელოზთა ცხორებითა
 ცხონდებოდეს. ლოცვითა რაჲ და სწავლითა მათითა განმტკიცნა.
 მთასა სინასა წარემართა და მი-რაჲ-იწია მუნ და წმიდაჲ იგი ტა-
 ძარი მოსე წინაჲსწარმეტყუელისაჲ მოილოცა რომელი იგი მუნ შენ
 10 არს. სადა იგი სახე ქალწულისაჲ მაცლოვნით გამო აუწყა მას ღმერთ-
 მან, აშას რაჲ ტაძარსა შინა ილოცვიდა ბერი იგი. პოვა მას შინა
 წმიდაჲ ტიმოთე და ორნი იგი ღმერთშემოსილნი მამანი. რამეთუ
 ილოცვიდეს. განკვრდა უკუე მსწრაფელ მისლვისა მის მათისა-თჳს. და
 ეგულეზობდა რაჲ კითხვად მიზეზსა მისლვისა მათისასა. უკუე და C 130^a
 15 უსიტყუელ იქმნა. და ვერცა მიახლებად მათდა უძლო. ვერცა კითხ-
 ვად. რამეთუ განკვრევაბამან და ზარმან შეიპყრა იგი: ~ ~

ხოლო დადგა იგი წინაშე ბქეთა ტაძრისათა. ამათგანსა უკუე-
 ალექსანდრიელსა ებრძანა შეწირვაჲ უსისხლოჲსა მსხუერპლისაჲ. და
 ვითარცა სრულ იქმნა წმიდაჲ ჟამის-წირვაჲ და ეზიარნეს იგინი წმი-
 20 ვდათა მათ საიდუმლოთა ოჯახლისა ჩუენისა იესოჲ ქრისტესთა. გამო-
 ვიდეს მიერ და წარვიდეს: ხოლო იგი გამოწულილვითრე განიცდიდა
 და ცნა ხატისა და პირისა მათისა-გან, ვითარმედ იგინი არიან რო-
 მელნი ოდესმე მოილოცნა: ხოლო მიახლებად მათდა ანუ კითხვად
 რაჲსამე ვერ უძლო. ვინაჲცა განკვრდა და შიშითა და საკვრველე-
 25 ბითა შეპყრობილ იქმნა და თანა მწუხარებითაცა: საკვრველებითა B 246^b
 ამისთჳს. რამეთუ ესრეთ მწრაფლი მოსლვაჲ მათი დაუკვრდა. ხოლო
 შიშითა ამისთჳს. რამეთუ არა ღირს იქმნა შემთხუევასა და ზრახვასა
 მათსა. და განიზრახვიდა გულსა შინა თჳსსა და იტყოდა: უკუეთუ
 ნანდვლვე ესე იგინი არიან. ნიშებშემოსილნი მამანი. და მამულისა და
 30 ქუეყანისა ჩუენისა საფუძველნი და სამკაულნი. და ესენი აქა მოს-
 რულ არიან. რომელთა მიმართ ყოველნი მიივლტოდეს. მაშა უეჭვე-
 ლად დიდი რაჲმე ბოროტი მოწევნულ არს ქუეყანასა ჩუენსა. ანუ
 თუ მოწევნად არს. და უკუეთუ არაჲ მოწევნულ არს. ვითარ დაუ-
 ტეობიან ამით თჳსნი საყოფელნი. და სულთა მათ მათდა შევედრე-
 35 ბულთა ზრუნვაჲ და მოღუაწებაჲ. და აქა მოწევნულ არიან: “

ამას და ესევითარსა იგონებდა და იურვოდა და ტიროდა მწა-
 რედ. და ვითარ იგი ესრეთ მწუხარე იყო. დაადგრა მუნვე და დაი-
 ძინა. მაშინ იჩუენა მას საღმრთოჲ ჩუენებაჲ. რომელი უბრძანებდა C 130^b
 მუნვე ტაძარსა მას შინა დადგომასა უკუეთუ ჰნებაეს ცნობაჲ სა- A 182^b

1 ალექსანდრიელისა და პაპისკელისა. B. — 2 იწ'ლიმს AB. — 5 თაყუა-
 ნის A. — 11 შინა < B. — 13 განკვრდეს C. — 19 იგი A. — 20 საიდუმლოთა A —
 31 მაშა < B. —

ძიებლისაჲ მის. ხოლო იგი აღდგა და აღასრულა ლოცვაჲ ჩუელე-
ბისა-ებრ და დაადგრა მუნვე:-

- და ხვალისაგან კუალად მოვიდეს წმიდანი იგი ჩუეულებისა-ებრ
ჟამსა მესამესა. და აღასრულეს წმიდაჲ ჟამის-წირვაჲ. ხოლო პაპის-
კელი იყო შემწირველი საიდუმლოთაჲ. და ვითარცა აღასრულეს 5
შეწირვაჲ იგი უსისხლოდსა მსხუერბლისაჲ. განვიდეს ტაძრით. ხოლო
მონაზონი იგი ეგრეთვე უტყუად დაადგრა. რამეთუ არცა მიახლებად
B 247^a მათდა კელ-ეწიფა არცა სიტყუად. ვინაჲცა ფრიად შეწუნხნა ამას ზედა
და ფიცით მოიმტკიცა თავი თვისი. რათა არა განეშოროს მიერ აღვი-
ლით ვიდრე არა ცნას ამის-თვს საღმრთოდ განგებულებაჲ: ~ 10
- ხოლო მესამესა დღესა კუალად მოვიდეს საკრველნი იგი კაცნი
და მას დღესა აღასრულა შეწირვაჲ მსხვერპლისაჲ დიდმან ტიმოთე.
და შემდგომად ზიარებისა მოიკითხეს და ამბორს უყუეს სიწმიდით
წმიდასა მას ტაძარსა და იჯმნეს. და განვიდეს და წარვიდეს მიერ
მიუახლებელნი და არა შეუნდვეს მონაზონსა მას არცა მიახლებად 15
არცა სიტყუად: ხოლო იგი სასოწარკვეთილ იქმნა და ფრიად ურ-
ვეულ. ვინაჲცა სულ-ითქუმიდა და ესრეთ იტყოდა თავსა შორის თვისსა.
ვითარმედ „რამე არს ხილვაჲ ესე საშინელი. და უაღრესი კაცობ-
რივთა გულის-სიტყუათაჲ“. და შევიდა წმიდასა მას ტაძარსა შინა
და დავარდა მიწასა ზედა. და ცრემლით და გოდებით ღალადებდა 20
და ესრეთ იტყოდა. „გამომიცხადე მე, # ოჯფალო ღმერთო ჩემო
შემოქმედო და დამბადებელო ყოველთა დაბადებულთაო. რომელმან
გამოუთუქმელითა სიმდაბლითა შენითა თავს-იდეგ ჩუენებად წმიდასა
C 131^a ამას აღვილსა მსახურისა შენისა მოსესსა: რომელი ეგე უხილავ ხარ
და შეუხებელ ბუნებით. არამედ კაცთ-მოყუარებისა-თვს იხილვე. და 25
ადიდე იგი. და შეუენიერებითა პირისა შენისაჲთა და ბრწყინვალეებითა
განანათლე პირი მისი. და ღმრთივ-წერილნი იგი ფიცარნი კელთ-
უსხენ და შჯულის-მდებელად გამოაჩინე: [და] შენ აწცა კაცთ-მოყ-
უარეო [ოჯფალო] შეისმინე ჩემი. ცოდვილისა ამის და უღირსისაჲ.
და გამომიცხადენ მე ღმრთის-მოყუარენი ესე და შეუხებელნი კაცნი. 30
- B 247^b რომელთა ხატნი მსგავს არიან კაცთა მათ. რომელნი საცნაურ არიან
წინაშე შენსა. გინა თუ იგინი არიან და გინა თუ არა. რამეთუ ვერ
ძალ-მიც და მტკიცებად ძალსა ამის სახილავისასა. რამეთუ მაღალი
ძალი შეუდგს. და საღმრთოდ საიდუმლოჲ: „ესე რაჲ ილოცა. გან-
- A 183^a ბრწყინდა საღმრთოდთა მადლითა და ესმა კვამა. რომელი ეტყოდა. 35
ვითარმედ „მიიქეც სოფლად შენდა. და მივედ მათდა და სცნა. გინა
თუ იგინი არიან გინა თუ არა. რომელნი იგი იხილენ“. ხოლო იგი
არა უდებ იქმნა. არამედ ამბორს უყო წმიდასა მას აღვილსა. და
იჯმნა ყოველთა მამათა-გან და ლოცვაჲ მათი საგზლად წარიტანა. და
მეყსიულად თვსად მამულად აღვიდა. და ვითარცა მიიწია მუნ. პირ- 40

ველად აღექსანდრიელისსა მივიდა. და ლოცვაჲ ითხოვა და შემს-
გავსებული მოკითხვაჲ. და თაყუანის-ცემაჲ მიუძღუნა. და მერმე
ენება რაჲ კითხვაჲ. უსწრო წმიდამან მან კაცმან და მხიარულითა
პირითა ჰრქუა მას. „რაჲ გნებაჲს კითხვად ჩემდა შვილო. ნუ უკუე
5 რაჲ იგი [მთასა სინასა] იხილეთ. წარვედ პაპისკელისასა. და მან
გითხრას შენ ხილვისა მის-თჳს“. ხოლო იგი განჰკრთა სიტყუასა
მას ზედა მისსა, და დავარდა ქუეყანასა ზედა და თაყუანი სცა მას
და წარვიდა ზემოქსენებულისა მის მამისა. და ვითარცა მიიწია მისსა.
მეყსეულად ჰრქუა მას ბერმან: „კეთილად მოხუედ. ჰ შვილო. ვითარ
10 არს მამაჲ აღექსანდრიელთა მონასტრისაჲ. რომლისა მიერ ჩუენდა
მოიწიე“. და მან განკვრევებულმან კითხვისა მის-თჳს ჰრქუა მას. C 131[†]
„კეთილად წმიდაო მამაო“. და აღიდებდა ღმერთსა მოქმედსა საკვ-
რველებათასა:.

და კულად ჰრქუა საღმრთომან მან კაცმან. „და ჩემდა რაჲსა
15 წარმოგავლინა და არა გაუწყა შენ ხილვისა მის-თჳს მთისა სინისა. B 248
გარნა ვინაჲთგან მადლთა საღმრთოთა დაუწყუედელი წყაროჲ ტი-
მოთესდა მინიჭებულ არს სიმრავლისა-თჳს სათნოებათა მისთაჲსა.
ვითარცა შემძლებელმან. მან მიგითხრას ძალი სახილავისა მის რო-
მელი [იგი] ჩუენიცა მოძღუარი არს და წინამძღუარი. და ლოცვითა
20 მისითა ღირს ვიქმენით ესევეთარსა მას მგზავრობასა. აწ უკუე
წარვედ მისსა და ღირს იქმნე სმენად საშინელსა უწყებასა:“. ხოლო
მონაზონსა მას ესმა რაჲ ესე გულის-ხმა-ყო. ვითარმედ ქეშმარიტად
იგინი იყვნეს. რომელნი იხილნა სინას. ვითარცა საცნაურ იქმნების
უწყებისა-გან და მოსწავებისა სიტყუათა მათთაჲსა. და არღარაჲ არს
25 ნაკულეგან. გარნა მიზეზი მუნ წარსლვისაჲ. და კულად ესრეთ
მსწრაფლ მოქცევისაჲ მიერ. ვინაჲთგან ცნობაჲ ამისი არა მცირედ[სა]
სარგებელსა მოატყუებს მსმენელთა სიტკბოებისა მისისათა. და ამას
რაჲ იგონებდა ბერი იგი. მოიწია წმიდისა ტიმოთესსა. და ვიდრე
არღა მოწეგნულ იყო მონასტერსა მისსა. ეუწყა წმიდასა მას მოსლვაჲ
30 მისი. და [უბრძანა მოწაფეთა თჳსთა. ვითარმედ „მივედით და განუ- A 183[†]
ხუენით კარნი. და ჩუენდა მოსრული მონაზონი შემოიყვანეთ და
კეთილად ისტუმრეთ. და განუსუენეთ. [და ჩემდა მოიყვანეთ]. რამეთუ
ფრიადი შრომაჲ დაუთმენია ჩუენ-თჳს:“. ~

ესე რაჲ ყვეს. სიტყუათა-თჳს წმიდისათა უფროჲს სურვიელ
35 იყო ბერი იგი ვიდრე საჭიროვასა ჯორცთა საზრდელისა. და ისწრაფდა
ხილვად წმიდისა მის. და მივიდა წინაშე მისსა. და დავარდა და C 132[†]
თაყუანი სცა [და ითხოვა ლოცვაჲ მისი და ჰრქუა. „გჳმადლობ კაცთ- B248[†]
მოყუარესა ღმერთსა. რომელმან ღირს მყო ხილვად სიწმიდისა შე-

1 აღექსანდრიელისა AB. — 2 მოკითხვაჲ] ლოცვაჲ A. — 7 თაყუანის AB. — 7 მას] მან B. — 10 მამაჲ] ძმა B. — 17 მისთას B. — 21 იქმნე] იქმენ A. — 35 საჭიროვასა B. — 37 თაყუანის A. —

ნისა. და აღავსო წადილი ჩემი მოღებითა ლოცვისა შენისაჲთა და სმენითა სიტყუათა შენთაჲთა: „ მიუგო წმიდამან და ჰრქუა მას. „რადსათჳს თავს-იდევ ესოდენი ესე შრომაჲ ჩუენისა სიგლახაკისა-თჳს. და რადსათჳს არა ვითხრეს პირველ ჩემსა პატიოსანთა მათ შეყენებულთა სახე იგი ჩუენისა მუნ მისლვისაჲ. რომლისა ცნობად წყურთიელი მოხუედ ჩემდა. კაცისა უღირსისა და ცოდვილისა. რომელი არა ღირს ვარ წამებასა ზემოქსენებულთა მათ მამათასა. გარნა ვინაჲთგან ესრეთ ინება ღმერთმან. რათა გეუწყოს ჩუენ მიერ საკრველებაჲ განგებულებათა მისთაჲ. ვითარცა იგი პირველთქუმულსა მას ტაძარსა შინა ზეგარდამოჲსა საღმრთოჲსა ჳმისა მიერ აღგიტქუა. ილოცე რაჲ. რათა ჩუენდავე მოიქცე. და გეუწყოს ჩუენ მიერ ხილვისა მის-თჳს ჩუენისა. აჰა ესერა მე ვითხრა შენ საშინელისა მის-თჳს უწყებისა და ღმრთისა სადიდებელისა: ~ ~

იყო უკუე შავსა მთასა კაცი წმიდაჲ და დიდი მოღუაწე. რომელსა შრომითა ფრიადითა და მოღუაწებითა ბრწყინვალითა აღესრულა ყოველივე ცხორებაჲ მისი. და დასასრულსა შრომათასა და აღსასრულსა ცხორებისასა მიწვენულ იყო. რომელ არს სიკუდილი: [ხოლო] საღმრთოჲთა ბრძანებითა და ანგელოზისა მოსლვითა შეგკერბით მის თანა. რათა არა ხოლო სული ნეტარისაჲ მის წარვიდეს პატივით უკუდავებად. და ჳორცნი მისნი დაშთენ გარეშე საღმრთოჲსა მოღუაწებისა. არამედ რათა ორკერძოვე პატივ-სცეს ყოველთა ღმერთმან. ერთსა მას ანგელოზთა მიერ. და მეორესა კაცთა მიერ: ხოლო ვინაჲთგან ხილვისა მისსა და ლოცვისა მისსა მოღებად მყოვარჳმ ღირს ვიქმენით. და საღმრთოთა მათ სიტყუათა და სწავლათა მისთა მიერ განვიშუთ. ვიწყეთ მის თანავე გალობად რაჲ იგი ჯერ-არს შესუენებულთა ჳედა გალობად. და დასასრულსა თანა გალობისასა სულიცა მის ნეტარისაჲ ჳორცთა-გან განვიდა. და ვითარცა ყოველივე წესი დაფლვისაჲ აღვასრულეთ. ნაწილნი იგი მისნი წმიდანი მიწასა შინა დავფარენით. და ჳორცთა მისთა აგებულებაჲ. რომელი მოეცა მიწასა. მიწამანვე მიიღო: ხოლო სული ჳეცას სამარადისომან ცხორებამან საუკუნეთა მათ სავანეთა შეიწყნარა: ხოლო ჩუენ ჳედა საღმრთოჲ რაჲმე და საწადელი სურვილი მოვიდა იერუსალიმს და სინას წარსლვისაჲ. რათა ვიხილნეთ წმიდანი იგი ადგილნი. და მათ შინა დამკვდრებულნი წმიდანი მამანი. და ერთბამად და ზოგად ჳრახვა-ვყავთ. და განვაჩინეთ. ვითარმედ კაცთა-გან მიუწდომელი და შეუძლებელი ადვილ არს და სუბუქ წინაშე ღმრთისა. და მოვიდრიკენით მუკლნი ჩუენნი ლოცვად წინაშე ოჯღლისა და ვთქუთ: „ოჯღალო იესოჲ ქრისტე ძეო და სიტყუაო ღმრთისაო. ნუ უგულებელს-ჰყოფ

2 შენთათა B. — 12 მიგითხრა B. — 23 ლოცვისა მისისა მოღებასა A. — 23 — 24 მყოვარჳმ A. — 25 განვიშუთ A. — 32 იწლიმს AB. — 37 ოჯღლისა] ომრთისა A. —

- თხოვასა ამას ჩუენ უღირსთა ამათ მონათა შენთასა. რომელთა მრავ-
 ლითა გულს-მოდგინებითა და სურვილითა გუწადის ხილვად წმიდათა
 მათ ადგილთა. არამედ ისმინე ჩუენი სახიერებისა [შენისა] მვედრე-
 ბელთაჲ ამათ: [და] ვითარითა სახითა გნებავს. მუნ წარსლვად ჩუენი B 249^b
- 5 სათნო იყავ. [და] თხოვად ჩუენი წყალობით აღგვსრულე ყოვლად-
 ძლიერო: „ლოცვად უკუე ჩუენი ესე იყო. ხოლო ღმერთსა ვინაჲთგან
 ყოველივე ძალ-უც. და რასა არა მიჰმადლებს მათ. რომელნი ყოვლითა
 გულითა ევედრებთან მას: მოიხილა ვედრებასა ჩუენსა ზედა. და აღ-
 გვთქუა აღსრულებად თხოვისა ჩუენისაჲ. და ვითარ იგი ჯერ-იყო
- 10 მუნ წარსლვად გუაუწყა: პირველად უკუე კაცად-კაცადი სენაკად
 თვსად მიიყვანა ანგელოზისა მიერ. და მერმე გვბრძანა. რათა ვამცნოთ
 მოწაფეთა ჩუენთა და შვდ დღე რაჲთურთით არცა მათ ყონ ჩუენ-
 თვს ძიებად. არცა სხუათა უტეონ წყინებაჲ ჩუენი: რომელთა ვარქუთ:
 ვითარმედ „დაყუდებაჲ გუნებავს:“ ხოლო მიერიტგან რაჲ ვთქუა. ეჰა C 133^a
- 15 ქრისტე მეუფეო. ანუ ვითარ არა დამიკვრდეს მტკიცე იგო და ყოვ-
 ლად-ძლიერი წამის-ყოფად შენი. რამეთუ ყოვლად-ძლიერმან ღმერთმან.
 რომელმან ყოველნი დაბადებულნი წამის-ყოფით დაჰბადნა. და ყო-
 ველთა მკვდრთა ქუეყანისათა ჰხედავს და ჰმართებს. და ესოდენ შო-
 რად და განშორებულად. მკვდრთა უხილავად მახლობელ არს. და
- 20 თანამკვდრ. და ჯელითა თვსითა უპყრიან ყოველნი. რომელმან იგი
 ერთსა წამსა შინა სათნო იჩინა ამბაკომ წინადასწარმეტყუელისაჲ მის-
 ლვად დანიელისსა. რომელმან იგი შორის ბაბილოენისა და პალეს-
 ტინისა სიშორენი წარვლნა|და მღვმესა შინა ლომთასა მლოცველსა A 184^b
- 25 ანგელოზისა მიერ ესე|ვითარივე ძალი და მოსწრაფებაჲ აქა აჩუენა. B 250^a
 და მთასა მას წმიდასა შემკრიბნა ჩუენ. და სამ დღე. ვითარცა გუ-
 ხედვედი. სინას დაევაეთ. და მუნ მყოფთა მათ წმიდათა ადგილთა.
 და ღირსთა განშორებულთა მიმოვიდოდეთ. და მოვიხილევდით. ხოლო
 ოთხსა დღესა წმიდასა ქალაქსა იერუსალიმს ვიქცეოდეთ. და მუნ
- 30 მყოფთა მათ წმიდათა ადგილთა და მონასტერთა. და მარტოდ-
 მყოფთა. და განშორებულთა მოვიხილევდით. ხოლო ვითარცა შემ-
 წუხრდა დღე იგი მეშვდე მსწრაფლითა აღტაცებითა აღვიტაცენით.
 და თვითოეული თვსთა სენაკთა ვიპოვენით: ~ ~
- აჰა ესერა გამოგეცხადა ნიშებშემოსილი ესე საკვრველებად. და
- 35 საიდუმლოდ იპყარ საქმე ესე. და ყოვლად-ძლიერისა მის და მიუწდო-
 მელისა მის საღმრთოჲსა ძლიერებისა. მარადის დიდებასა და მად-
 ლობასა შესწორევდი: წარვედ უკუე მშვდობით წარმატებული [და]
 საღმრთოჲთა მადლითა დაცუული: „ხოლო მან თაყუანი სცა და იჯმნა
 წმიდისა-გან. და წარვიდა. და იხარებდა და აღიდებდა საკვრველთ-

11 გუებრძანა B. — 12 დღედმდე B. — 14 ვთქუათ A. — 16 რამეთუ] და A. — 29 იშლმს AB. — 38 თაყუანის A. —

C 133^b მოქმედსა|ღმერსა მხოლოსა. ხოლო დაფარვად და ღუმელი ვერ უძლო. ამისთჳსცა ყოველსა ადგილსა ქადაგებდა. რამეთუ ვისმცა ესმა ესე- ვითარი საკვრველებად. და შეუძლომცა ღუმელი: ~ ~ ~

ი ა

ხოლო ვინაფთვან დაუპყრობელი ჰამბავი განკდა მის-თჳს, და განეფინა, და მრავალთა სასმენელნი აღავსნა და ყოვლით-კერძო 5 მიიწია. სიტკბოებისა მის-გან იძულებულნი ყოველნივე ხილვად წმი-
 B 250^b ღისა მის მოვიდოდეს, და ვითარმცა ღმერთსა იხილვი|დეს. ესრეთ საწადელ უჩნდა ხილვად და შემთხუვეად მისი:

ამითვე უკუე სურვილითა შეპყრობილ იქმნა პატრიაქიცა ან- ტიოქიისა და თეოდორიტე. და ხილვად წმიდისა მის განიზრახა: არა- 10 მედ ამას ადგილსა საქანელი სიტყუსად დავიპყრათ და შემდგომისა ამის საკვრველებისა დასაბამი დავაწესოთ თავითვან: რომელსა შინა ფრიადნი საკვრველებანი დაუნჯებულ არიან. რომლისა მიერ არა ხოლო ანტიოქელთა შორისა იქმნეს საკვრველებანი, არამედ სპარს- თაცა შორის და ბაბილოვნელთა ღმერთშემოსილისა და სამგზის სა- 15 ნატრელისა ტიმოთეს მიერ:

აიძულა უკუე, ვითარცა ვთქუთ, ჰამბავმან ტიმოთეს სასწაულთა- მან წინაძღლუარსაცა ანტიოქიისასა ხილვად მისსა მოსლვად: რომელი
 A 185^a იგი მოვიდა|ეტლებითა და ჰუნებითა, და სამოსელთა ბრწყინვალე- ბითა და ფრიადითა აკაზმულობითა, და წარჩინებულებითა, რომელი 20 იგი უცხო იყო სამოციქულოჲსა წესისა-გან: ესე რად ესრეთ იხილა დიდმან მან მონამან ღმრთისამან ფრიად შეწუხნა. რამეთუ საწუთ- როჲსა ამის დიდებისა-გან ძლეულად იხილა მწყემსთ-მთავარი იგი, და შეეშინა: ნუ უკუე ჭეშმარიტისა მის და საღმრთოჲსა დიდებისა-გან დაეცეს, და მოციქულთა კრებულისა-გან განვარდეს, და თუ ვითარ 25
 C 134^a შერაცხილ არს საქმე მისი წინაშე|ღმრთისა წადიერ იქმნა ცნობად, და გინა თუ ვითარცა საყდრის-მოდგამ არს მოციქულთა, აღრიცხ-
 B 251^a ულმე არსა ზეცათა შინა მწყობრსაცა|თანა მათსა, ანუ თუ წინა-უკმო საქმისა ამის შემთხუვეად არს: ამას რად იგონებდა და განიზრახ- ვიდა, განკვრევა დაეცა, და ჩუენება იხილა, და ცნა განცხადე- 30 ბულად, ვითარმედ შესაძინელი და შუებად ზეცათა, სასუფეველისა და წარუწყმედი, რომელნი ქუეყანისასა ზრახვიდენ, და ქუეყანისა საქ- მეთა შემსჭუალულ იყვნენ: ამას ზედა მოიწია პატრიაქი წინაშე სუეტსა მის წმიდისასა და დადვა, და იხილნეს რად ურთი-ერთას, და შემსგავსებული პატივი, და მოკითხვად მოუძღუანეს და მყოვარემ 35 იზრახნეს, და ჟამი იყო კაცად-კაცადისა სახედ თჳსად წარსლვისა.

1 შეუძლო A.— 4 ჰამბავი A.— 6—7 ყოველნივე ხილვად მისსა მოვიდოდეს წმიდისა მის A.— 11 შემდგომად A.— 35 მყუვარ A, მყუარ B.— 37 ეზრახნეს A.— თჳსსა B.—

მიუგო პატრიაქმან ნეტარსა მას. „წმიდაო მამაო. ფრიად მხიარულ ვიქმენ დღეს ხილვისა შენისა-თჳს ქეშმარიტად. და მიუწდომელად აღვივსე სიტკბოებითა სულიერითა სწავლათა შენთა-თჳს. და ნეტარ თუშცა არა განგეშორებოდე ყოვლადვე. გარნა ვინაფთგან ესე შეუძ-
5 ლებელ არს. რამეთუ აჰა ესერა საეკლესიოთა საქმეთა ზრუნვაჲ გუაიძულეფს ჩუენ წარსლვად. შჯულისა-თჳს სიყუარულისა გუაუწყე ჩუენ რადცა იგი სავმარ არს შენდა. რათა სიხარულით აღვასრულოთ ბრძანებაჲ შენი:“

ხოლო წმიდამან სულთ-ითქუნა და თქუა: „ღმერთმან. რომელსა
10 ჰმსახურებ. შეიწირენ გულს-მოდგინებაჲ შენი და სიყუარული. და თავ-
სა თანა მოციქულთასა რომლისა საყდარი გერწმუნა. ზიარ გყავნ. წმიდაო და პატროსანო მეუფეო: არამედ რომელი ესე აწ მომიწდა გონებასა თხოვად სიწმიდისა-გან შენისა: უბატოსნეს არს ყოველთა სავმართა და საჭიროვ. და შენდობასა ვითხოვ სიტყუათა ამით-თჳს. B 251^b
15 რომელთა მეგულეფის თქუმაღ. რამეთუ არა ჩემისა კანდიერებისა-გან ვიტყუ. არამედ. საღმრთოჲსა|გამოცხადებისა. რამეთუ ვიხილეთ რაჲ C 134^b
სიწმიდე შენი უღირსებისა ჩუენისა ხილვად მომავალი მრავლითა სა- A 185^b
ოცრებითა და დიდებითა. ვევედრე ღმერთსა უწყებად ჩემდა. თუ ვი-
თარ სათნო უჩნს მის-თჳს სახიერებასა მისსა. და უკუეთუ არის რაჲ
20 საბრალობელ შენდა ესევითარისა მის ბრწყინვალეებისა-თჳს. და დი-
დებისა. ანუ თუ იქმნების რაჲ მათ მიერ საუკუნეთა მათ [გამო-
უთქუმელთა] კეთილთა-გან და ამას რაჲ ვიგონებდი. მეყსეულად მე-
ჩუენა მე გუნდი წმიდათა მოციქულთაჲ. დიდებითა და პატივითა
25 გვრგვინოსანი. შემოსილნი ბრწყინვალეებითა. და სამოსლითა ნათლი-
საჲთა. და დაუცხრომელად უგალობდეს ღმერთსა ჳმითა სახარულევა-
ნითა:• ხოლო შენ განდევნილ იყავ მათ-გან. ეჰა საწყალობელსა ამას.
და სახითა მსგავსი ჰინდოჲსა. შავ. და უშუერ. და ამის პირისა-თჳს
ფრიად მწუხარე ვარ. # მეუფეო. აწ უკუე ირწმუნე განზრახვაჲ ჩემი
უნდოჲსა ამის და ცოდვილისაჲ. და სამოციქულო ქცევაჲ მოიბოვე
30 და საერისკაცოჲ ესე ზუაობაჲ და ბრწყინვალეებაჲ ამოჲ დაუტევე და
ზომიერითა ქცევითა იქცეოდე სიმდაბლით. რომლითა გამოაჩინა გან-
ყოფილებაჲ ჩუენი მაცხოვარმან წარმართთა-გან და თქუა. ვითარმად
„რომელნი იგი ჰგონებედ მთავრად წარმართთა უფლებად მათ ზედა. მთ 20, 25-26
|ხოლო თქუენდა არა ეგრეთ იყოს. არამედ რომელსა უნდეს თქუენ B 252^a
35 შორის დიდ ყოფაჲ. იყავნ იგი ყოველთა უკუანაჲსკენელ:“ ესრეთ
გუასწავებს თავადი იგი მეუფე ჩუენი და შემდგომად მათსა:• და ყო-
ველნივე საღმრთონი კანონნი. ამათ უკუე შეუდეგ შენცა გევედრები და
ექმენ ობოლთა ვითარცა მამაჲ. და ქურციტა ვითარცა მოღუაწე. ხოლო
გლახაკთა ექმენ გამომზრდელ და ჳელის-ამჳყრობელ და მზრუნველ.

- და მწყემს კეთილ სამწყსოვსა მის. რომელი გერწმუნა მწყსად. და ყუა-
 C 135^ა ვილო|ვანთა და წყალთა ზედა განსასუენებელთასა მწყსიდი და არვე-
 ობდი. რომელ არს სიმდაბლე და სწავლათა კეთილთა წყარონი
 დაუწყუედელნი. რომელთა ზედა განუსუენებდი და შეიყვანებდი და
 განიყვანებდი: და დაუპრობელსა მას მძვნვარებასა მგელთასა და 5
 ზედამოსლვასა წინააღუდგებოდე. და განჯადენ და წარიოტენ და კე-
 თილად ეკრძაღე ძკრის-ზრახვასა და მზაკუვარებასა. არა ხოლო უხი-
 ლაჯთა მტერთასა. არამედ ხილულთასაცა. ესე იგი არს. რომელნი
 [ესე] დამკვდრებულ არიან ეზოთა შინა ჩუენთა აგარეანნი. რომელთა
 A 186^ა |მიშუებისა და აღზუავებისა მიზეზ იქმნენს ცოდვანი ჩუენნი: უკუეთუ 10
 არა. ვერ სადამცა უფლებულ იყენეს ჩუენ ზედა. და მეფენი იგი მათნი
 რომელთა უპყრიეს ქალაქი ჩუენი. და უცხო არიან სარწმუნოებისა
 ჩუენისა-გან და მარადის მრისხანებით. და გულის-წყრომით აღიძრვიან
 ჩუენ ზედა. უფროდს უკუეთუ გუზილნენ ჩუენ დღეკეთილობასა შინა.
 B 252^ბ და|კუდისა და ამოავსა დიდებისა. და მსოფლიოვსა ბრწყინვალე- 15
 ბისა მდევარ. და მოშურნე. და ამით შინა მგდომად მათდა. რომელნი
 იგი სხვთა არარადთა იძლევიან ჩუენ მიერ. არამედ სიმდაბლითა და
 სიმშვიდითა. და რათა წესიერად და მყუდროებით ცეცხონდებოდით
 მათ თანა:.

ესე არს სათხოველი ჩემი შენ-გან მეუფეო. და კეთილი ესე განზ- 20
 რახვად სიგლახაკისა ჩემისაჲ თუ შეიწყნარო. უაღრეს არს ჩემ-თვს
 ყოველთა ნიქთა და მოსაგებელთა. რათა გიხილო შენ წმიდათა მო-
 ციქულთა თანა დიდებასა მას შინა გამოუთქუმელსა. რომელი იგი
 ღმერთმან მიჩუენა მე. და რათა არა უნდოსა მას შეურაცხებასა შინა
 დაშთე. სადა იგი გიხილე მდგომარე“: ~ 25

- ესე რაჲ ესმა პატრიარქსა მას. მწუხარებითა და ურვითა აღივსო
 უტყუად და უკმოდ დაადგრა მყოვარჲამ. რამეთუ გულის-ხმა-ჰყოფდა
 ზარსა მას თქუმისასა და შესაძრწუნებელთა და წინადაუდგრომელთა
 სიტყუათა წმიდისათა. და მერმე ჰრქუა. „ჰემმარიტად მამოა სასტი-
 კად შეაძრწუნე სული ჩემი საშინელითა ამით სწავლითა შენითა. და 30
 C 135^ბ |მელმის ჩემ-თვს განმზადებულთა მათ-თვს განსაცდელთა. გარნა შემ-
 წე მეყავ მე წინაშე ოვფლისა. ღმრთივ-შეწყნარებულთა მათ ლო-
 ცვათა შენთა მიერ. და აქა დღემდე ცდომათა ჩემთა-თვს შენდობაჲ
 მითხოვე: ხოლო ამიერითგან. ვითარცა ჯერ-გიჩნს და გნებავს. ეგ-
 რეთ განავო ცხორებაჲ ჩემი:“ ესე თქუა და იჯმნა წმიდისა-გან. და 35
 წარვიდა ქალაქად. და მცირედჲამ დაიმარხა აღთქუმაჲ თვისი: და კუა-
 B 253^ა ლად პირველსავე ცხორებასა მიექცა. კუდისა დიდებისა და გემოთა
 მიერ ძლეული. და ჰემმარიტი იგი ბრწყინვალე. და საუკუნოდ ცხო-

1—2 ყუავილანთა B. — 2—3 არვეობდი| აძობდი B. — 9 აგარიან-
 ნი A. — 10 უკუეთუმცა B. — 14 ზედა+და B. — 16 მოშურნე| მოსურნე B. —
 18 გეცხონდებით B. — 21 ჩუენისაჲ A. — 27 მყუარ A. — მყოარ B. —

რებაჲ უგულებელს და შეურაცხ-ყო. ვითარცა იტყუს: „ვითარმედ შეი- ი5 12, 43
ყუარეს დიდებაჲ კაცთაჲ უფროჲს ვიდრე დიდებაჲ ღმრთისაჲ:“
ხოლო მართალმან მან კაცმან რაჲ ყო. რომელი იგი მოწყულს იყო
საღმრთოჲთა ტრფიალებითა და განგურემულ ისრითა მით სიყუა-
5 რულისა მისისაჲთა, რომელსა სწყუროდა ყოველთა ცხორებისა-თჲს
და უფროჲს|ლა ესევეითარისა მიხლობელად თჲსსა მყოფისა კაცისა- A 186^b
თჲს. რომელსა დაევიწყნეს მცნებანი საღმრთონი. და მრავალთა მი-
ზეზ შებრკოლებისა ექმნებოდა. [არარას სხუასა იქმოდა] გარნა რა-
ოდენ იყო საყუარელ ღმრთისა. რამეთუ ყოველითა ძალითა თჲსითა
10 სამოციქულოთა მათ ბრძანებათა შემსჭუალულ იყო და მსგავსად
მისსა ებისტოლეთა მიერ ევედრებოდა. ჰლოცვიდა. ამცნებდა. ჰმო-
ძღურიდა. და უთქუმიდა. რათა მერმეთა მათ სატანჯველთა-გან შე-
ძრწუნდეს. და საუკუნეთა მათ კეთილთა არა დააკლდეს. ამათ და ესე-
ვითართა სწავლათა მიერ ილუწიდა წმიდაჲ იგი. და ესრეთ ინება
15 შჯულღიერყოფად მისი. და შიშსა ღმრთისასა მოყვანებაჲ: ხოლო ვი-
ნაჲთგან იხილა. რამეთუ არარას ირგებს. არამედ სწავლათა მისთა
შეურაცხ ჰყოფს. და რამეთუ სიციბილად და სიბორგილედ უწოდდა
საღმრთოთა მათ სწავლათა მისთა და მცნებათა. მაშინ მიუძეცო მას
ჟამსა წმიდათა მარხვათასა და ჰრქუა. ვითარმედ „ჩუენ. ჰ შეუფეო.
20 ესრეთ ჯერ-გჳჩნდა. რათამცა ღმრთის-მოყუარებაჲ შენისა რა შექ- C 136^a
ცეულ იყო ცუდთა და ამაოთა საქმეთა. რომელთა იგი ტრფიალნი
ამის საწუთროსანი შე|თხულ არიან და შეკუართულ განსუენებასა B 253^b
და სიხარულსა: არამედ უფროჲსლა რათამცა ამათ-გან განშორებითა
გუნდსა თანა მოციქულთასა აღირაცხე. და დიდებისა[მცა] მათისა
25 ზიარ იქმენ. ვინაჲცა ვითარცა კეთილთა განშრახთა განგაზრახეთ
საღმრთოთა მათ და სამოციქულოთა ბრძანებათა. და კანონთა შე-
ტკობაჲ. და აღსრულებაჲ: ხოლო ვინაჲთგან ურჩ გუექმენ და სარ-
გებელი სულისა შენისა და ყოვლისა კრებულისაჲ შეურაცხ ჰყავ სა-
წუთროსა ამის და ცუდისა დიდებისა შეყუარებითა. უწყებულ იყავ.
30 ვითარმედ ჰეშმარიტად ვერცა ამით განისუენო მრავალჟამ. რამეთუ
განიდევნო საყდრისა-გან და გამოუთქუმელთა ჰირთა მიეცი. და ესე
არა შორს არს. არამედ კართა ზედა: და მოახლებულ არს განსაც-
დელი და მოწვევულ. რამეთუ დიდსა და წმიდასა და დიდებულსა
ხუთშაბათსა დღესა. რომელსა შინა აღესრულების შეწირვაჲ წმი-
35 დათა საიდუმლოთაჲ. არა შეგინდოს შენ ჟამამდე ჟამის-წირვისა.
გარნა თუ ვინ უწყის. ნუ უკუე კეთილისა რაჲსამე განზრახსა-თჲს
მოწყალე გუექმნას ღმერთი. ხოლო უკუეთუ სიტყუათა ამათ ჩუენთა
ურწმუნო იქმნა და მოუდრეკელად ეგო. საქმით სცნა ჰეშმარიტებაჲ

1 უგულებელსყო და შეურაცხო. — ვა+და A. — 2 ვიდრე] ვიდრელა-
რა A. — 7 მრავლითა A. — 14 ენება B. — 20—21 შექცეულ] შემსჭუალულ B. —
22 შეკუართულ] შეკარლ B. — 35 შეგინდოს A. — 35 ჟამამდე B. — 38 ექმნა B. —

- A 187^a უეკუეულად: „ ხოლო პატრიაქმან მსწრაფლი იგი განჩინებაჲ უგუნურებად და სიმარტივედ და უნდოდ და არარად შეჰრაცხა. და უდებ იქმნა და მომედგრდა საქმედ კეთილისად: რამეთუ არა ადვილ არს ესევეთარისა კაცისა, რომელი ერთგვის შთავრდომილ იყოს საბრვეთა მტერისათა განრომად მრავალშეთხულთა მათ-გან მახეთა მისთა, რომელი იგი ფიცხელსა წყობასა აღადგინებს კაცთა მიმართ მალალთა და საჩინოთა და უფროასლა უკუეთუ აქუნდეს წინამძღურობაჲ სხუათაჲ, რამეთუ მარადის დედაქალაქსა და ციხის-ციხესა და გოდოლთა
- B 254^a იმსტრობს გამოღებოდ, და უკუეთუ ერთგვის შესავალი იპოოს, უადვილეს უჩნს სიკუდილი და წარწყმედაჲ, ვიდრე მიერ ადგილით განშორებაჲ, ამისთვისა დიდი ესე მწყემსი ვინაჲთგან ერთგვის იძლია მის მიერ და მახეთა მისთა შთაება, ვერღარა უძლო სივლტოლაჲ უდობობითა თვისითა, დაღაცათუ საკვრველ არს, გარნა იქმნების ესე, ვითარცა იგი არწივი, დაღაცათუ ძლიერ არს ფრინველთა შორის, არამედ მრავალგვის ერთითა რაჲ ხოლო ბრკლითა შთავარდის მახესა მის მონადირეთასა, იქმნის იგი საკიცხელ, ვინაჲთგან სივლტოლად ვერღარა უძლის: ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ, და განსაცდელთა მათ-თვის მღდელთ-მოძღურისათა და წინადასწარმეტყუელებათა წმიდისათა შემდგომითი-შემდგომად გაუწყოთ: 20
- მოიწია უკუე დიდი ხუთშაბათი, და არარაჲ შეემთხვა საძნაური პატრიაქსა, არამედ მზა იყო აღსრულებად ჟამის-წირვისა და ჰრქუა წინაშე მდგომელთა, ვითარმედ „სადა-მე არს აწ მონაზონისა მის ჩუენდა მომართ იგი ამოჲ წინადასწარმეტყუელებაჲ, და სასტიკი იგი შინებაჲ, და ძრთა მოწევისა ქადაგებაჲ, აჰა ესერა განაღა არარაჲ ბოროტი მოწევესულ არს ჩუენ ზედა ფარვითა ღმრთისაჲთა გინა შესაწუხებელი, აწ უკუე რაჲ არა-მე ამო იქმნა მისი იგი მძნვარე განჩინებაჲ ჩუენ-თვის, და უჯეროჲ ბჭობაჲ, ამიერითგან შევიმოსნეთ, და ვიწყოთ კურთხევად მიჰრონისა ჩუეულებისა-ებრ, და ზღაპრობათა და სიცბილთა მისთა-თვის ნურარაჲ გუგლიან:“ 30
- ესე რაჲ თქუა, და არღარა დაესრულა სიტყუად მისი, აღესრულა წმიდისა მის წინადასწარმეტყუელებაჲ: რამეთუ ვგულებოდა რაჲ შესლვად ეკლესიად, აჰა ესერა მეყსეულად მოიწინეს მგედარნი წარმოვლინებულნი ბაბილოვნით აჰრონის მიერ რომელი იგი კელმწიფებდა მას შინა, რომელსა ეწოდებოდა რასიტ, და შეკრეს იგი ჯაჭუთა
- A 187^b მძიმითა და ბორკილითა, და აღიტაცეს რათა წარიყვანონ წინაშე მისსა შეკრული, რამეთუ შესმენილ იყო ვითარცა თავვედი და ორგული და სხუთა მრავლითა უჯეროჲთა შესმენითა შესმენილი, და
- C 137^a

5 მტერისათა B. — 6 მიმართ B. — 9 იმსტრობს B. — იპოვოს B. — 22 მზა A. — 29 კურთხევასა A. — 30 მისთა B. — 31 მისი თვისი B. —

ეგულეობდა მას უხუთაიწნოთა სიკუდილითა უჩინო ყოფად მისი: და ვითარცა განვიდოდეს ქალაქით მჭედარნი იგი. და მიჰყვანდა იგი შეკრული. და ისწრაფიდეს წარსლვად. მაშინღა გულის-ხმა-ყო პატრიარქმან ურჩებისა თვისისა შესაძინელი: რამეთუ რომელსა იგი სიტყუად ვერ ასწავებს. გამოცდილებაჲ საქმისა ასწავებს. წმიდისა მის მიმართ მისლვად სასოებად ცხორებისად მოიპოვა და მჭედარნი იგი ქრთამითა მოღრიკნა. და წმიდისა მის მიიწია. და რომელნი ანუ ვითარნი გოდებანი და ტირილნი საწყალობელნი არა იტუმინა მისსა მიმართ და იტყოდა: „ეჲა საშჯელი უღმობელობისაჲ და ჰ მოსაგებელი ურჩებისაჲ და თავგვედობისაჲ კეშმარიტად ჰ წმიდაო მამაო სიკუდილი და ცხორებაჲ ჩემი ჯელთა შინა შენთა დაშთომილ არს აწ უკუე მოწყალე იქმენ ჩემ ზედა და მივსენ განსაცდელისა ამის-გან და ნუ მოივსენებ წმიდათა მათ მცნებათა შენთა გარდასლვასა. რომელთა იგი გარდავევდ მე უბადრუკი ესე: შეიწყალე ქურობაჲ კათოლიკე ეკლესიისა და ერისა შენისაჲ. რომელთა-თჳს მარადის ითხოვე წყალობასა და მეოხ ხარ. რამეთუ მე კეშმარიტად და სამართლად ღირსი ურჩებისა ჩემისაჲ შემემთხვა. და წმიდათა მცნებათა შენთა შეურაცხებისა-თჳს თჳთ ვიქმენ მიზეზ განსაცდელთა ჩემთა. არამედ სიტკბოებით და ძკრუქსენებელად ითხოვე ღმრთისა-გან. რომელი იგი მარადის ჰყოფს ნებასა მოშიშთა მისთასა. მწარეთა ამათ ბოროტთა შთაგრდომილისა გამოვსნაჲ: ~ ~ ~

ესრეთ რაჲ იხილა იგი წმიდამან მან და წყალობის-მოყუარემან კაცმან ღმრთისამან. სასოწარკუთილი და დამდაბლებული. ჰრქუა მას: უკუეთუმცა პირველითგანვე გქონებოდა ესე შიში მეუფეო. | არამცა მოწვენულ იყო შენ ზედა შიში. გარნა ყოველსავე ზედა განმზნდი და ნუ გეშინინ. რამეთუ წყალობაჲ და კაცთ-მოყუარებაჲ ღმრთისაჲ სძლევენ ცოდვთა სინანულად მოქცეულთასა. რომელი იგი გამოუთქუმელითა მით განგებულებითა თჳსითა გუწურთის. და კუალად გკლხინებს. ვსნად ჩუენდა უკუდავთა მათ სატანჯველთა-გან: | რამეთუ აჲა ესერა წარგიყვანებენ წინაშე ბაბილოვნისა ჯელმწიფისა. რომლისაჲ წარიდგინო და სიკუდილად დაისაჯო: არამედ ღმერთმან. რომელმან ივსნა სამნი ყრმანი ბაბილონს. ანგელოზებრივისა ხატისა გამოჩინებითა. და ღმრთეებისა ჯელმწიფებითა. იგივე შეგეწიოს და გივსნას შენ. და იქმნენ შენ მიერ სასწაულნი და ნიშნი საკვრველნი და | საკვრველბათა მათ-თჳს ღიდთა ნიჭთა და პატივთა ღირს იქმნე: და | ხოლო ეკრძალე თავსა შენსა და ნუმცა რაჲ მოვაქუს ყოვლადვე და ნუცა წარიტყუენვი სავმართ-მოყუარებითა. არამედ მათ წილ სიტკბოებაჲ ქრისტეანეთაჲ ითხოვე. და რაოდენცა ძალ-გედვას. თხოვად მისსა ნუ დააცადებ:“ და ესე რაჲ ჰრქუა და დაამტკიცა ლოცვითა და სწავლითა თჳსითა. ზეთი კანდელისა-გან წმიდათაჲსა

B 255*

C 137b

A 188*

B 255b

1 სიკუდილითა] მოკლვითა B. — 6 მისლვად B, 20 მისთასა] თჳსთასა B. —

მისცა და ჰრქუა: ესე გექმნეს შენ შემწე ძალითა სულისა წმიდისადათა კურნებისა-თჳს სნეულთადასა, ამიერთგან წარვედ მშვიდობით:“ ~ ~

და ესრეთ რაჲ ჰრქუა. მეყსეულად მკედარათა მათ განჰჳსნეს იგი საკრველთა მათ-გან და წარემართნეს გზასა თჳსსა და წარვიდეს: და ყოველსა მას სლვასა თჳსსა ესრეთ შეუწუხებელად ავლინებდეს მას. გინა თუ სიტყუათა-გან წმიდისათა ლმობიერ იქმნნეს. გინა თუ ლოცვითა მისითა ზეგარდამოდთა წამის-ყოფითა მოდრკეს მოწყალებად. ყოველსავე ზედა ესრეთ შეუწუხებელად წინაშე ჯელმწიფისა წარადგინეს: ~ ~

- C 138^a ხოლო იგი დაჯდა საყდართა ზედა. და პირველსავე სიტყუასა ზედა. უკუანადაცნელი იგი განჩინებაჲ განაჩინა მის ზედა და თავისა მისისა წარკუეთაჲ უბრძანა: ჯოლო მეგრმლემან წინაშე მისსა მსწრაფლ იჯადა მახული. გარნა ხეტქნებად მისსა ვერ უძლო. ხოლო მან ჰკითხა მიზეზი. და თუ რაჲსათჳს დაეყენა წარკუეთად თავისა მისისა. და იგი იტყოდა. ვითარმედ „ნათლითა შემოსილი ვინმე კაცი. დამართებით ჩემსა მდგომარე. მეცოვანი თმითა და ბრწყინვალე ხატითა. არა შემინდობს მიმთხუევიად ჯრმლისა:“ ხოლო მეფემან შიში დასწამა მკედარსა მას და უბრძანა განშორებაჲ მიერ და სხჳსა მოყვანებაჲ: და ეგრეთვე მან. ვითარცა აღილო მახული. და დახარა ჯელი თჳსი. ჰრქუა მთავარსა მას: „ჰ დიდო ჯელმწიფებითა და ძლიერო. ორთა კაცთა ვხედავ წინაშე ჩემსა. რომელსა წარვჰკუეთოთ თავი:“ ხოლო მკედარმან მან აზნო მრავალგზის მოქნევითა ორთავე წარკუეთაჲ. და ვერ მიამთხუა. არამედ აქა და იქი მიმოეტაცა მახული თჳსი ამიად: ხოლო ჯელმწიფე იგი განრისხნა მკედრისა მის-თჳს და მეყსეულად სხუასა უბრძანა წარკუეთად თავი პატრიაქისაჲ. რომელი იგი იყო უფროჲს მათსა ზუავ და კადნიერ და თავჯედ. და სიმეწესა თჳსსა მინდობილ. ხოლო მან აღილო რაჲ მახული. და აღიზანა. რათამცა სიმძაფრითა დიდითა უწყალოდ წარკუეთა თავი მისი და იცილობოდა კაცობრივითა ძალითა ძლევად ძლიერებასა საღმრთოსა. გარნა განცრუენა სასოებაჲ ბილწისა მის მტარვალისაჲ. რამეთუ ზეგარდამოდასა შეწვენისა-გან იძლია იგიცა. და დაეცა სიმაღლე უღმრთოდასა. რათა არა უმეტეს თავჯედობდეს. და არცა ამპარტავანი იგი მარჯუენე მისი დაშთა უწურთელად. კადნიერებისა მისისა-თჳს. რამეთუ ზე აღიპყრა მიმოქცევიდი იგი და მედრეკანი. ხოლო ქუე ვერდარა უძლო შთამოღებად. არამედ დაშთა იგი განშეშებული. და განქმელი. და მოუდრეკელი: რამეთუ ჯელმან ზეგარდამომან და მარჯუენემან საღმრთომან უქმ ყო და უსულო. და დაშთა იგი ჰაერთა შინა|

7 სიტყვ-თ-გნ წდისათა] წმიდისა მის სიტყუათა-გან B. — 9 შეუწუხებელად] შეუხებელად A. — 12—13 თავსა მისსა A. — 14 მსწრაფლი B. — 25 ამაოდ<B. — 26 მეყსეულად] მყის B. — 29—30 იცილებოდა A, ეცილებოდა B. — 35 იგი<B. —

მანხლით-ურთი: ხოლო ჯელმწიფე იგი განჰკრთა და შეძრწუნდა და თქუა. ვითარმედ „ესე საქმე არა არს თჳნიერ გრძნებისა“. და თუ რამდცა ყო არა უწყოდა. ვინადთგან ესევეითარი აღსასრული წინა განეწყო ცილობასა მას მისსა და ზახებასა. ვინადცა ბრძანა პატრიაქისა 5 მის საპყრობილესა შეყენებაჲ. ხოლო თუთ აღდგა საყდრისა-გან და მსწრაფლ სამეუფოდ წარვიდა:

ხოლო სასწაული იგი საკვრველი მრავალთა სასმენელთა-გან მრავალთა შიმართ მიმოეფინებოდა. ვითარმედ მიიწია ყურთა დედოფლისათა. ხოლო მას ესმა რაჲ სმენაჲ იგი და ჰამბავი საშინელი. 10 ვინადთგან გონიერ იყო გონიერადცა გულის-ხმა-ყო და თქუა. ვითარმედ „ესე საქმე შეუძლებელ არს თჳნიერ საღმრთოჲსა ძალისა და განგებისა“. და ნუ უკუე ზეგარდამოჲსა ძალისა-გან მოუგდა გონებასა მისსა ესევეითარისა ამის განზრახვისა ნათელი. რამეთუ ყოველივე ესე ღმრთისა მიერ განეგებოდა:

15 და ვითარცა მივიდა მისსა ქმარი მისი. მეყსეულად ითხოვა მისგან. რათა უენებელად მიჰმადლოს მას კაცი იგი. ხოლო იგი ერჩდა თხოვასა მისსა და მოუწოდა პატრიაქსა და ჰრქუა. ვითარმედ „ესე არს მიზეზი ცხორებისა შენისაჲ. აწ უკუე იყავ ვითარცა ერთი მეკარეთა-განი. კეთილად-მცველ სამეუფოთა ეზოთაჲ: ხოლო მან დაყო მსა- 20 ხურებასა მას შინა ჟამი|არამცირედი და სასოებასა და წყალობასა A 189“ ღმრთისასა მოელოდა: და მარადის ლოცვათა მათ წმიდისა ტიმო-

თესთა ხადინ შემწედ თჳსად. და ვიდრე არღა წარსულ იყო ჟამი მრავალი აჰა ესერა ძე ჯელმწიფისაჲ მის შთავარდა|სენსა ბოროტსა. C 139“ და ინატრიდა სიკუდილსა უფროჲს|ცხორებისასა: ხოლო მამად მისი B 257“

25 ვინადთგან იგი ხოლო ესუა ძედ. და რამეთუ მხოლოდ-შობილი იყო მისი. და მისსა მიმართ ხოლო აქუნდა სასოებაჲ და ყნოსაჲ. და სიხარული. გამოუთქუმელსა მწუხარებასა შთავარდა. და მეყსეულად შემოკრიბნა ქალდეველთა და სპარსთა შორის წარჩინებულნი. და გამოცდილნი მკურნალნი და მკურნალთ-მთავარნი და სიცოცხლისა-თჳს 30 ძისა თჳსისა ყოველსავე ღონესა ეძიებდა: ხოლო ვინადთგან არცა ერთი რაჲ სარგებელი|ჰოვა მათ მიერ. წარეკუეთა საყუარელისა ძისა თჳსისა ცხორებაჲ. ვინადცა მკურნალთა ძიებაჲ და კურნებისა სასოებაჲ დაუტევა. და სიკუდილსა ძისა თჳსისასა მოელოდა. და დაფლვისა მისისა და სამარისა-თჳს იურვოდა. ხოლო ცოლსა მისსა 35 [წუთლა] სასწაული იგი პატრიაქისაჲ არა დაჰვიწყებოდა. არამედ გონებასა თჳსსა აქუნდა ვსენებაჲ მისი. და ჰრქუა ქმარსა თჳსსა. ვითარმედ „აჰა ესერა წარწყმდა სასოებაჲ ჩუენი. მკურნალთა-მიერ

8 ვითარმედ| ვიდრემდის B. — 12 უკუე+და A. — 15 ითხოვა B. — 19 მცველი A. — 23 ჯელმწიფისაჲ| მეფისაჲ B. — 25 იგი ხოლო| ხოლო იგი A. — 28 ქალდეველთა B. — 33 მოელოდა<A. 33—34 დაფლვასა მისსა A. — 34 იურვოდა| ზრუნვიდა B. —

- კურნებისა-თჳს შვილისა ჩუენისა. და უნუგეშინისცემოსა და უხუაიშ-
 ნოსა ბოროტსა მივეცენით. გარნა ესე ხოლო დაშთომილ არს. რამეთუ
 არს ჩუენ შორის წინამძღუარი იგი ქრისტეანეთაჲ. რომლისა იგი
 საკრველთ-მოქმედებაჲ კეთილად გახსოვს. და [თუ] ვითარ იგი ზეშთა
 ბუნებისა მძლეველ ექმნა სიკუდილსა არა დაგუწყებია. ვინ უწყის და 5
 ნუ უკუე იგივე ძლიერებაჲ აჩუენოს კურნებისა-თჳს სასურველისა შვი-
 ლისა ჩუენისა. და მისცეს მას ცხორებაჲ: აწ უკუე მოუწოდე მას და
 საქმისა ამის-თჳს ვედრე: და მას ვითარცა ესმა ესე. მეყსეულად ყო-
 B 257^b ვლითა პატივითა ბრძანა მოწოდებაჲ პატრიაქისაჲ. და ჰკითხა მას
 უკუეთუ არს რაჲ მის თანა ძალი რაჲმე დამკსნელი განსაცდელისაჲ 10
 მის. და სასოწარკვეთილისა ძისა მისისა ცხორებისა მომატყუებე-
 ლი: ხოლო პატრიაქმან ჰრქუა. ვითარმედ „მე. და აჰა ესერა ძალითა
 ღმრთისაჲთა და ლოცვითა მისითა. რომელი იგი გამომიჩნდა მე და
 C 139^b სიკუდილისა-გან მივსნა. საყუარელსა ძესა შენსა. მსწრაფლი კურ-
 ნებაჲ მივანიჭო. და პირველსავე სიმრთელესა თჳსსა მოვიყვანო:“ 15
 ესე თქუა და ზეთისა მის-გან. რომელი წმიდასა ტიმოთეს მიეცა
 მისდა. სახელითა წმიდისა და ერთარსისა სამებისაჲთა სამგზის სცხო
 A 189^b ყრმასა მას. და ეჴა საღმრთოჲ ძლიერებაჲ. მეყსეულად სენი იგი ივლ-
 ტოდა. და ძალი საცნობელთა მისთაჲ განცოცხლდა და იქმნა ვითარცა
 იყო პირველ: 20

ხოლო მიერთვან თუ ვითარი სიხარული მოიწია ჴელმწიფესა
 მას ზედა ხედვიდა რაჲ ძისა თჳსისა ზეშთა სასოებისა განკურნებასა.
 გამოთქუმაჲ შეუძლებელ არს: და მერმე განიზრახა რათა ყოვლი-
 თავე ნიჭითა და ქველის-საქმითა განამდიდროს მიზეზი იგი სიხარუ-
 ლისა მისისაჲ. და აღიდებდა იგი შჯულსა ქრისტეანეთასა და იგი 25
 ხოლო შერაცხილ იყო მათ შორის წმიდად. ესრეთ ლოცვითა წმი-
 დისა ტიმოთესითა იდიდა ნათესავი ქრისტეანეთაჲ. და განთავი-
 სუფლდეს იგინი შეურაცხებისა-გან და ღვეწულებისა:

- ამისსა შემდგომად ბრწყინვალე და დიდებული პალატი შეჴმ-
 ჴადა მეფემან. და თუთ იგი თავადი. და ძე მისი. დიდებითა დიდითა 30
 დასხდეს საყდართა ზედა. და ვიდრე იგი ყოველნი მთავარნი დგესლა
 წინაშე მეფისა: პატივითა და კრძალულებითა ფრიადითა მოიყვანეს
 B 258^a პატრიაქი და ჴელმწიფისა მის წინაშე მახლობელად მისსა. ინაწით
 დასუეს:

და მერმე ჰრქუა მეფემან დიდებულთა თჳსთა და წარჩინებულთა. 35
 „ჯერ-არს თქუენდა. რომელნი ეგე მორჩილ ხართ შარავანდელობისა
 ჩუენისა. რათა დღეს ჩემ თანა იხარებდეთ. და მხიარულ იყვნეთ და
 საღმრთოსა ამას კაცსა. კაცად-კაცადმან ძალისა-ებრ პატივ-სცეთ და
 ანიჭოთ. რამეთუ ძე ესე ჩემი საყუარელი და სასურველი. ლოცვითა და
 ჴელთ-დასწმითა მისითა განიკურნა. და ბოროტისა მის-გან სენისა გან- 40

თავისუფლდა და განცოცხლდა: „და მერმე. ვითარცა მღღელთ-მოთ-
 ვარსა. ყოვლისავე ნიჭისა და სათხოველისა მინიჭებაჲ აღუთქუა:
 ხოლო მთავართა მათ და წარჩინებულთა ბრძანებულისა მის აღსრუ- C 140^a
 ლებაჲ სასწაულად სიხარულისა შეერაცხა. და თვისა გელმწიფისა
 5 მომადლებასა წადიერ იყენეს და მოსწრაფე. ამისთჳსცა თუთოეულმან
 მან თჳსით სახლით ნიჭნი და საბოძვარნი ბრწყინვალენი მოიხუნეს.
 და წინაშე პატრიაქისა დასხნეს. რომელთა სიმრავლე აურაცხელად
 რიცხულად აღვიდა. ხოლო მან მცნებისა მის-თჳს წმიდისა ტიმოთესსა
 და ვინაჲთგან მოძღურად მორჩილებისა სიმძიმე იგი და ჳირი ურჩე-
 10 ბისა-თჳს მოწიგნული აქუნდა: რამეთუ რომლითა იგი ძვრხილულ
 იქმნა შეურაცხებისა-თჳს მცნებისა. ამისსა დაცუად გულს-მოდგინედ
 განსწავლული კეთილად დამმარხველ იქმნა. რამეთუ ვითარცა დღე-
 კეთილობაჲ დაუშკირველი და უაღუროჲ ურჩებასა ასწავებს. ეგრეთვე
 ჳირი და ძვრის-ხილვაჲ ლმობიერებასა და მორჩილებასა ჳოატყუებს:
 15 ამის|თჳსცა ხუავი იგი საწმართა და საბოძვართაჲ ვითარცა არარაჲ B 258^b
 შეჳრაცხა: „არამედ ყოველივე მოიღო და წინაშე ძისა მის გელმწი- A 190^a
 ფისაჲსა დადვა და ჳრქუა. „თავს-იდევ ამისი მიღებაჲ. რომელი ესე
 ყოველთა სიხარულისა სასწაული არს. და რამეთუ ჩუენდა არა ჯერ-
 არს ესევეითართა საწმართა მოგებაჲ. რომელთადა ბრძანებულ არს
 20 რათა საჳირვოსა ხოლო საწმარსა ვორცთასა კმა ვიყოფდეთ: არამედ
 მჳყრობელობასა თქუენსა შუენის ამათ ესევეითართა მონაგებთა ქო-
 ნებაჲ: ხოლო ჩუენდა უფროჲს ყოვლისა [ესე] საწმარ არს. რათა ვი-
 პოოთ წინაშე თქუენსა წყალობაჲ. და ლირს ვიქმნეთ სიტკბობასა
 თქუენსა. რომელნი ესე მორჩილნი ვართ შარავანდელობისა თქუენი-
 25 სანი და მარადის მლოცველნი:“ ხოლო გელმწიფემან მან ფრიად გა-
 ნიხარა სიტყუათა მათ-თჳს მღღელთ-მოძღურისათა. და უბრძანებდა
 რათა ითხოვოს რაჲცა ჯერ-უჩნს. და ესეცა შესძინა. ვითარმედ „და-
 ლაცათუ ზოგი სამეუფოჲსა ჩემისაჲ ითხოო. ფრიადითა სიხარულითა
 |მიგცე იგი:“ ხოლო წმიდამან პატრიაქმან ჳრქუა მას. „ვინაჲთგან C 140^b
 30 ესევეითართა გარდარეულთა ნიჭთა წინამიყოფ მონასა შენსა. და
 შემსგავსებულთა დიდებისა შენისათა სამსა სათხოველსა ვითხოვ დიდ-
 ბისა შენისა-გან. რომელთა მიერ გარდამატებული დიდებაჲ შეჳმატოს
 ლმერთმან სიმაღლესა ძლიერებისა შენისასა. და სიგრძე ცხორებისაჲ
 ჟამთა შენთა: ჳ მალალო და წარჩინებულო შარავანდელო“. ხოლო მან
 35 ჳრქუა: „კადნიერად ითხოვე. რაჲცა გნებავს:“ ჳრქუა მას პატრიაქმან B 259^a
 „ბრძანენ გელმწიფებამან თქუენმან. რათა ყოველთა|სამთავროთა სა-
 ბრძანებელისა თქუენისათა წიგნები ნუგეშინის-საცემელად და სალხინე-
 ბელად მათ შინა მყოფთა ქრისტიანეთა წარეცეს. საცნაურ მყოფელი

4 კელმწიფებისა A. — 8 ტიმოთესა B. — 20 საჳიროსა B. — 31 შენისა-
 თა B. — სათხოველსა B. — 32 გარდამატებული] გარდარეული B. — 35 ით-
 ხოვ B. — 38 წარსცეს B. —



სიტკბოებით მიხედვისა თქუენისაჲ;• ხოლო მღღელთა და მონაზონთა
 ყოველითურთ ხარკისა-გან განთავისუფლებაჲ და ესევეთარისა
 სიმძიმისა სრულიადი შენდობაჲ;• ხოლო მესამედ ყოველისავე ქირისა
 და ზღვევისა-გან განთავისუფლებაჲ ეკლესიათაჲ. რამეთუ ამით სა-
 თხოველთა აღსრულებითა. ჰ მაღალო და წარჩინებულო ჯელმწიფეთა 5
 შორის. ბევრწილად შეჰმატოს ღმერთმან დიდებაჲ და ძლიერებაჲ
 შენი და გულს-მოდგინედ აღესრულებოდის ყოველთა მიერ ლოცვაჲ
 და ვედრებაჲ ღმრთისაჲ დღეგრძელებით დაცვისა შენისა-თჳს. და
 ყოველი სოფელი ჰქადაგებდეს ქველის-მოქმედებათა შენთა:• ~ ~

ხოლო მეფემან სიხარულით მიითუალა თხოვაჲ მისი. და მასვე 10
 ჟამსა წარსცა წიგნები ყოველთა სამთავროთა და საბრძანებელსა
 მისსა. ვითარცა ჯერ-უჩნდა პატრიაქსა: და ესე რაჲ იქმნა. მეყსეუ-
 ლად აღივსნეს სიხარულითა დიდითა ყოველნი ეკლესიანი და ყოველნი
 A 190^b ქრისტეს სამწყსონი. და აღიდებდეს და ჰმადლობდეს ყოვლად-
 ძლიერსა ღმერთსა:• 15

ამისსა შემდგომად სხუაჲ სასწაული იქმნა. სარწმუნო მყოფელი
 პირველთაჲ და ჯელმწიფისა მის კეთილის-ყოფად ქრისტეანეთა უმე-
 C 141^a ტესად მომდრეკელი. რამეთუ ღმერთი ყოველსავე წესიერად და კე-
 თილად განაგებს მიუწოდომელთა მათ განკითხუათა თჳსთა უფსკრუ-
 ლითა. რამეთუ ვითარ იგი ყოველთა მიერ იდიდებოდა. და პატივ- 20
 იცემებოდა პატრიაქი. და საკვრველ იყო წინაშე ყოველთასა. მოიყ-

B 259^b ვანეს წინაშე მისსა. რომელსა იგი ჯელი განჯმელი ედგა:• და თჳთ
 ჯელმწიფე იგი ევედრებოდა განკურნებისა მისისა-თჳს [და ეტყოდა:
 ვითარმედ „რომელი იგი კადნიერებისა მის-თჳს]. რომელი იკადრა
 სიწმიდისა შენისა მიმართ და აღიბჳრა მახული პატიოსნისა ქედისა 25
 შენისა წარკუთად. ვინაჲთგან ბრძანებითა ჩუენითა იიძულა. და ჯე-

როენად განჯმა ჯელი მისი. გვედრები რათა განჰკურნო იგი ძკრ-
 უჰსენებელად:•“ ხოლო ღირსი იგი პატრიაქი ლოცვითა წმიდისა
 ტიმოთესითა განძლიერდა. და სარწმუნოებითა განმტკიცნა და ჰრქუა
 მას. ვითარმედ „ძალ-უც ღმერთსა ლოცვითა ტიმოთესითა განკურნე- 30
 ბაჲ ამისი და მოგებად ჯელი მისი ვითარცა მეორე იგი:•“ და ვითარცა

ესე თქუა. წინაშე ყოველთასა მოილო ზეთისა მის-გან და ხადა სა-
 ხელსა წმიდისა სამებისასა და ლოცვითა წმიდისაჲთა მოწყალებათა
 მისთა ევედრა. და სცხო ჯელსა მისსა. და მეყსეულად განიკურნა. და
 იქმნა ვითარცა ერთი იგი:• ხოლო საკვრველისა მის-თჳს სასწაულისა 35
 ყოველთა დაუკვრდა და განჰკრთეს და ცხადად აღიდეს ქრისტეანო-
 ბაჲ. და ჰნატრიდეს სჯულსა ქრისტეანეთასა. და არა თუმცა შიშისა-
 თჳს დაყენებულ იყვნეს. კნინდა და ყოველნივე ქრისტეანე ვიდრე-
 მემცა ქმნილ იყვნეს. და თჳთ ჯელმწიფე იგი განკვრდა და თქუა.

4 ზღვევისავე A — 4—5 სათხოველთა B. — 19 განაგებდა B. — მათ < B. —
 32 ყოველთაჲსა A. — ჰხადა C. — 38 იყვნეს] იქმნეს B. — 39 კელმწიფეთა B. —

ვითარმედ „დიდნი მადლნი მიუნიჭებიან ღმერთსა ქრისტეანეთადა. და პირველითგანვე აურაცხელსა სიტკბობებასა მიჰფენს მათ ზედა. და ამიერიოთგან მეცა შევეყუარნე იგინი და კეთილსა უყოფდე მათ და პატივს ვსცემდე პატრიარქსა:“ ~ ~

5 ესე ყოველი რაჲ ღმერთმან ესრეთ კეთილად განაგო. და მიე- C 141^b
რითგან ევედრა გელმწიფესა მას პატრიარქი აღსლვად სამწყსოსა B 260^a
თჳსსა და ეტყოდა ესოდენტო ჟამთა უმწყემსოდ და ობლად დაშო-
მისა მათისა-თჳს:.

ხოლო მან მიუგო. ვითარმედ „წარვედ მშჯღობით მხიარული
10 ყოვლითა პატივითა და დიდებითა. და გელმწიფებისა ჩუენისა ბრძა-
ნებითა მთავრობდი სამწყსოთა შენთა ზედა და მწყსიდი. ვითარცა
სათნო არს შენდა. და ყოველთა წელიწადთა მოსწერდი ჩუენდა და
გუაუწყებდი ჩუენ რაჲცა იგი საგმარ არს შენდა:“

და ამისსა შემდგომად იჯმნა გელმწიფისა მის-გან: და წარე-
15 მართა გზა|სა თჳსსა სიხარულით: ხოლო მო-რაჲ-ვიდა თჳსად ქუე- A 191^a
ყანად. არა წარვიდა თჳსად ეკლესიად. არამედ მეყსეულად დიდისა
ტიმოთესსა მისწრაფა. და ვითარცა მიიწია. ქუეყანასა ზედა და-
ვარდა. და თაყუანი სცა მას და ჰრქუა: „ვჰმადლობ ღმერთსა შენ
მიერ. ჰ წმიდაო მამაო. რომელმან ლოცვითა შენითა მიგნნა მე

20 სიკუდილისა ამის-გან ჳორციელისა. და ვევედრები კაცთ-მოყუარებასა
მისსა. რათა სულიერისა მისგანცა სიკუდილისა მიგნნას მე. მორჩი-
ლებისა მიერ მცნებათა შენთაჲსა. და რათა არღა მეგმაროს მე სხუაჲ
სწავლაჲ. რამეთუ არა მცირედ განსწავლულ ვარ მოწვეწულთა ამათ
სწავლათა-გან და წურთათა ჩემთა. რომელნი იგი თავკედლობამან და

25 ურჩებამან ჩემმან მომატყუნეს მე: აწ უწყი ჳეშმარიტად. თუ ვითარი
და რაბამი არს [სიწმიდე შენი. ანუ რაბამი არს] სწავლაჲ შენი
ჳეშმარიტ და უტყუველ. და ჳეშმარიტად დიდთა ნიკთა სამღრთოთა
ღირს ვიქმენ მე უღირსი ესე შენ|მიერ. და ჳეშთა სასოებისა საკრ- B 260^b
ველსა ამას შეცვალებასა საქმეთასა მივემთხვე. დიდსა და განსაკრ-
თომელსა: რამეთუ ვბოვენ მე მჳფუნვარეთა მათ წილ სახარულე-

30 ვანნი. და სატკივართა მათ წილ უტკივარნი. და საგლოველთა მათ
წილ სახიერებითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა შენითა საშუებელნი
და სანატრელნი და|ნაცვალად სიკუდილისა ცხობებაჲ. და წარმა- C 142^a
ვალთა წილ წარუვალნი: და რომელმან სიტყუამან შეუძლოს გამო-

35 თქუმად ქველის-საქმეთა ჩემ ზედა აღსრულებულთა: რომელნი იგი
ყოველნი შენ მიერ იქმნნეს ჩემ ზედა. რამეთუ თანამავალ და განმა-
ძლიერებელ ჩემდა იქმენ და მოქმედ ნიშებისა. და რამეთუ ყოვლადვე

4 პატივსცემდე A, პატივ-ვსცემდე B. — 6—7 სამწყსოჲსა თჳსისა AB. —
13 არს] იყოს B. — 16 თჳსსა ეკლესიასა B. — 18 თაყუანის A. — 20 და+და A. —
21 მიგნნეს A. — 22 არღარა B. — 28 ჳეშთა] ჳესთა B. — 30 ვბოვენ] ვბოვენ B. —
31 საგლოველთა B. — 36 იქმნეს A. —

ვხედვედ წმიდასა ხატსა შენსა. და ნუგეშინის-ცემითა აღივსებოდა სული ჩემი. და რამეთუ ყოვლადვე მასწავებლ და განმაბტკიცებლ და განაქარვებლ მწუხარებათა ჩემთა: „~

მიუგო წმიდამან და ჰრქუა მას. „სარწმუნოებაჲ შენი. მიუფეო. უნდოთა მათ ვედრებათა ჩუენთა თანაშემწე ეყო. და ესე ყოველი. 5 რომელი წარმოსთქუ. აღასრულა კაცთ-მოყუარემან ღმერთმან. რომელი იგი ცოდვათა ჩუენთა-თჳს არა დაჰკშავს კარსა წყალობათა მისთასა. ამისთჳსცა ხატითა ჩემითა გიჩუენებდა საკვრველებათა თჳსთა ძალსა. რამეთუ მრავალსახე არს სიმრავლე მადლთა მისთაჲ. და გა- მოუთქუმელ კაცთ-მოყუარებაჲ მისი: რამეთუ დალაცათუ ვუსწავ- 10 ლის ჩუენ ამაჲს სოფელსა. არამედ წყალობით. რათა მუნათა მათ-გან

B 261^b სატანჯველთა გამოგუჳსნენს. და საწუთროდთა ამით უბადრუქებითა განაგებს საუკუნეთა მათ ტანჯვათა-გან ჳსნასა. და ჩუენდა ჯერ-არს რათა საღმრთოჲსა სწავლისა მიერ უმჯობეს ვიქმნენთ. რათა არა საწმარ იქმნეს უძკრესითა ტანჯვათა განმართებაჲ სიმედგორისა ჩუენი- 15 საჲ. რაჲჲსა შემდგომად წურთისა მოუდრეკელ და უღმობელ ვიპოვ- A 191^b ნეთ. ამისთჳსცა ჯერ-არს რათა ვჰმადლობდეთ სახიერებათა მისთა კაცთ-მოყუარებით სწავლისა ჩუენისა-თჳს. და უნებელისა საძნაურისა მიერ მოგუტემს მიზეზსა ცხორებისასა. რათა შევიანხოთ: „

მიუგო პატრიარქმან და ჰრქუა მას. „ვესაჲ ლოცვათა შენთა. ვი- 20 თარმედ არა უგულვებელს მყოს მე ღმერთმან ამიერითგან: არამედ მთ 3, 9 ვითარცა სახარებასა შინა წერილ არს. „შესაძლებელ ქმნას ქვათა C 142^b ამათ-გან აღდგინებად შევილად აბრაჰამისსა“. და არალირსი ესე მო- მიყვანოს უმეტრებისა-გან მეცნიერებად და კეთილისა ცხორებისა მი- მართ წარმიძლეს: რომლისა მიერ არღარა ვიპოვო უღირს სამო- 25 ციქულოჲსა საყდრისა: და ჯეროვნად მწყსითა სამწყსოთა მისთაჲთა ვპოო მადლი კეთილისა მის და სარწმუნოჲსა მწყემსისაჲ: და პირველთა მათ უჯეროთა საქმეთა-გან სრულიად განვეშორო შეწევნითა ლოც- ვათა შენთაჲთა: „

ესე რაჲ წართქუა. იჯმნა წმიდისა მის-გან. და ლოცვაჲ მისი 30 წმიდაჲ მიიღო. და საყდრისა მიმართ თჳსისა წარემართა: ხოლო შერაჲ-ვიდოდა ქალაქად. ვითარ გაუწყოთ თუ ვითარითა დიდებითა შეიყვანა იგი ერმან მან: რამეთუ ყოველნი მთავარნი ანტიოქიისანი B 261^b განვიდოდეს მიგებებად მისსა ერთა თანა და კრებულთა. და მო- ნათა და აზნაურთა: მღღელთა თანა და დიაკონთა. ვითარცა აწუეგდა 35 მათ სამეუფოჲ იგი ბრძანებაჲ: მაშინ კრებული მორწმუნეთაჲ ფრიად განბრწყინდა და ეკლესიაჲ სიხარულითა აღივსო. და სავსებაჲ მისი დღითი-დღე აღორძინდებოდა: და ესრეთ ფსალმუნებითა და გალო-

8 თჳსთასა B. — 18 და] რათა B. — 21 არამედ] და B. — 22 ქმნას] იქმ-
ნეს A, იქმნას B. — 24 კეთილად B. — 25 ვიპოო A. — 31 და<B. — 35 თანა<B. —
36 მათ] მას B. —

ბითა და მადლობითა კეთილითა ქველის-მოქმედისა და მაცხოვრისა ღმრთისა დიდებასა შეწირვიდეს: ~ ~

და წმიდაჲ იგი პატრიაქი არღარა პირველისა მის ზუაობისა-
ებრ ცხონდებოდა. არცა ეტლთა და ჰუნეთა ზედა ამკედრებოდა. და
5 გინა თუ ბრწყინვალეთა სამოსელთა შეიმოსდა. არამედ. წმიდათა
მოციქულთა ცხოვრებასა ჰბაძვიდა. და ვითარცა ერთი მრავალთა-
განი სიმდაბლით ცხოვნდებოდა და შემუსრვილებისა და უნდოებისა
მიერ დღითი-დღე წარემატებოდა და ამაღლდებოდა: მონათა განა-
თავისუფლებდა: გლახაკთა სწყალობდა. და ქურციკთა და ობოლთა
10 მამად უწოდდეს მას ყოველნი. და ნაცვალად ცხენთა კარაულსა კმა
იყოფდა:•

ესე უკუე სასწაული და უწყებაჲ განგრძობილად წარმოთქუა
სიტყუამან. ვითარცა გესმა: ხოლო აწ ჯერ-არს სხუათაცა სასწაულთა
მისთა წარმოთქუამა. რამეთუ არიან ტკბილ და საწადელ. ვითარცა
15 ესე რომელისაჲ აწ|გუეგულების აღწერაჲ. რამეთუ არსცა სასურველ C 143*
და საკვრველ: ~

იზ

კაცი ვინმე იყვნეს ანტიოქელი. რომელი წარემართნეს ან- A 192*
ტიოქით წარსვლად დაბასა რომელსამე წმიდასა და დიდსა ხუთ-
შაბათსა:• წარპვლიდეს რაჲ გზასა მას|უდაბნოდასა. რომელი წარპვ- B 262*
20 ლის დაფნსა ზედა. და ვითარ განპვლიდეს მათა მათ და ჯევეთა. რო-
მელი არიან მუნ მალანი და ღირღუაროანნი და ჯევენი ღრმანი. აჰა
ესერა მეყსეულად აღივსნეს სულითა სულნელებისაჲთა და ვერღარა
ეძლო მიერ ადგილით წარსვლად მიუწდომელისა მის-თჳს სულნელებისა.
და მიპრონისა. და გამოეძიებდეს. და უკვრდა. და იტყოდეს. ვითარ-
25 მედ „ვინაჲ-მე არს საუნჯე ესე სულნელებისაჲ:“ და ვითარ იგი მი-
მოიწულილვიდეს აქა და იქი. იხილეს დასავალით კერძო ადგილისა
მის. თავსა ზედა მთისასა. ღრუბელი ნათლისაჲ ზრქელი ფრიად. და
ბრწყინვალე. რომლისა-გან გამოვიდოდა ვითარცა ორთქლი. და გუ-
ლის-ხმა-ყვეს ვითარმედ მის-გან გამოვალს სული იგი სულნელებისაჲ.
30 ვინაჲცა მირბიოდა ვინმე ერთი მათგანი და აღვიდა სამსტურობელსა
მას. და განიცადა ღრუბელი იგი. და იხილა საკვრველებაჲ საშინელი
და განსაკრთომელი: კაცი მონაზონი სახითა. მცოვანი თმითა. ეჰა
საქმე დიდებული. ვითარცა საყდართა ზედა მჯდომარე ღრუბელსა
მას შინა: და მით-ურთ აღმაღლდა ღრუბელი იგი და წარვიდა აღ-
35 მოსავალით კერძო. და მჯდომარე იყო მას ზედა კაცი იგი ღმრთისაჲ:•
და ამას ხედვიდა კაცი იგი მოგზაური. ვიდრემდის მიეფარა თუალთა-გან

1 კეთილითა] კეთილად A. — 4 ზედა<B. — და<B. — 32 სახითა<A. —
თმითა<A. — 33 ზედა] შინა A. — 35 მას] მის B.—

- მისთა და განცკბრებულ იყო და განიზრახვიდა თუ რამე არს უცხოა
ესე საკვრველებად და თუ რაა ჰნებაეს ყოფად სახილველსა ამას.
- B 262^b რამეთუ ვხედავ კაცსა ღრუბელსა ზედა მჯდომარესა და მავალსა: და
ესრეთ. დგა იგი განკრთომილი და ტიროდა. რამეთუ ვერ ღირს იქმნა
- C 143^b ხილვასა მისსა და იტყოდა. ვითარმედ „შ დაჭირვებად ესე. და თუ 5
ვითარი კაცი თანა წარმწდა და ლოცვისა და კურთხევისა მისისა-გან
უცხოა დამიტევა“. და ვითარცა განკრძალულადრე მიხედა ადგილსა
მას. სადა იგი მდგომარე იყო ღრუბელი იგი ნათლისაჲ. და ამიერ
და იმიერ განიცადა და იხილა მუნ სხუად კაცი უცხოა ხატითა და
საზარელი ხილვითა. და ფრიად საშინელი. ჯორცითა შიშველი. და 10
თვსითა თმითა დაფარული. და თმათა მათ მიერ ვითარცა სპეტაკისა
სამოსლისა მიერ შემოსილი: თუალითა ხოლო. ვითარცა ველური
რამე და განუცდელი:.
- ესე რაა იხილა კაცმან მან ანაზღაითისა მის ხილვისა მისისა-გან
განკვრებულ იქმნა და შეშინებულ ფრიად. რამეთუ ჰგონებდა მას ვი- 15
A 192^b თარცა ველურსა რასმე და მიუახლებელსა ნადირსა: ხოლო ვინაჲთ-
გან გამოჩინებული იგი ადგილისა-გან წარვიდა. და უშინაგანესთა
უდაბნოთა მიმართ მივიდოდა. მაშინლა გულის-ხმა-ყო კაცმან მან.
ვითარმედ არცა ოცნება არს არცა ნადირი. გინა სხუად რამე მიუახ-
ლებელი. და წინააღმდეგომი: არამედ უფროაჲსლა კაცი მართალი. და 20
მეუდაბნოე და მძოვარი და ღირს ქმნული ზრახვად ღრუბლითა ამაღ-
ლებულისა მის კაცისა: ესე განიზრახა და შეშინდა ნუ უკუე მისსაცა
ხილვასა დააკლდეს. და დასჭირდეს ლოცვად მისი. და მწუხარებაჲ
B 263^a მწუხარებასა ზედა დაერთოს. და ესრეთ ყოველი შიში განიშორა. და
ნიშითა ცხოველს-მყოფელისა ჯუარისაჲთა განძლიერდა: და წმიდასა 25
მას კაცსა დევნა უყო. და ღალადებდა. ვითარმედ „ნუშეცა დავაკლდები
ლოცვისა შენსა ვითარცა საუნჯეთა პატიოსანთა. შ წმიდაო მამო.
რომლისა ღირს მყო ოფალმან პოვნად:“ ხოლო ვინაჲთგან შინაკერ-
ძოთა უვალთა შევიდოდა. და დადრგომად არა ერჩდა. და კაცსა მას
- C 144^a ვერღარა ეძლო მიწევენად მისი. რამეთუ საღმრთოჲთა ძალითა უმა- 30
ლეს მისსა რბიოდა და ვითარ უღონო იქმნა. ფიცითა საშინელითა
შეკრა იგი. რამეთუ აფუცებდა მას და ეტყოდა. ვითარმედ „ძალსა
ოფლისა ჩუენისა იესოჲ ქრისტესსა. რომელი იგი არს მეუფე ყო-
ველთაჲ. და შემოქმედი. და თავს-იდგა ცოდვილთა მიახლებად და
ზრახვად და სინანულად მოყვანებაჲ მათი. თავს-იდგე შენცა მიმსგავ- 35
სებაჲ მისი. და ღირს მყავ მე ცოდვილი ესე მოღებად ლოცვისა შე-
ნისა. და სმენად სიტყუათა შენთა:“ ~

1 განიზრახვიდა+და B. — 7 მიხედა] მიხედნა A. — 14 ანსდაითისა A.—
მისისა-გან] მისისათჳს B. — 19 ოცნება] უცხოობთა A. — 21 მძოვარი B. —
26 კაცსა<B. — 28 ოფალმან] ღმერთმან B. — 30—31 უმაღლეს A. — 33 მე-
უფე A. —

- ხოლო იგი იძლია ფიცისა მის-გან. და ჰრქუა კაცსა მას. ვითარ-
მედ „აჰა ესერა გელი შენ. მოვედ ჩემდა. და იტყოდე. რადცა გნ-
ბავს:.“ ხოლო მან მიახლებაჲ მისი ვერ უძლო. არამედ დამართებით
მისსა დადგა ბრძანებითა მისითა და თაყუანი სცა და ჰრქუა. „ლოცვა
5 ყავ ჩემ-თჳს ცოდვილისა. წმიდაო მამაო. და ღირს მყავ მე ცნობად.
თუ ვინ ხარ შენ. ანუ თუ ვინ იყო იგი. რომელი ვიხილე ღრუბელსა
ზედა მჯდომარე და თუ რაჲ არს უცხოჲ ეგე ხილვად შენი:“ რამეთუ
მე ძრწოლასა შეუპყრიე და განკრთომილ ვარ გონებითა:.“ ხოლო
კაცმან ღმრთისამან ჰრქუა მას. ვითარმედ „მე კაცი ვარ ცოდვილი ერთი
10 მრავალთაგანი. და მწნე იყავ ქრისტეს|-მოყუარეო ძმაო. და ნუ გეში- B 263^b
ნინ ხატისა ამის ჩემისა-თჳს პირუტყუებრივისა:.“ და იგი აფუცებდა
მას. ვითარმედ „გამომიცხადე მე ქცევად შენი და მოქალაქობად და
თუ ვითარ მოხუედ აქა და ნუ დაჰფარავ საქმეთა მათ. რომელნი
ღმერთმან გამოაცხადნა:.“ ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მას. „ვინათ-
15 გან რომელი იგი აღიდებს|მადიდებელთა თჳსთა და გამოუცხადებს A 193^a
მათ ღირსთა მისთა. საქებელად და სადიდებელად სახელისა თჳსისა
წმიდისა: არა ჯერ-არს ჩემდა დაფარვად საქმისა მის. რომელი მას
თავადსა ჰნებავს გამოცხადებად: ამისთჳსცა ყოველი საქმე ჩუენი პირ-
ველითგან მიგიტხრა:.“
- 20 მე უკუე ანტიოქელი ვარ ნათესავით და მკვდრობით: ხოლო
ვინათგან ბრძოლასა სულთა უკეთურთასა. და სულისა განმხრწნელთა
ვნებათა კუეთებასა ვერ დაუთმე|და საუკუნეთა მათ სატანჯველთა შიში C 144^b
შეენო ძლიერად გულსა ჩემსა, რომელნი იგი უწყალო არიან მათ-თჳს.
რომელთა არა ინებონ სივლტოლად ბოროტისა-გან და ქმნად კეთი-
ლისაჲ. და ამასვე სოფელსა განწმედაჲ თავთა თჳსთაჲ: ამას და
25 მსგავსსა ამისსა განვიზრახევდ გონებასა შინა ჩემსა. და დავამტკიცე
ვითარმედ შეუძლებელ არს და გინა თუ ძნიად შესაძლებელ სოფელსა
შინა. და ერის-კაცთა შორის და საწუთროჲს ამბოხებათა შინა უბ-
რალოდსა ცხოვრებისა მოგებაჲ: და შფოთთა-გან და ამბოხებათა
30 ქალაქისათა. და თჳსთა და მეგობართა-გან ერთბამად ვიჯმენ და წარ-
ვედ მათთა შავისა მთისათა. და მუნ ვიქცეოდე: და შემდგომად
მრავლისა ჟამისა განქცედა სამოსელი ჩემი. და შიწველი დაეშთი და B 264^a
ვევედრებოდე ღმერთსა რომელი იგი წამის-ყოფითა [თჳსითა] შეჰმოსს.
შროშანთა და ყუავილთა ველისათა. რომელთა იგი ჰაეროვნებაჲ და
35 სულნელებაჲ სძლევს პორფირსა სამეუფოსა. რომელთა იგი ფეროვ-
ნებაჲ და ბრწყინვალებაჲ არა საღებავთა მიერ მიეცემის არანედ
უშრომელად და ბუნებით. რათა რომლითაცა სახითა ჰნებავს. შემმო-
სოს მე და დაფაროს სიშიშულე ჯორცა ჩემთაჲ: ხოლო მან სახიერ-
მან შეისმინა გლახაკისაჲ ამის და მომცა მე სამოსელი ესე ბუნებითი.

4 თაყუანის AB. — 5 ჩემთჳს ცოდვილისა] ჩემ ცოდვილისათჳს B. —
18—19 პირველითგანი B. — 36 არამედ]+ამათ A. —

8. ენიმკი-ს მოემბე, ტ. VII.

რომელ არიან თმანი ჩემნი. რომელთა ესე უზრუნველად და უჭირვე-
ლად შეუშოსია უბადრუკი ესე გუამი ჩემი. და არღარა მაქუს ზრუნ-
ვაჲ. გინა საურავი ამის პირისა-თჳს:• ხოლო კაცი იგი. რომელი
ღრუბელსა ზედა მჯდომარე იხილე. იგი არს განთქუმული იგი დიდი
ტიმოთე. და ვინაფთჳან დიდ არს დღე ესე ქრისტეანეთა შორის. რომელსა შინა შეიწირა ცოდვათა ჩუენთა-თჳს ოჯფალი ჩუენი იესოჲ
ქრისტე. და მოსატევებელად ცოდვათა. და ცხობრებად საუკუნოდ
მისცა ჳორცი თჳსი ცხოველს-მყოფელი. და პატიოსანი სისხლი თჳსი.

C 145^a და ყოველთა სულთა. | რომელნი ესვენ ღმერთსა და ჰნებაჲს საკუთარ-

A 193^b ყოფაჲ მისი დიდი წადიერებაჲ აქუს დღეინდელსა ამას დღესა ჳიარ | ე-
ბად წმიდათა საიდუმლოთა. რამეთუ განმაცხოველებელთა ამათ საი-
დუმლოთა ჳიარებითა ცხობრებისა საუკუნოჲსა ჳიარ იქმნების სული
იგი ღმრთის-მოკუარე. და ფრიადი წადიერებაჲ აქუს ჳიარყოფად
საუფლოჲსა მის ჳორცისა და სისხლისა. და უაღრეს თქუმულისა მის

B 264^b ირემთ | ა-თჳს: რაჲჲმს შემწუარსა წყურბლითა სურინ წყაროთა მიმართ
წმიდათა: და მეცა დღეს გულმან მითქუა ამათ წმიდათა საიდუმლოთა
ჳიარებისა-თჳს და ვევიდრე ღმერთსა წადიერებისა ჩემისა აღსრულე-
ბად:• ხოლო ღმერთმან. რომელმან ოდესმე ღრუბლითა მოციქულნი
კიდეთა-გან ქუეყანისათა შემოკრიბნა. მორჩილ ექმნა ვედრებასა ჩემსა.
და მომივლინა მე დიდი ტიმოთე ღრუბლითა. რომელსა ჰყვა უზრწნელი
ჳორცი და სისხლი ოჯფლისა ჩუენისა იესოჲ ქრისტესი. რომელმან
იგი ვითარცა მაზიარა საწადელსა მას ჩემსა და სასურველსა კუალად
ღრუბლითა მით. რომელი იხილე. წარვიდა სახიდ თჳსად:•“

ესე ყოველი რაჲ წართქუა წმიდამან მან კაცმან ღმრთისამან.
და ყო ლოცვაჲ. მეყსეულად ნათელი ღრუბლისაჲ მოეფინა მის ჳედაცა
და დაფარა იგი. და ეჳა წყალობათა შენთა უფსკრული ქრისტე
ღმერთო და თუ რაბამთა საკვრველთ-მოქმედებათა აჩუენებ ურჩისა
მის-თჳს კაცთა ნათესავისა. რომელნი იგი უზეშთაეს არიან ბუნებათა
და ცნობათა. რამეთუ ესეცა აღტაცებულ იქმნა ღრუბლითა. და ამალ-
ლებულ. და უჩინო იქმნა თუალთა მისთა-გან:•“

ხოლო კაცი იგი ანტიოქელი ხედვიდა და განკრთომილ იყო
ძალთა მათ-თჳს საკვრველთა და მეყსეულად წარვიდა იგი მონასტერსა
წმიდისა ტიმოთესსა: და ვითარცა იხილა კაცმან ღმრთისამან. ჰრქუა
მას. ვითარმედ „აჳა ესერა შეილო. ღმერთმან გამოგიცხადნა შენ ესე-
ვითარნი საშინელნი სასწაულნი. იხილე და ნუმცა ვისდა გითქუამს
ცხობრებასა ჩემსა:•“ ხოლო იგი ერჩდა ბრძანებასა მისსა. და მოილო

C 145^b ლოცვაჲ მისი და წარვიდა და ადიდებდა ღმერთსა. რომელი იგი
დიდებულ არს შორის წმიდათა მისთა:•“

10—11 ჳიარად A. — 11 საიდუმლოთა A. — 15 სურინ] სწყურინ A. —
17 წადიერებისა] წადილსა B. — 27 საკვრველთ მოქმედებათა] საკვრველებათა
B.—37 და<A. —

სხუადცა უკუე საკრველთ-მოქმედებაჲ დიდებული წარმოგი- B 265^ა
თხრათ კაცისა ამის საკრველისაჲ, რომელი ესე უცხო არს და უაღ-
რეს კაცთა ბუნებისა, ხოლო ღმრთისა წინაშე [ყოველივე] ადვილ
არს და შესაძლებელ:

08

- 5 ორნი ვინმე კაცი წარვიდეს მთასა მას, რომელსა კარკულ ეწო-
დების, და ვიდოდეს მას შინა, და შეჰკრებდეს გუნდასა: და ვითარ
იგი შევიდეს შინაკერძორე მთასა მას, მალნართა შორის ესმა მათ
გმაჲ გალობისაჲ: ხოლო თუ ვისი არს გმაჲ ესე ანუ სადაჲთ ისმის,
შემეცარ იყვნეს, და ვინაჲთგან შინაკერძოთა მათ ადგილთა შევიდეს:
- 10 მიუდგეს გმასა მას გალობისასა და პოვეს კლდე, მსგავსი ქვაბისაჲ. A 194^ა
ადგილსა შინა უჩინოსა: და გულის-ხმა-ყვეს ვითარმედ კლდისა მის-
გან იყო გმაჲ იგი გალობისაჲ: ხოლო გალობდეს ფსალმუნთა დაეი-
თისათა მიმოგდებით ორნი ვინმე კაცი, პირველად უკუე, დაეცადნეს
შინა შესვლად და ჰგებდეს აღსრულებასა ლოცვისასა და დაცადებასა
- 15 გალობისასა: ხოლო ვინაჲთგან სამყამადმე და ექუსყამადმდე, და
ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე დაუცადებელ იქმნა გალობაჲ იგი, ვითარცა
თქუეს დიდებაჲ, მყის შევიდეს შინა კაცი იგი და პოვეს ადგილი
მცირე, იწროჲ და საჭირველი, და მას შინა პოვეს კაცი ვინმე წმი-
დაჲ, მცოვანი და დაბერებული და სხესე დღეთა სიმრავლითა, რო-
- 20 მელი იგი დგა ლოცვისა შინა და ჯელნი მისნი განეპყრნეს, ხოლო
მის თანა მლოცველი არავინ იყო არამედ მხოლოდ მდგომარე იყო
წინაშე ღმრთისა: ესე რაჲ იხილეს კაცთა მათ შეუვრდეს ფერჯთა
მისთა, და ითხოვდეს მის-გან ლოცვისა: ხოლო იგი განურისხნა მათ. B 265^ბ
და აღუშფოთნა, და მკსინვარედ ჰრქუა მათ, „რაჲსათჲს ვითარცა
- 25 ავაზაკნი შემოხუედით ადგილსა ამას ანუ ვინ გიჩუენა თქუენ ადგი-
ლი ესე, რამეთუ უვალ არს“, და თუ ვინა არიან ანუ ვინაჲ მოსრულ
არიან ჰკითხვიდა მათ, ხოლო იგინი ეტყოდეს, ვითარმედ „ჩუენ
მამაო კაცი ვართ მკოდოვნი დაბათა-გან/მახლობელთა დუქსისათა, C 146^ა
და მოვედით მათთა ამით კრებად გუნდაჲსა, რათა ესევეითართა
- 30 ამით საგმრითა მოვირეწოთ საჭირვოდ იგი ჯორცთა საგმარი, და
რაოდენცა მალნარსა ამას შინაკერძო შემოვიდოდეთ, ფსალმუნებაჲ
თქუენი უმეტეს და უმეტეს აღავსებდა სასმენელთა ჩუენთა: ხოლო
არაჲ უწყოდეთ თუ ვინაჲ იყო გმაჲ იგი, და გმისა მის მიერ, ადგი-
ლითი-ადგილად მივიზიდვოდეთ და გამოვიკულებდით ვიდრემდის
- 35 მოვიწიენით აქა და გულის-ხმა-ყავთ ფსალმუნთა-გან დაეითისათა,
ვითარმედ წმიდანი ვინმე კაცი გალობენ, და ვთქუთ, ვითარმედ ამა-

3—4 ადვილ არს და] ადვილად A. — 5 კარაულ B. — 10, 17, 18 პოეს B. —
19 მცოვანი B. — 28 მკოდავნი A. — 30 საჭიროდ B. —



თისა ლოცვისა სმენად უაღრეს არს ყოვლისა შესაძინელისა: და პირველად შევეშინდით შემოსლვად. და დავედგით გარე და მოველოდეთ აღსასრულსა ლოცვისასა. ვინაჲთგან ესე განგრძელდა. და გალობად გალობასა. [და ჟამი ჟამსა] შეუდგებოდა. ვითარცა დიდებად სთქუთ შემოვედით მოლებად ლოცვისა თქუენისა. აჲ უკუე შემინდვეთ ჩუენ მამაო წმიდაო. და ღირს მყვენ კურთხევისა შენისა და მაუწყენ ჩუენ თუ რად იქმნა. რომელი იგი შენ თანა გალობდა. რამეთუ დიდად განმაკრვებს ჩუენ საქმე ესე: ორთა გალობად მესმოდა. და განყოფილებასა ჳმა|თასა ვიცნობდით: || ხოლო აჲ შენ ხოლო მარტოდ გხედავთ და სხუასა არავის. და უწყოდენ სიწმიდემან შენმან. რამეთუ ფრიად სურვიელ ვართ ლოცვისაცა შენისა მოლებასა: და რად იგი ღმერთმან სასმენელთა მიერ გამოგვცხადა. უწყებასაცა მისსა შენ მიერ შემდგომითი-შემდგომად. ვევედრებით უკუე შენსა ღმერთს-მოყუარებასა. რათა მაუწყო ჩუენ. და აღმისრულო თხოვად ჩუენი. და რომელი იგი შენ თანა გალობდა გინა თუ კაცი იყო ნამდვლვე. გინა თუ ანგელოზი. რამეთუ ჳმად გალობისა თქუენისაჲ, რომელი გუეს-მოდა. არაკაცობრივი იყო. და არცა რას სხუასა შესაძლებელ არს მსგავსებად თჳნიერ ანგელოზთასა: „ მიუგო წმიდამან ბერმან და ჳრქუა მათ: ვითარმედ „ვინაჲთგან|საქმისა ჩუენისა თქუენდა გამოცხადებაჲ ჳნებაჲს ღმერთსა. გაუწყო თქუენ ყოველი: რამეთუ შეუდაბნოსა ამას შინა მრავალი ჟამი დამიყოფიეს. თჳნიერ ყოვლისა შუოთისა და ამბოხებისა. რამეთუ ვიდრე აქა დღედმდე უვალ იყო აღგილი ესე: ხოლო ვინაჲთგან კაცთ-მოყუარემან ღმერთმან მონაჲ თჳსი ტიმოთე ნათესავისა ამის უხეშთაჲს გამოაჩინა. და უფროჲს აღამაღლა და სულისა წმიდისა სავანედ აღაშენა. არა ჯერ-იჩინა. რათამცა უძლური ესე ბერი ჳუებულ მყო ხილვისა და ჳრახვისა მისისა-გან: არამედ ვითარცა არს სიმრავლე ნიჳთა მისთაჲ მიუწოდემელ. უნდოჲსა ამის მრავალჳმ განშორებისა ჩემისა მოსაგებელად სახარულეგანი ესე საქმე მომზადლა. და მსახური იგი თჳსი აქა მოიყვანა. რომელმან სიტყუათა თჳსთა მიზიარა და განგრძობილად ნუგეშინის-მცა. და მერმე განწესებულნი ჳმანი ვილოცენით: და ესრეთ რად|იხარებდა სული ჩემი მის თანა. მოსლვამან თქუენმან დამაჳირვა. რამეთუ მეყსეულად განმეშორა და წარვიდა. ამიერითგან წარვედით შვილნო დაცვულნი ოვფლისა მიერ და მაცადეთ მე რათა ვიშუებდე ჳრახვითა და ხილვითა მისითა: „ ხოლო იგინი ერჩიდეს ბრძანებასა მისსა. და მოიდრიკნეს მუტლნი და ლოცვაჲ და შენდობაჲ ითხოვეს და მოიდეს და შიშითა და სიხარულითა შეჳყრობილნი გამოვიდეს მიერ. საკრველისა მის უწყებისა-თჳს. და ესევეითართა საიდუმლოთა

A 194^b
B 266^a

C 146^b

B 266^b

3 ლოცვისასა+ხოლო B. — 6 კურთხევისა შენსა B.—9 მარტოდ| მარტო-სა B. — 13 უკუე<B. — 17—18 და არცა რად სხუასა შემძლებელ არს მისგავსებაჲ. თჳნიერ ანგელოზთასა A. — 25 სავანედ| სადგურად B. — 26 მყო, ყო B. — 30 განგრძობილად A. — 38 საიდუმლოთა A —

ცნობისა-თჳს: და ვიდრე არღა განშორებულ იყვნეს ქუაბისა მის-გან. კუალად ორთავე გალობაჲ ისმოდა. ვითარცა პირველ. ხოლო იგინი ადიდებდეს ღმერთსა [და ჰმადლობდეს] და წარვიდეს და შეიძინეს მათ შესაძინელი ფრიადი არა სულიერი ოდენ ხოლო. არამედ გორ-
 5 ციელიცა. რამეთუ წარემართა მათ ლოცვითა მით|წმიდათაჲთა. და A 195*
 რასა იგი ეძიებდეს ადვილად ჰპოვეს და შეჰკრიბეს. და სახედ თჳსად წარვიდეს მხიარულნი და პირითა მმადლობელითა ადიდებდეს ღმერთსა: . . . :

ხოლო ტიმოთეს ფრიადისა მის საკრველებისა-თჳს ღმრთისა. C 147*
 10 და ცხორებისა მისისა და მალლისა მის-თჳს მოქალაქობისა. წუთლა სიმრავლე სასწაულთაჲ არამცირედ ძეს წინაშე ჩუენსა აღსაწერელად. რომელნი იგი მოანიჭნა მას მადლმან საღმრთომან და სურვიელსა სმენად უტკბილეს და უსაწადელეს აღმოეცენებინა: ხოლო ვინაჲთგან ესე არს სათნო წინაშე ღმრთისა. რათა უკუეთუ ვისმე
 15 აქუნდეს სიხარულისა მომატყუებელი რაჲმე საქმე. გინა სიტყუაჲ. რათა არა თუთ ხოლო იშუებდეს. არამედ რათა მოყუასსაცა მოატყუას ძალისა-ებრ თჳსისა. ამისთჳსცა სიტყუაჲ გზასა თჳსსა ვიდო|დენ. რათა აღავსოს წადიერებაჲ და სურვილი სმენის-მოყუარეთა B 267*
 სასმენელთაჲ:

იღ

20 ერთი ორთა მათ ძმათაგან. რომელნი იგი პირველითგან შეუდგეს კუალსა მის წმიდისასა და მობაძაჲ ექმნეს უმანკოსა მას ცხორებასა მისსა. ცხორებისა-გან განვიდა. და დიდისა მის მორჩილებისა მისისა-თჳს. და სხუათა მრავალთა სათნოებათა უყუარდა იგი წმიდასა მას ფრიად. და ესე ყოველთა მიერ საცნაურ იყო და ვინაჲთგან სიკუდილი იგი მისი მიზეზ მწუხარებისა წმიდისა მის მამისა
 25 იქმნა. მოვიდა პატრიაქიცა ქრისტეს-მოყუარით კრებულთ-ურთ. და ვითარ იგი გალობდეს განწესებულსა მას გალობასა შესუენებულთასა. არა გალობდა მათ თანა წმიდაჲ იგი. არამედ დაჰჳმა სარკუმელი და მოიდრიკნა მუჳლნი თჳსნი და დადვა შუბლი თჳსი მიწასა ზედა.
 30 და შესუენებულისა მის-თჳს ილოცვიდა არა თუ რათამცა აღდგა. რომელი იგი კუალად სიკუდიდვე იყო და განხრწნად შექუელად. არამედ ილოცვიდა მის-თჳს ცხორებასა. ცხორებითა მით უკუდავითა და უხრწნელითა. და დაუსრულებელითა. წინაშე წმიდისა სამებისა რომლისა იგი ტრფიალ იქმნა და ესვიდა. და|სიყუარულითა მისითა C 147*
 35 ეტყინებოდა. ამის უკუე საღმრთოჲსა ცხორებისა-თჳს ილოცვიდა წმიდაჲ იგი და იტყოდა; „ჰ მეუფეო ცხორებისა და სიკუდილისაო.

2 ისმოდა] ესმოდა B. — 4 ოდენ<B. — 6 შეკრიბეს A. — 19 სასმენელთა A. 21—22 ცხორებასა] მოქალაქობასა B. —

მოწყალებათა შენტა მიერ სახიერ ექმენ და მოიხილე ვედრებასა ამას ზედა. უღირსისა ამის მონისა შენისასა. და უკუეთუ ვპოვე წი-
 B 267^b ბაზე შენსა მადლი. ნუ უტევებ სულსა შესუენებულისა ამის მოქნისა
 შენისასა განშორებად ჯორცთაგან. ნუცა წარვლად მთავრობათა მათ-
 A 195^b და გელმწიფებათა ბნელისათა. და გამოძიებად და განკითხუად მათ- 5
 გან. ვიდრე არა მისცე მას შენდობაჲ ყოველთავე ცოდვათა მისთაჲ.
 რომელნი უქმნიან სოფელსა ამას შინა. გინა თუ საქმიით. გინა თუ
 სიტყუთ. გინა თუ გონებით: და აცადე მეუფეო განჩინებისა მის შე-
 ნისა განბჭობაჲ. ვიდრემდის ვცნა შენდობითა მისითა სიგლახაკესა
 ჩემსა ზედა კაცთ-მოყუარებით მოხედვაჲ და ცხორებისა ჩემისა გან- 10
 გებაჲ: და უკუეთუ არა. მაშა სული ჩემი მის წილ მიიღე. რამეთუ
 ვერ თავს-ვიდებ კეთილად-მსახურისა ამის ჩემისა და განმსუენებე-
 ლისა ტანჯვისა ხილვად: რამეთუ ჯერ-მიჩნს რათა მე ვიტანჯო მწა-
 რითა მით სატანჯველითა ვიდრელა ესე სარწმუნოჲ და მორჩილი
 მოწაფე ჩემი და მონაჲ შენი:“ 15

ამას რაჲ ილოცვიდა შევრდომით წმიდაჲ იგი, ბრწყინვალე და
 ტკბილი აღსასრული მოილო თხოვათა თუსთაჲ. რამეთუ არღა აღე-
 სრულა ლოცვაჲ. და აჰა ესერა იხილა მან ხილვაჲ საშინელი: რამეთუ
 ზეცით გარდამოიწია მისსა კელი საღმრთოჲ. და შეახო თავსა და
 მჯარათა მისთა და ვმაჲ რომელი ეტყოდა. ვითარმედ „აღდევ რამეთუ 20
 შეისმნეს ლოცვანი შენი. და ნუ გეშინინ. მსახურო ქრისტესო და
 მობაძავეო. რამეთუ არა რაჲ ითხოვე ამის საწუთრომსაჲ. არამედ იგი
 ხოლო რომლითა განისუენებენ მართალნი და რომელთადა საუკუნოჲ
 C 148^a შუებაჲ განწესებულ არს. აწ უკუე აღმოვედინ შესუენებულსა ამის
 სული წინაძლომითა სახიერთა ანგელოზთაჲთა შეუძრწუნებელად ეშ- 25
 B 268^a მაკთა-გან. და მთავრისა მის-გან ბნელისა შეუხებელად. და წიაღთა
 მათ აბრამიანთა განისუენენ. და ნუმცა დაემკვდრების იგი ადგილთა
 ბნელთა და შემწველთა: და არა ხოლო თუ ამას ოდენ მოეცეს ესრეთ
 ბრწყინვალე მოსაგებელი თხოვისა შენისა-თუს. არამედ რომელთაცა
 განგისუენონ შენ. და რომელთაჲცა გენებოს. და რომელთა ულოცო. 30
 ყოველთა პოონ წყალობაჲ. და მერმე მოწაფეთა შენთა შემდგომად
 შენსა. არა ეცეს გუებაჲ საღმრთოჲსა მოლუაწებისაჲ. და რომელთა
 დაიმაოხნენ მცნებანი შენი. შემდგომად შენსა მონასტერსა ამას შინა.
 საუკუნეთა კეთილთა ღირს იქმნენ. და მოწევნადთა ჭირთა-გან და
 ურვათა შეუხებელად ეგნენ:“ და ვიდრე იგი წმიდაჲ ამათ ესევი- 35
 თართა საღმრთოთა ნიჭთა და ბრძანებათა შინა იშუებდა. პატრიაქმან
 და ყოველმან ერმან წესი ლოცვისაჲ აღასრულეს შესუენებულსა მას
 ზედა და მრავალჲჲ ელოდეს და უკვრდა დაყოვნებაჲ იგი წმიდისაჲ
 მის. რამეთუ ესეკითარი ჩუეულებაჲ აქუნდა ყოველთა. რაჲამს ხედვი-
 A 196^a დიან სარკუმელსა მას წმიდისასა დაჯშულად არავეინ იქნებოდა მკადრე 40

- წოდებად მისსა. ამისთჳსცა ჰგებდეს წმიდასა მას. და ამისსა შემდგომად განალო და აღსასრულისა იგი ლოცვაჲ წართქუა: და სულისა თჳსისა შუენიერებაჲ ხატისა თჳსისა ბრწყინვალეებითა საცნაურ ყო. რამეთუ მადლითა საღმრთოჲთა განათლებულ იყო პირი მისი და
- 5 ელვარე: ხოლო ვინაჲთგან ყოველივე წესი აღასრულეს. რომელი სრულ იქმნების შესუენებულთა ზედა და ყოველნივე სახედ თჳსად წარვიდეს იკადრა ძმამან მის მიცვალებულისამან და ჰკითხა წმიდასა B 268^b
- მას და ჰრქუა: „რომლისა საქმისა-თჳს. # წმიდაო მამაო. თჳნიერ შენსა უტევე ვალობად ესოდენსა|ამას ერსა ესრეთ მრავალჲმ. და C 148^b
- 10 არა განაღე სარკუმელი შენი. ვიდრეღა ყოველნივე განკჳრდეს საქმისა მის-თჳს. გევედრები მითხარ მე: რამეთუ ფრიად წადიერ ვარ ცნობად. და მაუწყე ძალი საიდუმლოჲსა მის:“ მიუგო წმიდამან მან და ჰრქუა მას. ვითარმედ „ვითარცა ვიხილე ეგოდენი იგი ერი შეკრებულად. და დაფლვისა-თჳს ხოლო ჯორცთა მისთაჲსა მზრუნველი.
- 15 # შვილო უჯგროვნესადრე შევჰრაცხე ზრუნვაჲ სულისა მისისაჲ. რომელი იგი ჯორცთა-გან რაჲ განვიდა და იწყო სლვად გზასა თჳსსა ფრიად შეშინებულ იყო მძნვარეთა მათ-თჳს გუნდთა საეშმაკოთა და ჰაერის მცველთა მათ-თჳს მწარეთა რომელნი იგი გან-რაჲ-ვიდენ ჯორცთა ამათ-გან სულნი კაცთანი. ზედამიუვლენ მათ
- 20 გულის-წყრომით და რისხვით და გამოწულილვით გამოეძიებენ სიტყუათა და საქმეთა თუთოეულისათა: რამეთუ დაღაცათუ ძმასა შენსა ყოველი ცხორებაჲ თჳნი ბრწყინვალედ აღესრულა. და მორჩილებითა თჳსითა დიდად აღვეშენე მე. რომლისა თანა სხუათა მათცა სათნოებათა მისთა-თჳს საყუარელ იყო ჩემდა: არამედ ჩუელებჲა აქუს გუნდთა
- 25 მათ უკეთურებისათა და განჰვლიდენ რაჲ სულნი შორის მათსა. მძნვარედ გამოეძიებენ. და განიკითხვენ და უკუეთუ ძღვევით თანაწარსული ვინმე იხილონ. ფრიადი მწუხარებაჲ მოიწევის მათ ზედა. B 269^a
- და არცალა ესრეთ უტევებენ უზრუნველად თანაწარსლვად: არა თუ ძალმან საღმრთომან|იოტნეს იგინი. არამედ თითოეული გუნდი მათი
- 30 განიკითხავს მას თუ რაჲძი წინააღმდეგოჲმ აჩუენა მათდა მიმართ. ეწყებოდეს რაჲ მას სოფელსა ამას შინა. და უკუეთუ პოონ რაჲმე ნაბრძლი არაწმიდათა მათ საქმეთა მათთაჲ მის თანა ვითარცა უწ- A 196^b
- ყალონი მეზუერენი. დიდსა ჭირსა მოაწევენ მის ზედა. და ჰნებაეს C 149^a
- დაბრკოლებაჲ სლვისა მათისაჲ|რათამცა არა მოილო სასყიდელი
- 35 შრომისა თჳსისაჲ: ამის უკუე ყოველისა-თჳს ყოველი იგი ერი დაუტევე და ღმერთსა მხოლოსა|ვევედრებოდე მის-თჳს. და სახიერებითა ოჯღლისაჲთა მი-ცა-ვემთხვე თხოვასა ჩემსა: აწ უკუე ვადიდებდეთ და ეჰმადლობდეთ ყოვლად-წმიდასა სახელსა მისსა. რომელი იგი იქმს ჩუენ თანა ქველის-მოქმედებათა და წყალობათა თჳსთა:“ ხოლო
- 40 მან ჰრქუა ესმნეს რაჲ სიტყუანი ესე წმიდისანი. „ჰეშმართად.

15 უჯგროვნესად A. — 34 რათამცა არა] რათა არამცა A. — 40 ჰრქუა] თქუა B.—

ჟ წმიდაო მამაო. სამარადისოდ მადლობად თანაგუა ც კაცთ-მოყუარებისა მისისაჲ: რომელმან ღირს მყვნა ჩუენ პატიოსანთა ლოცვათა შენთა მიერ ესევეითარსა ამას კეთილსა სასოებასა. და მოწაფედ შენდა წოდებად:“

ესე უკუე თხრობად თვსმან წესმან და საქმემან. ესრეთ საშინელ ყო. ვითარცა გესმა. და გულის-ხმა-ყავთ: ხოლო აწ წყალობასა მისსა მაუწყებელი და სახარულევანი სიტყუად გუეგულების აღწერად: ~ ~

იე

- რამეთუ დედაკაცი ვინმე მოუტდა წმიდასა მას დაბისა მის-გან ზემოკვსენებულისა. რომელ არს კახუსტად, რომელ იგი ჰგოდებდა თავსა თვსსა. და ეტყოდა კაცსა მას ღმრთისასა. ვითარმედ „შემიწყალე მე საწყალობელი ესე წმიდაო ღმრთისაო. რომელი სიგლახაკით და იწროებით ვცხოვნდები“. და წმიდად იგი ჰკითხვიდა თუ რაჲსათვს
- B 269^b ტირს ანუ რაჲ შეემთხვა. ხოლო მან ჰრქუა: „დედაკაცი ვარ|გლახაკი და ნაკულევანი. და გუებული საჭიროთაცა საგმართა-გან: და ორნი ხოლო სამოსელნი იყენეს ჯელმწიფებასა ჩემსა ქუეშე. ნუგეშინის-15 საცემელად სიგლახაკისა ჩემისა: და ყოველსა ამას წელიწადსა რუდუნებით შემეკმნეს ივინი ჯელითა ჩემითა: ხოლო ბოროტი ვინმე და უწყალოდ შემოვიდა სახლსა ჩემსა და მიმპარნა ივინი. და თუ ვინ არს იგი არა უწყი. და ყოველი ჰირი და შრომად ჩემი. რომელი ქმნასა მათსა დავითმინე. ვაჲმე უბადრუკსა ამას. რამეთუ ამოდ 20 და ცუდად წარგდა. და აჰა ესერა სულთ-ვითქუამ და ვკუნესი ფრიადისა მის მწუხარებისა-გან. და თუ რაჲ ვყო არა უწყი. რამეთუ სასყიდლითა მათითა მოველოდე სასოებასა საჭიროჲსა საზრდელისასა მოსყიდად:“
- C 149^b ხოლო წმიდამან მან საკრველთ-მოქმედმან|მამამან ჰრქუა მას. 25 „დასცხერ ჟ დედაკაცო ტირილისა და გოდებისა შენისა-გან. რამეთუ აჰა ესერა დასასრული განსაცდელისა შენისაჲ მოწვევულ არს. რამეთუ წარპარულისა მის ჰნებაჲს საცნაურ ყოფად შენდა ღმერთსა. რომელი იგი არს მამად ობოლთად და მოლუაწე ქურივთაჲ: წარვედ უკუე სახედ
- A 197^a შენდა. და აღწედ ქორსა მეზობელისა შენი|სასა და ჰპოვნე სამოსელნი 30 იგი შენნი დამალულნი სასთაულსა შინა აბრეშუმისასა. განაღდე იგი და აღიხუენ შენნი იგი სამოსელნი და გალობასა მადლობისასა შესწირევდი ღმრთისა. და აღიდებდი. და მიერითგან ვითარცა გნებაჲს ივმარე შენი იგი საგმარი:“ ხოლო იგი წარვიდა და მასვე ჟამსა პოვნა თვსნი იგი სამოსელნი. ვითარცა ჰრქუა მას წმიდამან. და 35

4 წოდებასა B. — 6 ჰყავთ B. — 9 ჰგონებდა A. — 11 წმიდაო] მონა B. —

მიერთებან არღარაჲინ იკადრებდა გარემოჲს-მყოფთა მათ დაბათა და სოფელთა შინა მოპარვად რასმე. გინა ენებად მოყუსისა. ანუ წესსა უჯეროსა შედგომად:

03

ხოლო ვინაჲთგან ყოველსა სოფელსა განჲდა ჰანბავი საკვრე-
 5 ლებათა მისთაჲ, და ყოველთა სასმენელნი ალაგსნა სმენამან დიდებუ-
 ლებათა მისთამან. და თუ რაბამი იყო ძალი მოძღურებათა მისთაჲ და
 დაფარულთა მცნობელობისაჲ: კაცსა ვისმე ორგულებად და ურწმუ-
 ნობეჲდ ეუფლა. საქმეთა მათ-თჳს წმიდისათა. რომელნი ესმნეს და
 იტყოდან: ვითარმედ „შეუძლებელ არს ესე კაცისა მიერ რათამცა უჩი-
 10 ნონი და დაფარულნი საქმენი ცნა. გინა უწყოდნა. რამეთუ ესე საქმე
 მხოლოდსა ღმრთისაჲ არს“. და ვერ გულის-ხმა-ყო ესე უგუნურმან
 მან. ვითარმედ ერთისა მის წყაროდსა მიერ კეთილთაჲსა იქმნების
 წინაჲსწარმეტყუელებად და წინაჲსწარცნობად და არა თუ კაცი სხუად
 სადაჲთმე მოიღებეს ძალსა ესევეითართა საიდუმლოთასა. ვითარცა
 15 წერილ არს. ვითარმედ „მე და მამად მოვიდეთ და საგანე მის თანა
 ეყოთ“. რომელი ჰყოფდეს ნებასა ჩემსა: ხოლო სადა ღმერთი დაემ-
 კვდროს. არა ხოლო თუ კაცობრიეთა საქმეთა ოდენ საცნაურ ჰყოფს
 და ცხად. არამედ გამოუთქუმელთა მათცა და ბუნებისა უაღრესთა
 საიდუმლოთა გამოაცხადებს. ამისთჳსცა. ვინაჲთგან ცნობად თავით
 20 თჳსით სმენისა უსარწმუნოეს არს. თავით თჳსით ენება გამოცდად
 წმიდისაჲ მის. და ენება რად მოსლვად კაცისა მის ღმრთისაჲ ქრის-
 ტეს-მოყუარემან ვინმე მოსცნა მას სამნი დრაჰკანნი განგებულებითა
 ღმრთისაჲთა და ჰრქუა. ვითარმედ „სამნი ესე დრაჰკანნი მისცენ
 წმიდასა მას. და ევედრე რათა ჩემ-თჳს ლოცვა-ყოს:“. ხოლო მან B 270⁴
 25 მიიხუნა და გამოსაცდელად წმიდისა მის ორნი მათგანნი მიწასა შინა
 დაჰფლნა. და ერთი იგი დრაჰკანი აღიღო ჳელითა თჳსითა და მოვიდა A 197⁴
 წმიდისა მის. და ვითარცა ლოცვად ითხოვა. და კურთხევაჲ მოიღო.
 და ეზიარა სიტყუათა მისთა წმიდათა: მისცა მას ევლოგიაჲ იგი და ჰრქუა:
 ვითარმედ „ესე ევლოგიაჲ ქრისტეს-მოყუარემან ვინმე ჩემ მიერ წარ-
 30 მოსცა სიწმიდისა შენისა. აწ უკუე შიილე ესე და ლოცვა ყავ
 ჩემ-თჳსცა და მის-თჳს. რომელმან იგი წარმოსცა. რათა ლოცვითა
 შენითა დამტკიცებული წარვიდე სახედ თჳსად:“
 ხოლო კაცმან ღმრთისამან ჰრქუა მას: „წარვედ შეილო მშუდო-
 ბით. გარნა ორთა მათ დრაჰკანთა. რომელნი მიწასა შინა დაჰფლენ.
 35 ნუ დაიგიწყებ. არამედ აღიხუნე იგინი და ნუ დაუტეობ მიწასა შინა:“
 ხოლო იგი ზარითა და შიშითა შეპყრობილ იქმნა და მეყსეულად მო-

4 ჰანბავი A. — 11 მხოლოდსა] მხოლოსა ხოლო B. — 14 საიდუმლოთა-
 სა A. — 20 სმენისაჲ A. — 21 მისი A. — 24 ლოცვად B. — 34 მიწას A. —

იხუნა იგინი და მისცნა წმიდასა მას და ჰრქუა: „შემინდვე მამაო. აწ უწყი. რამეთუ საკვრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა“. და ვითარცა შეუხნო. წარვიდა შეშინებული. და დაკვრეხული. სახედ თვსად და აღიდებდა ღმერთსა:.

- გამომცდელთა-თვს უკუე ესრეთ მშვიდი იყო და მყუდრო და და- 5
ფარულთა მიერ ცხადსა მას ვნებასა მათსა განაქიქებნ და გამოაც-
C 150^b ხადებნ. და ჰკურნებნ. ხოლო უხილავთა მათ მიმართ. და უკეთურთა
ეშმაკთა. არა ესრეთ არამედ ფიცხელ და საშინელ. და სახელის-დე-
ბითა თვსითა ხოლო მაოტებელ. და რომელთაცა ავსენიან სახელი
მისი პირითა მათითა. მსწრაფლი შეწვენად მიეცემოდა. ხოლო საც- 10
B 271^a ნაურ მყოფელად სიტყვსა ამის იყავნ ესე. რომლისად ესერა აწ გუე-
გულების აღწერაჲ:.

ი%

- დედაკაცმან ვინმე. გუემულმან სულისა-გან არა წმიდისა. გუ-
ლის-ხმა-ყო მსწრაფლი იგი შეწვენად კაცისად მის ღმრთისად. და დაიდვა
გულსა შინა თვსსა. რათა ხადოდის სახელსა წმიდისა ტიმოთესსა. 15
ვინაჲცა ყოვლადვე არა გამოჰვარდებოდა პირსა მისსა სახელი მისი:.
ხოლო ეშმაკი იგი არაწმიდაჲ ზარისა-გან სახელისა მისისა ვერ იკა-
დრებდა მიახლებად მისსა: ვინაჲცა ესევეთარი ღონე მოიპოვა გულ-
არძნილმან მან და უკეთურმან. რამეთუ ეძიებდა ჟამსა მარჯუესა. რათა
პოოს დედაკაცი იგი უცალოებასა რასმე შინა. რომლისა-გან მიჰვი- 20
წყდეს სახელი წმიდისად მის და მეყსეულად დააკუეთოს იგი რაჟამს
ვერ უძლოს მოკსენებაჲ სახელისა მისისაჲ: ვარნა განცრუენა სასოე-
ბაჲ მისი. ვინაჲთგან სახელის-დებაჲ წმიდისად მის უძლიერეს გა-
A 198^a მოჩნდა სივერაგისა და ჰავველოვნებისა მისისა. რამეთუ დედაკაცმან
იწყო რაჲ ქსოვად სამოსელსა. რამეთუ ესე იყო ჯელთ-საქმარი მისი 25
და გონებაჲ თვსი ყოვლით-კერძო ჯელოვნებისა მის გულს-მოდგინე-
ბასა წარეტყუნა. მეყსეულად დააკუეთა იგი ეშმაკმან მან: რამეთუ
უმეტეს რაჲმე ვერღარა ჯელ-ეწიფა თქუმაღ. ვარნა ესე ხოლო. ვი-
თარმედ „წმიდაო ღმრთისაო“. და მასვე ჟამსა მოიწია წმიდაჲ იგი
შეწვენად დედაკაცისა მის და საგუემელითა ცეცხლისადთა მძნვარედ 30
ჰგუემდა ეშმაკსა მას: ხოლო იგი ვალაღებდა და ჯმობდა. „რაჲ არს
C 151^a ჩემდა და შენდა ჰ ტიმოთე. რამეთუ შემწვ მე მწარითა ამით საგუე-
მელითა შენითა: მილხინე მე ბოროტად ტანჯულსა ამას. და არღარა
B 271^b ეკადრო მიახლებაჲ ა მისი“. და ესე რაჲ თქუა განვიდა მის-გან:.
ხოლო დედაკაცი იგი განკურნებული და გონიერი: მეყსეულად მო- 35
ვიდა წმიდისა მის. და ვიდრე არღა ეთქუა მას სიტყუჲ. უსწრო წმი-

5 მყუდროჲ B. — 11 ამის] მის A. — ესერა<B. — 14 კაცისად] წმიდი-
სად A. — ღმრთისად<B. — 28 კელ-ეწიფა] ეწიფა AB.—

დამან მან და ჰრქუა მას. „სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. ვი-
ლოდე მშვდობით. რამეთუ ამიერითგან ვერღარა უძლოს ბოროტმან
ემმაკმან მიხლებად შენდა: გარნა ხოლო ღმრთისა-გან ოდენ გეში-
ნოდენ. და მადლობასა შესწირევდ მისსა მარადის:.“

- 5 და ესე კურნებათა მისთა მალალთა. რომელთა მიერ საღმრთოდასა
მადლისა ძლიერებითა განმდიდრებულ იყო. კეთილად საცნაურ ჰყოფს:
ხოლო წინაჲსწარმეტყუელებათა მისთა. და წინაჲსწართხრობასა
სიკუდილისასა. და ნიჭთა გვრგვინთა კეთილის-მოქმედთა-თჳს და
განმზადებულთა მათ კეთილთა საუკუნეთა ხარებასა შემდგომი ესე
10 სიტყუაჲ გულის-ხმა-გჳყოფს: ~:~:

იშ

- რამეთუ იყო ვინმე კაცი ღმრთის-მსახური რომელსა აღესრულა
ცხოვრებაჲ თჳსი უბრალოდ. და ბრწყინვალედ. და მხოლოდასა ხოლო
ღმრთისა საცნაურ იყვნეს წარმატებანი მისნი და სათნოებანი: ამას
ვინაჲთგან მეცნიერებაჲ აქუნდა წმიდისაჲ მის. და ზედა-ზედა მივალნ
15 მისსა. და ურთი-ერთას ზრახვითა [და განზრახვითა] და სწავლითა
იშუებდინან: ერთსა უკუე დღესა ჩუეულებისა-ებრ მოსრულ იყო და
ვითარ იგი განგრძობილად ზრახვიდეს სიტყუათა საღმრთოთა. და
მერმე ლოცვა-ყვეს. და იჯმნეს ერთმან ერთისა-გან. და ვითარ იგი
ეგულებოდა კაცსა მას განსლვაჲ მონასტრით. მოიქცა და მიხედნა
20 წმიდასა მას და იხილა იგი ცრემლითა აღვსებული და მწუხარე და
ტირილად განმზადებულნი და მისდა მიმართ მხედველი: ესე რაჲ A 198^b
იხილა შეზრუნდა იგიცა გონებასა შინა თჳსსა და განიზრახვიდა. B 272^a
ვითარმედ „რაჲმე არს ესე:“ ვინაჲცა არღარა წარვიდა. არამედ მის- C 151^b
სავე მოიქცა. და ქუეყანასა ზედა დავარდა და იტყოდა. ვითარმედ
25 „ვერ დამარწმუნებ აღდგომასა ამიერ. # წმიდაო ღმრთისაო. ვიდრე
არა მითხრა მიზეზი ტირილისა შენისაჲ:“ ხოლო წმიდამან ტიმოთე
ჰრქუა მას: ვითარმედ „# მეგობარო კეთილო. და ვითარ არა ვტი-
როდი. ვინაჲთგან მეგულების მოწყუედაჲ შენი. სასურველისა და სა-
წადელისა მეგობრისა ჩემისაჲ. რამეთუ დღესითგან წალმართ შვდილა
30 დღე დაშთომილ არს შენდა ცხოვრებისა-გან შენისა. და ამისთჳს
ვტირ და მეღმის. ხოლო ამას გევედრები. რათა რაჲჲმს წარიდგინო
წინაშე საყდართა ღმრთისათა. მომიკსენე მეცა ცოდვილი ესე და
გლახაკი. რათა საუკუნოდ ერთბამად ვიყოფებოდით საენეთა მათ
შინა სამარადისოთა. წარვედ უკუე მშვდობით და განაკრძალე თავი
35 შენი ლოცვითა და მარხვითა. ვიდრე აღსრულებამდე შვდთა ამათ
დღეთა: და ყოველივე ქმენ. რომელი შუენის წმიდათა. ვიდრემდის

8 და ნიჭთა...თჳს < B. — 9 ხარებასა] ცხოვრებასა A. — 17 განგრძობი-
ლად A. — 31 ვტირ B. — 31 გევედრი B. —

წარხვდე ამიერ. ზეცისასა ზრახვედი ყოვლითურთ: „ხოლო კაცსა მას ღმრთისასა. ვინაჲთგან აბრამიანი სული აქუნდა. და სათნოებითა შემკულ იყო. და შუებისა მიმართ მიიცვალებოდა. რაჲთურთით არა შეეშინდა სიკუდილისა-გან. არამედ თქუა ვითარმედ „ვჰმადლობ ღმერთსა კაცთ-მოყუარესა. რომელმან ღირს მყო ამას ცხორებასა. 5 განმადლიერებელად ჩემდა და ამიერ წარსლვისა საგზლად ჩემდა ქონებად წმიდისა ლოკვისა შენისა. და ყოვლად-პატიოსნისა. და მეყავნ მე რაჲცა სათნო არს წინაშე ოჯღლისა და იყავნ სახელი მისი კურთხეულ [უკუნითი] უკუნისამდე:“ ~

ესე თქუა და თაყუანი სცა და ევედრა. ვითარმედ „მომიკსენე 10
 B 272^b ლოკვათა შინა შენთა“. და ესრეთღა|კუალად მეორედ მოიკითხნეს ურთიერთას. და წარვიდა მიერ. ხოლო სახედ თვსად რაჲ მიიწია და კეთილად იღუაწა და განჰმზადა სული თვისი განსლვად ამიერ სოფლით: მეშვიდესა დღესა განკვრევაჲ დაეცა. და იხილა წმიდაჲ ტი-
 C 152^a მოთე. რამეთუ გამოუჩნდა მას და ეტყოდა განსლვისა მისისა-თვს|და 15 განჩინებულისა მის-თვს ჟამისა. ვითარმედ „წარვედ საუკუნეთა საყოფელთა. და საშუებელსა მას მშვდთა-თვს განმზადებულსა:“ ვინაჲცა
 A 199^a მეყსეულად მოუწოდა მეგობართა თვისთა. |და ლოკვა ყო. და ბირველი იგი წინაჲსწარმეტყუელებჲა წმიდისა ტიმოთესი. და მაშინდელი იგი ჩუენებაჲ. და აწინდელი ესე გამოცხადებაჲ მიუთხრა მათ. და მოწოდე 20 მოიკითხნა ყოველნი. და თვნიერ კუალსა|ცა სნეულებისასა შეხებისა. ჰრქუა მათ „მშვდობაჲ თქუენ თანა“. და მისცა სანატრელი სული თვისი ოჯღალსა: ხოლო მუნ მყოფნი იგი ზარტეხილ იქმნნეს. და ძრწოლამან შეიპყრნა. და დაუკვრდა სასწაულისა მის-თვს საკვრე-
 25

ამის უკუე ესევითარისა საწადელისა და კეთილისა ტიმოთეს სანოვაგისა-გან მუნ მყოფნი იგი მარადის იშუებდეს: ხოლო არა ჯერიყო სხუათა მათცა შორიელთა სამთავროთა დამკვდრებულთა დაკლებჲაჲ. და მოუწოდებელად დატევებჲა ესევითარის ამის საშუებელისა-გან: არამედ ვითარცა მადლისა რაჲსმე საებგუროდსა-გან საჩინომან და 30 ბრწყინვალემან ნათელმან ხილვად თვისისა მის ბრწყინვალეებისა შეკრიბნა შორიელნი და მახლობელნი: ეგრეთვე აქა. საკვრელებათა მიერ და მადლთა მისთა ელვარეთა შორიელნი იგი და მახლობელნი
 B 273^a ყოველნი მო|იწოდნეს სანუკვარსა მას ზედა და სანოვაგესა სულიერსა. და ხილვად მისსა შემოკრბეს. რათა რომელთამე წორცთა კურნებაჲ 35 მიიღონ. და რომელთამე სულთაჲ. და რომელთამე ორკერძოვე. ვითარცა ესერა სიტყუამან გაუწყოს: ~ ~

3 რაჲთურთ A. — 10 თაყუანის A. — 12 ურთიერთარს A. — 14 დღესა <A. — 16 ჟამისა|+და A. — 18 მეგობართა|+და B. — 21 ყოველნი იგი-ნი A. — შეხებისა <B. — 34 სანოვაგესა B. —

ით

კაცი ვინმე იყო ქალაქსა შინა ემეწისასა. მდიდარი და წარჩინებული და დიდებული. და ეგრეთვე დიდებულისა ვისმე მთავრისა ასული მეუღლედ მოიყვანა მან და შჯული და მცნებაჲ განუწესა მას. რათა არა სადა განვიდოდის სახლით თუსით. და ამით სახითა ენება მისი

5 სიწმიდით ცხობებაჲ და წარმწყმედელისა მის არაწმიდებისა-გან დაცვაჲ: ხოლო მან არა დაიმარხა მცნებაჲ იგი ქმრისა თუსისაჲ. ვინაჲცა სცთა იგი საქმითა ბილწებისაჲთა და იჭუეულ იქმნა თუსისა C 152^b ქმრისა-გან და ვითარცა არს წესი საქმისაჲ და დიდ არს მური. და B 273^a შინაგან ხედვაჲ მამათაჲ დედათა მიმართ ესევეითარისა არაწმიდებისა-

10 თუს: ამისთუსცა მარადის იწერტებოდა გონებითა ქმარი მისი და ვერ თავს-იდებდა დედაკაცისა მის თანა მშუღობით ცხობებასა. არამედ მარადღე სარჩელნი და მფოთნი და ლალვანი ფიცხელნი იქმნებოდეს A 199^b მათ შორის. ვიდრეღა განშორებადცა მზა იყვნეს და დაჯსნად მეუღლებისა. რამეთუ დედაკაცი იგი ეტყუნ და აცილობნ. ვითარმედ ცილსა

15 სწამებს და ეტყუს ამოოდ. უკუეთუ არარაჲ უწყის ესევეითარი: მაშინ ჰრქუა მას ქმარმან მისმან. „უკუეთუ გნებაგს გულსაგსე ყოფაჲ ჩემი აღდგე და წარვიდეთ წმიდისა და საკვრველთ-მოქმედისა ტიმოთეს წინაშე. და უკუეთუ არა გამხილოს. ყოველივე იქვ დაჯსნილ არს ჩემს შორის. ხოლო უკუეთუ ესე არა იქმნას განშორებაჲ ურთი-ერთას და

20 განყოფაჲ შემთხუევეად არს ჩუენდა და გინა თუ მწარეცა სიკუდილი:“ B 273^b

მიუგო დედაკაცმან მან და ჰრქუა. ვითარმედ „ჯერ-მიჩნს მეცა საქმე ესე“. და წარემართნეს წმიდისა მის. და ვითარცა მიიწინეს მონასტრად ჯეროვნითა შესაწირავითა. და ღირს იქმნნეს მოღებად

25 ლოცვასა წმიდისასა და თაყუანი სცეს მას. გულის-ხმა-ყო წმიდამან მან მადლისა მის მიერ. რომელი მკვდრ იყო მის თანა. ვითარმედ ჰეშმარიტ არს თქუმილი იგი დედაკაცისა მის-თუს და არა უნდა გამჟღავნებაჲ არაწმიდებისაჲ მის. და ცხადად განქიქებაჲ და მხილებაჲ მისი ერთად. რათა არა შეწუხნეს ქმარი მისი და განავლინოს იგი და

30 განეყენოს. და მეორედ. რათა ჟამი სინანულისაჲ მისცეს დედაკაცსა მას. და ჰრქუა ქმარსა მისსა. „შვილო თავს-იდევ ცოლი შენი იტვრთე იგი. და დაფარე იგი. და ვიდრე აქა დღედმდე დაღაცათუ რამე შეუცოდებია შენდა. შეუნდვე და მიუტევე რათა შენცა მოგეტევენ შეცოდებანი შენი:“ შეუნდვე უკუე რიღობითა დიდისა ამის მცნე-

35 ბისაჲთა. და ამიერთგან შეუდგეს იგი ბრძანებასა შენსა. და არლარა გარდაჰვდეს ყოვლადვე. რამეთუ ერთგორც ხართ. ვინათგან ღმერთმან C 153^a

1 ქალაქსა მას შინა ემე წმიდისასა C. — 3 მეუღლედ ცოლად B. — 24 და<A. — 25 თაყუანის A. — 27—28 გამოჟღავნებაჲ B. — 30 და<B. — 33 შენდა<B. —



შეგაუღლნა თქუენ და არა ვინ არს რომელმან განგაშორნეს [თქუენ] ოზნიერ სიკუდილისა: „ მიუგო ქმარმან მისმან და ჰრქუა. ვითარმედ „ქეშმარიტად ამის სახისა-თჳს მოვედით ესოდენსა ამას სიშორესა გზისასა და მოვიწიენით შენ წინაშე. რათა მადლისა მის მიერ. რომელი მოგცა შენ ღმერთმან. იქჳ იგი ჩუენი გულის-ხმა-ჰყო და განი- 5 კითხო. და დაფარულად ქმნილი განაცხადო და საცნაურ-ჰყო: „ უკუეთუ ცოდვად თჳსი წინაშე შენსა აღიაროს. მეცა მიუტეო მას და შენდობაჲ მივსცე და მრწამს|ვითარმედ ღმერთმანცა მიუტეოს: და უკუეთუ არა. მივსცე იგი ფიცთა საშინელთა. რომელთა მიერ შური იძიოს მის-გან უნდეს და თუ არა: „ ჰრქუა მას წმიდამან მან „ცრუესა 10 ფიცისა ფუცვად წარმწყმედელი განეშორენ თქუენ-გან. და უფროსდა ყოველივე ფიცი გინა ცრუჲ გინა მართალი. რამეთუ ვითარცა იყოს ფიცი. სივლტოლად ჯერ-არს ვითარცა ბრძანებს შჯული ჩუენი. და ოჯფალი გუამცნებს სახარებასა შინა: „ ესე რად და მსგავსი ამისი ასწავა მათ კაცმან ღმრთისამან. გულის-სიტყუად კაცისად მის მოა- 15 მშჳდა: „ ხოლო დედაკაცსა მას წუთლა აქუნდა უსირცხვლოებაჲ. და ნაცვალად შეკდიმებისა გლისპობაჲ მოიპოვა. და იწყო ფუცვად ფიცთა საშინელთა. და არა უწყოდა უბადრუკმან მან. ვითარმედ აღრევე უცნობიეს წმიდასა მას ბრალი მისი. ვინაჲცა მირბიოდა. და მოეხუა სუეტსა მას წმიდისასა და თქუა. ვითარმედ „ვეფუცავ ამას და ბრწყინ- 20 ვალეთა მათ ლუაწლთა. რომელნი ამას ზედა აჩუენენ. ჰ წმიდაო. რამეთუ სხუად მამაკაცი არა ვიცი თჳნიერ ქმრისა ჩემისა. და თავი ჩემი უბიწოდ დამიმარხავს. და ყოველისავე ბრალისა-გან წმიდა ვარ: „ არამედ ეჳა მსწრაფლი იგი და|მძნვარე შეჩუენებაჲ: რამეთუ ესე ვითარცა სიტყუანი აღმოთქუნა. და არცალა თუ აღესრულნეს სიტყუანი 25 იგი. მეყსეულად სიკეთისა მის წილ და შეუენიერებისა. რომლითა შემკულ იყო. კეთრითა აღივსო ყოველი გუამი მისი და მყისსა შინა იქმნა იგი საწყინო და საძაგელ მხილველთა მისთა: „ ესე განსაცდელი დიდი და მწარე მოიწია მას ზედა. რომელი დაღაცათუ ფიცხელ იყო. გარნა კადნიერებისა მისისა ფრიად უდარეს: რამეთუ რომელი სი- 30

B 274^b ტყვთა არა განისწავლოს: საჭირვო არს სა|ქმით განსწავლაჲ მისი: „ ესე რად განსაკრთომელი საქმე იხილა ქმარმან მისმან. საკვრველებამან და სიმწარემან შეიბჳრა იგი. და გოდებდა იგი საწყალობელითა ვმითა. სულთ-ითქუმიდა და იტყოდა. „ვამე უბადრუკსა ამას. რამეთუ მრჩობლი განსაცდელი მოიწია ჩემ ზედა. რად ვჰრქუა მისთა და 35 ჩემთა ნათესავთა და თჳსთა. რამეთუ ვძრწი რომელთამე [მრისხანებისა-გან და რომელთამე] ყუედრებისა-გან და ბრალისა-გან: იხილონ რად ესე ესრეთ საძულელად და საძაგელად. ვითარნი სატანჯუელნი სამშჯავროთანი არა მოიწინენ ჩემ ზედა: „ [და] კუალად ვითარ ვეჩუენო

A 200^b უმრავლესთა ანუ ვითარ თავს-ვისხნე|ყუედრებანი ტანჯვათა უმწა- 40

- რესნი. და უბოროტესი ესე არს. რამეთუ შეუძლებელ არს ერთსა სახლსა შინა ყოფად ჩუენი. რამეთუ შეუხებელ არს საღმობაჲ ესე და საძაგელ ფრიაღ:“ ესევეითართა ამათ სიტყუათა-გან არა უნდა დადუმებაჲ ქმარსა მისსა. გოდებითა მწართა აღვსებულსა: ხოლო საწყალობელი იგი დედაკაცი ვითართა გოდებათა ანუ ვითართა სულთქუმათა საწყალობელთა არა აღმოუტევებდა სიღრმეთა-გან გულისა თვისისათა. და გლოვითა უღბინებელითა იგლოვდა მწარედ. ვალა- C 154^ა ლებდა|და იტყოდა. „შემიწყალე მე წმიდაო და ღმერთ-შემოსილო მამაო უბადრუკი ესე. რომელი არა ღირს ვარ წყალობასა. და აღმი-
- 10 სუბუქე მე რისხვად ესე. და დამასხ წამალი სინანულისაჲ. ვცოდე და უსჯულო ვიქმენ წინაშე ღმრთისა. და საწოლი ქმრისა ჩემისაჲ უბი- B 275^ა წოდ არა დავიცევე. და უბოროტესი ესე არს. რამეთუ მადლსა მასცა. რომელი შენდა ღმრთისა მიერ მოცემულ არს. უმეცარ ვიქმენ. და ფიცით ვიკადრე უსირცხვლოდ თქუმად. ვითარმედ „არარად ვიცი
- 15 უსჯულოებაჲ“. ვინაჲცა სამართლად შთავვარდი საძაგელსა ამას ვნებასა. გარნა ესრეთცა არა წარვიკუეთ სასოებასა კაცთ-მოყუარებისა-გან ღმრთისა რომლითა იგი სახიერ იქმნების მონანულთა ზედა. მოიხილე ჩემ ზედა და ნუ დამიტევებ მე საწყალობელსა ამას და უბადრუკსა ესრეთ ტანჯულსა. და ბოროტად გუემულსა. ღმობიერ
- 20 ექმენ განრყუნილსა ამას გუჟამსა ჩემსა და ცრემლთა ვნებულისა ამის მეუღლისა ჩემისათა. რამეთუ ძალგიც. ვითარცა იგი მწუჟართე. და უაღჯროსა მას უწესოებასა ჩემსა აღჯრ-ასხენ. სულისაცა და ჯორცთა ჩემთა განკურნებად ნიშებშემოსილითა მაგით მადლითა შენითა. და სამოსლისა ამის. რომელი ცოდვამან შემოსა. განძარცუად
- 25 კაცთ-მოყუარებით: და პირველსავე სახესა მოყვანებად. რამეთუ ამიერიითგან ურჩულოებისა მის-თვს. რომელი ვქმენ. მივსცე თავი ჩემი სინანულსა და არღარა ვიკადრო საქმედ უჯგროებასა:“ ამით ესევეითართა გოდებითა გოდებდა ქუეყანასა მდებარე ღმობილი განსაცდელი|სა მის-გან და მერმე უბყრა სუეტსა მას წმიდისასა და A 201^ა
- 30 იტყოდა. ვითარმედ „უკუეთუ შემიწყალო და განმკურნო წარვიდე სახედ ჩემდა განკურნებული. და უკუეთუ არა. აქა მოგკუდე. და არა განვიდე|ამიერ. რამეთუ უმჯობეს არს სიკუდილი ჩემი. ვიდრე ესრეთ C 154^ბ ცხორებაჲ. უბადრუკი და სამგზის საწყალობელი [და ორკერძოვე| B 275^ბ დაკლებული] ცხორებისა-განცა და სიკუდილისა. რამეთუ სხუად არა-
- 35 რად ძალ-მიც. ხოლო ამიერ განშორებაჲ ჩემი შეუძლებელ არს:“ ხოლო წმიდამან მან იხილა რაჲ უგუნური იგი გონებად მოსრული. შეიწყალა იგი და პრქუა მას. „შვილო ღმერთი არა შეურაცხ იქმნების. რომელმან თქუა. ვითარმედ „არა არს დამალული და დაფა- მთ 10, 26

7 თვისისათა] მისისათა B. — 8 გლოითა B. — 20 ცრემლით A. — 21 ვითარცა] + ვითარცა B. — 26 უსჯულოებისა B. — 27 უსჯულოებისა B. — 36 გონიერებად B. —

რული რომელი არა გამოცხადნეს: “ რამეთუ დალაცათუ აქა შეუხე-
 ბელად და თჯიერ სნეულებისა დაეცვენეთ. არამედ მუნ უმწარესითა
 სატანჯველითა ლმობილნი. გეჭენიასა მივეცნეთ საგუემელად. უკუეთუ
 ვცოდვიდეთ და არცა სინანულითა განვემართებოდით. ვინაცა აქადასა
 ამის მიერ ტანჯვისა გულის-ხმა-ყვენ საუკუნენი იგი სატანჯველნი და 5
 შეინანე უსჯულოებაჲ შენი: “ და ესე რაჲ თქუა. ჭურჭელი წყლითა
 ჯელად მიიღო და მერმე ზეცად აღიხილნა თუალნი თჳსნი და თქუა.
 „ჭრისტე ღმერთო ჩემო. მაცხოვარო ყოველთაო. მოიხილე მდაბალსა
 ამას მგველსა შენსა ზედა. რამეთუ შენ ხარ. რომელი სწყლავ და
 კულად განჰკურნებ. რომელსა არა გნებავს სიკუდილი ცოდვილისაჲ. 10
 არამედ მოქცევასა მოელი და სინანულსა. და ვითარცა იგი ელისეს
 ზე. და სიმონ კეთროვნისა. რომელნი იგი კეთროვნებისა-განცა განს-
 წმიდენ. და საქმეთაცა კეთილთა მიერ შეამკუენ. რამეთუ ერთი იგი
 ცნობითა ღმრთეებისა შენისაჲთა შეამკუენ. ხოლო მეორე იგი მსახურად
 უხრწნელისა მის სერობისა შენისა საიდუმლოთა სათნო იყავ: ეგრეთვე 15
 აწცა. სახიერო და კეთილის-მოყუარეო. ამასცა სასოწარკვეთილსა.
 B 276^a და განწირულსა დასა ჩუენსა. მწარისა ამის და წარმწყმედელისა
 ვნებისა-გან კურნებაჲ მიჰმადლე: “ და ვითარცა აღასრულა ლოცვაჲ
 C 155^a ესე ჭურჭელსა მას ზედა წყლისასა. ნიში საუფლოჲსა ჯუარისაჲ გამო-
 სახა. და მისცა ქმარსა მისსა. რათა გარდაასხას მის ზედა და მან 20
 A 201^b მსწრაფლ აღასრულა ბრძანებაჲ მისი: . და ეჭა საკვრველი. რამეთუ
 მეყსეულად კეთრი იგი. ვითარცა ფურცელი ხისა-გან ესრეთ დასცვვა
 გორცთა-გან მისთა. და განიკურნა ვითარცა იყო პირველ და არცადა
 თუ კუალი დაშთა მისთანა [მწარისა მის და] საძაგელისა მის ვნები-
 საჲ ყოვლადვე: ამისთჳსცა დედაკაცით-ურთ აღიდებდა კაცი იგი 25
 კაცთ-მოყუარესა ღმერთსა. და მადლობისა გალობითა უგალობდა.
 და მერმე ლოცვითა და სწავლითა წმიდისაჲთა განმტკიცებულნი
 სახედ თჳსად წარვიდეს. და სიწმიდით და ღმრთის-მსახურებით
 ცხორებასა აღუთქუმიდეს: .

ამათ უკუე ზემოცხენებულთა მეუღლეთა ზედა ესევეთარი სასწა- 30
 ული აჩუენა ლოცვითა მისითა ღმერთმან ყოვლად-ძლიერმან და ესრეთ
 საკვრველი: . ხოლო ზოგად ყოველთა ზედა ვითარი იყო ძალი ლო-
 ცვათა მისთაჲ გინა ვითარ ისმენდა ღმერთი და ანუ თუ რაოდენთ
 ბევრეულთა და აურაცხელსა სიმრავლესა იგნინიდა განხრწნისა-გან და
 სიკუდილისა. და ვითარ გარეწარაქცევდა რისხვასა თჳსსა ლოცვითა 35
 მისითა. შემდგომმან [ამან] სიტყუამან საცნაურ ყოს: .

კ

იქმნნეს ოდესმე წჳმანი ფრიადნი და მსგავსნი წყლით-რღუნ-
 სანი ქუეყანასა ზედა და მიმდემნი ქუხილნი [და ღრუბელნი ბნელისანი

და ელ|ვანი| და მეხის-ტეხანი, და გარდამოსლვად აურაცხელისა წჳმ- B 276^ა
 საჲ დაჰფარვიდა ქუეყანასა და აღავსებდა წყლითა. და ფრიადი იგი
 ძრვად და დუღილი ქუეყანისაჲ აუწყებდა მოსპოლვასა მკვდრთა მის-
 თასა. და არა უწყოდეს რამცა ყვეს. რამეთუ სასოებაჲ ცხორები-
 5 საჲ წარეკუეთა ვინაჲცა ძნიად სადმე შეუძლეს პოვნად საქმესა საეესა
 კეთილითა. და მომატყუებელსა ცხორებისასა. რამეთუ საღმრთოჲსა
 მის კაცისა ლოცვასა. ვითარცა ნავთ-საყუდელსა ცხორებისასა შეე-
 ვედრნეს. და ყოველნი ერთბამად მისსა მიივლტოდეს: • |ხოლო ვინაჲთ- C 155^ა
 გან ხედვიდა წმიდაჲ იგი სიმრავლესა მას ერისასა მის წინაშე მოს-
 10 რულსა და საღმობიერად მტირალსა. და საწყალობელად მღალადე-
 ბელსა. ვითარმედ „ლოცვად ყავ სოფლისა-თჳს წმიდაო. რამეთუ
 მოახლებულ არს წარწყმედაჲ ჩუენი და მოსპოლვად ჩუენი მოწევნულ
 არს და კნინლა და ყოველივე დაიქცეს და წარგდეს. არამედ შეგუე-
 წიენ ჩუენ ლოცვითა შენითა და ვედრებითა შენითა მოწყალე ყავ| A 202^ა
 15 ღმერთი. რათა თანაწარგუჯდეს ჩუენ რისხვად იგი დამაქცეველი და
 განსაცდელსა ამას ეწიოს მაცხოვარებაჲ: • „მაშინ მეყსეულად ლოც-
 ვასა და ვედრებასა ღმრთისასა მისცა თავი თჳსი. და ცრემლითა
 დაალტობდა ქუეყანასა. და იტყოდა. „ოჲფალო ნუ გულის-წყრომითა ფსლ 37, 2
 შენითა მამხილებ ჩუენ. და ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი
 20 ჩუენ“. და ნუ მდინარეთა ზედა განჰრისხნები. ოჲფალო ღმერთო
 მრავალმოწყალეო. არამედ შემეწყალენ ჩუენ. # სულგრძელო და სა-
 ხიერო და ტკბილო მეუფეო“. |და ვითარ იგი დაღონებულ იყო ქუე- B 277^ა
 ყანასა ზედა და დაედვა პირი თჳსი მიწასა ზედა. და ითხოვდა წყა-
 ლობასა ღმრთისა-გან ერუენა მას კაცი. საშინელი ხილვითა. რომელსა
 25 ეპყრა ნიჩაბი გელთა შინა [მისთა] და განმზადებულ იყო აღსრულე-
 ბად ბრძანებულისა. და ესმა ჳმად რომელი ეტყოდა. ვითარმედ
 „გარდააქციე ყოველი ქუეყანაჲ. და მოაქციე ზედაკერძო მისსა ბუ-
 ნებაჲ წყალთაჲ“. ესმა რაჲ სიტყუაჲ ესე მისსა მიმართ თქუმილი.
 მეყსეულად იწყლა გულითა წმიდაჲ იგი და მასვე ჟამსა მიხედნა
 30 ხატსა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა და თქუა: „# დედოფალო.
 მსწრაფლ მოიხილე ჩუენ ზედა. ცოდვილთა ამათ მონათა შენთა. და
 მოდრიკე ღმრთებერი მოწყალებაჲ შენ-გან განკაცებულისა ღმრთისაჲ
 წყალობად ჩუენდა. და ევედრე მას რათა დაგტკბეს. რამეთუ შენ
 მხოლოჲ ხარ შესავედრებელი ქრისტეანეთაჲ და მსწრაფლი გელის-
 35 ამპყრობელი და შემწე: • „ამას რაჲ იტყოდა და წმიდასა მას ხატსა
 დედისა ღმრთისასა ევედრე ბოდა: მეყსეულად იხილნა ცანი განხუ- C 156^ა
 მულნი. და ოჲფალი დიდებისაჲ საყდართა ზედა მჳდომარე. ხოლო
 ყოვლად-წმიდაჲ და ყოვლად-უხრწნელი ღმრთის-მშობელი ლმობიე-
 რითა და მოწლითა ვედრებითა შეუვრდებოდა მის-გან შობილსა
 40 ძესა და ეტყოდა. „# სულგრძელო და მრავალმოწყალეო. და კაცთ-

13 დაიქცევის A. — 25 მზა B. — 31 ჩემ A. —

9. ენიშვი-ს მოამბე, ტ. VII.

- მოყუარეო მეუფეო. მოწყალითა თუალითა მოიხილე ერსა შენსა ზედა. რომელმან მიეცე წმიდაჲ იგი და უხრწნელი სისხლი შენი. რომელი გორცთა ჩემთა-გან მიღებად სათნო იყავ. ცოდვთა-თჳს კაცთა ნათესავისათა. და ყოველთავე სინანულად მოუწოდე. ნუ მისცემ მათ
- B 277^b განხრწნად სახელისა შენისა-თჳს. და|ნუ განაქარუებ აღთქუმასა შენსა 5
- A 202^b და ნუცა განაზორებ წყალობასა შენსა მათ-გან: „ამის ესევეთარისა ვედრებისა-თჳს წმიდისა ღმრთის-მშობელისა. მოდრკა მაცხოვარი წყალობად. და ჰრქუა მას. „შენ-თჳს და მონისა ჩემისა ტიმოთეს-თჳს აღვილო მათ-გან რისხვაჲ. უკუეთუ შეინანონ. და კეთილად მოქალაქობდენ. და კუალად არა ინებონ შედგომაჲ ბოროტთა საქ- 10 მეთაჲ“. ესე ესმა და გულსავსე იქმნა მადლისა მიერ საღმრთოჲსა. ვითარმედ შეისმნეს ლოცვანი მისნი და სასოებითა კეთილითა აღდგა ქუეყნით. და მოელოდა ლოცვათა თჳსთა აღსასრულსა სახარულეევანსა. და მოუწოდა ერსა მას და ეტყოდა. „ვესავ მეოხებასა ყოვლად-წმიდისა ქალწულისასა. ჰ ძმანო და შვილნო. რამეთუ ვედრებაჲ თქუენი 15 არა უგულვებელს ყო ძემან მისმან. ოჯალმან ჩუენმან იესოჲ ქრისტემან. არამედ კაცთ-მოყუარებით დამშუდნა. მოლოდებითა მოქცევისა თქუენისაჲთა. ამიერითგან უკუე და თქუენცა მოდრიკენით გონებანი თქუენნი სათნო ყოფად მისსა. და ღმობიერ ყვენით გულნი თქუენნი განზორებად ბოროტთა საქმეთა-გან. და განჯად მათდა და 20 აღმოფხურად ხოლო საქმეთა კეთილთა და ცხორებისათა წადიერე-
- C 156^b ბით გელ-ყოფად. და სურვილად შეტკობად გლახაკთა და|უპოვართა ქველის-საქმითა ეზიარებოდეთ. ხოლო ქურივთა და ობოლთა ნუ გარემიაქცევთ თჳნიერ წყალობისა:“ ესმნეს რაჲ სიტყუანი ესე ერსა [მას] ყოველნი ღმობიერ იქმნეს და ცრემლით და სულთქუემით 25
- B 278^a აღუთქუეს სინანული და სათნო ყოფაჲ ოჯფლისაჲ. და|აჲ ესერა მასვე ჟამსა დაიჭრნეს ღრუბელნი და განიბნინეს და ყოველსა ქუეყანასა ზედა გამობრწყინდა მზე. და იქადაგა დიდებაჲ ღმრთისაჲ. რომელმან მსახურისა თჳსისა მიერ მისცა მათ ცხორებაჲ:•
- გარნა ვითარმე არა დადუმნეს ენაჲ ჩემი. ვითარცა უძღური და 30 შეუძლებელი თქუმად მაღალთა მათ სასწაულთა მისთა. რამეთუ თქუმულისა და აღწერილისა. მარადის თქუმადი და აღწერადი უსაკრველეს იპოების. და ესრეთ საკრველითა ამით ცილობითა და წინააღდგომითა ურთი-ერთას ჰჯდებიან და წინააღუდგებიან. გარნა ყოველსავე ზედა ვიტყოდი დიდთა მათ და საშინელთა საკრველთმოქმედებათა 35 ღმრთისათა. რომელნი აღასრულნა მონისა თჳსისა მიერ:••

კა

რამეთუ იყო ვინმე კაცი მთავართაგანი სპარსეთს შინა. წარჩი-
 A 203^a ნებუ|ლი და მდიდარი ფრიად: და ესუა მას ძე მხოლოდ-შობილი. რო-

მელი იგი შთავარდა საღმობასა ფიცხელსა და მწარესა და დაიჭნა
ყოველი გუამი მისი: და რაოდენნიცა მკურნალნი იპოებოდეს სპარ-
სეთს. და ქალდეველთა ქუეყანასა. ყოველნი შემოკრიბნა. და ესევი-
თარისა მის სენისა არცა ერთი რად კურნებაჲ პოვა. არცა ტკივი-
5 ლისა მის ლხინებაჲ. არამედ ამო იყო ყოველივე სწრაფაჲ მათი.
რამეთუ მძვინვარებაჲ იგი სენისაჲ მის უქმად გამოაჩინებდა ჯელოვ-
ნებასა მათსა: ამას კაცსა ესმა წმიდისა ტიმოთეს-თჳს. და ვითარ-
მედ მადლთა მიერ საღმრთოთა მრავალნი განუკურნებიან მრავალ-
ფერთა და თვთოსახეთა სენთა-გან. და ვითარმედ არს იგი|ნიშებშე- B 278^b. C 157^a

10 მოსილი და საკურველთ-მოქმედი დიდი ნათესავსა შორის თჳსსა. და
ყოველთავე წარმატებული: ამისთჳსცა განიმზადა სამისა თჳსა საგზალი
და ოქროჲ ფრიადი. და შესაწირავი ბრწყინვალე. და წარმოემართა
წმიდისა მის: ხოლო მო-რად-ვიდოდა გზასა თჳსსა. შთავარდა იგი
15 ჯელსა ავაზაკთასა. და ყოველნი იგი მისთანანი შეიპყრნეს. გარნა იგი
ხოლო მარტოჲ განერა ცხენითა მით. რომელსა აღმკვდრებულ იყო.
და თუ რადმცა ყო. არა უწყოდა. შევიდა ქალაქსა რომელსამე და
განყიდა ჳრმალი თჳსი. და მოიყიდა საგზალი. და კულად თჳსსავე
გზასა ვიდოდა. და წმიდისა მის აღვიდოდა. ხოლო რომელი იგი
20 მოშურნე არს და მტერი ყოველისა კეთილისაჲ ეშმაკი. და ცოდვისა
ხოლო ალაგთა იცის წრფელყოფაჲ. ხოლო კეთილისა მიმართ მიმ-
ყუანებელთა. თვთოსახითა სივერაგითა დაბრკოლებაჲ: არა კმა იყო
ვიდრე აქამომდე ხოლო განცდაჲ კაცისაჲ მის. არამედ უძკრესისა
მიმართ წარებაჲ და პირველთა მათ განსაცდელთა ზედა. უმრავ-
ლესნი განსაცდელნი შესძინნა. რამეთუ არამრავლისა ქამისა შემდ-
25 გომად ცხენიცა იგი მოუკლა. და საგზალიცა იგი განულია: ხოლო
კაცმან სივერაგითა მტერისაჲთა იწყო დანთქმად მწუხარებითა. და
სასოწარკუთილებითა. რამეთუ ოდესმე მოაგონებნ სახედ თჳსად
უკუნქცევედ და ეტყუნ: ვითარმედ „ვინაჲთგან არარაჲ დაშთომილ
არს ჯელთა შენთა. რათა წარხჳდე. ანუ ვიდრე გეგულების წარსლვაჲ“.

30 და ოდესმე ეტყუნ გონებასა მისსა. ვითარმედ „ვინაჲთგან ურწმუნო
ხარ. და არა|სარწმუნოებისა მისისა ზიარი. არა თავს-იდებს იგი B 279^a
განკურნებასა ძისა შე|ნისასა. უფროდსლა ვინაჲთგან არცა თუ შესა- A 203^b
წირავისაგანი რად დაშთომილ არს შენდა. რომელიცა იგი მიუბყარ C 157^b
წმიდასა მას. ვითარცა ჯგეროვან არს და სამართალი:“ ამისსა შემ-

35 დგომად აგრძნ კაცმან მან მზაკუვარებაჲ იგი მტერისაჲ. და ბოროტთა
მათ გულის-ზრახვითა წინააღუდგებოდა. და ეტყოდა. ვითარმედ
„ვინაჲთგან კურნებათჲ მადლი ღმრთისა მიერ მიუღლებიეს. ვითარცა
მესმის. არა არს იგი უნაწილო წყალობისა-გან. და კაცთ-მოყუარე-

4 იპოვა B. — 11 განმზადა B. — 13 მორავიდილოდა|+იგი B. — 15 რომელ-
სა|+ზედა B. — 20 ხოლო< B. — 25 მოკლა A. — 26 კაცმან|+მან B. — 27 რა-
მეთუ<B. — 30 ურწმუნო B. — 37 კუნებათა B. —



ზისა და ვინაძეთან ესე ქველის-საქმენი იყენენ მის თანა. შეუძლე-
 ბელ არს თუმცა უგულბებელს ყო სიგლახაკე და ქირვეულობაჲ ჩემი.
 რომელსა ესოდენნი ქირნი თავს-მისხმან მის-თჳს. ვინაძეა ჯერ-არს
 ჩემდა. რათა კუალადცა ვიწყო სლვად გზასა ჩემსა. და ღმერთმან
 ლოცვითა მისითა აკურთხოს მცირე ესე საგზალი ჩემი. და უხუებით
 გამომზარდოს მე: ვიდრემდის მივიწიო მისსა“. რომელიცა ესე იქმნა. 5
 და მცირითა მით პურითა. რომელი აქუნდა. უნაკლულოდ იზარდე-
 ბოდა იგი დღეთა მრავალთა: ხოლო ვინაძეთან წმიდისა მის მიიწია.
 პოვა იგი არა უმეცრად საქმეთა მათ-თჳს მის ზედა მოწვევულთა.
 რომელმან არცაღა თუ კითხვად თავს-იდგა მისი. არამედ რაჲ იგი 10
 შემთხუეულ იყო მისდა გზასა ზედა ყოველივე წარმოუთხრა ქირნი
 იგი. და განზრახვად მტერისად ბოროტი და მერმე ჰრქუა მას. „ნუ
 გეშინინ. რამეთუ ღმერთი ჩუენი სახიერ არს და აღმოუბრწყინვებს
 მზესა მისსა ყოველთა უხუებით და წჳმს მართალთა ზედა და ცოდ-
 B 279^a ვილთა| და რომელნი ითხოვდენ მის-გან. უხუებით მისცემს მათ ნიჭთა 15
 მისთა და ჰნებავს. რათა ყოველთა იცნან იგი და მას ჰმსახურებდენ.
 არამედ არა იძულებით. აწ უკუე ვითარისა უნდა შჯულისად იყაჲ:
 არა ჯერ-არს ჩემდა. რათამცა დაგაკლე შენ სიმდიდრესა წყალობათა
 და ნიჭთა მისთასა. ამისთჳსცა წარვედ კეთილითა სასოებითა სახედ
 C 158^a თჳსად, და ამას პურსა მიგცემ შენ საგზლად. რათა რაოდენიცა 20
 დღენი დაჰყენე გზასა ზედა უხუებით აღასრულოს გამოზრდაჲ შენი.
 ვიდრე მიიწიო მამულსა შენსა. და მი-რაჲ-იწიო. ჰპოო ძე შენი ველსა
 გარე. თჳსთა მონათა თანა. მიმოვალად თჳსთა აგარაკთა შინა ყოვ-
 ლითურთ მრთელი. და ყოვლითურთ უვნებელი. და ღმერთსა ჰმად-
 A 204^a ლობდი. და სახელსა მისსა წმიდასა აღი|დებდი: და მომავალსა ამას 25
 წელსა აღიღე ძე შენი. და მოვედ აქა ვიდრე ჩემდამდე:“ ხოლო მან
 მიიღო პური იგი კურთხეული წმიდისა მის კაცისა ღმრთისად. და
 წარვიდა სახედ თჳსად და ეყო მას ვიდრე მიწვევადმდე მისდა თჳსსა
 ქუეყანასა. და ურწმუნო ნუმცა ნუეინ არს. არამედ ჰრწმენინ. რამეთუ
 რომელმან იგი ხუთითა პურითა ხუთათანი განაძღნა. მანვე მცირე- 30
 დისა მის პურისაგან უხუებით გამოზარდა კაცი იგი ლოცვითა წმი-
 დისა ტიმოთესითა. რომელმან იგი მონათა თჳსთა განცხადებად
 აღუთქუა. საუფლოთაცა სასწაულთა. უმეტესად აღსრულებად სას-
 წაულთა და საკვრველებათა სიმალლითა მით სიმდიდრისა მისისაჲთა:·
 B 280^a ხოლო ვინაძეთან სახედ თჳსად მიიწია. და სიტყჳსა-|ებრ წმიდისა 35
 მის პოვა ძე თჳსი ცოცხალი. რამეთუ მსახურთა თჳსთა თანა იქცეოდა
 იგი თჳსსა აგარაკსა. მუშაკთა მისთა თანა ველსა გარე. და გამოი-
 კითხა რაჲ ჟამი სიმრთელისად. ისწავა რამეთუ რომელსა ჟამსა მიიწია
 იგი წმიდისა მის. მას ოდენ ჟამსა ილტვოდა მის-გან სენი იგი სას-

9 პოა B. — 21 დაჰყენე] დაიყოფნე B. — 26 მოედ B. — ჩუენდამდე B. —
 28 მიწვევადმდე მისდა] მიწვევად მისდამდე. A. —

ტიკი: [და] დიდად ჰმადლობდა ღმერთსა. და აღიდებდა ძლიერებასა მისსა. და მეოხებითა წმიდისა ტიმოთესითა იქმნა იგი მორწმუნე. და აღიარა მართალი სარწმუნოებაჲ. და რაოდენთამე დღეთა შემდგომად განიხარა რაჲ სიმრთელისა-თჳს ძისა თჳსისა. სურვილითა 5 მადლობისაჲთა. ძით-ურთ კულად წმიდისა მის წარვიდა. მრავლითა შესაწირავითა. და იკურთხნეს მის მიერ და ქრისტეანე იქმნნეს და კულად მიიქცეს თჳსადვე ქუეყანად. და ესე არა ერთგზის ხოლო ქმნეს. არამედ მრავალგზის: | რამეთუ ყოველთა წელიწადთა ერთგზის C 158^b და გინა თუ ორგზისცა. თვთოსახითა სულნელებითა და ოქროჲთა 10 და მრავლითა საჯმრითა მოვიდიან წმიდისა მის და სიტყჳთა სარწმუნოებისა და ღმრთის-მეცნიერებისაჲთა განათლებულნი. კულად სახედ თჳსად წარვიდიან:·

ესე უკუე ესრეთ აღესრულა. და აქამომდე იყავნ:· ხოლო არიან სხუანიცა მრავალნი სასწაულნი. დადუმებად შეუძლებელნი. რომელთა 15 იგი მსმენელთა ღმრთის-მოყუარე სმენის-მოყუარებაჲ მარადის განმზადებულად აღმოაცნებეს. მადლითა ღმერთ-შემოსილისა ტიმოთესითა:· ვინაჲცა არა უდებ ვიქმნეთ უწყებად საკვრველებათა დიდისა ამის და მიუწოდომელისა კაცისათა. დაღაცათუ ყოველთა მათ ძალთა| B 280^b განსაკრთომელთა წმიდისათა წარმოთქემაჲ| შეუძლებელ არს:· არა- A 204^b 20 მედ ორი გინა სამი საკვრველებათა მისთაჲ აღვეწროთლა და ესრეთ დასასრულად მივიწივნეთ სულეირისა ამის თხრობისა: · ~ ~ ~

კზ

რამეთუ ჟამთა მათ. რომელთა შინა გამოჩნდა ბრწყინვალე ესე მთიები. საკვრველთ-მოქმედი წმიდაჲ ტიმოთე. წარვიდა მკვდრობაჲ აგარეანთაჲ კერძოთა საბერძნეთისათა და უმეტეს ოცისა დღისა შე- 25 ვლეს ქუეყანაჲ მათი და პოვეს ველი რაჲმე ცხენთა სარბიელი და ვაკე. თივითა და წყლითა აღსავე. რომელსა შინა დაიბანაკეს. და მიერ ტყუენვიდეს კერძოთა საბერძნეთისათა. ხოლო საღა იგი დგა კარავი მკვდართ-მთავრისაჲ. იყო მახლობელად [მისსა] სუეტტი. რომელსა შინა დამკვდრებულ იყო კაცი ვინმე წმიდაჲ. თავსა სათნოებათსა 30 მიწვეწული. და არესა შინა ღამისასა ესმა მთავარსა მას ვალობაჲ ორთა კაცთაჲ სუეტით-გარდამო. და განიზრახვიდა გონებასა თჳსსა შესავალისა-თჳს და სივიწროჲსა ადგილისა მის. და ვითარ მკვდრ არიან მას შინა ორნი კაცი. და მოუწოდა მოყუასათა თჳსთა. რათა მათცა| ისმინონ ვალობაჲ იგი. და ვითარცა განთენა. ჰკითხა მთავარმან C 159^a 35 მან მესუეტესა მას. ვითარმედ „ვინ არს შენ თანა სუეტსა მაგას შინა შენ თანა მყოფი. და შენ თანა მგალობელი“. ხოლო მან ჰრქუა. ვი-

6 იკითხნეს A. — 22 რ მათ ჟამთა B. — 24 აგარეანთაჲ B. — 26 შინა < B. — 29 წმიდაჲ] ღმრთისაჲ A. — 32 სივიწროისა B. —

- თარმელ „არავინ არს ჩემ თანა“. და მთავარი იგი ეტყოდა. ვითარ-
მედ „და ვინ იყო იგი. რომლისა გალობაჲ გუესმოდა შენ თანა წარ-
სულსა ამას ღამესა:“. მიუგო წმიდამან მან კაცმან ღმრთისამან.
„წმანი იგი. რომელ გესმნეს შენ. უმწნესო ყოველთა კაცთაო. ვინაჲ-
თგან ღმერთი ყოველსავე კეთილად განაგებს. და მრავალსახედ 5
- B 281^a მოიზიდავს მისსა განდგომილთა. ესე არს ძალი მათი და უწყებამ:
ვინაჲთგან ვიხილე მოწვევამ ესე მწედრობისაჲ. და ვითარ იგი
ტყუენვიდეს ყოვლით-კერძო და კლვიდეს. კაცობრივი რაჲმე შემემ-
თხზა მე. და რაჲთურთით შიშითა აღიესო გული ჩემი. ხოლო ვინაჲთ-
გან ლოცვად დავდეგ. ვევედრებოდე ღმერთსა განქარებად შიშისა 10
მის და შეისმინა ჩემი კაცო-მოყუარემან და მრავალმოწყალემან ღმერთ-
მან: და დიდებულად და საკვრველად. და ძლიერთა მით წამის-ყო-
- A 205^a ფითა თუსითა მომივლინა მე საკვრველთ-მოქმედი ტიმოთე. დიდე-
ბაჲ იგი ანტიოქელთაჲ. რომელმან გალობითა და ზრახვითა თუსითა
განდევნა ჩემ-გან შიში იგი“. ესმა რაჲ ესე მთავარსა მას დაუკვრდა. 15
და არღარაჲ შესძინა სიტყუს-გებად მისდა. არამედ მეყსეულად
უბრძანა დადგმაჲ კიბისაჲ და ვიეთმე აღსლვაჲ მას ზედა. და გამო-
ნახვად უკუეთუ არს ვინმე მის თანა სხუაჲ. ხოლო მათ ბრძანებაჲ
მისი მსწრაფლ აღასრულეს: და ვითარ არავინ იპოვა. განკვრდა ამი-
რაჲ იგი და განიზრახვიდა საქმესა მის-თუს. თუ ვითარ არს. და 20
ვითარ იგი ვერ ეძლო გულის-ხმის-ყოფად. მიუგო ბერსა მას და
პრქუა. შეუძლებელ არს საქმე ესე გონებისა ჩუენისა-გან. # მონა-
ზონო. რათამცა ვირწმუნენით ზღაპარნი შენნი და დავიჯერეთ სიტ-
ყუაჲ შენი. რამეთუ უცხო არს საქმე ესე. და ჟადრეს ბუნებისაჲ
- C 159^b რამეთუ ვითარ ეგების რათამცა ანტიოქიისა|სამთავროდთ ტიმოთე 25
მესუეტე. ოცისა დღისა. და უმეტესცა სიშორით ერთსა მწუხრსა აქა
მოწვენად. და აჰა ესერა შუდთა კაცთა პატიოსანთა მწედრობისა-გან
- B 281^b ჩემისა. რომელთა ესმა ჩემ თანა წმაჲ იგი გალობისაჲ. წარგავლენ
კაცისა მის. რომლისა-თუს სთქუ. რათა მივიდენ მისსა და გამოწუ-
ლილვით გამოიძიონ და გულის-ხმა-ყონ. გინა თუ იგი იყო. გინა თუ 30
სხუაჲ. რომელი ამას მწუხრსა აქა მოიწია და შენ თანა გალობდა. და
უკუეთუ ვცნა ჭეშმარიტი. ვითარმედ იგი იყო: არა ურწმუნო ვიქმნე
სიტყუათა შენთა. არამედ იყო ჩემ თანა ვითარცა კაცი წმიდაჲ. პა-
ტიოსანი და შერაცხილი. და ყოველთა მონაზონთა პატიეს ვსცემდე.
და კეთილსა უყოფდე. [რომელთა იგი პირველ ამისსაცა. და ვიდრე 35
აქამომდე. პატიეს ვსცემდი და კეთილსა უყოფდი] და ხარკთა და
ჭირთა მათთა წყალობით თანაწარვჰვდიდე და აღუსუბუქებდე: უკუე-
თუ კულა ჭეშმარიტებისა წინააღმდეგომ იპოო და მტყუერად გამოშჩნდე.
გულსავსე გყავნ შენ ჭეშმარიტებამან. რამეთუ არა ხოლო თუ შენ

10 ვდგგ A. — 12 და < B. — 15 განდევნა] განჯადა B. — 34 პატიეს
ვცემდე A. — 38 გამოსჩნდებ B. —

ოდენ მარტომ მიგცე წარწყმედასა და მწარესა სიკუდილსა. არამედ
 რაოდენნიცა მონაზონნი ვპოვნე ჯელმწიფებასა ჩემსა ქუეშე. გუემათა
 და თუთოსახეთა სატანჯველთა მივსცნე“. ესე რაჲ თქუა მყის კაცნი
 იგი წარმოავლინნა. ხოლო ივინი ფრიადითა სწრაფითა წარვიდეს. და
 5 მონასტერსა მას წმიდისასა მოიწინეს:• ხოლო წმიდამან მან და სათ-
 ნომან ღმრთისამან ტიმოთე პირველვე ცნა მადლისა მიერ. რომელი
 იყო მის თანა. მოსლვად იგი კაცთაჲ მათ. და მოუწოდა ვიეთმე მო- A 205*
 წაფეთა მისთავანთა და ბჰეთა მონასტრისათა განღებაჲ უბრძანა და
 მკედართა მათ მიგებებაჲ და პატივით შეწყნარებაჲ:• ესე რაჲ ყვეს
 10 და შევიდეს მისსა კაცნი იგი. მოიკითხნა ივინი კაცმან მან|და დიდმან C 160*
 ნების-მყოფელმან ღმრთისამან. და ჰრჭუა მათ. „კეთილად მოვიდა
 ჩუენდა მკედრობაჲ ახო|ვანთა და წარჩინებულთაჲ. და რაჲსათჲს B 282*
 თავს-იდუა დიდმან ამირამან ესოდენსა შრომასა შემთხუევად თქუენი
 ურწმუნოებისა-თჲს სიტყუათა მათ მესუეტისათა. რამეთუ ჭეშმარი-
 15 ტად მე ვიყავ. რომელი მისსა მივიწიე. და ვგალობდ მის თანა. ვითარცა
 გესმა. და გალობასა მას ესევითარი აქუნდა ჳმაჲ“. და ესე რაჲ
 თქუა. იწყო გალობად. ვითარცა იგი ესმინა მათ. ოდეს იგი გა-
 ლობდა მის თანა. ხოლო მათ ესმა რაჲ ჳმაჲ იგი. და გალობაჲ. და
 ცნეს ჭეშმარიტებით. ვითარმედ იგი არს. რომელი იგი მაშინ ესმა
 20 მათ. შიშმან და ზარმან შეიპყრნა ივინი. მრავალჲმ დაადგრეს გან-
 ცზრებულნი. და მერმე ვითარცა ერთითა პირითა ღაღად-ყვეს. ვი-
 თარმედ „დიდ არს ღმერთი ქრისტეანეთაჲ“. და დაცვეს ქუეყანასა
 ზედა. და ლოცვად ითხოვეს და მიიღეს და კუალად იქცეს მომავ-
 ლინებელისა მათისა. და აღიდებდეს და უგალობდეს [ღმერთსა] და
 25 ქადაგებდეს საკრველებათა მისთა. და მიიწინეს მთავრისა მის. და
 განცხადებულად მიუთხრეს მას ყოველივე. რაოდენიცა ესმა და იხი-
 ლეს. და ჳმაჲ იგი გალობისაჲ და ვითარ გალობნ გინა თუ რაჲ იყო ძალი
 გალობისაჲ მის. და თუ ვითარ არარაჲ დაეფარა მას საქმეთა მათ-
 გან შორიელთა. არამედ რამეთუ მათიცა იგი მისლვად ცნა. და მერმე
 30 ვითარ იგი აუწყა მათ აღსლვად იგი კიბეთაჲ. და ძიებაჲ უკუეთუ
 ვინ არს სუეტსა შინა და ყოველივე თითოეულად მიუთხრეს. რაჲცა
 იგი ეთქუა მათდა:• ესმა რაჲ ესე მთავარსა მას. დაუკრდა ფრიად
 და აღიდებდა ღმერთსა და ჳნატრიდა მარტოდ-მყოფთა და არღარა
 შესძინა ბოროტის-ყოფად ქრისტეანეთა. არამედ დიდად პატივს
 35 სცემდა ყოველთა მონაზონთა და მოღუაწეთა. და მრავალსა|კეთილსა B 282*
 უყოფდა მათ:•

ესე უკუე აქამომდე იყავნ. ხოლო რომლისა ესე აწ გუეგულვების
 |აღწერაჲ. ფრიადითა სარგებელითა სავსე არს. და კმა არს სახედ გან- C 160*
 კითხვისა და გულის-ხმის-ყოფისა. რომელთა ენებოს რათა განერნენ

4 წამოავლინნა B. — წარმოვიდეს C. — 9 მიგებებაჲ] + უბრძანა A. —
 10 კაცმან] წმიდამან C. — 34 არამედ] და B. —

მრავალსახეთა მათ-გან და მრავალფერთა ღონეთა მანქანებათა ძნიად
 საძლეველისა მის. და მძნვარისა მძლავრისათა. რომელ არს სული
 ამპარტავანებისაჲ. რამეთუ არარაჲ არს ესრეთ წარმწყმედელი და
 A 206^a განმაშორებელი ღმრთისა-გან: ამისთჳსცა მრავალნი შემდგომად ბევ- 5
 რეულთა ოფლთა და შრომათა ამის მძლავრისა მიერ მოინადირნეს.
 და უცხო იქმნეს ღმრთისა-გან. და მიერთა მათ კეთილთა-გან გან-
 ცკვეს: რამეთურა ჟამს მტერმან მან მარცხენით ვერ შეუძლის ძლევაჲ.
 მერმე მარჯუენით დაურწყამნ მახესა წარწყმედისასა. ვითარცა წი-
 ნამდებარისა ამის სიტყჳსა-გან გეუწყოს თქუნენ:.

38

[რამეთუ] იყო ვინმე მოღუაწე მათათა შინა შავისა მთისათა. რო- 10
 მელსა თავს-ესხნეს მრავალნი ღუაწლნი მეუღაბნოებასა შინა. ხოლო
 ვინაჲთგან არა აქუნდა მას მადლი განკითხვისაჲ. გამოუცდელ იყო
 იგი და უმეცარ საბრჯეთა მტერისათა და მრავალფერთა მათ მანქა-
 ნებათა მისთა. შესცოთა და წარწყმედასა მიეცა. არა შემწედ აქუნდა 15
 ლოცვაჲ ტიმოთესი. რათა მძლედ მტერთა გამოეჩინა იგი. რამეთუ
 ზემოვსენებულსა ამას მონაზონსა ფერად-ფერადად და მრავალსახედ
 ეჩუენებოდა მტერი საოცრებითა და ბრწყინვალითა სახითა. რომე-
 B 283^a ლი იგი წყუდიად არს და ბნელ მარადის. და თავსა თჳსსა|უწყსნ 20
 ვითარმედ ქრისტე არს წინააღმდგომი იგი და მჯდომი ცხორებისაჲ.
 ერთგზის უკუე გამოუჩნდა მას და ჰრქუა. ვითარმედ „ლოცვანი შენნი
 და მღჳძარებანი შეიწირნენ და მრავალნი იგი ღუაწლნი შენნი წიგნსა
 ცხოველთასა აღწერილ არიან. და განმზადებულ არს შენდა სუფევისა-
 C 161^a გან ჩემისა მისაგებელი და ბრწყინვალენი ნიჭნი და სა|სყიდელნი. 25
 ვინაჲთგან შენ მხოლოჲ გამოშინდი ქუეყანასა ზედა სათნოდ ჩემდა:.
 ამისთჳს გაუწყებ შენ გამოუთქუმელთა მათ საიდუმლოთა ჩემთა. და
 რაჲ იგი მეგულეების აღსრულებად ქუეყანასა ზედა. რამეთუ აჰა ესერა
 ოთხმეოციდა დღე დაშთომილ არს აღსასრულამდე სოფლისა ამისა
 და მიერთგან წარიგრაგნოს და წარჯდეს. აწ უკუე წარვედ ყოველითა
 მოსწრაფებითა და ყოველთა ქალაქთა და სოფელთა მეორედ მოსლვაჲ
 ჩემი უქადაგე:.“ ხოლო მონაზონი იგი აღდგა მასვე ჟამსა შინა და 30
 წარვიდა ყოველთა ქალაქთა და სოფელთა. და ქადაგებდა რაჲ იგი
 ესწავა წარმწყმედელისა მის-გან: ესმა რაჲ ესე წმიდასა ტიმოთეს
 ფრიად შეწუხნა. და ევედრა ღმერთსა რათა მიუძღუეს მისსა მონა-
 ზონსა მას. და ვითარცა წარჯდეს სამნი დღენი. აჰა ესერა მეუღაბ-
 ნოე იგი მოვიდა მონასტერსა წმიდისასა. ხოლო შინა არა შევიდა: 35
 იხილა რაჲ იგი წმიდამან მან გარეშე მონასტრისა მდგომარე. ჰრქუა

14—15 მიეცა ... რათა]. არა თუმცა წეულ იყო მისდა ლოცვაჲ ტიმოთესი;
 და A. 31 წარვიდა] განვიდა B. —



მას. „სასწაული სიყუარულისაჲ აჩუენე ჩუენდა მომართ წმიდაო! და A 206^b
 პატიოსანო მამაო და შემოვედ ჩემდა. და კეთილისა ზრახვისა შენისა-
 გან ნუ უღირს გვჩინებ ჩუენ. და თავს-იდეგ მცირედ რაჲმე განსუე-
 ნებაჲ ჩუენ თანა. ვინაჲ|თგან გზედავ შენ. რამეთუ ფრიად დამაშუ- B 283^b
 5 რალ ხარ და შემწუარ სიცხისა-გან“. ხოლო მან ჰრქუა. „შემინდე
 რამეთუ შეუძლებელ არს ჩემდა დამორჩილებაჲ ბრძანებისა შენისაჲ.
 რომელსა ესე დამიყოფიეს ოც და ათი წელი უდაბნოთა შინა და არა
 სადა შესრულ ვარ სართულსა ქუეშე გინა სახლსა. რამეთუ მე ვარ
 იგი ვინმე მეუდაბნოე: ხოლო ვინაჲთგან ღმერთმან არა დაივიწყნა
 10 შრომანი ჩემნი. და მრავალნი იგი ღუაწლნი. და გამოძიებაჲ მე
 ამის სოფლისა აღსასრული. და ქადაგებად წარმომავლინა მე ყო-
 ფადისა მის-თჳს საიდუმლოჲსა. რამეთუ შემდგომად ოთხმეოცისა
 დღისა განუჩინებიეს მოწვენა სოფლისა ამის აღსასრულისაჲ. და აჰა
 ესერა ქადაგებაჲ|ესე ჩემ მიერ განფენილ არს ყოველთა შორის და C 161^b
 15 ვიდრე აქამომდე მოწვეულ ვარ აღსრულებაჲ ბრძანებულისა მის: „
 ესე რაჲ ესმა წმიდასა მას. უბრძანა ძმათა მათ. რომელნი იყვნეს
 მის თანა. რათა ვითარ იგი არა უნდეს. შეიყვანონ მისსა მეუდაბნოე
 იგი უნებლიეთ. ხოლო იგინი მსწრაფლ განვიდეს და შეიყვანეს იგი
 იძულებით: ხოლო იგი გოდებდა და ტიროდა. რამეთუ არა ენება
 20 შესლვაჲ სართულსა ქუეშე. და მერმე უბრძანა შეკრვაჲ მისი საბ-
 ლითთ და ესრეთ მოყვანებაჲ წინაშე მისსა და ჰრქუა მას წმიდამან:
 „ჴ საკურველო. წმიდაჲ სახარებაჲ წარგიკითხავსა“. მიუგო ბერმან
 მან: „ჴე. და ვითარცა არა წარმეკითხა და არა ხოლო თუ სახარე-
 25 ბაჲ ოდენ. არამედ სხუანიცა საღმრთონი წერილნი ფრიად მიკით-
 ხავნ“. ჰრქუა მას დიდმან მან ტიმოთე. „და ვითარ დაგავიწყდა
 რაჲ იგი წერილ არს მას შინა. არამედ ერჩიდი ეშმაკსა რომელი იგი: B 284^a
 ეჰა უბადრუკებაჲ ესე: სახითა მაცხოვრისაჲთა გამოგიჩნდა და გრქუა
 შენ. ვითარმედ ოთხმეოც დღემდინდა ეგოს სოფელი. და მერმე იქ-
 მნას აღდგომაჲ ცხოველთაჲ და მკუდართაჲ. ანუ ვითარ არა არქუ
 30 მას: ქრისტეს მტყუარო და მაცთურო. და ვითარ იტყუს ქრისტე წმი-
 დათა შინა სახარებათა. „ვითარმედ არაინ უწყის დღე იგი. არცა მთ 24, 36
 ეჲმი. რომელსა შინა ძე კაცისაჲ მოსლვად არს“. და ვითარმედ „ვი- მთ 24, 27
 თარცა ელვაჲ რაჲ გამობრწყინდის მზისა აღმოსავალით და ჩანნ
 ვიდრე დასავალადმდე. ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ“. და
 35 კუალად ვითარმედ „ვითარცა საბრჯე მოუტდეს მსხდომარეთა პირსა ლუკ 21, 35
 ზედა ყოველისა ქუეყანისასა“. და მათ თანა სხუანი მრავალნი თქუმულ A 207^a
 არიან მოულოდნებელისა მის და მყისსა შინა მოწვენადისა აღსასრუ-
 ლისა სახენი და სწავლანი: გარნა ვინაჲთგან სახიერისა მის მოძლუ-

6 შენისაჲ|+რამეთუ B. — 7 ოცდაათი| ორმეოცდა ათი B. — 7 და<B. —
 16 ესმა რაჲ ესე წმიდასა B. — 17 მეოდაბნოე A. — 25 დაგვიწყდა AB. —
 28 დღემდინდა| დღედ მინდალა B. —



რისა სიტყუათა უმეცარ იქმენ. ვითარცა წურთისა მოქენე და უგუ-
 ნური მოწაფე: ჯერ-არს ჩემდა რათა შემსგავსებულად უგუნურებისა
 C 162^a შენისა გწუართო. რათა არა|ექმნა მრავალთა მიზეზ წარწყმედისა:“
 და ესე რაჲ თქუა უბრძანა მუნ მდგომარეთა მათ რათა ურიდად სცემ-
 დენ: ხოლო მათ მეყსეულად ბრძანებაჲ მისი საქმით აღასრულეს. 5
 და სცემდეს მას უწყალოდ და ვიდრელა იგი სცემდეს მას დაჰჴმა
 წმიდამან სარკუმელი თჳსი და [ცრემლით] ევედრებოდა მის-თჳს
 ოჯფალსა და იტყოდა. „მ⁹ ოჯფალო იესოჲ ქრისტე. მოხედე ძმასა
 A 284^b ამას შეცთომილსა და|ნუ დაუტევებ მას წარწყმედად საბრჯეთა შინა
 მტრისათა. რომელმან ესე ესოდენტა ამათ წელთა თავს-იდვა შრო- 10
 მაჲ მეუღაბნოებისაჲ. რათამცა ცუდ და ამო იქმნა იგი ყოველი
 რამეთუ ბოროტ არს შემდგომად ესოდენტა ღუაწლთა თავს-დებისა
 ყოველთა მათ შრომათა მისთა წარწყმედაჲ. რომელნი იგი მან მის-
 დად განუკითხველობითა თჳსითა წარწყმიდნა. ნუ სცემ აღგილსა
 სიქადულისასა კაცთ-მოყუარეო მეუფეო წინააღმდეგომთა მათ და 15
 მტერთა უხილავთა. რათამცა ბრწყინვალეთა მათ წილ ნიჭთა და
 მოსაგებელთა უბრწუნელთა იხილეს მოღუაწე ესე შთაგდებული ცხელსა
 მას შინა საუკუნესა. ნუცა აღჰრაცხ ამას მარცხენეთა მათ თანა და
 ნუცა განაშორებ მწყობრისა მის-გან მოღუაწეთაჲსა არამედ ვითარცა
 სახიერმან და მრავალმოწყალემან უხილავითა ძალითა შენითა სათნო 20
 იჩინე განთავისუფლებად ამისი ბოროტისა მის-გან სულისა ამპარტა-
 ვანებისა. რომელსა იგი უკრძალველობისა-გან მისისა დაუბუდებეს
 მის შორის. ექმენინ უკუე წურთაჲცა ესე მეუფეო მისაგებელი უგუ-
 ლისხმოებისა მისისა და წინდ თავის-უფლებისა და აზნაურებისა
 მერმეთა მათ სატანჯველთაჲსა:“ ესე ყოველი რაჲ წართქუა ლოც- 25
 ვასა შინა. მეყსეულად მაცთური იგი ამპარტავანებისაჲ. ეშმაკი.
 მსგავსად კუამლისა განმავალი იხილა ბერისა მის-გან. და მაშინლა
 უბრძანა დაცადებაჲ გუემისა მისისაჲ: ხოლო იგი მყისსა შინა
 C 162^b განბრძნდა|და მოეგო გონებასა თჳსსა და თაყუანი სცა წიდასა მას
 B 285^a და ჰრქუა. „შემინდვე წმიდაო მამაო. რამეთუ ვიდრე აქამომდე 30
 დამთრვალ ვიყავ სულისა მიერ ამპარტავანებისა. და ვითარცა
 A 207^b ცო|ფი. დანთქმულ მძვნეარედ საცთურისა მიერ. და აწლა განვერი
 სიმთრვალისა მის-გან და გულის-ხმა-ვჰყოფ უჯეროსა მას ქადაგებასა
 და გონებაცთომილებასა ჩემსა. და რაჲ მივაგო კაცთ-მოყუარესა
 ღმერთსა. რამეთუ არა უგულებელ ყო სიგლახაკე ჩემი. არცა განმწირა 35-
 მე სრულიად წარწყმედად. არამედ ვითარცა სახიერმან მეუფემან
 ცხორებაჲ ჩემი განავო და მომპოვნებელი იგი საცთურისაჲ შენ მიერ

9 დაუტეობ A. — 15 კაცთ მოყუარო A. — 17 უბრწუნელთა] საუკუნეთა A. —
 29 თაყუანის A. — 30 თქუა B. — 35—36 ღმერთსა „...წარწყმედად] რომელმან
 სახიერებითა თჳსითა ინება კსნაჲ ჩემი და არა დამიტევა მე წარწყმედასა ში-
 ნა B. — 36 ვითარცა<B. —

განდევნად ჩემ-გან სათნო იყო: და ამიერითგან ვიყო მე მცველ
 უტოთმელისა მცნებისა შენისა და მოწაფე მორჩილ სწავლისა შენისა.
 და არღარა ოდეს შეუდგე ნებასა და განზრახვასა ჩემსა: ესე რაჲ
 5 თქუა. დაყო მუნ სწავლასა შინა და მოძღურებასა წმიდისასა სამი
 10 დღე და ისწავნა მის მიერ საბრძენი და ბრძოლანი მტერთა უხილავ-
 თანი და წარვიდა ქალაქებსა მას და სოფლებსა. კუალად ქადაგებდა
 წინააღმდეგმსა პირველისა მის ქადაგებისასა და თავსა თუსსა ცთო-
 მილად აღიარებდა და ეშმაკთა მიერ მოკიცხულად და არა ღმრთისა
 მიერ მოვლინებულად. და იტყოდა ვითარმედ „ნუმცა ვინ სცთების
 15 პირველისა მის-თჳს ცუდის-მეტყუელებისა ჩემისა:“ ესრეთ უკუე
 განაქიქა თავი თჳსი ყოველთა შორის: და ამცნო. რათა არავეინ ერჩ-
 დეს ამოხსნა მას ქადაგებასა მისსა. და ვინაჲთგან მრავალთა ცთუნე-
 ბისა მიზეზ ქმნილ იყო. შენდობად ითხოვა ყოველთა-გან და შაესავე B 285^b
 მთასა წარვიდა. და კუალად მოლუაწეობასა მისცა თავი თჳსი. და
 15 მარხვასა და მღვდარებასა შესძინა და ბრწყინვალე ცხორებაჲ მოიგო.
 და მარადის მოვალნ წმიდისა მის: და სივერაგეთა მტერისათა
 და მრავალსახეთა მათ ბრძოლათა მისთა ზედამიწევნით მეცნიერ C 163^a
 იქმნა მის მიერ. და იქმნა იგი გამოცდილ მონაზონ და მოლუაწე დიდ:

კდ

იყო ვინმე კაცი კეთილი ქალაქსა შინა მზის-ქალაქელთასა. მო-
 20 წყალე და მუშაკი სათნოებათაჲ და გლახაკთა და უბოვართა მონა-
 გებთა თჳსთა იზიარებდა. და ყოველთა სარგებელ და აღმაშენებელ
 ექმნებოდა. და მონაზონთა [და] მოლუაწეთა ჰმსახურებნ და განუსუე-
 ნებნ და მონასტერთა და მათ შინა მყოფთა კეთილსა უყოფნ და პა-
 ტივს სცემნ: ხოლო წინააღმდეგმ სათნოებისა მისისა იხილვებოდა
 25 ბუნებაჲ. რამეთუ შვილი არა ესუა. რამეთუ რაჲ-ზომი და რაბამი
 იყო გლახაკთა მიმართ უხუებაჲ მოლუაწებისა მისისაჲ. ეგოდენიეუ და
 სწორი ბერწობაჲ აჩუენა უშვილოებაჲმან: ესე ღმრთისა-მიერითა A 208^a
 აღძრვითა და წინამძღურობითა მოვიდა წმიდისა მის და ითხოვდა
 მის-გან შვილიერებასა: ხოლო მან ჰრქუა. „სარწმუნოებისა შენისა-ებრ
 30 გეყავნ შენ. აწ უკუე წარვედ სახედ შენდა მშუდობით. და მომავალსა
 მას წელიწადსა მოგცეს შენ ღმერთმან ნაყოფი და არა უგულებელს
 ყოს თხოვაჲ შენი: ხოლო იქმნას რაჲ ესე. შენ თანა მოიყვანე შვილი
 ივე შენი. რათა [ორთავე] ერთბამად მაღლი და დიდებდა შევწიროთ
 ღმრთისა:“ ხოლო იგი წარვიდა და მომავალსა მას წელსა მეულ- B 286^a
 35 ლით-ურთ მოვიდა წმიდისა მის და ჰყვანდა მათ თანა შვილი. და
 ჰრქუა წმიდასა მას. „მიიქუ მამაო ნაყოფი ლოცვათა შენთაჲ: და

24 ხოლო] რამეთუ A. — 28 წინამძღურობითა A. — 29 ჰრქუა]-+ვითარ-
მედ B. —

აკურთხე ეგე“. ხოლო მან მიიქუა ყრმა იგი. და აკურთხა იგი და მშობელნი მისნი. რომელნი იგი აღიღებდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა და წარავლინა იგინი სახედ თჳსად:.

კმ

ხოლო მე ერთიდა სასწაული სხუად მიგითხრა წმიდისაჲ მის
რომლისა-თჳს ღუმლი დიდად დაქირვებად შემირაცხიეს. რამეთუ 5
თქუმაჲ და აღწერაჲ მისი დიდად შესაძინელ არს მსმენელთა მისთა
C 163^b და მადიდებელთა ღმრთისათა: . რამეთუ იქმნა ოდესმე ზამთარი | ფიც-
ხელი. და ყოველი ქუეყანაჲ დაფარა სიმრავლემან თოვლისამან და
სიმძაფრემან ყინვისამან. ვინაჲცა მგეცნი ველისანი უღონოებითა
საზრდელისაჲთა ლტოლვილნი კაცთა თანა აღრეულად იქცეოდეს: 10
ვიდრელა ადვილ იყვნეს მონადირებად. გინა თუ ჯელთაცა შესაპრო-
ბელ: . მაშინ განვიდეს ვიეთნიმე ანტიოქელთაგანნი ნადირობად ირემ-
თა. და სხუათა რომელთამე ნადირთა ველისათა. და ვითარ იგი ად-
გილითი-ადგილად ვიდოდეს და იმსტრობდეს ნადირთა. პოვეს მათ
კუალი მგეცისაჲ და შეუდგეს მას. და მიიწინეს იგინი ვიდრე სუეტამდე 15
წმიდისა მის და მიერ დასდრკეს და შთავიდეს ჯევესა მას მახლობე-
ლად სუეტისა მის. და ვითარ იგი ეძიებდეს კბოლოვანსა მას. პოვეს
მათ ლომი საშინელი და ფრად დიდი. რომელი იგი ვითარცა იხი-
ლეს ზარი დაეცა მათ ზედა. რამეთუ ვერ ეძლო მათ სივლტოლად
B 286^b პირისა-გან მისისა. ვინაჲთგან ძნელ არს | მგეცი ესე სალტოლველად 20
მათ-თჳს. რომელნი იგი ბრძოლად მოსრულ იყვნენ პირის-პირ. ვი-
ნაჲცა იწყეს კაცთა მათ სროლად და ტყორცებად ისართა და აღშ-
ფოთებად: . იხილა რაჲ წმიდამან მან ამბოხებაჲ კაცთა მათ. და
A 208^b ბრძოლად განმზადებდა. ვმა-წყო მათ და ჰრქუა. „უტევეთ ლომსა
მაგას. რამეთუ ჩემდა სავმრად მოსრულ არს. და მსახურებად. და 25
თქუნ არა ვებრძვის არცა რას გავენებს: .“ ხოლო მათ ირწმუნეს
სიტყუაჲ წმიდისაჲ მის. და უშიშად დაუტევეს იგი და განეშორნეს
მის-გან. და [ვითარცა] მცირედ წარვლეს სუეტი იგი წმიდისაჲ მის.
დადგეს და იტყოდეს ურთი-ერთას. „ველოდით აქა ვიდრემდის ვიხი-
ლოთ თუ რაჲსათჳს ეგმარების წმიდასა ლომი იგი“. და მერმე შემ- 30
დგომად მცირედისა იხილეს ლომი იგი. რამეთუ მოვიდა მახლობე-
C 164^a ლად სუეტისა. და მონაზონი ვინმე გამოვიდა სუეტით. და ჩამოვდა
სარკუმლით. და ამგედრდა ლომსა მას ზედა და წარვიდა: . იხილეს
რაჲ კაცთა მათ საშინელი იგი სახილველი. მოიქცეს წმიდისა მის.
და ევედრებოდეს მას უწყებად საკრველისა მის სასწაულისა რო- 35
მელი იხილეს და რათა უთხრას მათ მიზეზი კაცისა მის ღმრთისა

10 აღრეულად] აღრიცხულად B. — 16 დადრკეს B. — 19 რამეთუ]
და A. — 20 ვინაჲთგან] ვინაჲცა B. — 29 ურთიერთარს A. —

მოსლვისაჲ და ლომისა მის მორჩილებისაჲ. ანუ [თუ] ვინ არს იგი. რომელი ესოდენტა მადლთა ღირს ქმნულ არს ვიდრელა საშინელიცა ესე მკეცი დაუმორჩილებიეს: მიუგო წმიდამან მან და ჰრქუა მათ. ვითარმედ „დიდ არს კაცი ესე. # შვილნო. და დიდნი მოლუაწებანი

5 აღსრულებიან მონაზონობასა შინა და ღირს ქმნულ არს ღმრთისა მიერ თვთმპყრობელ|და მეუფედ ვნებათა გამოჩინებად. და არა ხოლო B 287^a ვნებათა ოდენ. არამედ მკეცთაცა. რამეთუ არა არიან მკეცი უმძუნეარეს და უველურეს ვნებათა. რამეთუ არცარაჲ ბოროტი შეუქმნიეს ღმერთსა. არამედ ყოველივე კეთილი და არცარაჲ ურჩი დაუბადებეს. არამედ ვითარცა მეუფესა. ესრეთ დაუმორჩილნა ყოველნი მკეცი ქუეყანისანი პირველშექმნულსა მას. ვინაჲთგან აქუნდა მას ხატი სამეუფოჲ. ხოლო ვინაჲთგან ხატებაჲ იგი განრყუნა. და სიკეთე იგი დააბნელა და პირმშოჲ იგი ბრწყინვალებაჲ ურჩებისა მიერ დაშრიტა. და ცოდვაჲ იუფლა. მიერთგან ოდესმე მეუფედ წოდებული იგი. ვითარცა უნდოჲ და მონაჲ. დაემონა ცოდვასა და მოშიშ

10 ექმნა მკეცთა და ყოველთავე საძნაურთა: ხოლო ვინაჲთგან კაცთ-მოყუარემან ღმერთმან არა ჯერ-იჩინა მარადის მონებასა შინა დატევებაჲ მისი. და ეშაკთა მიერ უფლებაჲ. ამისთჳსცა განათავისუფლა იგი უხრწნელითა მით განკაცებითა თჳსითა. და სახიერებით. განაგო

20 ცხორებაჲ მისი. და პირმშოჲ იგი ბეჭედი თჳსიმისცა მას და შა- B 209^a რა|ვანდელი ზეცისა მეუფისაჲ. რომლისა მიერ იძლევიან წინააღ- C 164^b მდგომნი ძალნი. და ეგრეთვე ველურნი და მძუნეარენი მკეცი. და რათა მოკლედ ვთქუა ყოველივე ხილულნი და უხილავნი ნათლის-ლებისა მიერ. და მცნებათა დამარხვისა და ღმრთისა მიმართ საკუთ-

25 რებისა დაემორჩილებიან კაცსა და^ადაემონებინან: ხოლო იგი საღმრთო-სა მას ოდენ და ყოვლისა-მპყრობელსა ძლიერებასა დაემორჩილების. და|ბრძანებათა მისთა აღსრულებს. ვინაჲცა მეუდაბნოე ესე. რო- B 287^b მელი იხილეთ ძმანო. ვინაჲთგან სამეუფოჲ ხატი უბიწოდ დაიმარხა საღმრთოთა მცნებათა აღსრულებითა და მაღალთა სათნოებათა მო-

30 ლუაწებითა. და ბეჭედი იგი მის ზედა დაბეჭდილი [ბრწყინვალედ] გამოაჩინა [და] ხატად სამეუფოჲ: ესე იქმნა მიზეზ მკეცთა დამორჩი-ლებისა. რომელთა იგი იხილონ რაჲ ხატი ყოველთა დამბადებელისაჲ. დაემონებინან და ვითარცა მონანი ჰმორჩილებენ: ხოლო თუ რაჲსა-თჳს იქმნა მოსლვაჲ მისი ჩემდა მომართ. არარაჲ არს სხუაჲ მი-

35 ზეზი. არამედ ქველის-მოქმედებაჲ ხოლო ღმრთისაჲ რომელი იგი უხვევით მოჰფენს ყოველთა ზედა სიმდიდრესა მას ნიჭთა მისთასა. რომელმან იგი ჯერ-იჩინა. რათა არა დაგუჭირდეს ესევეითარისა კაცისა ზრახვაჲ. და შემთხუევაჲ. და დიდად ზღვევად შერაცხილ იქმნეს ჩუენ მიერ: ამისთჳსცა განაგო მოსლვაჲ მისი ჩუენდა. და ურთი-ერთას

2 საშინელიცა] ბოროტი B. — 7 ოდენ < B. — 24 დამარხვასა A. — 28 დაჰმარხა B. — 30 დაბეჭდილი] დადებული B. — 32 ყოველთა < B. — 36 მიჰფენს B. —

ვზრახვიდეთ ღამე ყოველ. და ვიშუებდეთ საღმრთოთა მათ სიტყუათა მიერ. და მადლითა ღმრთისაჲთა ურთი-ერთას განგმხიარულდით: ხოლო ლომი იგი რომელი იხილეთ. იქმნა იგი მსახურ მორჩილებისა. და იტვრთა იგი მხართა თვსთა ზედა და წარიყვანა იგი საყოფელსა თვსსა: აწ უკუე და თქუენცა წარვედით მშვდობით და აღიდებდით და 5

C 165^a ჰმადლობდით|სახელსა ოვფლისასა. რომელი აღიდებს მადიდებელთა თვსთა. რამეთუ მისი არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდ^ს ამინ:“

B 288^a საკვრველებათა უკუე|ამის წმიდისათა თხრობაჲ აქა დავაცადოთ. რამეთუ ვერცა ძალ-უც სიტყუასა ჩუენსა ყოველთა მათ სასწაულთა მისთა წარმოთქუმაჲ. ვინაჲთგან აურაცხელ არს სიმრავლე მათი. 10 რამეთუ უადვილეს არს ვარსკულაფთა ცისათა აღრიცხუეჲ. ანუ თუ სიტყუსა რაჲსმე შეუძლებელისა ჳელყოფაჲ. ვიდრეღა საკვრველებათა მისთა ყოველთა წარმოთქუმაჲ: ხოლო ჯერ-არს რათა სიტყუსა ჩუე-

B 209^b ნისა სრულყოფელად აღსასრული იგი წმიდისაჲ მის მოვიქსენოთ| და მიცვალებჲა მისი გაუწყოთ: 15

რამეთუ მოიწია რაჲ ჟამი მიცვალებისა მისისაჲ. არცა ესე დაეფარა წმიდასა მას და ღმერთშემოსილსა კაცსა: ამისთვსცა მოუწოდა მოწაფეთა თვსთა და საღმრთოთა სიტყუათა მიერ და სულიერთა სწავლათა გულთა მათთა ნუგეშინის სცა და ამცნო რათა სიმჴნით და მადლობით მიითუაღონ განშორებაჲ მისი და ჰრქუა: ვითარმედ „აჰა 20 ესერა მე. ჰ საყუარელნო. წარვალ თქუენ-გან ვითარცა სათნო იჩინა ოვფალმან და რაჲ იგი სათნო იჩინოს და ინებოს. უქცეველ არს და უცვალებელ. ხოლო თქუენ საღმრთოთა მათ და შეუცვალებელთა თუალთა მისთა შეგვედრებ. აწ უკუე კეთილი სასოებაჲ მოიგეთ დამარხვითა მცნებათა მისთაჲთა. რამეთუ მრწამს სახიერებათა მისთა- 25 გან. რომელსა იგი სწყურის ცხორებაჲ ჩუენი. რათა ვითარცა იგი თქუენ თანა რაჲ ვიყავ და გწყალობდა თქუენ. ვგრეთვე და უაღრესცა გან-რაჲ-გეშორო თქუენ-გან. ვიძლოდის და გმწყსიდეს თქუენ:“ ესე რაჲ თქუა. და ამისა უმრავლესნი სიტყუანი მოძღურებისანი საკვრველ|ნი. აღსაესენი სარგებელითა წარმოთქუნა. მშვდობით მას ზედა 30

A 288^b დაწვა და დაიძინა და საწუთროჲსა ამის-გან საუ|კუნეთა მათ მიმართ სავანეთა წარვიდა. სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა. რომლისაჲ არს დიდებაჲ და პატივი და თაყუანის-ცემაჲ აწ და მარადის და დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა უკუნითი უკუნისამდ^ს ამინ: 35

2 ურთიერთარს A.— 7 უკუნისამდე B.— 20 მისი| მათი A.— 21 საყუარელ-
ნო| შვილნო B. — 22 ოვფალმან ღმერთმან B. — უქცეველ| შეუქცეველ B. —
33 და < A. 34 უკუნისამდე B. —

ლ ე მ ს ი კ ო ნ ი

ა

- აბრალეზდა — იხ. ებრალა.
 აბრამიანი — ადამიანი, კაცი.
 აგარაკი — მინდორი, დაბა, ადგილი.
 აგებულებად — მოწყობილობა, შექმნილობა.
 აგრილობდა — ჩრდილს აყენებდა, ჰფარავდა.
 აგრძნა — გაიგო, მიხვდა, შეიტყო.
 აზნობდა — ფიქრობდა, იფიქრა, იგებდა.
 აზნაური, თავისუფალი აზნაურება — თავისუფლება.
 აკაზმულობად — მორთულობა.
 ამირად — ხალიფა ან მისი მოადგილე, ემირი.
 ანაზდაითი — მოულოდნელი.
 ანდამატი — აღმასი.
 არე — ქაში, დრო; არესა ლამისასა — ლამით.
 არვე — ჯოგი, სამწყსო; არვისაგან — ჯოგისგან, ფარისგან, არვეობდი — მწყსიდი.
 ასპარეზი — სარბიელი, სტადიონი,
 აქად — აქაური.
 აღზუავენად — თავდასხმა, ამპარტავენობა.
 აღიზახა — დაიყვირა, ხმა აიმაღლა.
 აღტყინებად — ცეცხლის მოკიდება.
 აღშენებად — დამოძღვრა, დარიგება.
 აწუევა — ეპატიუებოდა, მოითხოვდა თავისთან.

ბ

ბაკი — ცხვრების სადგომი, გასაჩერებელი.

- ბანაკი — მემართა გუნდი.
 ბერწობად — უნაყოფობა, უშვილობა.
 ბორგდეს — შეცთომილნი იყვნენ, ეშმაკთაგან შეპყრობილად ჩანდნენ, აქედან — ბორგვა.
 ბორცვი — ამალღებული ადგილი, გორაკი.
 ბჰე — ჭიშკარი, ალყაფის კარი.

გ

- გამოქანდაკენს — გამოხატეს, გაამშვენეს. გამოწულილვა — დაწვრილებით განმოკითხვა, გაგება.
 განაგე ცხორებად — მოაწყვე, წარმართე ცხოვრება.
 განბძარა — დაგლიჯა, გახეთქა.
 განაქიქა, ვანქიქნა — გაამტყუნა, შეარცხვინა.
 განგებად — გაუმჯობესება, მართვა.
 განვკფდები — ვკვდები, ძალა მეღვევა, ვიღლები.
 განკფდა სამოსელი — დამენხა ტანისამოსი.
 განაზრახებდა — ურჩევდა.
 განთვსებული — განცალკევებული.
 განიპებოდა — იჭრებოდა, სკდებოდა.
 განლევა, განვილევი, განგულიენ — ვილევი, ვკვდები, სული მხდება.
 განუცდელი — შეუცნობელი, გაუგებარი, მიუწვდომელი.
 განცხრომად — გართობა, მხიარულობა.
 განწირვად — მიგდება, უარყოფა, მსხვერპლად მიტანა.
 განწირული — უგულვებელ ყოფილი, დაღუპული.
 განწმელი — გამხმარი, გამწრალი.

განჰკრთა—შეშინდა, ზარი დაეცა.
 გარდამოსაქანელნი ცისანი—ცის კარები, ფანჯარა.
 გარდარეული—გადაქარბებული, გადამეტებული.
 გება: დაუგო ტაბლამ, დაგებად ტრაპეზი—გაუშალა სუფრა, ეგო წინაშე მათსა—იყო მათ წინაშე; მოეგო გონებასა—ჭკუაზე მოვიდა.
 გეპენია—დიდი აგუზგუზებული კოცონი, ცეცხლი.
 გლისპობა—ანჩხლობა, ჯიქობა, გაუგონრობა.
 გოდოლი—მალალი სვეტი.
 გრძნება—ჯადო, ხიბლვა, მოგვობა.
 გუგლიან—გვენაღვლება, დავეძებთ.
 გუემამ: ცემა, ტანჯვა, განსაცდელი, მოთმინებიდან გამოყვანა.
 გულარძილი—მიწიერი, წამხდარი, გახრწნილი.
 გულსაგვება—დაჯერება, დარწმუნება.
 გუნდა—კვიპაროზის (ხის) ხორკლიანი მრგვალი ნაყოფი, რომლიდანაც ქალები წარბისა და წამწამის შავს საღებავს ამზადებდნენ.

დედაქალაქი—მთავარი, სატახტო ქალაქი.
 დრაჰკანი—ფულია.
 დუქსი—მხედართმთავარი, წინამძღოლი.

ე

ებრალა—ბრალი დაედვა.
 ევლოგია—კურთხევა (ნივთიერად გამოხატული).
 ელმოდა—სტკივოდა.
 ერჩდა—უგონებდა, უსმენდა, ემორჩილებოდა.
 ეტყინებინ, ეტყინებოდა — იწვოდა, ცეცხლი ეკიდებოდა.

ვ

ვალალებდა—ტიროდა, მოთქვამდა.
 ვანი—მონასტერი.
 ვერჩილი—დავემორჩილე, გაუუგონე.
 ვიდრეცა—სად, საითკენ.
 ვინა—საიდან.
 ვინაეცა—ამიტომ, რადგანაც, მას შემდეგ, რაც.

დ

ზ

დაგაბკოლებდეს—შეგაცთენდეს.
 დაიცონებთ—დაიზარებთ.
 დაკორდებული—აბალახებული ადგილი.
 დაიჰსნა — დასუსტდა; დაჰსნენ — დაშალე.
 დამართებით—პირდაპირ.
 დაურწყამნ—დაუგია, დაუდგამს, გაუშლია.
 დაყუდება—დაწყნარება, დამშვიდება.
 დაცადება, აქედან—დაეცადნეს—შეჩერდნენ, შეწყვიტეს.
 დაჭირვება — მწუხარება, შეჭირვება, სევდა.

ზახება—ყვირილი, ძახილი, მედიდურობა.
 ზედადსზედა, ზედაზედა—ხშირად, ერთი მეორეზე.
 ზოგებითა—საზოგადოდ, საერთოდ.
 ზოგი—ნახევარი.
 ზუაე—ამპარტავანი, მძვინვარე.
 ზუაობა—ამპარტავნება.
 ზღვევა — ძიება შურისა, გარდახდევინება.

თ

თანამეპურისტე, თანამეტრაპეზე—ვინც შენთან ერთად პურსა სჭამს, იზრდება.

თანამოჰასაკე—ერთი ხნის, ერთი ასაკის.
 თვსაგან—ცალკე, გამოყოფით.
 თვსნი—მისნი, საკუთარნი, ნათესავნი.

ლმობილი—ავადმყოფი, შემუსვრილი.
 ლიტანია—ვედრებითი მისვლა-მოსვლა
 (საეკლესიო ცერემონია).

ო

იგუემა, იგუემებოდა—იხ. გუემა.
 იეფობაჲ — სიუხვე, სიმრავლე, იაფობა.
 იმსტრობს, იმსტრობდეს — დარაჯობს,
 ყარაულობს.
 ინაჩიი დასუეს — გვერდით მოისვენს მა-
 გიდასთან.
 იოტნეს—უკუნიქცეს, გაიქცნენ.
 იტყებდა—ტიროდა, მოსთქმიდა.
 იფქლი — ხორბალი, პური.
 იქმოდეს ქუეყანასა—მიწას ამუშავებ-
 დნენ.
 იცილობოდა—საკანათო, საცილობე-
 ლი ხდებოდა.
 იწერტებოდა—იტანჯებოდა.
 იქვრობდა — უცქეროდა, თვალყურს
 ადევნებდა (ჭუჭრუტანაში).
 იჯმნეს—წავიდნენ, გაიქცნენ, გაშორდნენ.
 იგუშია—მიიღო, ისარგებლა, მოიხმარა.

კ

კადნიერი—გამბედავი, თამამი.
 კარაული—ვირი, სახედარი.
 კაცად-კაცადი—თვითთული.
 კბოლოვანი—ზღვაში კლდიანი ადგილი
 ან თხელი და ქვიშიანი.
 კდეშით—სირცხვილით.
 კდემული—შერცხვენილი.
 კეთრი—სენია (проказа).
 კნინერთ—კნინალამ.
 კნინი — პატარა, არარა, სუსტი.
 კნინლა და — თითქმის, ცოტათი.
 კუეთება—დაცემა, დარტყმა, შებმა.

ლ

ლაღვანი—ჩხუბი, უთანხმოება.
 ლმობიერად—გულშემატკივრად.

10. ვნიმკი-ს მოამბე, ტ. VII.

მ

მამული—მამეული, წინაპრების.
 მანქანებაჲ—ემშაკობა, ვერაგობა, ხერ-
 ხიანობა.
 მარგალიტოვნებაჲ—მშვენიერება, ძვირ-
 ფასობა.
 მასწავლელი — მოძღვარი, მასწავლებე-
 ლი.
 მალნარი—ტყე.
 მალნინტი—მაგნიტი.
 მაყოლოვანი—ბუჩქი, кушина.
 მაშა—მაშასადამე, მაშინ, ამ შემთხვე-
 ვაში.
 მაწოვნებელი—ძიძა.
 მაცილობელი—მოჩხუბარი, მოკამათე.
 მდაბიური—სოფლელი, უბრალო კაცი.
 მელრეკანი—რაც იდრიკება, იღუნება,
 იხრება.
 მეკარე — 'სასახლეში მყოფი, დარბაი-
 სელი.
 მელმის—მტკივა.
 მეყი, მეყსა შინა, მეყის—უცებ, ანაზღად,
 თვალის დახამხამებაში.
 მზარღული—მზრდელი.
 მთავარი — უფროსი, მფლობელი.
 მთიები—ცისკარი, განთიადი, ცისკრის
 ვარსკვლავი.
 მიმდემი—მუღმივი, შეუწყვეტელი, ყო-
 ველდლიური.
 მიმოგდებით—ერთმანეთის შეცვლით,
 რიგრიგად, ანტიფონურად.
 მიმოიწულილვიდეს—სიფრთხილით მი-
 მოიხილვიდეს.
 მიმოქცევადი—მბრუნავი, რაც ტრია-
 ლებს.
 მიმოვრებაჲ—ხანგრძლივობა, გაგრძე-
 ლება.

მიპრონი — საეკლესიო საცხებელი, მი-
რონა.
 მკოდოვი — გლახაკი („შეისწავლე, მკო-
დოვი გლახასა ჰრქვან“ B).
 მკსინვარე — სასტიკი, ბოროტი, მრის-
ხანე.
 მნე — გამგე. მნეობა — გამგებლობა.
 მოატყუა — შეამთხვია, მისცა; აქედან:
 მოატყუას, მოატყუებს; მომატყუნეს
 მე, მომატყუებელი — მიმნიჭებელი,
 მიმზიდველი.
 მოვირეწოთ — მოვიპოვოთ, ვიშოვოთ.
 მოიხუნეს — მოიტანეს, მიითვალეს, მი-
იღეს.
 მომდოვრება — დამშვიდება, დაყენება,
 დაწყნარება.
 მომედგრება, მომედგრდა — ზარმაცობა,
 გაზარმაცდა.
 მომზავებელი — შესაბამი, შესატყვისი.
 მომპოვნებელი — მიზეზი, მომგონებე-
ლი.
 მონაზონი — ბერი.
 მორჩი — ყლორტი, ახალი რტო.
 მორჩილება — გაგონება, დამორჩილება.
 მოსპოლვა — მოსპობა.
 მოსწრაფე, მოსწრაფება — იხ. სწრაფა.
 მოტყინარე — აღნთებული, ცეცხლმოკი-
ლებული.
 მოქალაქობა — ცხოვრება, მოქმედება,
 ქცევა.
 მოქენე — ვისაც რა სჭირია.
 მოძღუარი — მასწავლებელი, წინამძღ-
ვარი.
 მოწესე — ბერი, მონაზონი.
 მოწლედ — სიბრალულით, გულშემატკიე-
რად.
 მოხუაიზნე — შუამდგომელი.
 მოპასაკე — ერთიხნის, ერთიწლის.
 მრჩობლი — ორმაგი.
 მუნა — იქაური.
 მყოვარ — მყოვარ, ხანგრძლივ, დიდხან.
 მკონარება — ზარმაცობა.

მძაფრი — ძლიერი, საშინელი.
 მძლავრება — ძალდატანება, ძალადო-
ბა, ტანჯვა.
 მძოვარი — ბალახის მჭამელი, მეუღაბ-
ნოე, ვოსკი, ასკეტი.
 მძუნვარე — სასტიკი, მრისხანე.
 მწუსე, სიმწუსე — სისქე, მოყვანილობა.
 მწყობრი — სამხედრო გუნდი, რაზმი.
 მწყურნები — სველი, ნოტიო, წყლი-
ანი.
 მჭირსნედ — ერთგულად, მაგრად.
 მგდომი — მტერი, მებრძოლი.
 მგცოვანი — მოხუცებული, ჭალარა.

ნ

ნაბრძკლი — ბიწი, ნაკლი, მანკი.
 ნათხევარი — წამორწყეული.
 ნაპრალი — გახეთქილი კლდე, გამოქვა-
ბული.
 ნაწლევნი — შიგნეულობა, მუცლის არე-
ნები — ხელის გული.
 ნიში — სასწაული; ნიშებშემოსილი — სას-
წაულთმოქმედი.
 ნუ უკუე და — იქნებ, როგორმე.

ო

ოტებული — გაქცეული, გაძევებული.
 ოხრა — კენესა, სულთქმა.

პ

პალატი — სასახლე.
 პეროოდა — ქაფს, ღუქს უშვებდა პი-
რიდან.
 პირი, ამის პირისათჳს — ამის გამო, ამ
 მხრივ.
 პირშოდა — პირველი, უფროსი შვილი,
 თავდაპირველი.
 პორფირი — სამეფო ტანისამოსი, მოსას-
ხამი.



რ

რადთურთით—სრულიად, მთლად.
 რადი—როგორი, რა.
 რეცა—თითქოს და.
 რულუნებად—მზრუნველობა.

ს

საანმჯნო—საზოგადო, საჯარო; საან-
 მჯნო ყო—საჯარო ვახდა.
 საბოდვარნი—სახუქარი, ძღვენი.
 საბრვე—მახე, ბადე.
 საებგუროდ—სადარაჯო, საყარაულო
 გოდოლი.
 საეპისკოპოსოდ — სამღვდელმთავრო,
 ეპარქია.
 საენე—მონასტერი,
 საღმობად—ავადმყოფობა, ტკივილი.
 საღმობიერად—საცოდავად, შესაბრა-
 ლისად.
 სამეუფოდ—სასახლე, მეფის კუთვნი-
 ლება.
 სამთავროდ—სამფლობელო.
 სამნეოდ—მნის, მეურნის, გამგებლის კუ-
 თვნილება.
 სამოდღუროდ, სამოდღუროდ სწავლა-
 თად—სასწავლებელი, სკოლა.
 სამსტურობელი—საგუშავო, საყარაუ-
 ლო პუნქტი.
 სანოვაგე—სურსათი, საკმელ-სასმელი.
 სარკუმელი—ფანჯარა, გასახედი.
 სარჩელი—დავა, ცილობა, ჩივილი.
 სასთაული—ბალიში.
 სასძლოდ—იხ. სძალი.
 სასწავლოდ—სასწავლებელი, სკოლა.
 საქანელი — მიმართულება, მიდრეკი-
 ლება, წყლის საქანელი—ზოდიაკოს
 ნიშანია.
 საქმე ქუეყანისად—მიწათმოქმედება.
 საყდრის მოდგამი—ტახტის მემკვიდრე,
 გამგრძელებელი.
 საცნობელნი — საგრძნობელნი, გრძნო-
 ბანი.

საძნაური—სიმძიმე, ხიფათი, გაჭირ-
 ვება.
 საწუთოდ, საწუთრო—ქვეყანა, დრო-
 ებითი, წარმავალი სიცოცხლე.
 სახარულევანი—სასიხარულო.
 სახე—ხატი, ხასიათი.
 სახისა განგებად—ხასიათის გაწრთენა,
 გაუმჯობესება.
 საჟმარი—საჭირო ნივთი, საგანი.
 საჯუმილავი—გუშავობა, ყარაულობა.
 სერობად—ვანშობა, საერთოდ—პურის
 კამა.
 სიბორგილე—სიცოფე, სიგიჟე.
 სივერაგე — მზაკვრობა, ბოროტება.
 სიმანქენე—იხ. მანქანებად.
 სიმედგარე—სიზარმაცე.
 სიმღერა—თამაშობა, გართობა.
 სიმწვსე—იხ. მწვსე.
 სირინოსი—ზღვის ქალი (მითოლოგ.
 არსება).
 სიტკბოებად—წყალობა, ლხინება.
 სიფიცხე—სისასტიკე.
 სიჩუკენე—სისუსტე, სიმხდალე.
 სიჩჩოდ ჰასაკისად — ახალგაზრდობა.
 სიცბილი—ცთუნება, სისულელე.
 სიცონილი —სიზარმაცე.
 სტყორცნა—სცა, მიატყა, ჩამოავდო.
 სურვილით—სიყვარულით, მადით.
 სქემა — ბერის სამოსელი, ბერად
 შედგომა.
 სძალი — საცოლო; სასძლოდ — საქორ-
 წილო ოთახი.
 სწავლად—მოდღვრება, სასჯელი; ვსწავ-
 ლიდეთ—ვსჯიდეთ.
 სწრაფად—მცდელობა, გულსმოღვი-
 ნება, აჩქარება.

ტ

ტაბლად—სუფრა, მაგიდა.
 ტალავარი—კარავი, ფანჩატური.



ტალანტი—ნიჭი, ქონება, ფული.
 ტაძარი—სასახლე.
 ტრაპეზი—სუფრა, მაგიდა.
 ტრფიალება — სიყვარული; ტრფიალ
 იქმნა—შეიყვარა.
 ტყეებად—ტირილი, მოთქმა.
 ტყუილთითი—არასწორი, ყალბი, ცრუი.

უ

უღებებად, უღებ—სიზარმაცე, დაუღებ-
 რობა.
 უღობობით—ზიზლით, მედიდურობით.
 უკუნი—ბნელი.
 ულმობელი—შეუბრალებელი.
 ურჩი — გაუგონებელი, დაუმორჩილე-
 ბელი.
 უსაკუთრეს—უკეთესი, რაც უფრო შე-
 შვენის.
 უშურველი—უხვი.
 უცონილად—დაუზარებლად.
 უწურთელად—დაუსჯელად.
 უხუებად—სიმდიდრე, იეფობა.
 უხუაიშნოდ—უმწეო, შეუბრალებელი.

ფ

ფილოსოფოსობად—სიბრძნე.
 ფიცხელ—სასტიკი.
 ფუფუნებად—განცხრომა, მზრუნველო-
 ბა, აქედან: ფუფუნებს.

ქ

ქედადრეკილი—ახდილი, გაშიშვლე-
 ბული (ებრ. IV, 13).
 ქორი—ოთახი ზემო სართულში.
 ქუაბი—გამოქვაბული.
 ქუეყანად—დედამიწა.
 ქცევა—ცხოვრება, მოქმედება, ყოფა-
 ქცევა.

ლ

ღელვა-გუემული — შეწუხებული, შე-
 მუსრვილი.
 ღირღუაროანი — წვეტიანი, კბილე-
 ბიანი.
 ღონე—ხერხი, გზა, ეშმაკობა.
 ღუარი—ნაკადი.

ყ

ყნოსად (resp. ყნოსვა) — ერთი ხუთ-
 გრძნობათაგან, სულდგმა, ძლიერი
 სიყვარული.

ჩ

ჩჩული ჰასაკითა—ახალგაზრდა, პატარა.

ც

ცილობად—კამბთი, ჩხუბი.
 ციხის-ციხე — შინაგანი ციხე, ციტა-
 დელი.

ძ

ძალი—ღონე. ძალი წერილისად—აზრი,
 შინაარსი წიგნისა.
 ძლით—გაქირვებით, დიდი შრომით.

წ

წამი—თვალის დახამხამება, ნიშანი; წა-
 მისყოფად — თვალის დახამხამება;
 წამ უყვნა—ანიშნა თვალით.
 წარიგრანოს—შეიხვიოს; შეიკეცოს, მო-
 ისპოს.
 წარიწირა — სასოწარკვეთილებაში ჩა-
 ვარდნა.
 წვლილი—წვრილი; წულილადი—პატა-
 რა, დაწვრილებითი.

წინაუკმო—საწინააღმდეგო, პირიქითი.
წიალი—კალთა, лощи.
წრტიალი—ძლიერი, მძაფრი, მოუთმე-
ნელი.
წუთლა—ჯერ კიდევ.
წურთა—სწავლა, ვარჯიშობა, დასჯა.
წყინება—შეწუხება.
წყობად—ომი, შეტაკება.

ჭ

ჭმუნვარე—მწუხარე.
ჭუვილი—სევდა, მწუხარება.
ჭუნვიერი—მეწუხებული, შემუსრული.

უ

შანთი—ბრწყინვალე, გახურებული.
შარავანდედი: 1) სხივი, ბრწყინვალეობა,
2) გვირგვინი,
3) გვირგვინოსანი.
შარავანდელობა—მეფობა.
შეატოკნინ—შეარყვედა.
შეესაკუთრნეს—დაახლოვდნენ, დანათე-
სავდნენ.
შეეყენე — დაეყუდე, ჩაიკეტე; შეეყენე-
ბული — დაეყუდებული, განდევნილი.
შეთხზვენ—მოიგონებენ, შეადგენენ.
შეიტკობდა — მოეფერა, მოეალერსა;
შეიტკბეს—შეიყვარეს.
შეკდიმება — შერცხვენა; შეიკდიმე —
გრცხვენოდეს.
შეკვართული—მიბმული, მიწებებული,
მინდობილი.
შემდგომი დღესასწაულისა—დღესას-
წაულის მომდევნო დღე.
შემსგავსებული—შესაფერი, შესატყვისი.
შერაცხილება, შერაცხილი—ცნობილი,
სახელოვანი.
შესძინა—მიუმატა, გაუმრავლა.

შეტყუება—გაგება, მიხვდომა; შეატ-
ყუებდა—შეამჩნევდა.
შეუხებელი—მიუწვდომელი.
შეჰრულავნ—არიგებდა, ურჩევდა.
შინაგანხედვა—ექვის მითანა.

ხ

ხედვა—თვალთ დანახვა, განსჯერება.
ხეთქნება—დარტყმა, ცემა.
ხუავი—სიმდიდრე, შექუჩებული.
ხუაიშნობა—შუამდგომლობა.
ხუროება, ხუროვნობა—მაშენებელი,
зодчий.
ხუროთ—მოძღუარი — მშენებელთაფ-
როსი.

ჯ

ჯლომა—ბრძოლა, კიდილი.
ჯვენებსა—ხვეთა.
ჯელოვნება—ხელობა, მოქმედება.
ჯელოვანი — გამოცდილი, გამობრძმე-
დილი.
ჯსნილი—სუსტი, უღონო.
ჯუებული—მოკლებული, დაკარგული.

ჰ

ჰგებდეს—მოელოდნენ.
ჰგუმენ—იხ. გუმეა.
ჰეროვანი—ლამაზი, მოხდენილი.
ჰეროვნება—სილამაზე, მოხდენილობა.
ჰგველოვნება—ვერაგობა, წახდენა.
ჰზრახვიდა—ემუსაიფებოდა, ელაპარა-
კებოდა.
ჰამბავი—ამბავი.
ჰასაკი—ასაკი, წლოვანება.
ჰინდო—შავი, ეთიოპი.
ჰმოგუნა—ხიბლავდა, აჯადოებდა.
ჰუნები—ცხენები.

ტიქსტის საკუთარ სახელთა საძიებელი¹

აბრაჰამი 110, ₂₃	იორდანე 54, ₃₂
აბრამიანი 124, ₂ , 118, ₂₇	იოსებ 61, ₁₅ , 62, ₁₄ , 64, ₁₅ , 71, ₁₃
აგარეანი 89, ₃ , 100, ₉ , 133, ₂₄	კარკული 115, ₅
ადამ 48, ₁₉	კახუსტან, კახუსტად 48 ₂₀ , 120, ₉
ალექსანდრიელი 93, _{1,18} , 95, ₁₀	მარონიტელი 59, ₁₇
ამბაკომ 97, ₂₁	მზის-ქალაქი 139, ₁₉
ამირა 135, ₁₃	მოსე 93, ₉ , 94, ₂₄
ანტიოქია 47, ₅ , 18, 60, ₃₈ , 81, ₂₄ , 86, ₂₇	პალესტინა 97, ₂₂
89, ₇ , 98, ₁₀ , 18, 111, ₁₇₋₁₈ , 134, ₁₄	პაპისეველი 93, ₂ , 94, ₄ , 95, ₁₅
აპრონი 102, ₃₄	რასიტ 102, ₃₅
ბაბილონი 97, ₂₂ , 102, ₃₄ , 103, _{30, 32} , 98, ₁₅	საბერძნეთი 133, ₂₄ , 27
ბაზატუნ 80, ₃₆	სამფსონი 71, ₂₄
ბეთლემი 54, ₃₂	სარკინოზული 72, ₂
ბერძული 72, ₃	სინა (მთა) 93, ₈ , 105, ₅ , 15, 23, 96, ₃₂
გიორგი 62, ₃₆ , 68, ₂₅	97, ₂₇
დავითი 115, ₃₅	სიმონ კეთროვანი 128, ₁₂
დანიელი 97, ₂₂ , 71, ₂₁	სიონი 54, ₂₈
დაფნი 111, ₂₀	სოლომონ 49, ₃₁
ელისე 128, ₁₁	სპარსეთი 130, ₃₇ , 131, ₂ , 98, ₁₄ , 105, ₂₈
ემეწა 125, ₁	ქრისტე, იხ. იესო
თეოდორიტე 98, ₁₀	ქალდეველი 105, ₂₈ , 131, ₃
იერუსალიმი 53, _{20, 30} , 65, ₃₄ , 92, ₃₅	ლმრთის-ქალაქი 47, ₁₆₋₁₇ , 60, ₃₃
93, ₂ და სხვ.	შავი მთა 136, ₁₀ , 139, ₁₃₋₁₄
იესო, ქრისტე 53, _{17, 33} , 85, ₃₄ , 93, _{4, 20}	ხალკიდო 74, ₁₆
და სხვ.	ჰინდო 99, ₂₇
იობი 62, ₉ , 71, ₂₇	

¹ საძიებელში არ შესულა სახელი ტიმოთე, რომელიც თითქმის ყველა გვერდზე გვხვდება.

ლ. მუსხელიშვილი

ს. კაკაბაძე. მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის. საისტორიო კრებული, წიგნი I. გვ. 1—94 და წიგნი III, გვ. 10—75. ტფილისი, 1928 წ.

დასახელებული ნაშრომი გამოქვეყნდა ამ ათიოდე წლის წინათ. წინამდებარე რეცენზიაც მაშინაა დაწერილი. იმ დროს, აკად. ივ. ჯავახიშვილის დავალებით, მე შევეუდგე დასავლეთი საქართველოს ეკონომიური ისტორიის შესწავლას. ახლა, როდესაც ჩემი სტუდიიდან ექსცერპტს ვაქვეყნებ¹, ვფიქრობ, დროული და მიზანშეწონილი იქნება საჯაროდ შეფასდეს ს. კაკაბაძის ნაშრომიც, რომელიც იმავე საგანს ეხება. და ეს მით უფრო, რომ, მიუხედავად აკად. ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური შრომებისა ქართული სამართლის და საქართველოს ეკონომიური ისტორიის დარგში, ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურა ჯერ-ჯერობით მაინც მეტად ღარიბია სოციალურ-ეკონომიური ხასიათის ისტორიული ნარკვევებით, რომლებსაც ასეთი აქტუალური მნიშვნელობა აქვს და მკითხველიც ხარბად ეტანება. დას. საქართველოსათვის ხომ თითქმის არა მოგვეპოვება რა. ალ. ხახანაშვილს გარდა, დას. საქართველოს სოც.-ეკონომიური ისტორიის საკითხებს უახლეს საუკუნეებში არავინ შეჰხებია და ხახანაშვილიც დას. საქართველოს, როგორც ცალკე პოლიტიკურ-ეკონომიურ ერთეულს XVI ს-დან მოყოლებით, არა სცნობს. მაგრამ ლიხთ-იმერეთის ისტორიის საქართველოს დაყოფის შემდეგ, როგორც ეს სავსებით შეეფერება იმდროინდელ პრიმიტიულ მეურნეობას, თავისებური ხასიათი ჰქონდა. ამიტომ მეთოდოლოგიურად ვახუშტი ბატონიშვილი სავსებით მართალი იყო, როდესაც თავის შრომაში „ცხოვრება იმერეთისა“ ცალკე გამოჰყო. ამ მხრით ს. კაკაბაძის წამოწყება უთუოდ მისასალმებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორი პირდაპირ „ისტორიის“ წერას კი არ იწყებს, არამედ ამჟამად კმაყოფილდება „მასალებს“ სოც.-ეკონომიური ისტორიისათვის. მართლაც, ვიდრე მასალები დამუშავებული არა გვაქვს, სოც.-ეკონ. ისტორიის წერა ნაადრევი იქნებოდა.

ენახოთ ახლა, როგორ დაამუშავა ავტორმა თავისი მასალები.

ამგვარი შრომისაგან აუცილებლად უნდა მოველოდეთ სამი შემდეგი პირობის შესრულებას მაინც: 1. მოცემული საკითხისათვის მნიშვნელობის მქონე

¹ ნ. ენიშვილის მოამბე, ტ. V—VI, მიძღვნილი აკად. ივ. ჯავახიშვილისადმი, გვ. 267—319; ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთი საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII სს.

მასალის წარმოდგენას შეძლებისდაგვარად სრულად, 2. წყაროების კრიტიკულად გაცხრილვას და ნედლი მასალის ტექნიკურ დამუშავებას და 3. კრიტიკულად განხილული მასალის სისტემატიზაციას. უკეთეს ეს მინიმალური მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არაა, „მასალებმა“ შეიძლება უფრო არეგ-დარევა შეიტანოს საკითხში, ვიდრე მის გაშუქებას ხელი შეუწყოს.

რამდენად აკმაყოფილებს კაკაბაძის ნაშრომი ამ მინიმუმს?

ავტორი სარგებლობს არა მარტო ლიტერატურაში უკვე ცნობილი წყაროებით, არამედ ჯერ გამოუქვეყნებელი საარქივო მასალითაც, რომელიც მას ნაწილობრივ თავის შრომაში ჩართული და გამოცემულიცა აქვს. რასაკვირველია, საარქივო მასალის სრულად წარმოდგენა ვერავის მოეთხოვება, მაგრამ გამოცემული ძეგლების გამოუყენებლობა და მოუხსენებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ შესასწავლი საგნისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, მკვლევარს არ ეპატიება. კაკაბაძის „მასალებში“ გამოტოვებულია: 1. მის მიერვე გამოცემული ორი საბეგრო ნუსხა: საკათალიკოზო ჯგალის ციხისა და ჯგალის სასახლის ყმებისა (საკათალიკოზო დავთარი, გვ. 43—44). „მასალებში“ დამუშავებული ჯგალის ნუსხა (კრებ. III, 29—30) ამოღებულია საციიშლოს დავთრიდან (გვ. 42—43). გამოტოვებული საკათალიკოზო ნუსხები, სხვათა შორის, გასაგებად ხდიან ჯგალის მოლაშქრეთა დიდ რაოდენობას, თორემ, კაკაბაძის ანგარიშით, ჯგალის 2 კომლ აზნაურსა და 11 კომლ მსახურზე მოდიოდა 38 თავი მოლაშქრე, ე. ი. თითო კომლს საშუალოდ 3 თავი გამოჰყავდა, რაც სრულებით დაუჯერებელია; 2. ე. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული ოცხანის XVI ს-ის ნუსხა (საქ. სიძ., I, 1920, გვ. 56—57). კაკაბაძე სარგებლობს მხოლოდ თავისი გამოცემული ვარიანტით, იმ დროს როდესაც თაყაიშვილისეულ ვარიანტს არსებითი მნიშვნელობა აქვს ოცხანის მეტეგრეთა კლასიფიკაციისათვის¹; 3. არ იხსენიებს კაკაბაძე ე. წ. „მანთხოჯის ანაწერსაც“, აგრეთვე თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულს, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სამანთხოჯო ყმების ისტორიის გასათვალისწინებლად და რომელიც, შესაძლებელია, კაკაბაძისეული „მე-XVIII ს-ის“ ნუსხის (კრებ. I, 39-40) დასათარიღებლადაც გამოდგეს (ნ. ქვემ.); 4. ზოგიერთი სხვა ნუსხებიც ავტორის „მასალებში“ გამოუყენებელი დარჩა: ასე, მაგ., რამდენიმე სოფლის საგამოსავლო ჯუმლების შემცველი უთარილო ნუსხა (საქ. სიძე. I, 57—58), მანთხოჯისავე ერთი XVII ს-ის ნუსხა (იქვე, გვ. 58), ე. წ. „ნუსხა კოხურის ბეგრისა“ (დას. საქ-ს საეკლ. საბ. I, 27—28) და სხვ.

რაც შეეხება წყაროების კრიტიკულად განხილვას და მასალების ტექნიკურად დამუშავებას, უკვე გარეგნული შთაბეჭდილება ავტორის სასარგებლოდ არ ლაპარაკობს. მის „მასალებს“ უჭირავს ჩვეულებრივი ზომის 159 გვერდი, ხოლო თუ ტექსტებიც გამოვაკელით, სულ 100 გვერდი დარჩება. ამავე დროს წყაროები ავტორს არ აკლია: მისსავე ქრონოლოგიას რომ დაუფუჯროთ, მისი „მასალები“ მოიცავენ პერიოდს XV ს-დან მოყოლებული ვიდრე XIX ს-ის პირველ მეოთხედამდე, ე. ი. სრული 4 საუკუნის შედარებით მდიდარი მასალა მას მოუხერხებია და საშუალო ზომის 100 გვერდზე დაუტევია.

¹ ნ. ჩემი დასახელებული წერილი, გვ. 284—285 და 304.

ავტორის საბუთიანობას ქვემოთ გავეცნობით კონკრეტულ მაგალითებზე. აქ ზოგადად აღვნიშნავ, რომ მას თითქმის არც ერთი წყარო კრიტიკულად შეფასებული არა აქვს. ამის შესახებ მას ან თითო-ორი შენიშვნა მოეპოვება მხოლოდ, ისიც სხოლოში, ანდა იგი მიგვითითებს თავის წინანდელ წერილებზე, სადაც მკითხველი, ჩვეულებრივად, ისევ-ისე მოკლე უკრიტიკო შენიშვნას ჰპოულობს. ამიტომ, მაგ., 1. ჩვენ არ ვიცით, თუ რატომაა საკათალიკოზო დავთარი „მასალებში“ დათარიღებული 1622 წლით, როდესაც გამოცემაში იგი ავტორმავე (უმართებულოდ) 1621 წელს მიაკუთვნა¹; 2. არ ვიცით, ხონის დავთარი რატომ „უნდა იყოს შედგენილი 1580 წლის ახლო ხანებში“ (კრებ. I, 21) და განცვიფრების მეტი არა დაგვრჩენია რა, როდესაც ავტორი სხოლოში ვაკვრით იხსენიებს, რომ „1622 წელს საკათალიკოზო დავთრის გადამწერს ხონის დავთარი ხელთ ჰქონდა და შლილ მდგომარეობაში“ და რომ „მოწვენილი დავთარი შეიძლება იყოს ძველი დროის პირი და არა დედანი“ (იქვე, შენ. 1) და ამავე დროს გულდამშვიდებით მიგვითითებს თავისი გამოცემის წინასიტყვაზე, სადაც აღნიშნული ვარემოება ვითომ დასაბუთებული უნდა იყოს და სადაც, ამის ნაცვლად, ვკითხულობთ, რომ ხონის დავთარი, „რომელიც დედანს უნდა წარმოადგენდეს... ალბათ 1621 წ... ჯერ შეკრული არ იყო და საკათალიკოსო დავთრის შემდგენელს ცნობები არეულად ჩაუწერია“ (ხონის დავთ., გვ. 4; გახაზული ყველგან ჩემია, ლ. მ.); 3. არ ვიცით, თუ რა შემადგენლობისაა საკათალიკოზო დავთარი, რატომაა „მასალებში“ დარჩელის, ჩოხათის, ქალის, ჯგალის, ჯორიელის და წყარბგზურის ნუსხები მიჩნეული საკათალიკოზოდ, გამოცემაში კი ისინი საცაიშლოს დავთარში არიან შეტანილი? ამის შესახებ ისევ სხოლოში ვკითხულობთ: საცაიშლო დავთრის გამოცემაში „შეტანილია საკათალიკოზო ყმებიც. სახელდობრ დარჩელის სასახლის მიმდგამი კაცები და ამის შემდეგ მიმყოლი ყმები (გვ. 26—45) უკვე საკათალიკოზო არიან. ეს სჩანს, სხვათა შორის, საკათალიკოზო დავთრის ბოლოში მოლაშქრეთა მოთავსებულ (?) სიიდან... საცაიშლო აზნაურისშვილი და მსახური აქ ნაჩვენებია 63, ხოლო დარჩელისა (ცალკე)—85 და შემდეგ სხვა საკათალიკოზო სოფლებისაც რიცხვობრივად“ (კრებ. I, 32, შენ. 1). აქ ისიც კი არაა ნათქვამი, რომ გამოცემაში საკათალიკოზო ყმები შეცდომით ყოფილან შეტანილი. მაგრამ ხომ ჰქონდა ავტორს რაღაც საბუთი, როდესაც ეს ყმები საცაიშლოს დავთარში შეიტანა? რატომ ამის შესახებ არაფერს ამბობს, არამედ პირდაპირ აცხადებს ამ ყმებს საკათალიკოზოდ, რაც, „სხვათა შორის“, მოლაშქრეთა სიიდან უნდა გამომდინარეობდეს, თათქოს ამის დამადასტურებელი სხვა რამ საბუთიც არსებობდეს?—თუმცა ამის შესახებ კაკაბაძე დუმს და დარჩელის და დანარჩენი ნუსხები მან თავის დროზე უსიტყვოდ შეიტანა საცაიშლო დავთრის გამოცემაში, მაინც მაშინ ის უფრო მართალი იყო და ახლა სცდება, როდესაც ეს ნუსხები საკათალიკოზო დავთარში გადმოაქვს. მალაქია კათალიკოზის მინაწერი საცაიშლო დავთარში პირდაპირ აღნიშნავს: „დარჩელისა

¹ ნ. ჩემი დასახელ. წერილი, გვ. 281, შენ. 2.



და ჩოხათის სოფლისა, ჭალას სოფელს სათემოს (დაბეჭდ. „სათუმოს“) გზას დაბლა ხე(ვ)თისაკენ, ბარცხილას ღელეს აქეთ ცაიშის ეკლესიისა და იქეთ საერთო საცაიშლო კაცისა და ქო(რ)თ(ო)ძის საყმოსი“, და შემდეგ: „საცაიშლო სოფლების გარდასახადი ამ საერთო გუჯარშიდ სცანით, აგრევე საკათალიკოზო ჯგალისა და მისი ადგილ-მამულის საზღურისა და გარდასახადისა“ (საცაიშლოს დავთ., გვ. 41). ეს მინაწერი მოთავსებულია დარჩელის, ჩოხათის და ჭალის ნუსხების შემდეგ. ამას მიჰყვება ჯგალის საცაიშლო ნუსხა, ჯორიელის და წყარიგზური ნუსხები. ჯგალის ნუსხიდან ჩანს, რომ აქ ჰქონია ქორთოძეს ხელი: სახელდობრ, 700 წყრთა ტილოდან 100 წყრთა ცაიშელს ქორთოძისათვის უნდა მიებარებინა (საცაიშლოს დავთ., გვ. 42)—ეს ნუსხა ყოფილა, მაშასადამე, „საერთო საცაიშლო კაცისა და ქო(რ)თ(ო)ძის საყმოსი“. რადგანაც ამას იქითაა ჯორიელის და წყარიგზური ნუსხები, თუმცა აქ ეს პირდაპირ არსაიდან ჩანს, უნდა ვიფიქროთ, რომ აქაური ყმებიც „ბარცხილას ღელეს იქეთ“ იდგნენ და ესენიც საერთონი იყვნენ. ამის შემდეგ მოთავსებულია „ჯუმლები“, ე. ი. თვითული სოფლის გამოსავლის ჯამები (იქვე, გვ. 45—46): წყარიგზურის, ხევთის, ცაიშის, დარჩელის, ჩოხათის, ჭალის, ჯგალის, ჯორიელის. მართალია, აქ სოფლების რიგი ისეთივე არაა, როგორც საბეგრო ნუსხებში, მაგრამ ზემომოყვანილის შემდეგ ვითარება ცხადი უნდა იყოს: როგორც ხევთის¹ და „ცაიშის მიმდგამის კაცების“ (საცაიშლოს დავთ., გვ. 12—26), ისე დარჩელის, ჩოხათის და ჭალის ნუსხები (იქვე, გვ. 26—40) საცაიშლონი არიან, ხოლო ჯგალის, ჯორიელის და წყარიგზურის, თუ თვით ნუსხები არა, ყმები მაინც საერთო საცაიშლო და საქორთოძონი ყოფილან. მოლაშქრეთა სია ამ საკითხს ვერ გადასჭრის: აქ ცალკე არიან გამოყოფილი არა მარტო დარჩელისა და სხვ. მოლაშქრენი, არამედ ხევთის მოლაშქრენიც (დაბეჭდ. „ხუთას მსხური 30“) და მაშინ ხევთის სასახლეც საკათალიკოზოდ უნდა მიგვეჩინა; საჯუმათლო მოლაშქრენიც ცალკე სოფლების მიხედვით არიან ჩამოთვლილი (სახელდობრ, „ლაჩხუთს და ლესას აზნაურისშვილი და მსახური 30“ საჯუმათლონი უნდა იყვნენ, რადგან საკათალიკოზო დავთარში ამათი საბეგრო ნუსხები შეტანილი არაა). ცაიშის ეკლესია, შედარებით, მაგ., ხონის ეკლესიასთან, ძალიან მდიდარი ყოფილა, მას რამდენსამე სოფელში ჰყოლია ყმები, ისიც მრავალი, და ამიტომ მოლაშქრეთა სია ცალკე სოფლების მიხედვით ჩამოსთვლის საცაიშლო მოლაშქრეებს, ისე როგორც საკათალიკოზოებსაც. აქ მხოლოდ ერთი გარემოებაა დამაფიქრებელი: ჯგალის მოლაშქრენი ერთად არიან დასახელებული მოლაშქრეთა სიაში. ხოლო ჯგალის საბეგრო ნუსხა, როგორც აღვნიშნე, სულ სამია და მათგან ორი გამოტოვებულია კაკაბაძის „მასალებში“. ეს ორი საკათალიკოზო ნუსხა მოთავსებული ყოფილა საკათალიკოზო დავთარში ზემოხსენებული საცაიშლო ჯუმლების შემდეგ (საკათალ. დავთ., გვ. 43—44), რაც იმის მაჩვენებელია, რომ საცაიშლოს დავთართან ამ ნუს-

¹ ხევთის ნუსხა საცაიშლოს დავთარში პირველ ადგილზეა მოთავსებული, გვ. 5—12, უსახელოდ, და მხოლოდ ჯუმლიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს სწორედ ხევთის ნუსხა უნდა იყოს. შდრ. კაკაბაძე, კრებ. 1, 32.



ხებს მხოლოდ რაღაც გარეგნული კავშირი უნდა ჰქონდეს, თუმცა ზემომოყვანილი მინაწერი გვეუბნება, „ამ (საცაიშლო) გუჯარშიდ სცანით აგრევე საკათალიკოზო ჯგალისაო“. რატომაა ეს ორი საკათალიკოზო ნუსხა მოთავსებული საცაიშლო დავთრის შემდეგ და არა საკათალიკოზო სხვა ნუსხებთან ერთად, რატომ არა აქვს ამ ნუსხებს საკუთარი ჯუმლები, თუმცა თითქმის ყველა დანარჩენ საკათალიკოზო ნუსხებს ჯუმლებიც თან ახლავს, რატომ ჩაუთვლიათ მოლაშქრეთა სიაში ჯგალის სამივე ნუსხის მოლაშქრენი ერთად — ყველა ეს საკითხები ჯერ-ჯერობით ახდლიად უნდა დარჩეს. ყოველ შემთხვევაში, სრულებით ცხადია, რომ კაკაბაძის „მასალებში“ დარჩელის, ჩოხათის, ქალის, ჯგალის, ჯორიელის და წყაროგზურის ყმები ტყუილად არიან შეტანილი ოდიშის საკათალიკოზო ყმათა რიცხვში (კრებ. III, 25—35): ნამდვილად ისინი უნდა მიეკუთვნონ „საცაიშლო ყმებს 1622 წ.“ (კრებ. I, 32—36). 4. დასასრულ, ავტორისავე საიდუმლოებად რჩება, თუ რატომაა ე. წ. „საცაგერლოს გამოსავლის დავთარი“ მაინც და მაინც საცაგერლოსი და არა რომელიმე სხვა საეპისკოპოზოსი ან საბატონოსი. ამის შესახებ არც „მასალებშია“ რამე ნათქვამი და არც დავთრის გამოცემაში, თუმცა არსაიდან არ ჩანს, რომ ეს დავთარი საცაგერლოსი იყოს და ასეთ განსაზღვრას დამტკიცება სჭირდება. ამგვარად, მთელი ერთი თავი ავტორის ნაშრომისა: „საცაგერლოს ყმები XVI—XVII ს-ნის მიჯნაზე“ (კრებ. I, 36—38), კითხვითი ნიშნის ქვეშ უნდა დაისვას, მით უმეტეს რომ აღნიშნული დავთრის „დათარიღებაც“ (6. საცაგერლოს დავთ., გვ. 16) კრიტიკას ვერ უძლებს (შდრ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონ. ისტ., I², გვ. 90—91).

იქ საცა ავტორს ნაცადი აქვს წყაროების კრიტიკულად გაცხრილვა, მისი საბუთიანობა ყოვლად შეუწყნარებელია. ასე, მაგ., გურიის საქუთათლო ნუსხა ავტორს გამოუყვია ცალკე და დაუთარიღებია 1400 წლის ახლო დროით. იგი ამბობს: საქუთათლო „დავთარს ბოლოში მიმატებული ჰქონია კიდევ უფრო ძველი დავთრის ტექსტი... რომ ქუთაისის საყდრის დავთრის ეს ნაწილი უფრო ძველი (XIV—XV ს-ნის ხანის) დავთრიდან არის გადმოწერილი, ეს გარემოება ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული“ (კრებ. I, 9), და მიგვითითებს თავის 1925 წელს გამოქვეყნებულ წერილზე: „ქუთაისის საყდრის დავთრის უძველესი ნაწილი“ (საისტ. მოამბე, 1925, II, 244—247). აქ, ამ ნუსხის უძველესობის დასამტკიცებლად, მხოლოდ ერთადერთ საბუთს ვპოულობთ: „ნაწყვეტის საერთო მოცულობის (?) მიხედვით — ამბობს ავტორი — ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქუთაისის დავთრის ეს უძველესი ნაწილი უნდა წარმოშობილიყო მე-14—15 საუკუნის სიგრძეზე, უფრო ახლოს მე-14 საუკუნესთან“ (იქვე, გვ. 246). რას ჰგულისხმობს კაკაბაძე „ნაწყვეტის საერთო მოცულობის“ ქვეშ? — ეს გახლავთ: ტერმინოლოგია, „რომელიც უფრო ძველი ხანის მაჩვენებელი უნდა იყოს“, სხვათა შორის, „მეგრელიზმები“, როგორც მაჩვენებელი იმ ხანისა, როდესაც მეგრულის გავლენა „ქვემო-იმერულ კილოში (სახელდობრ, 1925 წ. ეს ნუსხა ჯერ კიდევ „ქვემო-იმერული“ იყო, ლ. მ.) უფრო მძლავრად იყო წარმოდგენილი. ვიდრე ამას მე-16 საუკუნეში ჰქონდა ადგილი“, და ის გა-

რემოება, რომ ხსენებული ნუსხა უსახელოა, ხოლო საქუთათლოს დავთრის ყველა დანარჩენ ნუსხებს კუთვნილი სოფლის სახელი მიწერილი აქვს.

რატომ უნდა იყოს ამ ნუსხის ტერმინოლოგია „უფრო ძველი ხანის მაჩვენებელი“, არ ვიცით. „ჩითახურს“ ს. ს. ორბელიანიც იცნობს (ნ. მისი ლექსიკონი), „ოჩე“ დღესაც იხმარება იმერეთსა და გურიაში, ხოლო „ფსო-მიარეს“ არაფერი საერთო მეგრულთან არა აქვს. ესაა ავტორის ძველი ტერმინები. სოფლის სახელი რომ აღნიშნული არაა, ამას ვერ ჰხსნის ვერც კაკაბაძის ჰიპოთეზა, თითქოს ეს ნუსხა რომელიმე ძველი დავთრიდან გადმოედოთ, რადგან მაინც კიდევ საკითხად რჩება, თუ რატომ არ უნდა გადმოეწერათ სოფლის სახელიც. „მასალებში“ ავტორს ახალი საბუთები მოჰყავს ძველი დებულების შესამტკიცებლად: გურიის საქუთათლო ნუსხას, როგორც ეს ჯუშლიდან მართლაც ჩანს, 15 მეკომურის ნორმა უნდა აკლდეს და „ამავე დროს—სწერს ავტორი—ხელნაწერს... ამ ადგილას არაფერი აკლია... ხელნაწერის ეს რვეული (ე. ი. რომელზედაც გურიის ნუსხაა მოთავსებული, ლ. მ.) სრული ფურცლებით არის წარმოდგენილი“ და ამიტომ „ეჭვს გარეშეა... რომ დავთრის გადამწერს 1578 წ. ამ ნუსხის ტექსტი ხელთ უკვე ნაკლულევანად ჰქონდა“ (კრებ. I, 9). ნამდვილად კი ეს ნუსხა მოთავსებულია ორ უკანასკნელ რვეულზე და ხელნაწერის „უკანასკნელი რვეული“, როგორც ეს უკვე თაყაიშვილმა აღნიშნა, „შესდგება ოთხი ფურცლისაგან“ (საქ. სიძგ. I, ქუთ. დავთ., გვ. 1), ე. ი. მას ოთხი ფურცელი აკლია, და სწორედ ასე, სრულებით ბუნებრივად უნდა აიხსნებოდეს ხსენებული 15 ნორმის დაკლება. შემდეგ, „ნუსხის ლოკალიზაციის შესახებ“ ავტორი აღნიშნავს, „რომ ის ეხება გურიის ერთი კუთხის გლახებს, როგორც ეს საფიქრებელია გვარების მიხედვითაც“ (თითქოს ამისათვის რაიმე სხვა საბუთიც მოიპოვებოდეს, გვარებს გარდა!) და იძლევა საკმაოდ ვრცელს, მაგრამ სრულებით მიზანშეუწონელ კომენტარიებს იმის ასახსნელად, „თუ როგორ მოხვდა ეს ნუსხა ქუთაისის საყდრის არქივში“ (კრებ. III, 11). ავტორს ავიწყდება, რომ ეს ნუსხა ქუთაისის საყდრის „არქივში“ კი არაა მოხვედრილი, არამედ დავთარშია შეტანილი და მთელი ამ მსჯელობის დროს მას ერთხელაც არ დაუსვამს საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ, რა მოსაზრებით უნდა შეეტანათ ეს ძველთა-ძველი, „1400 წლის ახლო დროის“ ნუსხა (იქვე, გვ. 10), ორი საუკუნის შემდეგ, 1578 წლის საქუთათლოს დავთარში, რომელსაც ხომ წმინდა პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა?

ამგვარსავე გულუბრყვილობას იჩენს ავტორი, როდესაც 1622 წლის საკათალიკოზო დავთარში შეტანილ ბარის ნუსხას XVI ს-ის „პირველ ნახევარში ან პირველ მესამედში“ შედგენილად აცხადებს იმის გამო, რომ აქ, შედარებით ბარისავე ნუსხის, მისი განსაზღვრით, XVI ს-ის შუახანების ნაწყვეტთან, ბეგარა მომატებული ჩანს, და როდესაც ასეთ დათარიღებას მხოლოდ იმით ასაბუთებს, „რომ ჩვეულებრივ უფრო ხშირად ადგილი ჰქონდა გლახების მეტი დაბეგვის მიდრეკილებას“ (იქვე, გვ. 23), თითქოს არ შეიძლებოდა, რომ რომელსამე კერძო შემთხვევაში ბეგარა დაეკლოთ კიდევ.

ზერელედ მსჯელობს ავტორი აგრეთვე მანთხოჯის ნუსხის დათარიღებისას, რომელიც, მისი სიტყვით, „გარეგან თვისებების მიხედვით (ხელი და ნიშნები) XVIII ს-ის პირველ ნახევარს, დაახლოვებით 1720—1740 წლის ახლო ხანებს მიეკუთვნება“ (კრებ. I, 39). როგორ შეიძლება ხელის და ნიშნების (?) მიხედვით ძველის განსაზღვრა ოციოდე წლის ფარგლებში, სრულებით გაუგებარია. როგორც უკვე აღვნიშნე, ავტორი უკეთ იზამდა, ეს ნუსხა რომ თაყაიშვილისეული „მანთხოჯის ანაწერისათვის“ შეედარებინა, რომელიც, უფრო ნიშანდობლივ, დავით ნემსაძის დროს შეიძლება მიეკუთვნოს და, მაშასადამე, კაკაბაძისეული ნუსხის დასათარიღებლადაც შეიძლება გამოდგეს¹.

ავტორის კრიტიკული აპარატის გასათვალისწინებლად ეს მაგალითებიც კმარა.

მასალების ტექნიკური დამუშავებაც ძალიან ნაკლებია. ავტორის მთელს ნაშრომში მხოლოდ ერთადერთი ცხრილი მოიპოვება: ეს არის ე. წ. „ტაბულა საქუთათლო ყმების რაოდენობისა 1560 წლ. ახლ. (?) და 1578 წ.“ (კრებ. I, 19), და, რასაკვირველია, სასურველი იქნებოდა, რომ ავტორს ასეთივე ცხრილები შეედგინა, მაგ., საკათალიკოზო ყმებისთვისაც. სასურველი და „მასალებში სოც.-ეკონ. ისტორიისათვის“ აუცილებელიც იყო, რომ წარმოდგენილი ყოფილიყო საგამოსავლო ცხრილებიც. ასეთი ცხრილები უკეთეს წარმოდგენას მოგვცემდა ცალკე საბატონოების შემოსავლის შესახებ, ვიდრე ავტორის, როგორც ვნახავთ, საეჭვო ღირსების ანგარიშები. გარდა ამისა, ავტორს რატომღაც არ შეუჯამებია საკათალიკოზო სახასო ყმების რაოდენობა და მათ გამოსაღებაც ავტორი მთლიანად არ ანგარიშობს, თუმცა, მას უკან რაც ვიცით, რომ საკათალიკოზო ნუსხებში ავტორის მიერ საცაიშლოს ნუსხებია ჩართული, ასეთი ანგარიში ფუჭი იქნებოდა, ისევე როგორც ფუჭია საცაიშლოს გამოსავლის და ყმების ავტორისეული ვარაუდი. შემდეგ, არა აქვს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება სახალხო მეურნეობის საკითხებს: სად რას მოითხოვდნენ ბეგარად, ე. ი. სად რა მეურნეობა იყო გავრცელებული, სად ტრიალებდა თეთრი და სად არა, სად რა გვარი მრეწველობის ნიშნები ჩანს?—ყველა ეს და სხვა მეტად საგულისხმო, ეკონომიური ისტორიის და გეოგრაფიის საკითხები ავტორის მხედველობის გარეშე დარჩა. მხოლოდ თითო-ოროლა შენიშვნა აქვს ავტორს აქა-იქ გაბნეული, ასე, მაგ., რომ „საცაიშლო გლეხებს სდებია გარდასახადი მხოლოდ ნატურით, ფულით გარდასახადი სრულებით არ სჩანს“ (კრებ. I, 36), ან რომ „ლეჩხუმში... პურს ბევრად მეტი ხვედრითი წონა ჰქონდა ადგილობრივ სასოფლო მეურნეობაში, ვიდრე ღომს და ამით ეს მხარე თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა დას. საქართველოს დანარჩენ კუთხეებისაგან“ (იქვე, გვ. 38); ეს შენიშვნები, რა თქმა უნდა, არსებითს არაფერს იძლევა. კარგი იქნებოდა, რომ ავტორს ეკონომიური რუკებიც შეედგინა.

დასასრულ, ზედმეტი არ იქნებოდა, რომ ავტორს წარმოედგინა ბეგრების კლასიფიკაციაც არსებული მასალების მიხედვით, რადგან ამ საკითხს საბეგრო ნუსხების გასარკვევად ძირითადი მნიშვნელობა აქვს.

¹ ნ. ჩემი ხსენებ. წერილი, გვ. 314, შენ. 2.

კაკაბაძის მასალები, თუ ზოგიერთ ახალ ტექსტს მხედველობაში არ მივიღებთ, ყველა ერთგვარია, ყველა ან საგამოსავლო დაეთარს, ან საბეგრო ნუსხას წარმოადგენს, ისე რომ შინაარსის მიხედვით მათს დალაგებაზე ლამაზი ზედმეტია. მაგრამ ავტორს თავისი მასალები უნდა დაეღაგებინა რაიმე გარეგანი ნიშნის მიხედვით მაინც. ნამდვილად კი მისი „მასალები“ სრულებით დაულაგებელია, ისე რომ მკითხველი იბნევა და თანამიმდევრობას ჰკარგავს. ქრონოლოგიურად „მასალები“ ასეა დაწყობილი: 1578 წ., XVI—XIX სს., 1622 წ., XVI—XVII სს., XVII—XVIII სს., 1809 წ., 1819 წ., 1400 წლ. ახლ., XVI ს.—1622 წ., 1545 წ., XVI ს.—1622 წ., XVI—XVII სს., XVI—XIX სს.; პოლიტიკური ერთეულების მიხედვით: იმერეთი, ოდიში, იმერეთი, გურია, იმერეთი, ოდიში, იმერეთი; საბატონოების მიხედვით: საქუთათლო, სახონო, საცაიშლო, საცაგერლო, საკათალიკოზო (მანთხოჯის), საჯროუქო, საქუთათლო და საკათალიკოზო და სხვ., საქუთათლო, საკათალიკოზო, საკაცხო. რად დასჭირდა ავტორს ასეთი ქაოსის შეტანა თავის ნაშრომში, გაუგებარია. არავითარი შინაგანი მიზეზი მის მასალებში არ მოიპოვება, რომელსაც შეეძლო ავტორი აეძულებინა ასეთი უთავბოლო დალაგება ერჩია.

ს. კაკაბაძეს თავისი შრომისათვის დაუსახავს უმთავრესად ორი ამოცანა: 1. საბეგრო ნუსხების განხილვა ყმების სოციალური შემადგენლობის თვალსაზრისით და 2. ცალკე საბატონოთა ყმებისა და შემოსავლის რაოდენობის გამორკვევა.

თავის „მასალებს“ ავტორმა შესავლის სახით წარუძღვარა შემდეგი თავი: „სოციალური დანაწილება ახალს საუკუნეებში“ (კრებ. I, 1—8). ამ თავს ავტორი იწყებს არაფრისმთქმელი ფრაზით: „დას. საქართველოს მოსახლეობის სოციალური დანაწილება ახალს საუკუნეებში წარმოადგენდა (ისე, როგორც დანარჩენ საქართველოში) წინა საუკუნეების სოციალურ განვითარების შედეგს“. მოწინავე წოდებას შეადგენდნენ, ავტორის სიტყვით, დიდებულნი, თავადნი და აზნაურნი, „რომელთაც შემდეგ მიყობოდა (sic!) გლეხობის მასსა“. რადგანაც ავტორის მასალა თითქმის სულ ერთიანად საეკლესიო ხასიათისაა, მას აინტერესებს უმთავრესად საეკლესიო აზნაურნი (თავადები და დიდებულნი ეკლესიას ყმებად არ ჰყოლია) და გლეხობა. ამ უკანასკნელის შესახებ, ამბობს ავტორი, „ვრცელი და გარკვეული ცნობა მოყვანილი აქვს არქანჯელო ლამბერტს, რომლის თხრობა მართალია XVII ს-ნის ნახევრის სამეგრელოს შეეხება, მაგრამ ამ საკითხში შეიძლება მთელი დას. საქართველოს XVII ს-ნის მოსახლეობის დასახასიათებლადაც გამოყენებულ იქნას“ (იქვე, გვ. 1—2). რატომ უნდა გამოდგეს ლამბერტის ცნობა მთელი დასავლეთი საქართველოსათვის, ავტორი არ გვიზიარებს. ლამბერტის ცნობით, გლეხობა ორი ფენისაგან შედგებოდა: უმაღლეს ფენას შეადგენდნენ მსახურნი და უდაბლესს—მოინალენი, ამ უკანასკნელი ტერმინის შესახებ კაკაბაძე შენიშნავს სხოლიოში: „XVI ს-ნეში ეს ტერმინი გლეხის აღსანიშნავად იხმარებოდა იმერეთში“ (იქვე, გვ. 2, შენ. 1). საიდანა აქვს ავტორს ეს ცნობა?—ასეთ კატეგორიულ განცხადებას დასაბუთება სჭირდება. თუ ეს ტერმინი იმერეთშიც იხმარებოდა, ამას ხომ დიდი კულტურულ-ისტორიული ინტერესი აქვს, მით



უმეტეს რომ, ავტორისავე მოწმობით, ეს ტერმინი „წარმოებულთა მგვრულ სიტყვიდან ნინალა—სამსახური“ (იქვე) და რომ, მაშასადამე, იგი შეიძლება ქართული „მსახურის“ ექვივალენტი იყოს. მაგრამ ავტორი თავის წყაროს არ ასახელებს, ისე რომ იძულებული ვართ ჩვენ თვითონ მოვძებნოთ ამ განცხადების სათავე. ერთადერთი ძეგლი, რომელსაც ავტორი აქ ჰგულისხმობს, არის ე. წ. „აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი“, რომელშიც ტერმინი „მოინალე“, რაკი იადგარი საკათალიკოზოა, ე. ი. მთელ დას. საქართველოს შეეხება, თითქოს საყოველთაოდ არის ნახმარი. მაგრამ „საკათალიკოზო იადგარი“, ყოველ ეჭვს გარეშე, ნატყუარი ძეგლია¹. იგი შეთხზულია გარკვეული მიზნით XVI ს-ის დასასრულს, და განა შეიძლება ასეთი მნიშვნელოვანი დებულების წამოსაყენებლად მკვლევარი ნატყუარ საბუთს დაეყრდნოს? ეგებ სწორედ ოდიშშია ეს ძეგლი დაყალბებული, ან ეგებ ყალბის-მქენელი მგვრელი იყო? იმისათვის, რომ „მოინალე“ საყოველთაო ტერმინად იქნას აღიარებული, საჭიროა რომ, ოდიშს გარეთ, სადმე სხვაგან იგი კიდევ იხსენიებოდეს, და თანაც არა ერთხელ და ორჯერ, არამედ მრავალჯის. მაგრამ, მგვრული ტერიტორიის გარეთ, არსად „მოინალის“ ხსენებაც არაა. ამგვარად, უკვე აქედან ჩანს, რომ ლამბერტის ცნობის გამოყენება „მთელი დას. საქართველოს XVII ს-ნის მოსახლეობის დასახსნათებლად“ არ შეიძლება.

მოათავა რა ლამბერტი, ავტორი მოულოდნელად „ბატონყმობის გადაყარდნის ეპოქიდან“ შემონახულ ცნობებზე გადადის. იგი ასე ამზადებს ნიადაგს ამ ცნობების გამოსაყენებლად: „ეს ცნობები მიეკუთვნება—ამბობს იგი—მე-1860 წლებს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში წოდებრივ ურთიერთობის ერთგვარ მუდმივობას (?), ყოველს შემთხვევაში თვალსაჩინო ხანგრძლივობას (!), აგრეთვე ამ ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა ხანგრძლივ მუდმივობას (?!), ეს ცნობები შეიძლება რეტროსპექტიულად გამოყენებულ იქნას წინა ხანების სათანადო მასალების ჯეროვნად გასარკვევად“ (იქვე, გვ. 3). ამ დროის ცნობებით გლახობა იმერეთსა და გურიაში შემდეგი ფენებისაგან შედგებოდა: 1. აზატები, 2. მსახურები, 3. გლახები, 4. მოჯალაბეები. სამეგრელოსთვის მოგვეპოვება Бороздин-ის ცნობა, რომელიც იმავე ხანას ეკუთვნის და რომლის მიხედვითაც სამეგრელოს გლახობაც იმავე ოთხ კატეგორიად განიყოფებოდა (იქვე, გვ. 5 და 8). აქედან ავტორს გამოჰყავს შემდეგი დასკვნა: დას. საქართველოში „გლახები წინადაც დაყოფილი იყვნენ არა ორ ფენად, როგორც ეს იყო ქართლში ვახტანგის კანონების შედგენის დროს და წინა საუკუნეებშიც (მსახურნი და გლახნი), არამედ 4 ფენად: აზატნი, მსახურნი, გლახნი და მოჯალაბენი. ასე იყო—დასძენს ავტორი—როგორც იმერეთსა და გურიაში, აგრეთვე სამეგრელოშიც“ (იქვე, გვ. 7, გახაზული ჩემია, ლ. მ.). ჯერ ერთი რომ ასეთი „რეტროსპექტიული“ დასკვნა თავისთავად ყოველად შეუწყნარებელია და ვერავითარი „ხანგრძლივი მუდმივობა“ მას ვერ გაამართლებს, მაგრამ, ამასაც

¹ ნ. ჩემი დასახელებული წერილი, გვ. 269, შენ. 1.

რომ თავი დავანებოთ, საღლა დარჩა ლამბერტი თავისი „ერცელი და გარკვეული“ ცნობით? ის ხომ გარკვევით გვეუბნება, რომ XVII ს-ის სამეგრელოს გლეხობა მხოლოდ ორი ფენისაგან შედგებოდა, ის ხომ არ იცნობს არც აზატებს და არც მოჯალაბეებს?¹ მაგრამ ავტორი, როგორც ვნახეთ, ლამბერტის ცნობებს მართებულად აღიარებდა „მთელი დას. საქართველოსათვის“ და მაშ რა საბუთით გადაჰყავს ავტორს XIX ს-ის აზატნი და მოჯალაბენი XVI—XVII საუკუნეების დას. საქართველოში?—ამის შესახებ ავტორი სდუმს.

მოჯალაბეთა შესახებ ავტორი აღნიშნავს, რომ ისინი „საბუთებში XVII ს-ის დასასრულიდან დადასტურებით“ გვხვდებიან, ხოლო „წინაღ, როგორც სჩანს, მეახორეს სახელით“ იყვნენ „ცნობილნი“ (იქვე, გვ. 1), ვინაიდან ტერმინი „მეახორე“ უკავშირდება მეგრულ „ოხორუუს“—სამოსახლო, საიდანაც მოდის „დელმახორე“, მისახლებული, რომელიც მეგრულად XIX ს-ში მოჯალაბეს აღნიშნავდა“ (კრებ. III, 20). მაგრამ „მეახორე“ დას. საქართველოს საბუთებში, თუ ძალიან არა ვცდები, მხოლოდ ორჯერა გვხვდება—1545 წლ. გელათის დავთარში (საქ. სიძვ. I, 19) და გრიგოლ კათალიკოზის 1733 წლ. გუჯარში (დას. საქართვე. საეკლ. საბ. I, 141), ორჯერვე გელათის მახლობლად მოსახლედ ჩანს და ორსავე ზემოხსენებულ საბუთში არც ერთი ნიშანი არ მოიპოვება, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა მისი მიჩნევა მოჯალაბედ. ხოლო თუ წმინდა ლინგვისტიკურ მოსაზრებებს დავენდეთ, ეს ტერმინი გაცილებით უკეთ შეიძლება დაუუკავშიროთ „ახორს“ და დაახლოვებით „მეჯინიბის“ ფარდად ჩავთვალოთ. „მოჯალაბის“ შესახებაც ავტორი სცდება: იგი გვხვდება უკვე 1637 წლის საბუთში (ქრონიკები II, 452), ე. ი. გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ავტორს ჰგონია².

ასეთია ავტორის მსჯელობა. მას ერთხელაც არ უკითხავს, ეთანხმება თუ არა სხვა საბუთები, ლამბერტის რომ თავი დავანებოთ, XIX ს-ის ცნობებს, საზოგადოდ მას არც უცდია სხვა საბუთების მოპოვება. იგი სავსებით დაენდო რაღაც მითიურ „ხანგრძლივ მუდმივობას“.

ასეთი შესავლის შემდეგ ავტორი საბეგრო ნუსხების გარკვევაზე გადადის და ახლა უკვე თავისთავად ცხადია, რომ მისი ძიება წინასწარ განწირული უნდა იყოს. მართლაც, ავტორი თავის მასალაში ვერ გარკვეულა. საბეგრო ნუსხებში ყმების წოდებრივი მდგომარეობა ძალიან იშვიათადაა აღნიშნული. უმეტეს შემთხვევაში ამის დადგენა შეიძლება მხოლოდ ყმის მართებლობის მიხედვით. გავეცნოთ რაც შეიძლება მოკლედ ავტორის მეთოდს. ავიღოთ რამდენიმე სხვადასხვა ტიპის მართებლობა და ვნახოთ, რა დასკვნები გამოჰყავს ავტორს ვალდებულის წოდებრივი მდგომარეობისათვის: ა) უსამსახურონი (ე. ი. ყმები, რომლებსაც მხოლოდ სულადი თუ ფულადი გადასახადი, ე. წ. ბეგარა მართებს) ფარცხანაყანებს, ჩუნეშს, ოფისკვიჯს და სხვაგან მოინალეები

¹ ძველ „მოინალეებს“ ავტორი, როგორც ეს მომდევნო გვერდებიდან ირკვევა (ნ. მაგ., იქვე, გვ. 10 შმდ.—XIX ს-ის) „გლეხებთან“ აიდენტიფებს.

² აზატების შესახებ ნ. ჩემს ხსენებულ წერილში, გვ. 312—316.



ყოფილან (კრებ. I, 12), ფერსათს კი 7 კომლი მსახურებად არიან გამოცხადებული (იქვე, გვ. 15); მაგრამ ფერსათსვე 4 სხვა კომლი უსამსახურო მონაღლები უნდა იყვნენ (იქვე); კორთხას ყველა უსამსახურო მსახურადაა მიჩნეული (იქვე, გვ. 16); ასევე დიანტყას 11 კომლი (იქვე); ჯვარისას კი 3 კომლი უსამსახურო „ალბათ“ მონაღლები არიან (იქვე, გვ. 18) და ა. შ.; ბ) პურის-ჭამის და ლაშქრობის მოვალენი როკითს 7 კომლი აზნაურები ყოფილან (იქვე, გვ. 13), ნაქანელს კი 4 კომლი კონჯარია მსახურები არიან (კრებ. III, 26); მაგრამ ამათ ნუსხაშივე უწერიათ თავიანთი წოდება, სამაგიეროდ უსახელოს 1 კომლს წოდება არ უწერია, მაგრამ „საფიქრებელია“, რომ მსახური უნდა იყოს (კრებ. I, 37); ასევე ნაკურალემს 1 კომლი (იქვე); ხიბულას კი ხადილის (ე. ი. პურის-ჭამის) და ლაშქრობის მოვალე 1 კომლი აზნაურადაა გამოცხადებული (კრებ. III, 34); გ) პურის-ჭამის ან საპურობოს მოვალენი მუხურს 1 კომლი მონაღლედაა მიჩნეული (კრებ. III, 32), ნაკურალემს კი 1 პარტახტი მსახურისადაა აღიარებული (კრებ. I, 37); დ) პურის-ჭამის ან გოჭკუშურის, სამსახურის და ლაშქრობის მოვალენი ხოირს ყველა მონაღლები უნდა იყვნენ (კრებ. III, 31), ნაქანელს კი კონჯარია მსახურადაა აღიარებული, ხოლო ელიშია ისევ-ისე მონაღლედ (იქვე, გვ. 27); ე) ხადილის და საპატოო სამსახურის მოვალენი „გუბს ქვეით“ 2 კომლი მსახურებად არიან მიჩნეული (კრებ. I, 17), შუბანს კი 1 კომლი აზატია (იქვე, გვ. 14); ვ) ცხენით სამსახურის მოვალენი ქუთაისს 3 კომლი აზატები არიან (იქვე, გვ. 11), გეგუთს 2 კომლი მსახურნი არიან (იქვე, გვ. 12), ხოლო დიანტყას 2 კომლი შინაყმებია (იქვე, გვ. 16. ამათ მართებს „ულაყით სამსახური“, რაც, ავტორის განმარტებით, იქვე შენ. 3, იგივე „ცხენით სამსახური“ უნდა იყოს) და ა. შ.

ზემომოყვანილიდან ჩანს, რომ ავტორს არავითარი საზომი ვალდებულებათა მიხედვით ყმების სოციალური მდგომარეობის განსასაზღვრავად არა აქვს. ანდა რად გვინდა ამდენი ჩხრეკა, როდესაც თვითონ ავტორი მე-16 გვერდზე გვიცხადებს კორთხელ უსამსახუროთა შესახებ, რომ „ყოველ კომლის შესახებ ნაჩვენებია ბევარა, მაგრამ არაა ნაჩვენები, მართებდათ მათ მუშაობა ან სამსახური თუ არა. მაგრამ რათგანაც მუშაობა მათ, როგორც სჩანს, არ მართებდათ, ამიტომ როგორც პრივილეგიურ მდგომარეობაში მყოფთ ჩვენ მათ მსახურებად ვთვლით“ (კრებ. I, 16, შენ. 2), მე-18 გვერდზე კი, ჯვარისელ უსამსახუროთა შესახებ, აი რას გვეუბნება: „სამსახური და მუშაობა არაა ნაჩვენები და რადგანაც სამსახური არაა ნაჩვენები, ამიტომ ეს გლეხები ჩვენ მიერ მონაღლებად არიან ჩათვლილი“ (იქვე, გვ. 18); ან კიდევ, როდესაც იგი მე-21 გვერდზე, „მართებული ბეგრის რაობიდან“, სახონო 6 კომლის შესახებ დაასკვნის, რომ ესენი მსახურნი არიან, რადგან „ბეგრის გარდა ხადილი“ მართებთ (იქვე, გვ. 21), მე-22 გვერდზე კი აგრეთვე სახონო სხვა 2 კომლის შესახებ სწერს, რომ ისინი მონაღლენი უნდა იყვნენ, რადგან „ბეგრის გარდა ხადილი“ მართებთო (იქვე, გვ. 22). ეს ხომ დაუჯერებელია, მაგრამ სამწუხაროდ ასე არის.

იმის ნაცვლად, რომ საბეგრო ნუსხების ჩვენებანი კრიტიკულად შეეფასებინა, ავტორი დაკმაყოფილდა იმას, რომ საქუთათლოს დავთარში ორგან აზატის ვალდებულება განსაზღვრული, დარჩელის ნუსხაში კიდეც აზნაურისა, ნაჟანეულისაში—მსახურის, ეს მეტად ლაკონიური და უკმაარი ცნობები ყმების სოციალური დანაწილებისათვის „საკმაოდ მიახლოებით (მაგრამ თუნდაც რომ არა ყველა შემთხვევაში სრული დაჭეშმარიტებით)“ (კრებ. I, 10 და III, 26) გამოსადეგად სცნო და სრული უმწეობა გამოიჩინა ნუსხებში წარმოდგენილ ფორმათა სიმრავლის წინაშე. ესეც არ იყოს, ვიდრე ავტორი მართებლობათა მიხედვით ყმების სოციალური ვითარების გამორკვევას შეუდგებოდა, მას უნდა ზოგადად მაინც შეესწავლა თვით ეს მართებლობა, ბეგარა და სამსახური.

რად უნდა ღირდეს ამის შემდეგ ავტორის ანგარიში სხვადასხვა საბატონოთა ყმების წოდებრივი შემადგენლობის პროცენტული შეფარდებისათვის, თავის-თავად გასაგებია.

რაც შეეხება ჯამებს, აქ მდგომარეობა კიდეც უფრო უარესია: ჯერ ხალასი შეცდომები: ავტორის ანგარიშით, გურიის საქუთათლო ნუსხის ჯუმალი უდრის 497 $\frac{1}{2}$ ჩითახურს და 48 ქათამს (კრებ. I, 9), ნამდვილად კი არის 514 $\frac{1}{4}$ ჩ. და 47 ქ.; მალლაქს 31 კომლს, ავტორით, მართებს 321 კოკა ღვინო, 11 პარტახტს კი—102 კ. ღვ. (იქვე. გვ.12), ნამდვილად კი არის 303 და 93; ხონის მებადილეებს ავტორი 6 კომლს ანგარიშობს (იქვე, გვ. 21), ნამდვილად 7-ია; საცავერლოს დავთარში მოხსენებულია სულ 58 კომლი და 6 პარტახტი (იქვე, გვ. 36), ნამდვილად კი 57 კომლია და 8 პარტახტი, რომელთაგან 1 გაცემულია; მანთხოჯის XVIII ს-ის ნუსხაში ავტორი ანგარიშობს სულ 50 კომლ ყმას, ნამდვილად კი 53 ან 52 კომლია¹, და ა. შ. მთელი „მასალები“ აჭრელებულია ასეთი აჩქარებით გამოწვეული შეცდომებით, რომლებიც სრულებით აბათილებენ ავტორის ჯამებს.

ბეგრების ჯამების შესადგენად ავტორს ყველა გამოსაღები თეთრზე გადააქვს. შემდეგ ის ანგარიშობს საშუალო ციფრებს თითო კომლზე და რადგანაც, მისი აზრით, მას გამორკვეული აქვს საკლავის ფასი, ეს ციფრები მას საკლავებზე გადააქვს, ე. ი. ის არკვევს ბეგრის რეალურ ღირებულებასაც. აქ ავტორისათვის არავითარი დაბრკოლება არ არსებობს, მისთვის ყველაფერი ცნობილია და ერთი კალმის მოსმით ის სწყვეტს ყველა საჯახირო საკითხებს. მაგ., ურემი ღომი 1578 წ. ღირდა თურმე 20 თეთრი (კრებ. I, 20); ეს ნაანგარიშეგია „რეტროსპექტიულად“: 1753 წელს იგი ღირდა 1 $\frac{1}{4}$ მარჩილი და ამავე დროს საკლავი ღირდა „ჩვეულებრივ“ 3 რუბი; XVI ს-ის ნახევარში საკლავი ღირდა 10—12 თეთრი, „უფრო 12 თეთრი“ (!) და „ურემი ღომი ამ დროს ამიტომ საანგარიშებელია 20 თეთრი“ (იქვე, გვ. 27, შენ. 1). ეს ფასები საიდანღა იცის ავტორმა?—ღომის შესახებ იგი მიგვიითიებს 1753 წლის საბუთზე, რომელშიც გაბრიელ ჭყონდიდელი სწერს: ბეგარა „ურმოული ღომი

¹ თუ მანართბელი ადამია არ ვიანგარიშეთ; სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ თვით ნუსხაც იქვეა დაბეჭდილი, მაგრამ ეს შეცდომა კორექტურული კი არაა, არამედ ავტორის უნდოდა, რომ ეს ციფრი მაინც და მაინც იგივე ყოფილიყო, როგორც ერთ სხვა ნუსხაში, ნ. იქვე, გვ. 40 და შენ.

გარდავიღეთ და თითო მარჩილის სანთელი და თითო რუბის საკმეველი და-
ვადევით“ შეწირულ ყმებსაო. მაგრამ აქ ცხადია, რომ ჭყონდიდელმა ამ ყმებს
ბეგარა დაუტოლო, ისე რომ 1 მარჩილი და 1 რუბი ურმეული ლომის ექვივა-
ლენტი არაა; ეს, სხვა არა იყოს რა, კარგადა ჩანს იქვე ქვემოთქვამიდან:
სამს სხვა გლესს „ურმოული ლომი შევაწიეთო“ და მარჩილი და რუბი
დავადევითო (დას. საქ. საეკლ. საბ. II, 2). საკლავის ფასისათვის ავტორი ასა-
ხელებს „ხონის საყდრის საბეგრო დავთრებს“, რომლებიც XVIII ს-ის შუახა-
ნებს უნდა ეკუთვნოდეს; XVI ს-ისათვის კი საკლავის ფასი მას თურმე სტყუ-
თათლოსავე დავთრიდან ამოუღია. მაგრამ ამ დავთარში საკლავი არის 6, 10,
12, 15, 20 და სხვა რაოდენობის თეთრისა და რატომ მაინც და მაინც 10—
12, ისიც „უფრო 12 თეთრის“ საკლავი არჩია ავტორმა? იმიტომ რომ სხვაზე
უფრო ხშირად 12 თეთრის საკლავია გაწერილი?—ავტორს ავიწყდება, რომ ეს
ციფრები უმეშვეოდ მხოლოდ ყმების ქონებრივ ვითარებას ახასიათებენ და
არა საკლავის ფასს. დაბოლოს, ავტორის მიერ მოტანილი ციფრები კიდევაც
რომ სწორი იყოს, განა შექვევლია, რომ ლომის და საკლავის ფასთა შეფარდება
იგივე უნდა ყოფილიყო XVI ს-ში, რაც XVIII-ში იყო?

1 კოდი ლომი 1578 წ., ავტორის მტკიცებით, ღირდა თურმე 3,3 თეთრი
(კრებ. I, 20); ეს იქიდან ირკვევა, რომ „ურემი XVI ს-ში იმერეთში შეიცავ-
და... 24 სანაოთხლოს (უნდა იგულისხმებოდეს კოდისას). ურემში მაშასადამე
6 კოდი ყოფილა“ და ამიტომ კოდი უნდა ღირებულებულიყო 3,3 თეთრი (იქვე,
გვ. 27, შენ. 1). ვსთქვათ, ურემი ლომის ფასი მართლაც ცნობილი ყოფილიყო—
20 თეთრი. საიდან ვიცით, რომ ასე ღირდა სწორედ 24 სანაოთხლოს შემც-
ველი ურემი? თუ, ვსთქვათ, შუბანში ყველას ამ ზომის ურემი ემართა, ეს ჯერ
კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ, მაგ., ბაშსაც ასეთი ურემი იხმარებოდა. და ან
რატომ უნდა „იგულისხმებოდეს“ სანაოთხლოს ქვეშ კოდის მეოთხედი?—ეს
არსაიდან არ ჩანს.

ღვინის ფასი ხონში XVI ს-ისათვის ავტორს ასე აქვს გამოკვეთილი:
1684 წლის „კაცხურ სიგელიდან ჩანს, რომ კოკა ღვინო ამ დროს 1 თეთრად
იანგარიშებოდა. რადგანაც XVII ს-ის სიგრძეზე ფასებს იმერეთში თეთრის
ანგარიშზე ერთგვარი მუდმივობა ეტყობა (?), ამიტომ ჩვენ შესაძლებლად
ვსთვლით ასეთივე ფასი ღვინოზე დაეუშვათ XVI ს-ის მეორე ნახევრისთვისაც“
(იქვე, შენ. 2). მაგრამ საიდან იცის კ ა კ ა ბ ა ძ ე მ, რომ 1684 წლის კაცხური კოკა
და XVI ს-ის მეორე ნახევრის ხონური კოკა ერთი და იგივე ოდენობისა იყო?
კოკა ხომ ერთსა და იმავე ადგილას და ერთსა და იმავე დროს იყო რვიანიც
და იყო ოცდაოთხიანიც! ორი კოკის შედარება, თუ მათი საწყაო აღნიშნული
არაა, სრულებით შეუძლებელია...

აი ამგვარი ანგარიშით აქვს გამოანგარიშებული ავტორს, რომ, მაგ., ქუ-
თაისის საყდრის ყმები (პარტახტებიანად) 1578 წელს იხდიდნენ დაახლ. 22¹/₂
ათას თეთრს „447 საკომლოზე (გარდა აზნაურისა და აზატისა)“ და რომ
„თითო საკომლოზე“ მოდიოდა „დაახლ. 50 თეთრის ბეგარა, საკლავზე გადა-
ტანით (საკლავი 12 თეთრის ანგარიშით) თითო კომლზე 4,17 საკლავის ღირე-

ბულების ბეგარა“ (იქვე, გვ. 20). რა თქმა უნდა, აქ არც ერთი ციფრი სარწმუნო არაა.

ზემოხსენებულ ორ მთავარ ამოცანას გარდა, ავტორი გზა-და-გზა არკვევს მოსახლეობის მოძრაობის საკითხებსაც. აქაც იგი ჩვეულებრივის გულუბრყვილობით მსჯელობს. მოვიტან ერთ მაგალითს: XVI ს-ის ნუსხასთან შედარებით ნაქანეულის 1622 წლის ნუსხაში მეკომურთა რიცხვი მეტია, იხსენიება ახალი გვარები, ხოლო ზოგიერთი ძველი გვარი აღარა ჩანს (თუმცა ცვლილება არც ისეთი „თვალსაჩინოა“, როგორც ეს ავტორს გამოჰყავს, რომელსაც აქაც ბევრი შეცდომა ეპარება გვარების შედარებისას)¹. ამის გამო ავტორი დაასკვნის: ასეთი ცვლილება, „ჩვენის აზრით, არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ რომელიმე დიდ მთარულ სენის (მაგ., ჟამის) შედეგად ანდა სიმშვილობიან წელიწადის შედეგად, არამედ აქ მოქმედებდა, საფიქრებელია, იგივე მიზეზი, რამაც XVII ს-ის მეორე ნახევარში ნაქანეული მთლად გაავერანა, სახელდობრ თარეშები და თავდასხმანი“ (კრებ. III, 27). ავტორი იფიქვებს, რომ მოცემული ნუსხების მიხედვით ჩვენ უფლება არა გვაქვს ვარაუდი გავსწიოთ სოფ. ნაქანეულის მთელი მოსახლეობისათვის, რადგან ეს ნუსხები წარმოგვიდგენენ მხოლოდ საკათალიკოზო მფლობელობას, ხოლო მთელი სოფლის არათავისუფალი მოსახლეობა შეიძლება გაცილებით მეტიც იყო, რადგან ნაქანეულში სხვა ბატონებსაც შეეძლოთ ყმები ჰყოლოდათ. კათალიკოზს კი შეეძლო ახალი ყმები შეეძინა შემოწირვით, ძველები შეიძლებოდა ამოვარდნილიყვნენ, საზოგადოდ მთელი ცვლილება გაცილებით უფრო ბუნებრივად მომხდარიყო, ვიდრე ეს კაკაბაძესა აქვს წარმოდგენილი. ისეთი შორს წასული დასკვნებისათვის, როგორც ავტორს გამოჰყავს, მეტი საბუთებია საჭირო. სხვა არა იყოს რა, მოსახლეობამ, XVI ს-სთან შედარებით, იმატა, ხომ არ იკლო, და რისთვის დასჭირდა ავტორს ან „მთარული სენი“, ან „შიმშობობა“ და ან „თარეშები“, სრულებით გაუგებარია.

ავტორი, სხვათა შორის, ატარებს თავის შრომაში იმ აზრსაც, რომ XVI ს-მდე მსახურნი გაცილებით უფრო მსუბუქად ყოფილან დაბევრილი. ამას ასკვნის ავტორი გურიის საქუთათლო ნუსხის მიხედვით, რომელსაც იგი, როგორც ვნახეთ, სრულიად უსაფუძვლოდ, 1400 წლის ახლო ხანას მიაკუთვნებს. აქ მხოლოდ მეხადილეები მიაჩნია მას მსახურებად. ამათ, ამბობს ავტორი, „მართებთ მცირედი ფულადი გარდასახადი, ხადილი და ცხენით სამსახური. შემდეგ ხანებში მსახურნი დას. საქართველოში თანდათან მრავლდებიან და მათი მდგომარეობაც თანდათან უარესდება, ვიდრე ბოლოს თავისი ბეგარით მსახური უთანასწორდება ჩვეულებრივს მებეგრე გლეხს“ (კრებ. III, 12—13). თავისი დებულების შესამტკიცებლად ავტორი იმოწმებს ბექას კანონებს: „მართლაც—განაგრძობს იგი—ბექას კანონების მიხედვით 1300 წლის ახლო ხანებში საკმაოდ ცნობილია მსახურის მდგომარეობა“ და განმარტავს, რომ ბექა სხვადასხვა ღირსების მსახურს იცნობდა (იქვე, გვ. 13). ავტორი ვერ ამჩნევს, რომ მისი მოწმობა მისსავ დებულებას აბათილებს: მოსალოდნელი იყო, რომ ბექა „მართლაც“ მხოლოდ მსუბუქად დაბევრილ მსახურებს იცნობდა და თურმე,


¹ შდრ. ჩემს ხსენებულ წერილში გვ. 298.

პირიქით, უკვე ბეჟა არჩევდა მსახურსა და მსახურს შორის. და მართლაც, როგორც XVI ისე XVII საუკუნეებში და, ავტორისავე მასალებით, XIX ს-შიც, მსუბუქად დაბეგრილი ან სრულებით დაუბეგრავი მსახურის გვერდით გვხვდება დაბეგრილი მსახურიც და, უეჭველია, ამისდა მიხედვით არჩევდა მსახურებს ბეჟაც, თუმცა ბეგრების შესახებ მას პირდაპირ არაფერი აქვს ნათქვამი.

ზემომოყვანილის შემდეგ ჩვენ იძულებული ვართ დავასკვნათ, რომ ს. კაკაბაძის „მასალები“ არამც თუ ნათელს არა ჰფენს დასავლეთი საქართველოს სოც.-ეკონ. ისტორიას, არამედ, პირიქით, ბევრ ცხადსა და ნათელ საკითხს ბურჟუსში ჰხვევს და მკითხველის გონებას აბნევს.

დასასრულ, აღვნიშნავ კიდევ, რომ ავტორის ენაც საესებით გამართულად ვერ ჩაითვლება.

„მასალებშივე“, შიგადაშიგ, რაც თავისთავად მეტად უხერხულია, ავტორს ჩართული აქვს ახალი ტექსტები, დავთრები, ცალკე ნუსხები და სიგლები. ამ ტექსტების გამოცემა არაა დამაკმაყოფილებელი. ავტორს გათვალისწინებული არა აქვს, რომ გამოცემული ტექსტი ერთის მხრით დაწმენდილი უნდა იყოს, მეორე მხრით კი იგი დედნის მაგივრობასაც უნდა სწევდეს, თორემ სხვაფრივ მას სანახევროდ ფასი ეკარგება.



ცოდნედაძვლოა შ. ჭეშერობი

წარმოებას გადაეცა ასაწყ. 17.1.1940 წ.
ხელმოწ. დასაბეჭდ. უკ. ფ. 26.5.1940 წ.
ანაწყ. ზომა 7×11; ქალ. ზ. 70×105 სმ
ბეჭდურ ფორმ. რ. 10¹/₂; სააგტ. ფ. რ. 13
შეკვ. № 56; მთავლიტის რწმუნ. № 2267
ტირაჟი 500

სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალ.
სტამბა, აკაკი წერეთლის ქუჩა № 7

~~12489~~

ფანო 6 მან.

3.25/21